

ა. შანიძე

ქართული გრაფიკის საფუძვლები

ნაკვეთი გრაფიკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
წინასიტყვაობა	III
მორეზოლუცია	
შ მ ნ ე ბ ი	
II. წარმოშობის კატეგორიები (გაგრძელება)	
გვარი	273
დინამიკა და სტატიკა	304
ქცევა	312
კონტაქტი	346
სიტუაცია	360
ზმნის კატეგორიათათვის ზოგადად	367
შენიშნული შეცდომები და შესწორება-დამატებანი	(17)

ენიანსიზმის აღიარება

ამ ნაკვეთით დასრულებულია ქართული ზმნის კატეგორიების მიმოხილვა, რაც განზრახული წიგნის ცენტრალურსა და ყველაზე ორიგინალურ ნაწილს შეადგენს. ამ მოპყვა შემდეგი კატეგორიები: გვარი, სტატუსი, ქცევა, კონტაქტი და სიტუაცია. ამათგან წინა ხანის მკვლევრები მხოლოდ გვარს იცნობდნენ, დანარჩენების დადგენა კი ამ წიგნის ავტორს ეკუთვნის. მაგრამ გვარის გაგებაშიც ბევრი ახალი შეტანილი:

უპირველეს ყოვლისა განსაზღვრულია, თუ რა არის არსებითი მხარე იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს აქტივსა და პასივს შორის. ქართული ზმნა თავისი მრავალ-პირიანობით საშუალებას გვაძლევს უფრო ნათელი წარმოდგენა ვიკონიოთ გვარის შესახებ, ვიდრე ეს ჩანს ერთ-პირიანი ზმნის მქონე ენებში. მიმართება აქტივსა და პასივს შორის, რომელსაც მე კონვერსიას ვუწოდებ, გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი და პირდაპირ-ობიექტური პირი კონტრასტებია, შეიძლება ითქვას ანტიპოდებია. პასივის სუბიექტური პირი რომ მობოჟნებული სახეა აქტივის პირდაპირ-ობიექტურისა, ეს საუცხოოდ ჩანს ერთი პირის დაკლებით პასივში. ამას გარდა, პრეფიქსიან პასივს შემონახული აქვს ფორმალური ნიშნები, რომლებიც ააშკარაებენ არა მარტო ამ პასივის წარმოშობას აქტივისაგან, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ პასივის სუბიექტური ფორმები აქტივის პირდაპირ-ობიექტურ ფორმებს ეყრდნობიან (§ 418). ეს არის ახალი შუქი, რომელიც ქართულ ზმნას ზოგად ენათმეცნიერებაში შეაქვს აქტივ-პასივის ურთიერთობის გარკვევისათვის.

III სერიის ფორმათა ანალიზით ნაჩვენებია, რომ წარმოშობით პასივი ფორმა დღევანდელი ენის სისტემაში შეიძლება აქტივად იქნეს გააზრებული. ამ საკითხს თავის დროზე კ. შუხარტიც ეხებოდა, მაგრამ ამ მოცემულია ამ მოვლენის კვალიფიკაცია ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე, ე. ი. იმ ზოგად-ენათმეცნიერული თვალსაზრისით, რომელიც საზოგადოდ მთელს წიგნშია გატარებული.

ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხის განხილვამ აუცილებელი გახადა გამომეყო ჯგუფი ზმნებისა, რომელთაც ფორმა პასივისა აქვთ და ფუნქცია აქტივისა (ე. წ. დეპონენსები, § 366).

საშუალო გვარის შესახებ საზოგადოდ მეტად ბუნდოვანი ან მცდარი ცნობები მოიპოვება სპეციალურ ლიტერატურაში. ქართული მაგალითების მიხედვით ამ მოცემულია ზოგადი მითითება იმის შესახებ, თუ რა უნდა გავიგოთ საშუალო გვარის ფორმებზე (§§ 389—373). თუ ზმნა გარდაუვალია და თანაც არ არის პასივი, ეს კიდევ არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ის საშუალო ზმნად ვიცნათ. საჭიროა, რომ მას იმავე ფუძისაგან საპირისპირო ფორმები ჰქონდეს მოქმედებითისა და ვნებითის სახით.

დინამიკისა და სტატიკის შესახებ ქართულ ზმნებში წინათაც მიწერია, მაგრამ ვაკერით. აქ კი ეს მოვლენა, რომელიც ქართველურ ენათა ერთ თავისებურებათაგანია, სპეციალურად არის განხილული და მისი რაობა გამოკვლეული. ამასთანავე დადგენილია, რომ ოპოზიცია დინამიკასა და სტატიკას შორის ქმნის ზოგად კატეგორიას (ზე-კატეგორიას), რომელსაც სახელად სტატუსი დარქვა (§§ 385—392).

ქართული ზმნის სპეციფიკურ კატეგორიათაგან ქცევა ყველაზე ადრე გამოიყო. მისი რაობა საბოლოოდ გამოკვლეული მაქვს უკვე 1930 წელს გამოსულს მორფოლოგიაში, მაგრამ აქ ქცევის პრობლემა ვრცლად არის განხილული და ზოგერთი დეტალი გაშუქებული. პირთა რაოდენობის საკითხის გარდა აქ ყურადღებას კვლავ ის გარემოება იქცევს, რომ ფორმისა და ფუნქციის საღაო საკითხების გადაწყვეტისას უპირატესობა ფუნქციას უნდა მიეცეს (§ 414); რაც დებულების სახით პირიანობის საკითხის განხილვასთან არის წამოყენებული: „იქ, სადაც ფუნქციას აღარ შეეფერება ის გრამატიკული სამოსი, რომელსაც ის ატარებს, გამოსავალია ფუნქცია და სიტყვის გრამატიკული კვალიფიკაცია ახალი შინაარსის მიხედვით. უნდა მოხდეს“ (გვ. 136).

ქცევის საკითხის გამოკვლევამ აუცილებელი გახადა, რომ იგივე საკითხი დამესვა უფრო ფართოდ და შეივსებინა, რომ ეს კატეგორია ზოგ ინდოევროპულ ენაშიც მოაპოვება. ჩემთვის უმეტელია, რომ არ არის სწორი, როცა ბერძნულ მედიუმს ვვარის ანუ დიათესის მიხედვით მოქმედებთისაგან გამოიყოფენ და ცალკე აღვიღებ უზენაზე. არა! ბერძნული მედიუმი, — და მას არა მარტო ფორმის მიხედვით დავაუასებთ, არაჲდ ფუნქციის მიხედვითაც, — გვირად აქტივი გამოვა და ქცევად სათავისო. ეს მზესავით ნათელია უხვი ქართული მასალების გულდასმად შესწავლის შემდეგ. მაშასადამე, ქართული ზმნა უტყუარ კრიტიკიუმს გვაწვდის, რომ შევასწოროთ საუკუნოებით გადმოცემული და უკრიტიკოდ მიღებული მცდარი დებულება ინდოევროპეისტიკაში (§§ 375, 417).

კონტაქტის კატეგორია კარგა ხანია დადგენილი მაქვს ქართულის მიხედვით (პირველი ცნობა უკვე 1930 წელს არის გამოქვეყნებული). მაგრამ ახალი რამე, რაც აქ არის შემოტანილი, ეს გახლავს საერთაშორისო ტერმინის შემოღება („გზის“ ნაცვლად „კონტაქტისა“) და ამ კატეგორიის გავრცელება სხვა ენებზეც. მართლაც, წინათ იყო წარმოდგენა კაუზატრევა შესახებ, მაგრამ არ იყო გამოკვლეული, თუ რა ფუნქციონალური დამოკიდებულებაა კაუზატიურსა და არ-კაუზატიურ ფორმებს შორის. ამ საკითხშიც ქართული ზმნის სტრუქტურის შესწავლამ თავისი გადამკრედი სიტყვა თქვა და საშუალება მომცა დამედგინა ზე-კატეგორია კონტაქტისა, რომელიც ეყრდნობა ორ ქვე-კატეგორიას: უშუალოსა და შუალობითს, ანუ იმედიატსა და ნედიატს. საკითხი ზოგად-ენათმეცნიერულია და თანაბრად ეხება როგორც ქართულს, ისე მრავალ სხვა ენას (მაგ., თურქულს).

ქცევისა და კონტაქტის ფორმათა დეტალურმა განხილვამ ნათელყო ირიბობიექტურ პირთა სხვადასხვაობა და ამ მოვლენის გამოკვლევას ბუნებრივად სათანადო ტერმინების შემოღებაც მოჰყვა: უბრალო ობიექტი, მფლობელი ობიექტი (პოსესორი), შემსრულებელი ობიექტი (ეგზეკუტორი).

კონტაქტის კატეგორიის გამოკვეთასთან დაკავშირებით ნათელი გახდა აგრეთვე, რომ აუცილებელია უკუგდებულ იქნეს ორი მცდარი დებულება, რომელთაც საყოველთაო გავრცელება აქვთ მოპოვებული:

ერთი იმაში მდგომარეობს, თითქო შუალობითი კონტაქტის ფორმა, მედიატი (რომელსაც ჩვეულებრივ კაუზატივს ეძახიან), გვარის თვალსაზრისით იყოს არა აქტივი ან პასივი, არამედ რაღაც მათგან განცალკევებული და განსხვავებული (რუსულად *побудительный залог*). არა! გვარის მიხედვით შუალობითი კონტაქტის ფორმა, მედიატი, ისევე აქტივია (ზოგ შემთხვევაში აგრეთვე პასივიც), როგორც მისი საპირისპირო ფორმა უშუალო კონტაქტისა, ანუ იმედიატი. ეს დებულება, ქართულს გარდა, ბევრ სხვა ენაზედაც ვრცელდება.

მეორე ეხება ორმაგ გარდამავლობას, რომელიც გვხვდება მრავალ გრამატიკულ მიმოხილვაში ქართულისა თუ სხვა ენების შესახებ. ქართ. ზმნის შესწავლამ დაადასტურა, რომ გარდამავლობას განსაზღვრავს ზმნის უნარი შეიწყოს პირდაპირი ობიექტი. მაგრამ პირდაპირი ობიექტი მხოლოდ ერთი შეიძლება ჰქონდეს ზმნას და არა ორი. ამიტომ ცხადია, რომ ორმაგი გარდამავლობის საკითხი უნდა მოიხსნას. ეს იმ ენებსაც ეხება, რომლებიც ზმნასთან ორმაგ აკუზატივს იყუებენ: ორმაგი აკუზატივის მოთხოვნა, რა თქმა უნდა, არ უდრის ორმაგი პირდაპირი ობიექტის შეწყობას, რადგანაც მათში მხოლოდ ერთი აკუზატივი შეიძლება იყოს პირდაპირი ობიექტის ფუნქციით აღჭურვილი, მეორეს კი სხვა ფუნქცია ექნება დაკისრებული.

სიტუაციის კატეგორია მეტად მკრთალად არის ქართულში გამოხატული. ზოგი დეტალი აქ კიდევ გამოსარკვევია, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: სახედაოს ფორმა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქცევის ფორმად. და თუ ასეა, მაშინ ის იმ მიმართულებით უნდა იქნეს გაშუქებული, რომელიც აქ არის წარმოდგენილი.

უკანასკნელ დართულია ზოგადი დებულება მორფოლოგიურ კატეგორიათა შესახებ (§§ 443—444), სადაც ვარკვეულია იმის საფუძველი, თუ რა ქმნის გრამატიკულ ფორმას და რატომ ხდება, რომ ერთსა და იმავე სიტუაქვაში მრავალი გრამატიკული ცნება იყრის თავს. ამაზე წინადაც იყო მითითება (§ 296), მაგრამ ვრცლად ეს მოვლენა ზმნის კატეგორიების მიმოხილვის დასრულების შემდეგ არის დასაბუთებული. საზოგადოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქმნის გრამატიკულ ფორმას და რა კატეგორიასთან გვაქვს საქმე, ან როგორია ეს კატეგორია, ნამდვილი თუ მოჩვენებითი, წყდება არა აბსტრაქტულად, სხვა ფორმებისაგან მოწყვეტით, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების მიხედვით: რა რას უპირისპირდება და რა ნიშნის მიხედვით უპირისპირდება.

• სხვათა შორის, წიგნში შემოტანილია ცნება ომოიდების შესახებ (§§ 234, 235, 236, 384, 400). ამ ტერმინით აღენიშნავ ერთისა და იმავე სიტუაციის ფორმას, რომელსაც ორი ან მეტი ფუნქცია ახლავს: ომოიდი „ზბოს“, რადგანაც მას შეიძლება ნათ. ბრუნვის ფუნქციაც ჰქონდეს და მიცემითისაც; ომოიდი „გთხოვთ“, რადგანაც ის რამდენსამე დაჯგუფებას გულისხმობს პირებისას: მე თქვენ მას, ის თქვენ მას, ჩვენ შენ მას, ჩვენ თქვენ მას. ომოიდი ომოინის უახლოვდება, თუ ფორმა ორ სხვადასხვა სიტუაციას განეკუთვნება ერთი ფუნქციისას, როგორც, მაგ., „დაეცა“, რომელიც ხან ერთ-პირიანი და ხან ორ-პირიანი.

მაგრამ ნამდვილი ომონიმები სულ სხვადასხვა სიტყვის ფორმებია, რომლებიც გარეგნულად ჰგვანან ერთმანეთს, ვთქვათ უყურო: 1) რომელსაც უური არა აქვს („უურქო და უყურო“) და 2) II პირის ფორმა „უურება“ ზმნისა („შენ უნდა უყურო“).

დაკვირვებული და გულისხმიერი მკითხველი უეჭველია შენიშნავს, რომ ამ სტრიქონების ავტორი სტრუქტურული საკითხების კვლევა-ძიების დროს შორს არის ფორმალისტური მეთოდისაგან, რომლის შემოტანა ჩვენშიც სცადეს. ფუნქციის წამოწევა და მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა, აი რა არის დამახასიათებელი და წითელი ზოლივით გატარებული მთელს წიგნში.

მეორე ნაკვეთი თავდაპირველად გულისხმობდა მორფოლოგიის მიმოხილვას ბოლომდე, უდეტრების ჩართვით. მაგრამ რადგანაც ზმნის კატეგორიების მიმოხილვით წიგნის ერთი ნაწილი დასრულდა, ამიტომ შესაძლებლად დავინახე II ნაკვეთი ამ სახით გამომეშვა. საძიებელი და ბიბლიოგრაფია შემდეგ ნაკვეთებში ექნება დართული.

ა. შანიძე

24/XI/1943.

თბილისს

მონოგრაფია

მ ვ ა რ ი

344. მვარის რამება. გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის: გამომდინარეობს მოქმედება სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზეა პირდაპირ დამართებული, განიცდის ამ მოქმედებას, თუ გამომდინარეობს მისგან, მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა დამართებული და არც განცილილია სხვისი ზემოქმედებით. ამის მიხედვით გვაქვს სამი გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

მოქმედებითია (აქტიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გრამატიკულად მოქმედი პირი, რომელსაც სუბიექტურის სახელით ვიცნობთ, იგივეა, რაც რეალურად მოქმედი პირი, რომელსაც მოვბოვება სამოქმედო პირი, პირდაპირ-ობიექტურის სახელით ცნობილი; მაგალითი: „აგორებს“.

ვნებითია (პასიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირ-ობიექტური სათანადო მოქმედებითში, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან; მაგალითი: „გორდება“.

საშუალია (მედიალურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბ. პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს, მაგრამ ამ მოქმედებას არ „განიცდის“; როგორც ამას ადგილი აქვს ვნებითში; მაგალითი: „გორავს“.

მოყვანილი განსაზღვრა გვარის კატეგორიისა მოცემულია ზმნის პირიან ფორმათა მიხედვით. მაგრამ გვარი უპირო ფორმებსაც მოვბოვებათ. ქართულში ასეთია მიმლეობა. მიმლეობის ფორმათა მიხედვით კი გვარის განსაზღვრა ასეთი იქნება: გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ა) ან იმას, რომ საგანი, რომელსაც აღნიშნავს ან რომლის მიმართაც ნახმარია ეს მიმლეობა, სხვა საგნის მიმართ არის მოქმედების ჩამდენი, ბ) ან იმას, რომ მოქმედება მას აქვს „განცილილი“ (ანუ „დამართებული“), ც) ან კიდევ იმას, რომ გამოყვანილია მოქმედად, მაგრამ სხვა საგანთან მიმართების გარეშე და განუცდელად. ნათქვამია: „მგორავს ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“ (ქართ. ანდაზ., 1876), მაგრამ იგივე ანდაზა ასეც ითქმის: „აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“. მგორავია რაც აგორავს, აგორებულია რაც ააგორავს, ხოლო მგორებელია ვინც ააგორებს. ეს ფორმები მიმლეობის ფორმებია, რომლებიც გვართა მიხედვით, მაშასადამე, ასეა განაწილებული: მგორებელი — მოქმ., (ა) გორებული — ვნებ., მგორავი — საშუალი.

თუ ზმნას ავიღებთ ფართო მნიშვნელობით, ე. ი. თუ შევავრთებთ პირიანსა და უპირო ფორმებს და გვარს ისე განესაზღვრავთ, უნდა ვთქვათ: გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს: ა) ან იმას, რომ მოქმედება ჩადენილია ობიექტის მიმართ, ე. ი. სხვა-პირის ან საგნის მიმართ, ბ) ან იმას, რომ მოქმედება განცილილია თვით პირის ან საგნის მიერ, ც) ან კიდევ იმას, რომ მოქმედება ჩადენილია უობიექტოდ, მაგრამ განუცდელად.

შეთარღება სამივე გვარის ფორმებს შორის თანაბარი არ არის. მოქმედებითი და ვნებითი კვალდაკვალ მისდევენ ერთმანეთს საყოველთაოდ თუ არა,

გარკვეული ტიპის ზმნებში მიიხსი. რაც შეეხება საშუალოს, ის ზოგ თავისებურებას გვიჩვენებს. ამიტომ პირველად ორ გვარზე უნდა შევიჩერდეთ—მოქმედებითსა და ვნებითზე.

შემოკლებით მოქმედებითი გვარი აქტივად ითქმის, ვნებითი — პასივად, საშუალი — მედიუმად.

შენიშვნა. ტერმინი „გვარი“ უდრის ლათ. *genus-ს* (*genus verbi*) და მნიშვნელობით იგივეა, რაც ბერძნ. დიათესი (*διάθεσις*), რუს. *жалог.* საამისოდ ლათინურად ზოგჯერ იხმარებოდა *vox*, საიდანაც მიღებულია ფრანგ. *voix* და ინგლ. *voice*. იშვიათად ამის ქართ. თარგმანს („ხმას“) ჩვენშიც ხმარობდნენ (მაგ., კ. ლოდაშვილი).

345. შკთიარტოობა მტარმედაბითსა და ვნებითს შორის. ქართულში კარგად უპირისპირდება ერთმანეთს მოქმედებითი და ვნებითი.

თუ მოქმედებითი ორ-პირიანია, ურთიერთობა პირებს შორის ყოველთვის ასეთია: ერთი პირი მეორეზე მოქმედებს, ანუ ერთი პირი მოქმედია, მეორე კი—მისი სამოქმედო; გრამატიკის თვალსაზრისით მოქმედი პირი სუბიექტურია, სამოქმედო—პირდაპირ-ობიექტური: „ვთბობ“.

თუ მოქმედებითი სამ-პირიანია, ერთი პირი მოქმედია, მეორე — სამოქმედო, მესამე — გარე შე, მოქმედი პირი სუბიექტურია, სამოქმედო—პირდაპირ-ობიექტური, გარე შე—ირიბ-ობიექტური: „ვუთბობ“.

თუ ვნებითი ერთ-პირიანია, ეს ერთი პირი სუბიექტურია („ვთბები“) და თუ ორ-პირიანია, მაშინ გრამატიკის თვალსაზრისით ასეთი ურთიერთობა მათ შორის: ერთი პირი სუბიექტურია, მეორე ირიბ-ობიექტური („ვუთბები“).

იმის ნათელსაყოფად, თუ რა ურთიერთობა თვით გვარის ფორმებს შორის, ე. ი. აქტივსა და პასივს შორის, მივმართოთ უმარტივეს ფორმებს—ორ-პირიან მოქმედებითსა და ერთ-პირიან ვნებითს:

მოქმ. გვარის ზმნის ორ-პირიან ფორმაში სუბიექტურ პირს გარდა გამოხატულია პირდაპირ-ობიექტური პირი, როგორც ამას შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს: ვაქებ, ვტანჯავ, ვტეხ, ვაშენებ, ვათბობ.—აქ ყველგან მოქმედი I პირი, სამოქმედო III (ფორმაა ჩემეულ-მისეული), იგივე მაგალითები პირთა სხვაეგორი დაჯგუფებით: ვაქებ, ვტანჯავ, ვტეხ, ვაშენებ, ვათბობ.—აქაც ყველგან მოქმედი I პირი, სამოქმედო II (ფორმაა ჩემეულ-შენეული). [შეიძლება სხვაგვარადაც დაეჯგუფოთ სუბიექტ-ობიექტური პირები, მაგრამ აქ ესეც კმარა].

აღინაშნულ ფორმათა საპირისპირო ვნებითი ისეთია, რომ აქ მოქმედება „მართება“ ანუ „მოსდის“ პირს, რომელიც განიცდის ვნებას, თუმცა ვიზნებას ცორნიდან არა ჩანს, თუ ვისგან ან რისგან; მაგალითები: ვიქები, ვიტანჯები, ვტყდები, ვშენდები, ვთბები.

მოყვანულ მაგალითთაგან საანალიზოდ ავიღოთ „ვთბები“, რომელიც გვარის მიხედვით უპირისპირდება ყველა სუბიექტურ ფორმას, რომლებთანაც I პირი პირდაპირ-ობიექტურია მოქმედებითში, ე. ი. ამგებ: მათბობ, მათბობს, მათბობთ, მათბობენ. „ვთბები“—არ ჩანს, რომ სხვა მოქმედებებს ჩემზე, მაშინ

როდესაც თვითეული ზნის საპირისპირო ფორმა ორ პირს გულისხმობს, რომელთაგანაც ერთი მიზნისა მეორის თბობისა; მაგ., „მათობს“ ფორმის მიხედვით III პირი სითბოს იწვევს I-ში; საშავიერ .ი „ეთბები“ აღნიშნავს, რომ I პირი, რომელიც წარმოდგენილია შივ, „მნებელია“, ე. ი. მიეწერება მოქმედება, რომელიც არ არის სხვა პირისაგან გამოშდინარე, — მოქმედება მასში ხდება სხვისგან ჩაურევლად, სხვისი მოქმედების გარეშე.

346. კონსტრუქცია. ურთიერთობა აქტივისა და პასივის შორის ისეთია, რომ ერთი წარმოადგენს მეორის მობრუნებულ სახეს. ამიტომ ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანა არსებითად არის ფორმის მობრუნება ანუ კონვერსია (მოქცევა). თუ გამოსავლად მოქმ. გვარს ავიღებთ, ვნებითი იქნება მისი მობრუნებული სახე, ხოლო თუ გამოსავლად ვნებითს მივიჩნევთ, მაშინ, პირუკუ, მოქმედებითი აღმოჩნდება ვნებიანის მობრუნებული სახე.

ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა. თანაც ცოტაა ისეთი ვნებითი ზმნები, რომელთაც სათანადო მოქმედებითი არ მოგპოვება. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ იმ გარემობას, რომ ზოგმა ენამ (მაგ., აფხაზურმა) ვნებითი გვარის ფორმები არც კი იცის, კონვერსიის საკითხების გარჩევისას უნდა გამოვიღეთ მოქმედებთაგან გვექნება: ვნებითი გვარის ფორმები არის მობრუნებული სახე მოქმედებითისა, ანუ, რაც იგივეა, პასიური ფორმა აქტიურის კონვერსიული სახეა.

მობრუნებას (მოქცევას) ანუ კონვერსიას გარკვეული შედეგი მოსდევს ორი პირისათვის: სუბიექტურისა და პირდაპირ-ობიექტურისათვის.

347. კონსტრუქცია და სუბიექტური პირი. შიკის დაქვება. ის პირი, რომელიც სუბიექტურია მოქმედებითში, გვარის მობრუნების დროს კი არ გადაწყვება ვნებითში, არამედ დაიკარგება სრულიად. ამიტომ პირთა ჩაოდენობა მუდამ ერთით ნაკლებია ვნებითში, ვიდრე სათანადო მოქმედებითში; სახელდობრ: სამ-პირიანი ზმნა ორ-პირიანად იქცევა და ორ-პირიანი — ერთ-პირიანად.

მაგალითები სამ-პირიანობაზე: კოკა გაუტეხა — კოკა გაუტყდა, სახლი აუშენა — სახლი აუშენდა, გული გაუხეთქა — გული გაუსქდა, ძმა წაჰკიდა — ძმა წაეკიდა, სიტყვას დააწერს — სიტყვა დაეწერება. მოყვანილ მაგალითებში მოქმ. გვარის ფორმები ყველა სამ-პირიანია (ვაუტეხა, აუშენა, გაუხეთქა, წაჰკიდა, დააწერა), სათანადო ვნებითისა კი — ორ-პირიანი (გაუტყდა, აუშენდა, გაუსქდა, წაეკიდა, დაეწერება).

მაგალითები ორ-პირიანობაზე: კოკა გატეხა — კოკა გატყდა, სახლი ააშენა — სახლი ააშენდა, გული გახეთქა — გული გასქდა, სიტყვას დააწერს — სიტყვა დაიწერება. ამ მაგალითებში მოქმ. გვარის ფორმები ყველა ორ-პირიანია (გატეხა, ააშენა, გახეთქა, დააწერს), სათანადო ვნებითისა კი — ერთ-პირიანი (გატყდა, ააშენდა, გასქდა, დაიწერება).

რომ ყველაფრად ნათელი იყოს საქმის ვითარება კონვერსიის დროს, სათანადოდ ავიღოთ მოყვანილ მაგალითთაგან ეს წყვილი: „კოკა გატეხა“ და „კოკა გატყდა“; თანაც გავავრცოთ პირველი წინადადება ქველდგეობით: „მძიმა კოკა გატეხა“. ორ-პირიან „გატეხა“ ფორმას ორი სახელი ეფარდება: „მძიმა“ და „კოკა“, რომელთაგანაც ერთია სუბიექტი ანუ ქველდგეობარე („მძიმა“), მეორე

კი—პირდ. ობიექტი („კოკა“). ვნებითად რომ შემოვებრუნოთ ეს ფრაზა, ამას შივილებთ: „კოკა გატყდა“, სადაც ზმნა ერთ-პირიანია და მის შესაფერისად ფარდი სახელი ერთილაა: „კოკა“. მაშასადამე, კონვერსიის ძალით დაიკარგა სუბიექტური პირი და მისი ფარდი სახელი („ბიქმა“), მივიღეთ ერთ-პირიანი ზმნა, რომელსაც ფარდად ერთი სახელი აქვს: „კოკა“. როცა გავიგონეთ: „ბიქმა კოკა გატყდა“-ო, მივხვდით, თუ ვინ არის მოქმედების ჩამდენი და რა არის ამ მოქმედების საგანი, ე. ი. ვინ არის გამტეხი და რა არის გატეხილი, ხოლო, როცა თქვეს „კოკა გატყდა“-ო, ის გავიგეთ მხოლოდ, რომ კოკას იგივე საქმე მოუვიდა, რაც პირველ შემთხვევაში (როცა თქვეს: „ბიქმა კოკა გატყდა“-ო), ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ეხლა უკვე არ ვიცით, თუ ვისგან გამომდინარეობს კოკის გატყება.

მაშასადამე, ნიშანდობლივი თვისება ვნებითისა ის არის, რომ ის ზმნით გამოხატულ მოქმედებას წარმოგვიდგენს რეალურად შემსრულებელი პირის გამოუჩენლად.

სუბიექტური პირის დაკარგვა კონვერსიის დროს არ ნიშნავს, რომ ვნებითში სუბ. პირი არ იყოს. არა, ვნებითში სუბ. პირი არის, მაგრამ მას მოქმედებითში სხვა პირი შეესატყვისება, როგორც ამას შემდგომ პარაგრაფში ვნახავთ.

348. კონვერსიამ ღებ პირდაპირი. მოქმ. გვარის ფორმის ვნებითში გადაყვანის დროს ის პირი, რომელიც აქტივში პირდაპირ-ობიექტურია (ანუ, შემოკლებით, რომელიც პირდაპირია), სუბიექტური ხდება პასივში. ეს შემდეგს ნიშნავს: რაც პირდაპირს მოსდის სუბიექტური პირისაგან აქტივში, იმას სუბიექტური პირი თვითონვე განაცდის პასივში. მაგალითები ჩემუფლ-მისეულზე: მაშენებს—ვშენდები, მამკობს—ვიმკობი, მმალავს—ვიმალეები, მათობს—ვთბები და სხვა. „არსენი კათალიკოსმან... საყდარი მამათმთავრობისაა შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა (ეცხორ. ვრ. ხანძთ., 42,167). „შეამკო“ აქტივია და ორ-პირიანი, „შიმკო“ კი—პასივი და ერთ-პირიანი. ისინი ერთმანეთის კონვერსიული ფორმებია: რაც პირველ შემთხვევაში ობიექტს მოსდის სუბიექტისაგან (საყდარს არსენისაგან), იგივე მოსდის მეორე შემთხვევაში სუბიექტს (არსენის), რომელზედაც ნათქვამია „შიმკო“-ო, მაგრამ იმის აღუნიშნავად თუ ვისგან ასეთივე მაგალითია აქაც:

ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ავავსენით, ავივსენით (ვეფხვ-ტყ., 1124). „ავავსენით“—ჩვენ ვმოქმედებთ სხვებზე, „ავივსენით“—ჩვენვე მოგვდის ის, რაც პირველ შემთხვევაში სხვებს ემართება ჩვენგან.

თუ პასიურ ფორმას აქტიურად ვაქცევთ, მაშინ, პირუკუ, სუბიექტური პირი პასივისა აქტივში პირდაპირ-ობიექტური გახდება. თავისთავად ცხადია, რომ ზმნის ფორმას ერთი პირი მოემატება. ოღონდ აქტივში სუბ. პირთაგან რამდენიმეა შესაძლებელი: I-თან II და III, II-თან I და III, III-თან კი ყველა. მაგალითები: ვიმალეები—მმალავს, ვიტანჯები—მტანჯავს, ვთბებ—მათობს და მისთ. (ან ვიმალეები—მმალავ, ვიმალეები—მმალავთ, ვიმალეები—მმალევენ). „მაგით რჩებოდა ის და არჩენდა თავის ცოლსა“ (ი. კ., ფლახ. ნამბ.)—„რჩებოდა“ პასივია, ერთ-პირიანი, „არჩენდა“ კი—აქტივი, ორ-პირიანი; ისინი

ერთმანეთის კონვერსიული ფორმებია. ზედმიწევნითობა რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ: „არჩებოდა“ არის III სუბ. პირის ფორმა; ამიტომ ის კონვერსიული სახეა ყველა იმ კომბინაციისა, სადაც III პირი პირდაპირი ობიექტია: ვარჩენდი, არჩენდი, არჩენდა, ვარჩენდით, არჩენდით, არჩენდნენ.

349. კონსტრუქცია და ირიბი. აქტივის პასივად გადაკეთების დროს ირიბ-ობიექტურ პირს (შემოკლებით: ირიბს) არა მოუვა რა,—ის თავის ალაგას ღარ-ჩება, ოლონდ, რა თქმა უნდა, აქტიური ფორმა უთუოდ სამ-პირიანი უნდა იყოს, რომელიც პასივში ორ-პირიანი გახდება: ბავშვს კოკა გაუტეხეს — ბავშვს კოკა გაუტყდა; სახლი ამიშენა — სახლი ამიშენდა; გუშინ რომ საქმე მომანდო — გუშინ რომ საქმე მომენდო; კარგი ამჟავა გულს მოგფხანს — კარგი ამბისაგან გული მოგფხანება და მისთანანი. — აქ აქტიური ფორმები ყველა სამ-პირიანია, მათი პასივი კი — ყველა ორ-პირიანი, რასაც მათ-მათი საგუებლები გამოაჩენს: გაუტეხეს (მათ მას იგი) — გაუტყდა (მას იგი), ამიშენა (მან მე იგი) — ამიშენდა (მე იგი), მომანდო (შენ მე იგი) — მომენდო (მე იგი), მოგფხანს (იგი შენ მას) — მოგფხანება (იგი შენ).

350. კონსტრუქცია და პირთა ურთიერთობა საზოგადოლ. ზემოთ თქმულის მიხედვით პირთა ურთიერთობა კონვერსიის შემთხვევაში ასე გვეხატება: როდესაც აქტივის ფორმა პასივში გადაგვყავს, აქტივის სუბიექტური პირი იკარგება, პირდაპირი სუბიექტურად იქცევა, ირიბი კი ირიბადღე რჩება. აქედან დასკვნა: კონვერსიის საკითხი არსებითად ორი პირის საკითხია: სუბიექტურისა და პირდაპირ-ობიექტურისა.

მაშასადამე, გვარი — ეს არის საშუალება, რომელიც მოეპოვება ვნას, რომ პირის დამოკიდებულება მოქმედებისადმი ორნაირად ასახოს: ერთი ისე, რომ რომელიმე პირი (I, II, III) მოქმედების ობიექტად იქნეს გამოყვანილი, მეორე კი ისე, რომ იგივე პირი ამ მოქმედების მიმართ სუბიექტად იქნეს წარმოდგენილი. ეს დებულება ნათელი იქნება სათანადო სახელთა შეწყობით ზმნის ფორმასთან: „ძაღვები მიუსიეს მგელს“, — აქ ფორმა აქტივია, „ძაღვები“ პირდ. ობიექტად არის გამოყვანილი; „ძაღვები მიესივნენ მგელს“ — აქ კი ფორმა პასივია და „ძაღვები“ სუბიექტად არის წარმოდგენილი.

351. კონსტრუქციის აუსილუმბელი პირობა. ქართული ზმნის მრავალ-პირიანობისა და მრავალნაირ ფორმათა არსებობის გამო ზოგჯერ ძნელია ფორმის ერთი გვარიდან მეორეში სწორად გადაყვანა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ენებითი ორ-პირიანია. ავიღოთ ასეთი მაგალითი: „სიკვდილსაც ისე დაეჯიწყა, როგორც კაცსა“ (ი. ჭ., ფლახ. ნაამბ.ა). — აქ „დაეჯიწყა“ პასივია. ეს ზმნა რომ აქტივში გადავიყვანოთ, წინადადებაში თითქო ასეთი სახე უნდა მიიღოს: „სიკვდილსაც ისე დამიჯიწყა, როგორც კაცმა“. მაგრამ, კარგად თუ დაეუკვრილებით, აღმოჩნდება, რომ საქმე აგრე არ არის: „დაეჯიწყა“ ორ-პირიანი ფორმაა (დაეჯიწყა მე მას), ორ-პირიანია აგრეთვე „დამიჯიწყა“-ც (მან მე). უკვე ვიცით, რომ კონვერსიამ განსხვავება უნდა მოგვცეს პირთა რაოდენობაში (§ 347): ორ-პირიანი პასივი სამ-პირიანად უნდა იქცეს აქტივში, ორ-პირიანი აქტივი კი ერთ-პირიანი უნდა გახდეს. პასივში „დაეჯიწყა“ და „დამიჯიწყა“ კი ერთ-ერთის მიმართ ასეთ ურთიერთობას ვერ გვიჩვენებენ, მა-

მასაღამე, ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთუროსი კონვენციული ფორმები. მართლაც: „დავავიწყდი“—ამისი ერთ-ერთი კონვენციული ფორმაა აქტივში „დამავიწყეს“ ასეთი საგუებლებით: მათ მას მე, ე. ი. ასეთი გავებით: ჩემი თავი დავავიწყეს მას (ვთქვათ სიკვდილს, კაცს), სადაც I ობ. პირი პირდაპირია, III ობიექტური კი—ირიბი. ასეთი პირდაპირი ცვალებადია და ასეთი ირიბი—უცვლელი, რაც იშვიათი მოვლენაა (§ 294); ჩვეულებრივ კი აქტივში ცვალებადად ირიბი გვხვდება, უცვლელად—პირდაპირი: დამავიწყეს (მათ მე იგი), დავავიწყეს (მათ შენ იგი), დავავიწყეს (მათ მას იგი) და შემდგომი. მაშასადამე, „დამავიწყეს“ ფორმა „ომოილია“,—ის ორნაირ გავებას შეიცავს:

ა) დამავიწყეს—მათ მე მას; ამისი უნებითია: დავავიწყდი (მე მას);

ბ) დამავიწყეს—მათ მე იგი; ამისი ვნებითია: დამავიწყდა (მე იგი)—რაც შეეხება „დამავიწყეს“ ფორმას, რომელიც ორ-პირიანია და ერთი შეხედვით მოქმედებითი, მას არ მოუპოვება თავისი ცალი ვნებითში (მოსალოდნელი იყო დავავიწყდი), აღწერილობით კი ასე გადმოიციემა: „დავიწყებულ ვიქმენ“.

„დავავიწყდი“-ს ტიპისაა შემდეგ ფორმები: შევსძულდი, გავახსენდი, შევეცოდე, მოვეწონე და მისთანა. ამ ზმნების თავისებურება ის არის, რომ ვნებითში ისინი ერთი ზმნის ფორმებად ითვლებიან (რადგანაც, მაგ., „დავავიწყდი“ და „დამავიწყდა“ ერთმანეთისაგან მხოლოდ პირთა ურთიერთობით განსხვავდებიან), სათანადო მოქმედებითის ფორმები კი ორი სხვადასხვა ზმნის კუთვნილებაა, რომლებიც, რამდენადაც იხმარებიან, ფორმოზღოვ ერთმანეთს ემთხვევიან, ომოილებია.

ამიტომ კონვენციის ღროს აუცილებელი პირობაა, რომ განსხვავება იყოს პირთა რაოდენობის მხრივ. თუ ეს პირობა დარღვეულია, ცხადია, ორი ფორმა ერთისა და იმავე ფუძისა, ერთი გარდაწავალი, მეორე გარდაუვალი, ერთუროსი მიმართ კონვენციული ვერ იქნება. თუ ორ-პირიანი ვნებითი გვაქვს და სათანადო სამ-პირიანი მოქმედებითი არაა, ეს ნიშნავს, რომ მას ცალი აკლია; ასეთია მაგ. „ვეჩხუბე“, „ვეომე“, „ვებაასე“, და სხვა, რამდენადაც ითქმის. მაგ., არა „ვაჩხუბე: მე მას იგი“, არამედ „ვეჩხუბე: მე იგი“. სინონიმური გამოთქმებია: ვეედრება, ეხვეწება, ემუდარება და ეაჯება, მაგრამ სათანადო აქტივი მართკო პირველ ორს აქვს: ავედრებს, ახვეწებს (შეავედრა, შეახვეწა). იშვიათად შეიძლება „ამუდარებს“-იც შეგვხვდეს („ვარდს მამულდარე, ალურსი ჩართე“, ბესიკი), „აჯება“ კი აქტიურად თუმც გვხვდება („მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმა არს, მისცეს სულთა ლხენა“, ვეფხ. ტყ., 10; „იაჯს“, „იაჯდის“), მაგრამ აქტიურ ფორმას სათანადო პასიური აკლია და პასიურს—სათანადო აქტიური.

352. კონვენციისა და ინვენციის. როგორც დავრწმუნდით (§§ 347, 348, 351), კონვენციისა გულისხმობს ფორმის იმგვარად შეცვლას, რომ პირდაპირ-ობიექტური პირი სუბიექტურად იქნეს წარმოდგენილი. რაც შეეხება ინვენციისას, ის კი გულისხმობს პირის ნიშნების შეცვლას ერთისა და იმავე რომლობითი პირის გამოსახატავად: სუბიექტურ პირს ობიექტურ-ნიშნისანი ფორმა გამოხატავს და ობიექტურ პირს—სუბიექტურ ნიშნისანი (§§ 238—241). რადგანაც

კონვერსია მიგვიჩვენებს როლების გაცვლაზე პირდაპირ-ობიექტურსა და სუბიექტურს შორის, შეიძლება დაგვესკვნა, რომ ამას სათანადო ნიშანთა გაცვლა-გამოცვლა უნდა მოჰყვეს, ე. ი. პირდ.-ობიექტური პირის ნიშნები ვნებითში სუბიექტურის ფუნქციით უნდა აღიქვრვოს, მაგრამ არა! კონვერსია სხვა და ინვერსია სხვა:

a) კონვერსიას ყველა სერიაში აქვს ადგილი, ინვერსიას კი — მხოლოდ მესამეში;

b) კონვერსია გულისხმობს როლების გაცვლას პირდაპირ-ობიექტურსა და სუბიექტურ პირს შორის, ინვერსია კი — როლების გაცვლას ირიბ-ობიექტურ ნიშნებსა და სუბიექტურებს შორის (§ 240, გვ. 190, უკანასკნ. აბზაცი).

ასე რომ კონვერსია და ინვერსია არა თუ არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ სულ სხვადასხვა მოვლენას აღნიშნავენ ენაში. ეს არის მიუხედავად იმისა, რომ სახელიც სხვადასხვა ეწოდა მათ: ერთის კონვერსია, მეორეს ინვერსია.

წმკ. ძარბუღის ფადარება სხვა მემბთან აძინვ-პასინვის შკთინძათო-ბის სბამთნში. აქტივ-პასივი რომ ერთმანეთის კონვერსიული სახეა, ეს ისეთი ვნებიდანაც კარგად ჩანს, სადაც მოქმ. გვარის ზნა ერთ-პირიანია. მაგ., არაბ. „კათალა“ აქტივია (კათალა ზაფლუნ რაჯულანა ზაიდმა კაცი მოკლა), ხოლო მისი შესატყვისი პასივი იქნება „კუთილა“ (კუთილა რაჯულუნა—კაცი მოიკლა = კაცი მოკლეს). აქტიური „კათალა“ და პასიური „კუთილა“, — ერთპირიანი ზნებია ორნივე, მაშასადამე, პირთა რაოდენობის მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის. ასეთივე ვითარებაა. ლათინურშიც (ornat „ამკობს“ — ornat „იმკობს“), რუსულშიც (строить „აშენებს“ — строить „შენდება“) და სხვა ენებშიც, რომელთაც მრავალ-პირიანობისა არა იციან რა. ასეთ ენებში მორფოლოგიური განსხვავება აქტივსა და პასივს შორის დამყარებულია მარტოოდენ იმაზე, რომ მოქმ. გვარის ფორმათა საპირისპიროდ სხვა ფორმები მოიპოვება; რომელთაც ვნებითის შინაარსი აქვთ. ქართულში კი ამას პირთა რაოდენობის გარჩევაც ხსლავს: აქტივი ყოველთვის ერთი პირით მეტია სათანადო პასივზე.

შენიშნა. „ამკობს“ ზუსტად ვერ გადმოგვცემს ლათ. ornat ფორმას, რადგანაც ლათ. ფორმა ერთ-პირიანია, ქართული კი — ორ-პირიანი. ასეთივე ურთიერთობაა რუს. строить-სა და ქართ. „აშენებს“ შორისაც.

354. ფორმოზღვივი ფადარება აძინვსა და პასივს შორის. დაპირისპირება მოქმედებითსა და ვნებითს შორის იმაზეა დამყარებული, რომ მოქმედებითს თავისთავად ფორმები მოეპოვება და ვნებითს — თავისთავად. ფორმოზღვივი გარჩევას მათ შორის ყველა მჭკრავში აქვს ადგილი და არსად შეხვედრა არ ხდება. გარჩევა სხვადასხვა საშუალებით ხერხდება: ან იმით, რომ ვნებითს საკუთარი ნიშანი აქვს, რომელიც მას მოქმედებითისაგან ძირითადად განასხვავებს ან თუ იმ მჭკრავში, ან იმით, რომ ვნებითს ფორმები სხვა პრინციპზე აქვს აგებული, ვიდრე სათანადო მოქმედებითს. საკუთარი ნიშანი ვნებითს საზოგადოდ I-სა და II სერიაში მოეპოვება, სხვა პრინციპზე კი ფორმებს III სერიაში იკეთებს.

შენიშვნა. შეხედრეა შეიძლება მოხდეს, მაგრამ არა თავის მოქმედებითან, არამედ სათავისო ქცევის ფორმებთან, ისიც გარკვეულ შემთხვევაში.

355. მენიშნის ჯგუფები. ფორმათა წარმოების მიხედვით ქართ. ზმნებში გამოიყოფა ორი დიდი ჯგუფი: ერთს ეკუთვნის ზმნები, რომელთაც ვნებითის ნიშანი ფუძის წინ დაერთვის, მეორეს—ის ზმნები, რომელთაც ვნებითის ნიშანი ფუძის შემდეგ მოუდის. მაშასადამე, პირველ ჯგუფს პასივის საწარმოებლად პრეფიქსაცია ახასიათებს, მეორეს კი—სუფიქსაცია. ამის მიხედვით პირველი ჯგუფის ვნებითი არის პრეფიქსიანი, მეორე ჯგუფისა კი—სუფიქსიანი.

ამას გარდა მოიპოვება ერთი წყება ზმნებისა, რიცხვით ძალიან მცირე, რომელთაც ვნებითი სულ სხვა პრინციპზე აქვთ აგებული. თუმცა მათი ფორმები სათანადო მოქმედებითის ფორმათაგან ყველა მწკრივშია გარჩეული, მაგრამ მათ არ გააჩნიათ რაიმე გარკვეული ნიშანი, რომ იგი ყველა ფორმას გასდევდეს I-სა და II სერიაში. ამიტომ მათ შეგვიძლია „უნიშნო“ ვუწოდოთ.

356. პრეფიქსიანი მენიშნი. პრეფიქსიანია ვნებითი, რომელიც ნიშნებს ფუძის თავში მიიღებს. ეს ნიშნებია **ი** და **ე**, რომლებიც ასე ინაწილებენ ფორმებს: ერთ-პირიანებს (აბსოლუტურებს) **ი** მოუდის, ორ-პირიანებს (რელატიურებს)—**ე**: **ი-წერება—ე-წერება**, **ი-გრიხება—ე-გრიხება**, **ი-მალება—ე-მალება**, **ი-წვის—ე-წვის**, **და-ი-ღევა—და-ე-ღევა**, **შე-ი-ნახება—შე-ე-ნახება**, **ჩამო-ი-ნგრევა—ჩამო-ე-ნგრევა** და სხვა. ამ ნიშანთა მიხედვით ამ ტიპის ვნებითს ონიანი ჰქვია ან ენიანი, შეერთებით—ინ-ენიანი.

ანდაზა: „მჯობის მჯობი არ და იღევაო“ (მესხური ანდაზები და გამოცანები, შეკრ. და გამოც. მესხ კ. გვარამაძისაგან, ახალ-სენაკი, 1890), რომელიც აბსოლუტურ ფორმას შეიცავს. რელატიურად რომ გადავაკეთოთ, იგივე ანდაზა ასეთ სახეს მიიღებს: „მჯობს მჯობი არ და ეღევაო“ (ი. ჰაქეჯი, კვაცია-ად., IX).

პრეფიქსიანი ვნებითი საზოგადოდ პირველად ზმნებს ახასიათებს: **წერს—იწერება**, **ქამს—იკმება**, **შლის—იშლება**, **აბამს—იბმება**, **აპობს—იპობა**, **არღვევს—იარღვევა** და სხვა. ამავე წარმოების ვნებითი რამდენადმე აგრეთვე ნასახელარ ზმნებშიც მოდის: **კალა: კალავს—იკალება; ბარ-ი: ბარავს—იბარება; ფერ-ი: ფერავს—იფერება; ხერბ-ი: ხერხავს—იხერხება; ცელ-ი: ცელავს—იცილება** და სხვა.

სამ-პირიანი მოქმედებითი ზმნა, როგორც უნდა იყოს ნაწარმოები, თუ კი ის პრეფიქსიან ვნებითს იკეთებს, ვნებითად მობრუნებისას ყოველთვის **ე-ს** მოგვცემს: **მი-ს-წერს (იგი მას მას)—მი-ე-წერება (იგი მას)**, **შე-ა-წერს (იგი მას მას)—შე-ე-წერება (იგი მას)**, **და-უ-წერს (იგი მას მას)—და-ე-წერება (იგი მას)**. სხვა მაგალითები: **ცეცხლი წაუქიდა—ცეცხლი წაეკიდა; ძმა წაპკიდა—ძმა წაეკიდა; კაცი გამოაკიდა—კაცი გამოეკიდა**. ამ მხრივ ენიანი ფორმა პრეფიქსიან ვნებითში საზიაროა მოქმედებითი გვარის სამ-პირიან ფორმათა ყველა ტიპისათვის.

პრეფიქსიანი წარმოებისაა **ე. წ.** მიჩნევისა და გუნების ვნებითი ნასახელარ ზმნებში (§§ 360, 361).

357. სუფიქსიანი ვნებითი. სუფიქსიანია ვნებითი, რომელიც ნიშანს ფუძის ბოლოს მიიღებს. ეს ნიშანია ღღეს ღ: შენ-ღ-ება, კეთ-ღ-ება, შე-ღ-ება, წითლ-ღ-ება და სხვა. ამ ნიშნის გამო ამ ტიპის ვნებითს ღონიანსაც ეძახიან.

სუფიქსიანი ვნებითი ახასიათებს ნასახელარ ზმნებს: მდიდარ-ი—მდიდრ-ღ-ება, მწვან-ე—მწვან-ღ-ება, მწარ-ე—მწარ-ღ-ება, მხეც-ი—მხეც-ღ-ება, მტკიც-ე—მტკიც-ღ-ება, ძველ-ი—ძველ-ღ-ება და სხვა. კანტი-კუნტად ის პირველად ზმნებშიც მოიპოვება: ტეხ-ს—ტყ-ღ-ება (←ტხ-ღ-ება), ხეთქ-ს—სქ-ღ-ება (←ხთქ-ღ-ება), ძვ. ქ. და-ჰქსნა—და-ჰქსნ-ღ-ა და სხვა.

სუფიქსიანი ტიპი ვნებითისა მეტად პროდუქციულია: როდესაც ახალ-ახალი სახელებისაგან ზმნას აქტიურად ა—ებ აფიქსთა საშუალებით ვაწარმოებთ, სათანადო პასივი ღონიანია: ვ-ა-კომისრ-ებ—კომისრ-ღ-ება, ვ-ა-სტუდენტებ—სტუდენტ-ღ-ება, ვ-ა-ფორმ-ებ—ფორმ-ღ-ება და სხვა. „ფორმა“ სიტყვისაგან რომ აქტივი ავით ვაკეთებულყო, მაშინ მისი ვნებითი პრეფიქსიანი იქნებოდა: ვ-ფორმ-ავ—ფორმება (შდრ. ნომერი: ვ-ნომრ-ავ—ენომრება).

შენიშვნა. როგორც ძვ. ქართლის მასალები გვიჩვენებს, სუფიქსიანი ვნებითის ნიშანი ღ მიღებულია ნ-საგან დისიმილაციის ნიადაგზე ნარანარა (ნ რ ლ) ბგერებთან, რომლებიც სახელთა ფუძეებს აბოლოვებდნენ: *გან-მდიდრ-ნ-ა→გამდიდრ-ღ-ა, გან-მართლ-ნ-ა→გან-მართლ-ღ-ა და მისთ. შემდეგ ეს ღ განზოგადდა და ყოველგვარი ბგერით გათავებულ ფუძეს დაერთო: შეწუხ-ნ-ა→შეწუხ-ღ-ა, ალყუა-ვ-ნ-ა→ა(ლ)ყუა-ვ-ღ-ა, დამძიმ-ნ-ა→დამძიმდა და სხვა. ეს ნ ნაშთია ვნ:მარცვლისა, რომელიც აღდგებოდა წვეტილის I-სა და II პირში: შეეწუხ-ენ, შესწუხ-ენ, მაგრამ: შეწუხ-ნ-ა. მაშასადამე, ნ-ს ხმოვანი მიუძღვის წინ და ეს გასაგებს ხდის იმ გარემოებას, რომ, თუ საზოგადოდ სახელის ფუძე იკუმშება, ის შეიკუმშება მაშინაც, როცა მისგან ვნებითი გვარის ზმნაა ნაწარმოები: მალღ-ღ-ება, მართლ-ღ-ება, მდიდრ-ღ-ება და სხვა.

358. უნიშნო ვნებითი. უნიშნოს სახელით აღვნიშნავთ იმ ვნებითს, რომელსაც ღღევანდელ ენაში აღარ მოეპოვება არავითარი სპეციალური ნიშანი, რომელიც მას მოქმედებითისაგან ისევე განასხვავებდეს, როგორც ეს არის პრეფიქსიან და სუფიქსიან ვნებითში, სადაც ვნებითობის ნიშანი ყველგან ჩანს I-სა და II სერიაში. უნიშნო ვნებითში განსხვავება აქტივისა და პასივის ფორმებს შორის დამყარებულია სხვადასხვა ტიპის წარმოებაზე. აწყოში ესენიც დაირთავენ ებ-ე დამრლოებას, რომელიც ყველა ფორმაში შედის, გარდა III სუბ. პირის ფორმისა; სადაც ძველი ებ-ი-ხ ნაცვლად ამჟამად ებ-ა გვაქვს: ვთბები, (ს)თბები, თბება (ძველად: ვტფები, სტფები, ტფების). საზოგადოდ, აქტივისა და პასივის ფორმებს შორის არსად, არც ერთი სერიის რომელსამე მწკრივში შეხვედრა არ ხდება, როგორც ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს: ვათბობ—ვთბები, ვავათბობ—ვავთბები; ვავათბე—ვავთბი, ვავათბო—ვავთბე, ვავათბე—ვავთბი. მაშასადამე, კოპონიცია მოქმედებითსა და ვნებითს შორის აქაც ისე მკაფიოდ არის გატარებული, როგორც პრეფიქსიანსა და სუფიქსიანს ვნებითსა და მათ-მათ მოქმედებითს შორის I-სა და II სერიაში. რაც შეეხება III სერიის

ფორმათა წარმოებას, უნიშნო ვნებითი ციმავე პრინციპს ადვას, რასაც სხვა ვნებითები: გავითბარვარ.

უნიშნო ვნებითი უპროდუქტია. მისი ხმარება განისაზღვრება რამდენიმე ფუძით, რომლებიც უხსოვარი დროიდან დღევანდლამდე შემონახული.

359. მნებითის ნაზნსპი. ვნებითის დანიშნულებაა საზოგადოდ პირ-დაპირ-ობიექტური პირი მოქმედების ავტორად, მის შემსრულებლად წარმოადგინოს.

თუ მოქმედება უსულო საგანს ეხება, პასიური ფორმა მოქმედებას ისე წარმოგვიდგენს, რომ რეალურად მოქმედი პირი არ ჩანს: სადილი მზადდება, წერილი იწერება, წიგნი იბეჭდება, გაკვეთილი იწყება, ავთი ფერი მალე ხუნდება, სანთელი ქრება და სხვა.

თუ მოქმედება სულიერს ეხება, პასიური ფორმა ზოგჯერ მეტად აქტიურ მოქმედებას მიაწვს გრამატიკულ სუბიექტს: ყაჩალი ტყეში დამალა, ჩემი ანხანავი თელავს გაემგზავრა, დიასახლისი სტუმარს შინ შეუძღვა, ვანო კოტეს წაეკიდა, მგელი ცხვარს ეცა და მისთ., მაგრამ თუ მათაც პასიურს ვეძახით, იმიტომ, რომ ისინი კონვერსიულ მიმართებაშია სხვა ფორმებთან, რომელთაც აქტივის სახელით ვიცნობთ (ყაჩალი ტყეში დამალა, ჩემი ანხანავი თელავს გაემგზავრეს, ერთმა ქალმა ვანო კოტეს წაჰკიდა), ან იზიარებენ ვნებითის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ თვისებებს (დიასახლისი სტუმარს შინ შეუძღვა, მგელი ცხვარს ეცა და სხვა).

ვნებითის ამ საერთო ხასიათს ზოგჯერ ერთვის ნუანსები, რომელთაც შესაძლებლობისა, მიჩნევისა და გუნების სახელით აღვნიშნავთ.

360. პოსიბილიტატიზმი მნებითი. პოსიბილიტატიზმი ანუ შესაძლებლობისა ვნებითის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ მოქმედება შესაძლებელია. ეს შესაძლებლობა ან ფიზიკური ხასიათისაა, ან გულისხმობს, რომ მოქმედება დაშვებულია, მიღებულია, ნება-დართულია, აკრძალული არ არის, ე. ი. ისეთია, რომ „შეიძლება“. ასეთებია ზმნები: იქმევა, ისმევა და სხვა., ვამბობთ: „ზოგი სოკო იქმევა, ზოგი კი არა“, „ღვინო ისმევა, ნავთი კი არა“.

ვნებითის პოსიბილიტატივი უმთავრესად პრეფიქსიანი წარმოებისა გვავლება როგორც აბსოლუტური ფორმით, ისე რელატიური. ანდაზაა: „თუ გული გულბს, ჭადა ორივე ხელით იქმევაო“. ითქმის „ეკმევა“-ც: „ძღუ-მწოვარ ბავშვს მაგარი საჭმელი არ ეკმევა“. სუფიქსიანი წარმოებიდან შეგვიძლია დავიმოწმოთ „გათეთრდება“ შემდეგ ანდაზაში: „არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რო ჰხეხო ქვიშითა“.

საყურადღებოა, რომ შესაძლებლობის ვნებითი საშუალ ზმნათა ფუძეებისაგანაც არის ნაწარმოები: „მათ შუა ერთი მდინარე ჩაუღისთ, ესდენ დიდი, რომელ უნაოდ არცა ზამთარ გაისვლებოდა და არცა ზაფხულ“ (ერუსულ.); „შინ აღარ დამედგომების და წამოვალ“ (ყ. 276,26), შინ არ „მეჯლომება“, „ჩვენ კი აღარ გვეცხოვრების მაგათვან“ (ყ. 128,2).

361. მიჩნევის მნებითი. მიჩნევისა ვნებითის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რად მიაჩნია გრამატიკული სუბიექტი გრამატიკულ ობიექტს ან რად ეჩვენება სუბიექტი ობიექტს. ასეთი ფორმა ყოველთვის ორ-პირიანია და

მხოლოდ ნასახელარ ზმნებში გვხვდება. ამ შემთხვევაშიც ვნებითი პრეფიქსიანია, მისი ნიშანია ე: მედიდება, მებერება, მეცოტაება („თუ სამოცი გეცოტავოთ, ერთი ოციოდე კიდეე მოუმატეთ“, ი. ქ., 420.2), მეძიმება („მემძიმებოლა ტვირთი და ვცდილობდი“, ვაჟა-ფშ., მუსეულა, V, 33⁰), მემწარება („გოგრას არაყი ემწარება, მაგრამ აბრუს არ იტებს“, ვაჟა-ფშ., გოგრა, V, 220,10) და სხვა. ამავე წარმოებისაა „მემეტება“ (ე. ი. მეტად მიმაჩნია ჩემთვის, ამიტომ შემძლია გავიმეტო). ასეთივეა აგრეთვე „კეთილ“-ისაგან ნაწარმოები „მეკეთა“ ვეფხ.-ტყ.-ში: „მეკეთა ესე თათბირი ვაზირთა ნავაზირები“ (42^ა) და „ლამაზა“-ისაგან ნაწარმოები „მელამაზა“ შემდეგ წინადადებაში: „ვსუქქეროდი ჩემს ქობს, ეხლა უფრო მელამაზა“ (ვაჟა-ფშ. V, 245,15). მეკეთა — კეთილად მივიჩნიე, კარგი მეჩვენა, მომეწონა; მელამაზა — ლამაზი მეჩვენა.

352. **გუნება**ს **ვნებითი**. გუნებისაა ვნებითი, რომელიც გამოხატავს, რომ აღამიანის სულიერი განწყობილება („გუნება“) მიმართულია იმ მოქმედებისაკენ, რომელიც ზმნით არის აღნიშნული. ეს ვნებითი უთუოდ ორპირიანია და ეთია ნაწარმოები. ასეთი ზმნა შეიძლება პირველადი იყოს და ნასახელარიც: მექლეება, მცინება (სიცილის გუნებაზე ვარ), არ მეტირება (ტირილის გუნებაზე არა ვარ), მეცეკება და სხვა. ერთი ფშაველი დედაკაცი ამბობს: „შენს თვალთ ენაცვალოს დარეჯანი, შენ ერთი ქალადი უნდა გამიკეთო, რა ვიცი ბილეთს ეძახიან, ბიჭო, თუ მილეთსა, ქიზიყს ვაპირებ წასვლასა“. ამაზე ასე უპასუხებენ: „ეჰ, რაღა ხარ; დაუსვენარი, მოუსვენარი დედაკაცი, რა გექიზიყება, იქ რა დაგჩომია; რაღა დროს შენი აქეთ-იქით სიარულია?“ (ვაჟა-ფშ., დარეჯ., V, 53). „რა გექიზიყება“ ამას ნიშნავს: რა ქიზიყს წასვლის გუნებაზე ხარ? მსგავსი მაგალითებია: „მემღერება და ვიმღერი“ (ვაჟა-ფშ., I, 124). „ის უფრო ცოდვა არ არის, რომ მემღერებოდეს და არ ვიმღერო?“ (ვაჟა-ფშ., მოკვეთა, V, 404,2); „გოგრას ეტირება, მაგრამ არა ტირის“ (V, 217,29); „ნათლიდელა საქმის დედაკაცია, რა ემასლაათება?“ (ი. ქ., ოთ. ქერა.).

353. **გვარის ხატიხი III სეპის ფორმებში**. გვარი მკათოდ გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა I და II სერიის მწკრივებში: ვზრდი—ვიზრდები, გავზრდი—გავიზრდები, გავზარდე—გავიზარდე და სხვა. გვაქვს თუ არა გვარი III სერიის ფორმებშიც? რომ სწორი პასუხი გავსცეთ ამ კითხვას, საჭიროა ვიცოდეთ, გვაქვს თუ არა III სერიის მწკრივებშიც ერთისა და იმავე ძირისაგან ნაწარმოებ. ორ ზმნას შორის ისეთივე ურთიერთობა, როგორც ეს არის I-სა და II სერიაში, თანაც როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ? ამ კითხვის პასუხი უთუოდ დადებითი უნდა იყოს. მართლაც; როგორც უნდა იყოს წარმოშობა III სერიის ფორმებისა (ამაზე ქვემოთ), ისინი ქართული ენის წერილობითი ისტორიისათვის ხელ-მისაწვდომი მასალებს მიხედვით წვეილ-წყვილ ფორმებს გვაძლევენ, რომლებიც ერთიმეორის მიმართ აშკარა ოპოზიციურ ურთიერთობას გვიჩვენებენ. ეს ოპოზიცია სხვა არა არის რა, თუ არა აქტივ-პასიური დაპირისპირება იმავე ძირის ზმნათა სხვა ფორმებისა I-სა და II სერიაში. გრამატიკული სისტემის მიხედვით აღნიშნული წვეილ-წყვილ ფორმა წარმოადგენს უშუალო გავრძელებას I-ისა და II სერიის ფორმებისას.

ერთი აქტივისას, მეორე პასივისას. ნათქვამის ნათელსაყოფად მივმართოთ მაგალითს.

უშევსელია, რომ „გამიზრდია“ და „გავზრდილვარ“ ერთისა და იმავე მწკრივის ფორმებია, როგორც ერთისა და იმავესია „ვზრდი“ და „ვიზრდები“ ან „გავზრდი“ და „გავიზრდები“, ან კიდევ „გავზარდე“ და „გავიზარდე“. ისიც უშევსელია, რომ „გამიზრდია“ და „გავზრდილვარ“ სულ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ფორმებია და ერთიმეორის ნაცვლად მათ ვერ ვიხმართ. არც ის უნდა იყოს საცილობელი, რომ მათი ფუნქციის მიხედვით ასეთი პროპორცია შეგვიძლია დავადგინოთ: $a : b = c : d$, სადაც a არის „გამიზრდია“, b — „გავზრდილვარ“ c — „ვზრდი“, d — „ვიზრდები“. თუ აღნიშნულ პროპორციაში სიტყვებს ჩავსვამთ, გვექნება: „გამიზრდია“ ისე ეფარდება „გავზრდილვარ“-ს, როგორც „ვზრდი“ ვიზრდები“-ს. მაშასადამე, ფუნქციის მიხედვით „გამიზრდია“ იმ ფარგალში ექცევა, სადაც „ვზრდი“ გვაქვს, ხოლო „გავზრდილვარ“ იმ ჯგუფს ეკვლავება, რომელშიაც „ვიზრდები“ ურევია. ცხადია, „გამიზრდია“ მოქმ. გვარის სისტემაშია მოქცეული, „გავზრდილვარ“ კი — ვნებითისაში, როგორც ამას შემდეგი ცხრილი ნათელყოფს:

	I სერ.		II სერ.	III სერ.
მოქმ.	ვზრდი	გავზრდი	გავზარდე	გამიზრდია
ვნებ.	ვიზრდები	გავიზრდები	გავიზარდე	გავზრდილვარ

რაც ითქვა „გამიზრდია“ — „გავზრდილვარ“ ფორმათა შესახებ, რომლებიც I თურმობითის ფორმებია, იგივე შეგვიძლია ვთქვათ III სერიის რჩენი სხვა მწკრივის ფორმათა შესახებაც: „გამეზარდა“ — „გავზრდილიყავ“ (II თურმ.), „გამეზარდოს“ — „გავზრდილიყო“ (III კავშ.). ესენიც ერთურთის მიმართ აქტიურ-პასიური ფორმებია. ამიტომ აქტივ-პასივის შეფარდება მოყვანილ მაგალითზე III სერიაში ასე გვეხატება:

	I თურმ.	II თურმ.	III კავშ.
მოქმ.	გამიზრდია	გამეზარდა	გამეზარდოს
ვნებ.	გავზრდილვარ	გავზრდილიყავ	გავზრდილიყო

მიუხედავად იმისა, რომ ფორმათა წარმოების მიხედვით III სერიის აქტიურ-პასიური ფორმები არსებითად განსხვავდება I-ისა და II სერიის შესატყვის ფორმათაგან, გვარის კატეგორიისათვის აუცილებელი პირობა — საპირისპირო ფორმათა ქონება — აქაც სავსებით დაცულია. მაშასადამე, ერთად-ერთი მორფოლოგიური ნიშანი, კატეგორიული ხასიათისა, რომელიც III სერიის აღნიშნულ წყვილთა ცალკეს ერთმანეთისაგან განასხვავებს, ეს არის გვარი. ამიტომ ამ პარაგრაფის თავში დასმული კითხვის პასუხი, ერთად-ერთი და სწორი, შეიძლება მხოლოდ შემდეგი იყოს: გვარი III სერიის მწკრივებშიც გვაქვს: მოქმედებითად მიღის ინვერსიული ფორმები, ვნებითად კი — მათ მათი საპირისპირო მეშველ-ზმნიანი წარმოების ფორმები.

364. პასივისი ჩალბათიურ ფორმათა თავისებურება III სერიის მჟარის ვაგეში. როგორც აღნიშნეთ, პასივი პირთა რაოდენობა ერთით ნაკლებია სათანადო აქტივის ფორმასთან შედარებით (§ 347). ეს წესი საზოგადოდ III სერიის ფორმებშიც არის დაცული: „გამიზრდია“ ორ-პირიანია (მე იგო), მისი კონვერსიული „გავზრდილვარ“ კი—ერთ-პირიანი (მე).

საზოგადოდ, III სერიის ფორმები მეტად თავისებურია. აღსანიშნავია, სხვათა შორის, რომ სამ-პირიანი მოქმედებითი მარტო I და II სერიაშია შესაძლებელი, III-ში კი არა. ფორმა, რომელიც ამ სერიაში მოქმედებითის სისტემაშია შესული, ყოველთვის ორ-პირიანია, ამიტომ ასეთი ვითარება გვაქვს: ორ-პირიანი ზნა III სერიაში ორ-პირიანობას დაიცავს (დაწერს—დაწერა—დაუწერია, შეინახავს—შეინახა—შეუნახავს, გატეხს—გატეხა—გაუტეხია და მისთ.), რაც შეეხება სამ-პირიან ზნას, ის ან დაკარგავს ერთ პირს და ორ-პირიანი გახდება ან სრულებით ვერ აწარმოებს ამ სერიის ფორმებს.

პირველის მაგალითები:

მუბ. (იგი მას მას)	წყვეტ. (მან მას იგი)	I თურმ. (მას იგი)	II თურმ. (მას იგი)
მისწერს	მისწერა	მიუწერია	მიეწერა
შეაწერს	შეაწერა	შეუწერია	შეეწერა
ჰკითხავს	ჰკითხა	უკითხავს	ეკითხა

მეორის მაგალითები:

მუბ. (იგი მას მას)	წყვეტ. (მან მას იგი)	I თურმ.	II თურმ.
გაუტეხს	გაუტეხა	—	—
დააწერს	დააწერა	—	—
გაიკეთებს	გაიკეთა	—	—

თუ ეხლა ვნებთს მიემართავთ, ვნახავთ, რომ მას III სერიაში აბსოლუტ. ფორმებისთვისაც მოეპოვება გავრძელება და რელატიურისთვისაც (ე. ი. ერთ-პირიანისთვისაც და ორ-პირიანისთვისაც); მაგ.,

მუბ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
აბსოლ.	გაიზრდება	გაიზარდა	გაზრდილა
რელატ.	გაეზრდება	გაეზარდა	გაჰზარდა

ამათგან ერთ-პირიანი „გაიზრდება“ კონვერსიული ფორმაა ორ-პირიანი „გაზრდის“ (ან „გავზრდი“, „გაჰზრდი“ და სხვა) ფორმისა; მაშასადამე, აქტივი და პასივი აქ ერთმანეთს ფეხდაფეხ მიჰყვება, მაშინ როდესაც „გაეზრდება“ კონვერსიულად „გაუზრდის“ (ან „გაუვზრდი“, „გაუზრდი“, „გაუვზრდით“ და სხვა) ფორმას მოგვეცემს, რომელსაც III სერიაში ფორმები აკლია და მისი ვნებითი აქ განმარტოებული დარჩება, უცალოდ:

	მეოზ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
აქტ.	გაუზრდის	გაუზარდა	—	—
პას.	გაეზრდება	გაეზარდა	გაჰზრდია	გაჰზრდოდა

მიუხედავად ამისა „გაჰზრდია“-ს პასიობას იმით ვგვრძნობთ, რომ მას კავშირი აქვს I და II სერიის სათანადო ფორმებთან, სადაც მათი პასიობა საპირისპირო ფორმების ქონების გამო მკაფიოდ გამოხატული მოვლენაა.

ეხლა თუ ავრღებთ სამ-პირიან მოქმედებითს, რომელიც III სერიაში ორ-პირიანობამდე ჩამოდის, და მასაც მივუწერთ საპირისპირო ვნებითის ფორმებს, შევძლებს მივიღებთ „შეწერა“ ზმნის მაგალითზე:

	მეოზ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
აქტ.	შეაწერს (3-პ.)	შეაწერა (3-პ.)	შეუწერია (2-პ.)	შეეწერა (2-პ.)
პას.	შეეწერება (2-პ.)	შეეწერა (2-პ.)	შესწერია (2-პ.)	შესწეროდა (2-პ.)

აქედან ჩანს, რომ იმ სამ-პირიან ზმნეებში, რომელთაც შეუძლიათ აწარმოონ—მართალია პირის დაკლებით, მაგრამ მაინც შეუძლიათ აწარმოონ—III სერიის ფორმები, აქ დაარღვეულია ის პრინციპი, რომელიც საზოგადოდ საფუძვლად უდევს აქტივ-პასივის ურთიერთობას პირთა რაოდენობის საკითხში. მაშასადამე, შეიძლება, რომ ორ-პირიან ვნებითის ორ-პირიანი მოქმედებითი შეეფარდებოდეს და არა სამიანი, მაგრამ ამას მხოლოდ III სერიაში აქვს ადგილი, რაც ამ სერიის ფორმათა წარმოშობის საკითხთან არის დაკავშირებული. აქ ორ-პირიანი ენაბიოი ორ-პირიან მოქმედებითს საპირისპირო ფორმათა სისტემის მიხედვით უკავშირდება. იგივე ითქვას ერთ-პირიანი ვნებითისა და ორ-პირიანი მოქმედებითის ურთიერთობის შესახებაც III სერიაში („გამიზრდია“ — „გაეზრდილვარ“). თუნცა გარღწეულად აქ პირთა ურთიერთობის თვალსაზრისით ყველაფერი წესსება, მაგრამ ეს წესი შემანეგვით დაენტხვა I-სა და II სერიაში არსებულ წესს.

მეფ. აღწერა **მეფ. აღწერა** **მეფ. აღწერა**. ზოგიერთ ზმნას არ უხერხდება ვნებითის ფორმათა წარმოება. ამიტომ ნათევი გვჩვენებს ალწერილობითი ანუ პერიფრასტული ფორმები, რომლებიც ასეა ნაწარმოები: საუღლებელი ზმნა ვნ. მიმღობის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო მწკრივის წარმოება მეშველ ზმნას აქვს დაკისრებული. მეშველად გამოყენებულია „იქნება“, „იქნა“. ამ მოვლენას სრულ-სახიან ზმნეებში აქვს ადგილი, მაშასადამე, ალწერილობითი ვნებითი არ შეიძლება აწეოს წრეში შევსებდეს, რომელიც უსრულ-სახიანი ზმნის კუთვნილებია. „გააღეს კარი“ — ამისი ვნებითია „გაიღო კარი“, მაგრამ „გაიღეს თანა“ — ამისი ვნებითია „გაღებულ იქნა თანა“; „აიღეს ვალი“ — ამისი ვნებითია: „აღებულ იქნა ვალი“.

ალწერილობით ვნებითს მამართავენ: წაყვანა, გატანა, შეძენა და მრავალი სხვა.

პერიფრასტული ვნებითი უნდა გარჩეულ იქნეს შედგენილი შემასმენელი სახეს, რომელშიც ვნებითის მიმღობა შედის. ასეთი შედგენილი შემასმენელი

აწმყოს წრეშიც იხმარება. ამას გარდა, II სერიაში მას „იყო“ მოუღის და არა „იქნა“: „თანხა გაღებულია“, „თანხა გაღებული იყო“, „თანხა გაღებული იქნება“. ასეთ შედგენილ შემასმენელს რელატიური ფორმებიც უკეთდება; ამ შემთხვევაში „არის“ ზმნას აწმყოში „აქვს“ და „ჰყავს“ ენაცვლება: „თანხა გაღებული მაქვს“, თანხა „გაღებული შექონდა“, „თანხა გაღებული მექნება“, „ძმა გაგზავნილი ჰყავს“, „ძმა გაგზავნილი მყავდა“, „ძმა გაგზავნილი მეყოლება“. პერიფრასტული ვნებითი კი მარტოოდენ აბსოლუტურ ფორმებს გვაძლევს. ამას გარდა, რაღდათაც ფორმა აბსოლუტურია, აქ აღარ ხდება გარჩევა სულიერსა და უსულოს შორის, როგორც შედგენილ შემასმენელთან, — ყველგან „იქნება“ და „იქნა“ უნდა: „თანხა გაღებულ იქნება“, „თანხა გაღებულ იქნა“, „ძმა გაგზავნილ იქნება“, „ძმა გაგზავნილ იქნა“. როგორც მაგალითებიდან ჩანს, პერიფრასტულ შემასმენელში მიმღეობა ფუძის სასით არის წარმოდგენილი, (მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მიმღეობა მოუძღვის მეშველ ზმნას), შედგენილ შემასმენელში კი მას სახელობითის ნიშანიც ალაღვს დღევანდელ ქართულში.

შედგენილი შემასმენლისა და პერიფრასტული ვნებითის გარჩევა ძნელდება III სერიის ფორმებში.

პერიფრასტული ვნებითი ახალ ქართულში თანდათან იფართოებს ხმარების არეს და ისეთ ზმნათაგანაც გვაქვს, რომლებიც ადვილად აწარმოებენ ვნებითს; მაგ., ამ წიგნის § 53 ასე იწყება: „ბრუნებები ქართულში შეიძლება სხვადასხვა რიგით იქნეს დალაგებული“. იგივე წინადადება ასევე შეიძლება გადმოიცეს (ან გადმოცემულ იქნეს): „ბრუნებები ქართულში შეიძლება სხვადასხვა რიგით დალაგდეს“.

ვენ. დემონსტრაციის დემონსტრაციის სახელით აღნიშნავენ ზმნას, რომელსაც ფორმა პასივისა აქვს და მნიშვნელობა აქტივისა.

გვაქვს სამ-პირიანი მოქმ. ზმნა „აძლევს“, რომელიც ვნებითად მობრუნებისას ორ-პირიანი გახდება: „ეძლევს“. მაგრამ ამ ფორმის გარდა გვაქვს აგრეთვე „იძლევს“, რომელიც გარეგნულად ვნებითია. მართლაც, ერთი შეხედვით „იძლევს“ და „ეძლევს“ ისეთს ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც „ინგრევეს“ და „ენგრევეს“, „იბნევა“ და „ებნევა“, „იღვრება“ და „ეღვრება“ და მისთ., მაგრამ არაი ფუნქციის მიხედვით „იძლევს“ არ არის „ეძლევს“-ს აბსოლუტური ცალი, რადგანაც, ის რომ მართლაც ვნებითი იყოს, სხვა ნაშენელობა ექნებოდა და პირად. ობიექტს ვერ იღებდა. ჩვენ კი ვამბობთ: სიტყვას იძლევს, პირად მას იძლევს და მისთანა. — „პირობას იძლევს“ გრამატიკულად იძივს, რაც „პირობას დებს“ იმ განსხვავებით, რომ ერთ ობიექტთან „დებს“ ზმნა „მიდებს“ ფორმით წარმოვიდგება: „პირობას მიდებს“, „იძლევს“ კი ასეთ შემთხვევაში ფორმასაც აქტიურს მიიღებს: „პირობას მაძლევს“. აწვლან ჩანს, რომ ფუნქციით „იძლევს“ — „მაძლევს“ ისეთს ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც „დებს“ — „მიდებს“, მაშასადამე, „იძლევს“ არ შეიძლება პასივად იქნეს გაგებულად. „მაძლევს“ ფორმას ირ. ობიექტის ვაგება ახლავს, „იძლევს“ კი ამ ობიექტის ვაგებას მოკლებულია. რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს, ის, მარჯვნივ, ფორმას ეწყობა, მაგრამ ეწყობა ისევე, როგორც შეიძლება შეიწყოს ვაგებადამავალ ზმნას ინდიკატორებში (ბერძნ., ლათ., რუს. და სხვა). ორ-პირობა

ანობის გაგება ამ ზმნაში მიღებულია (შდრ. § 237), რადგანაც მას მარტო სუბიექტური წყობის ფორმები აქვს: ვიძლევი, იძლევი და შემდგომი, როგორც ამას აბსოლუტური აგებულების ზმნებში აქვს ადგილი.

დასკვნა: „იძლევა“ პასივია ფორმით, მნიშვნელობით კი აქტივია, რადგანაც სახელი, რომელთანაც ის შეწყობილია, ზმნით აღნიშნული მოქმედებისათვის რეალობის თეაღსაზრისით სუბიექტია და არა ობიექტი. ამის ძალით ის გარდამავალ ზმნათა რიგებში დგას. აი ეს არის არსებითი ნიშანი დეკონენსური ზმნებისა. დეკონენსი „იძლევა“ მარტო აწყოს წრის მწკრივებში ხმარება: იძლევა, იძლეოდა, იძლეოდეს.

„იძლევა“ განმარტობით არა დგას ქართულში. არის რიგი ზმნებისა, რომელთაც დეკონენსური ხასიათი აქვთ და მარტო აწყოს წრის მწკრივებში იხმარებიან: იბღვირება, იგინება, იკბინება, ილანძღება, ილოცება (=ლოცავს), ილოღნება, იმუქრება, ირწმუნება, ისწავლება, იტანება, იფიცება, იქოლება, (=ქოქოლას აყრის), იღრინება, იყლაპება, იყურება (გამოიყურება), იცემება, იცქირება, იცოხნება, იწერება, იწყევლება, იყუთება, იხედება, იხევეება და სხვა. მოწმობა ლიტერატურიდან: „მეც მომივიდა ქალაღდი, რომელშიაც ი ვ ე რ ე ბ ი ა ნ“ (ყ. 27,33); „ზენაით იწერებიან“ (ხალხ. პოეზ., I, 469), „კარგი, კარგი, ნუ იწყევლები“ (ყ. 144,1); „ღელაკაცებიც და ბავშვებიც იქ შეიკრიბნენ, ისინიც ილანძღებოდნენ უშვერის პირით და კაცებს აქეზებდნენ“ (ყ. 157,33—34); „ხარები თვალებ-დახუჭულნი იცოხნებოდნენ“ (ქ. 421,15); „ილოღნებოდა“ (ქ. 429,37); „ღვლლები პირსაც არ იბანენ, ისე შადიან საყდრებში; რაიც საწირი შასდის სულ თითონ ხო ჰამენ, იყრიან ჯიბეში, შიგვე საყდარში ერობისთვის იგინებია, ილანძღებია, ჩხუბობენ დიაკვნებთან და ხალხთან“ (ყ. 334—335).

უკანასკნელი მაგალითის სიტყვები: „ერობისთვის იგინებიან, ილანძღებია“ აქტიურად ასე გადმოიცემა: ერობას აგინებენ, ლანძღავენ. მაშასადამე, აქ ფორმას გარდამავლობაც აღარ აქვს, რადგანაც პირდაპირი ობიექტი დამატებად არის ქცეული („ერობისთვის“), მაგრამ გაგება მაინც აქტიური აქვთ, რამდენადაც „მღვდლები იგინებიან და ილანძღებიან“ კი არ ნიშნავს, რომ მღვდლები გინებისა და ლანძღვის ობიექტები იყვნენ სხვათაგან, არამედ სუბიექტები, ე. ი. ისინია, რომ აგინებენ და ლანძღავენ ერობას. სხვა მაგალითები: „თავლიდამ გამორბოდა კიდევ მეჯინიბე, ვილასაც მხარ-უკუღმა მუშტს უღერებდა, იმუქრებოდა, მოილანძღებოდა“ (ი. ქ., „ოთ. ქვრ.“); „საშინლად იტანება მგელი“ (ვაჟა-ფშ., V, 28,23); „ჩიტები ხეებზე ბუზღუნებენ, იწყევლებია, იქოლებია“ (იბ., V, 445,5); „ისხამს არაყს ყანწში და ილოცება“ (V, 375,11; შდრ. V, 446,1); „ხვიშურს პირი დაულია. მშიერ გლახასაგით, თითქოს იხვეწება, მაჰამეთ პური, მოწყალეობა მოიღეთო“ (V, 114,6); „ძაღვები იყეფებოდნენ და ღრენით მიიკენდავდენ ხოლმე ხმასა“ (იქვე, V, 8,26); „ღელაჩემი წიფლის-გვერდზედ იღვა და გემრიელად იცოხნებოდა“ (V, 11,6); „ერთი მძორი იღვა ალაგსა ერთსა და შეიღირვა ძაღვებვივნენ, სჰამდეს მძორსა და იღრინებოდნენ და შულლობდნენ და კბენდნენ ერთმანეთსა“ (ს. ორბ., „სიბრძნე-სიცრა“).

საზოგადოდ დებონენსური ფორმის დანიშნულებაა თავიდან აირიდოს რე-
ლაიცია ანუ მიმართება ობიექტისადმი. ვახტანგ VI-ის ეფეხის-ტყაოსნის თარ-
გმანში ხშირია სმარება „ისწავლება“ ზნისა, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს,
რაც „ასწავლის“ ფორმას, ოღონდ უობიექტოდ, როგორც არის, ვთქვათ, რუს.
учит: „აქა ნადირობის რიგს ისწავლება“ (ობ), „ყოვლს სასწავლოს ისწავლება“
(ქეგ), „ბატონ-ყობობის ხუმრობას და ლაპარაკს და შექცევას ისწავლება“. (აღ)
(ნ. კიდევ შემდ. ტაეპების თარგმანი: ედ, რმთ, რნგ).

დებონენსური ფორმები ზნას შუალობითი კონტაქტის ფორმებისაგანაც
მ-თი უკეთდება: „ქარგ ამბებს იტყობინებიან“; „ბედშაო, რა ხელს იკვრე-
ვინები?“ (ყ. 139,17) [§ 428].

გამონაკლისის სახით დებონენსი ზოგჯერ რელატიური ფორმითაც იხმა-
რება: იმუქრება—ემუქრება. შდრ. „ადიდებული მდინარე სოფლის წალეკას
იმუქრება“ და „ადიდებული მდინარე სოფელს წალეკას ემუქრება“,
სადაც „სოფელს“ ირიბი ობიექტია და „წალეკას“—პირდაპირი. თუ ასეთ ზნას
II და III სერიის ფორმების გაკეთება უხერხდება (რაც იშვიათია), მას პირდ.
ობიექტი მიც.-ში შეენახება: ადიდებული მდინარე სოფელს წალეკას დაემუქ-
რა, ადიდებული მდინარე სოფელს წალეკას დაპმუქრებია.

შინაშინა. „ილანძება“ და „ივინება“ წყვეტილის ფორმით არის მო-
ცემული ამ წინადადებაში: „სალამოზე ანკა დაბრუნდა, ბევრი იტირა
საბრალომ, ილანძლა და ივინა“ (ვაჟა-ფშ., დღარუჯანი V, 49, 4—5).
ცხადია, რომ ზმნები დებონენსური გავებით არის ნახშიარი, მაგრამ ამჟა-
მად ჩემთვის ნათელი არ არის, თუ როგორ უნდა შეეწყოს მათ ქვემ-
დებარე: „ანუჟკამ ილანძლა და ივინა“, თუ „ანუჟკა ილანძლა და
ივინა“, თითქო ისე, როგორც უკანასკნელად არის ნაჩვენები.

გვხვდება ისეთი რელატიური დებონენსებიც, რომელთაც მართო პირდ.
ობიექტი ეწყობა: ერეკება, ეზიდება, ეწევა. მაგალითები: „ქუდით ბუზს უნდა
ერეკებოდეს“ (ქ. 336,12); „სიერეკებოდნენ ხარებს“ (ყ. 97,5); „ბევრ შეშას ეზი-
დებოდა ნაცვალი“ (ყ. 227,9); „მიეზიდებოდნენ შეილებსთვის საზრდოს“
(ვაჟა-ფშ., V, 15, 72), „საქმელს ეზიდებოდნენ“ (ყ. 291,23), „სასარგებლო მე-
შაობას ეწევა“. აღნიშნული ზმნები, რა თქმა უნდა, პასივი გავებითაც შეისლე-
ბა ვინმაროთ: „ერეკება“—ზღაერეკება“ პასივია შემდეგ აღგილას:

„ნათქვამი არის: კოკაი მუდამ არ ზიდავს წყალსაო,
წყლის სამ ზიდვაში გატყლების, დაერეკებ ის ქეასაო“
(ახალხ. პოეზ., 14 208, 8—9).

რომ შეეადართო ერთმანეთს ამ წინადადების ეწევა: „ამ გარემოებას
ანგარიში არ ეწევა“ შემდეგისას: „მძიმე უღელს ეწევა“, დავრწმუნდებით,
რომ ზნა პირველში პასიურად არის ნახშიარი, მეორეში კი—აქტიურად (ანგა-
რიში არ ეწევა=ანგარიშს არ უწევენ; უღელს ეწევა=უღელს სწევს). მაგრამ
რადგანაც ფორმით ზნა მეორე შემათხვევაშიც პასიურია, ამიტომ მას პირველი-
საგან განსხვავებით დებონენსს ვეძახით.

დებონენსური გაგება აქვთ „ეკითხება“, „ეპასუხება“ და „ეუბნება“ ზნებ-საც: „მეზობელს ამბავს ეკითხება“, „შენ როგორ ჰბედავ, რომ ეგრე მეკა-სუხები“ (ყ. 223,25), „ახლა რომ მაგაებს მეუბნება და მაგაებს ჩადის, მერე რაღას იქს, როცა თავისუფლება უფრო ძვლებში გაუჯდება“? (ი. ქ., გლეხთა განთ. სც.ა), „მერე მღვდელი რაღასაც ეუბნა ფარაჯაში გახვეულს (ი. ქ., ძაარნობ.ა). უკანასკნელი მაგალითი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ის II სერიის ფორმაა (წყვეტ.) და ორივე ობიექტი აქვს: რაღასაც (პირლ.) და ფარაჯაში გახვეულს (ირ.). „ვინ გეკითხება“—ში ზნა დებონენსია, ხოლო იგივე ფორმა „რა გეკითხება“—ში პასივია.

დებონენსობა ითქვის „იტყვის“ ზნის შესახებაც, რომელიც აშკარად გარ-დამავალი ზნაა: „იტყვის სიტყვას“, „ძმას ამბავს ეტყვის“. ეს ზნა ამჟამად მარტო მყობადის წრეში იხმარება (§ 339), სხვაგან კი მას სხვა ზნეები ენა-ცვლება: იტყვის—უბნობს (ამბობს)—თქვა; ეტყვის—ეუბნება—უთხრა, რაც არა-პირდაპირი გზით მის ვარდამავლობას აღასტურებს.

შენიშნა 1. საინტერესოა, შევადაროთ „იტყვის“ ზნა „ესმის“ ზნას. აქტიურად ისინი ძველად „იტყუებს“ და „ასმენს“ ფორმებს იძლეოდნენ: „ყრუთა. პასმენს და უტყუთა ჰატყუებს“ (მარკ. 7,37 ჰაემ.). „ჰატყუებს“ მეტია, ვიდრე „ჰასმენს“, რადგანაც პირველის ირიბი ობიექტი შეჰსრულე-ბელი ობიექტია და ზნა კაუზატავთა რიგებში დგას.

საზოგადოდ ქართულში ასეთი უითარება გვაქვს: თუ ზნას ი პრეფიქსი აქვს და შეიძლება მისი გ-დ შეცვლა, პასივის ფორმებთან გვაქვს საჭმე: ი-წვის —ე-წვის, ი-აქვის—ე-თქვის, ი-ზრდება—ე-ზრდება და მისთ. ამ ნიშნის მიხედ-ვით „იტყვის“ და „ეიტყვის“ პასივის ფარგალში ექცევა, თორემ მათ პასივისა არაფერი აქვთ დღევანდელ ქართულში.

არის თუ არა პრეფიქსული ი—ე უთუოდ პასიობის მაჩვენებელი? თუ არის, მაშინ, უეჭველია, პასივი იქნება აგრეთვე „ი-სვრის“ და „ე-სვრის“, რომელთაც გაგება აქტიური აქვთ. ამის მიხედვით ვიტყვოდით, რომ ეს ზნა დებონენსიაო, მაგრამ ამათ II სერიაში ქვემდებარის პრეფიქსულ მოთზრობითი. მოუღის: ისროლა მონადირემ, ესროლა მონადირემ. ამას გარდა III სერიის ფორმები პირველ მათ-განს ინტენსიულად აქვს ნაწარმოები: ისვრის—ისროლა—უსროლია: ამიტომ ამ ზნათა დებონენსობაც კი საკამათოა.

შენიშნა 2. ამ ზნების ასეთი თავისებურება იმით აისხნება, რომ მათ წინათ სხვა ფორმები ჰქონდათ: „ისრევს“—„ისრია“, „ესრევს“—„ესრია“; საწყისად მოფლიოლათ „სრევა“, მიმღობად—„სრული“, როგორც ეს ვეფხის-ცყაოსნიდან ჩანს:

ზოგთაგან სოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რილისა (1006).

მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემჰან სრეულმან (333).

„ესრევს“ მხოლოდ პრეფიქსით არის პასივის მსგავსი, თორემ სუფიქსი აქტივისა აქვს. ეს სუფიქსის ი-ზე გადასვლით (ესრ-ევ-ს—ესრ-ის, კონტა-მინაციით: ესრევს, ესრის) მოხდა სრული დამსვავსება პასივთან.

„წარვეს“ ზმნის შესავსად ვ აქვს პრეფიქსად „ე-ძებს“ ზმნასაც (ძე. ქ. ვ-ძი-ებს-ს) და „ც-ემ-ა“ ზმნას წყვეტილში: „მი-ე-ე-ც“, რომელთაც ფუნქციაც აქტიური აქვთ და ფორმებიც სხე. ფრივ უკლავრად აქტიური.

დებონენსურად იხმარება „უყვება“ ზმნაც, რომელსაც ირი ობიექტი აქვს, პირდაპირი და ირიბი: „ამბანავს ამბავს უყვება“—„ამბანავს ამბავს მოუყვა“, სადაც „ამბანავს“ ირიბია და „ამბავს“ პირდაპირი, მაგრამ ეს პირდაპირიც ირიბია წარმოშობით: ამბავს ჰყვება—ამბავს მოჰყვა. პირდაპირად გახდომასთან დაკავშირებით მან შეიძლება ფორმაც იცვალოს: ამბავი მოჰყვა, ამბავი მოუყვა.

შეგვიძლია დავასძინოთ, რომ „იციის“ ზმნა რელატიურად „უციის“ ფორმას გვაძლევს (ადაგიორჯია, მეფეო, აღარ გაციენს პირიო, ვეფხ-ტი.): მაგრამ გლაჭვს კიდევ „ეციის“, რომელიც ნიშნულთაგან იგივეა, რაც „დასციის“ და საეკვოა, რომ ის ამ ე-ს გამო ენებითად იქნეს მიჩნეული.

ზემორე თქმულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვ პრეფიქსის ხმარება ზოგ შემთხვევაში ანალოგიურად არის ვაფართოებული, მაგრამ თავდაპირველად ის მარტო ენებითის ნიშანი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ამას დღეს გადმონაშთის სახით „მი-ე-ე-ც“ ფორმა გვიჩვენებს (§ 418, შგშ.).

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, დებონენსური ხასიათი აქვს იმ ზმნებს, რომლებიც ენებიცა პრეფიქსით აწარმოებენ, სუფიქსიანთაგან ამავე გვჯდუს მიეკუთვნება „ჰპირდება“, რომელიც ორ ობიექტს იკვებს და—„უყვება“ ზმნის მსგავსად—I და II სერიის ფორმებსაც ადვილად იკვთებს: ჰპირდება იგი მას მას—დაჰპირდა იგი მას მას. ორივე ობიექტი ირიბია წარმოშობით (ერთი პირისა, მეორე ნიეთისა), მაგრამ მეორე ობიექტი (ნიეთისა) ამჟამად პირდაპირად არის გაგებული.

ამეგარად, საკითხი დებონენსობის შესახებ ქართულში არსებითად რამდენსაზე ზმნას ენება, რომლებიც აწმქოს წრეში პასივის ფორმას ატარებენ და ნიშნულ-ლობა აქტივისა აქვთ.

367. ნეპოთინის ფოტოგრაფი ხნაძმების მამართოშვიდა. პასივ-ს ფორმათა ხშირი ხმარება მეტად დამახასიათებელია ზოგიერთი ენისათვის. ქართ. ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა და პასიურ გამოთქმებში ნომინირებას იკავს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში პასიური კონსტრუქციების ხმარება ძალიან გაიზარდა სამეცნიეროსა და ტექნიკურ ლიტერატურაში, აგრეთვე საგანძოო წერილებში, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა რუსულიდან და სხვა ენებიდან. ზოგჯერ პასიური ფორმები ისეთი ფუძეებისაგან იწარმოება, რომლებიც წინათ მხოლოდ აქტიურად იხმარებოდა: განიხილება, მიიღება, წარმოადგინება, აღიდგინება (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, 97), შეინიშნება, გამოვლინდება, ხასიათდება, მოწმდება და მისთ.

შენიშვნა. თარგმანს ამ საკითხში ძველდაც ჰქონდა გავლენა; მაგ., ძე. ქართულში „აღმოიყვანა“ ენებითად უნდა გაეიგოთ შეკლევ წინადადებაში: „ნაიბი იესუ ა ღმრთიყვანა სულისაგან უდაბნოდ“ (მთ. 4,1 ვერ.პარხ.), რაც ნეპოთინელი გამოთქმის ზუსტად გადმოცემის ბრალია: *Tōxē ō Iēsoṣ*

ἀνίχθῃ εἰς τῆς ἔραμον ἵπῃ τῶν πνεύματων (მაგრამ იმავე ფუძის ზმნა სხვა პრეფერებით მოქმედებითია აქ: „და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უღაბნოდ“, მარკ., 1,12).

368. სხვადასხვა ტიპის ვნებითა ურთიმართობისათვის. ვნებითის ისტორიული განვითარების გზების განხილვა ამჟღავნებს, რომ შეიძლება ვნებითის წარმოება ერთი ტიპიდან მეორეში გადავიდეს.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მესამე ტიპის ვნებითიდან რამდენიმე ზმნა პირველში გადმოვიდა: ძველად „შეკრიბა“ ზმნა ვნებითში „შეკრიბა“ ფორმას გვაძლევდა, ამჟამად კი პრეფიქსიანი ფორმები გვაქვს: შეიკრიბა, შევიკრიბენით. „დაგლიჯა“ ახლაც „დაგ(ლ)ჯა“ ფორმას გვაძლევს გურულში („ფეხსაცმელი დამიგჯა“), მაგრამ სალიტ. ენაში „დაიგლიჯა“ იხმარება; „დავთვერ“ და „დათვრა“-ს ნაცვლად აღმოს. კილოებში „დავითვერ“ და „დაითვრა“ გვხვდება; წმ(ნ)დს—იწმ(ნ)დება, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ძველი წარმოების „წმდება“: „წყალი დწ(მ)და“ (ქართლში „დაწქნდა“ გამოგონია); „დაქყლეტა“ ზმნისაგან მოსალოდნელია „დაქყლტა“ და ეს კიდევ უნდა გვხვდებოდეს აქა-იქ ზ. იმერეთში „დაქყდა“-ს სახით, მაგრამ ჩვეულებრივ „დაიქყლიტა“ იხმარება.

შენიშვნა. პროფ. კ. მოღებაძის მეღვინეობის სახელმძღვანელოში შამპანური ღვინის დამზადების შესახებ ხელნაწერ ღვინაში იკითხებოდა: „გადაზიდვის დროს ყურძენი რომ არ დაქყდეს, შამპანში და ზოგან ბურგუნდიაშიც მთელ, დაუქყლტულ მტევნებს სპეციალურ კალათებში ალაგებენ და რესორიანი ეტლებით მარანში მიაქვთ“. ავტორს ურჩივს, რომ ზმნა მოცუა ისეთი ფორმით, რომელიც ამჟამად სალიტერატურო ენაში იხმარება და დაბეჭდილ წიგნში „დაიქყლიტოს“ იკითხება (მეღვინეობა, 1931, გვ. 185; ავტორი კაცხელია).

უფრო ზშირია გადასვლა I ტიპიდან II-ში ან პირუკუ. „შენება“ ზმნას ძველად პრეფიქსიანი ვნებითი ჰქონდა. მაგ., ზარზმის სამრეკლოს წარწერაში იკითხება: „აღეშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ“ (ე. თაყ., Арх. экск. I, 22, 23), მაგრამ ის დღეს სუფიქსიანთა ჯგუფშია გადასული: აშენდა. წარმოების ტიპის გამოცვლისათვის ამ შემთხვევაში ალბათ გადაწყვეტი იყო ის გარემოება, რომ „აღეშენა“ ერთ-პირიანად იყო ქცეული და რელატიური ფორმების გასაკეთებლად აღარავითარი საშუალება არ არსებობდა.

ზოგჯერ ორივე ტიპის ფორმები პარალელურად იხმარება ერთი და იმავე მნიშვნელობით: შეეთვისა—შეუთვისდა, დაესახლა—დასახლდა, დაემორჩილა—დაპმორჩილდა (ყ. 39,19; „მაგათ როგორ უნდა დაემორჩილდეთ“, ყ. 354,30), ჩაესაფრა (ყ. 5,24; 22,19)—ჩაუსაფრდა, გაეჭანა—გაჭანდა („რა წაშს ქალმა თვალი მოჰკრა, სიხარულით გაეჭანა იმისაკენ“, ყ. 28, 8—9; 163;27; 252,25; მაგრამ: „ელგუჯა ხნაღ-ამიწვედრი გადახტა და გაჭანდა თავის ამხანაგებისაკენ“, ყ. 29, 33—34), შეენანა—შეჭანდა (ყ. 132,24); ეპირეება—სპირდება („ეპირეებოდ“ ყ. 60,29), დაეჭირა—დასჭირდა („ოდეს დავეჭირა“, საქ. სიძე. II, № 164, 1702 წ.; № 164, 1704 წ.—ამ მაგალითზე აკად. ნ. კეცხოველმა

მიმითითა); დაეზარა—დაპზარდა („მახიამ რამდენჯერმე წაპოიწია ასადგომად, მაგრამ დაპზარდა“, ყ. 212,37; „მე არ დაგზარდებოდი“ ჭ. 271,27; „დაზარდა, არ წამოვიდა“ ჭ. 416,11); ეხირება—უხირდება („ერთი მეღუქნე მეხირება რასმე“, ყ. 227,37), ეარშიყება—უარშიყდება („უარშიყდებოდა“, ყ. 278,21), მოეწინება—მოსწინდება („ის იმედობდა, რომ გირგოლას მოსწყინდებოდა იმისი დევნა“, ყ. 309,13), მოეწადა—მოსწადა („მომეწადა იმისი შევლა“, ყ. 285,39; „მოსწადა იმის შერის ძიება“, ყ. 339,1), ეძნელება—უძნელება, გაეყინა—გაუყინდა („სისხლი ძარღვებში გაიყინდა“ ჭ. 313,37; შდრ. „განიანეს წყალნი, შეჭყინდეს და დადგეს“, გამოსლვ. 15,8) გადმოვლინა—გადმოსლინა („ტრემლები გადმოვლინა“, ყ. 244,14; „კოკასა შიგან რაცა ღვას, იგივე წარმოსლინდების“, ეფთხ. ტყ., 1094) ეთანხმება—სთანხმდება და სხვ.

ზოგჯერ პრეფერბის გამოცვლას ვნებითის ტიპის გამოცვლაც სდევს: შეეზარბა მეზობლის ქონება,—დაპზარბდა მეზობლის ქონებას, მიეშველა—გააშველდა („მაშინვე გააშველდნენ ერთმანეთს“, ყ. 37,32).

გვხვდება „შეეშინა“ და „შეშინდა“, მაგრამ ერთი ობიექტური წყობით არის მოყვანილი, მეორე კი—სუბიექტურით.

ზოგჯერ ტიპის შეცვლას მნიშვნელობის შეცვლაც სდევს: „ემზადება“ სხვა და „მზადდება“ სხვა („ემზადება წასასვლელად“, „მზადდება სადილი“); „იდილება“ ერთია და „დიდდება“ სხვა („იდილება“—ადიდებენ, „იდილოს მისი სახელი“; „დიდდება“—დიდი ხდება) „ეძალება“—ძალას ატანს, „უძალდება“—წინააღმდეგობას უწევს. ასეთივეა აგრეთვე „დაეჯერება“ და „დასჯერდება“ („შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება“ ჭ. 338,25; დაჯერდება—დაგთანხმდება, გიყაბულებს); მოეხმარა და მოპხმარდა („ნუ დამიკარგავთ ამდენს ქირანახულს, ფორემ თუ არ მომახმარებთ, ლუთით არც თქვენ მოგხმარდებათ“ (ი. ოსესზე., 59,15).

„აატრია“-ს ვნებითია „ატრია-ღა“, მაგრამ „გაატრია“-სი—„გა-ღ-ტრია“ (=ტრილით გაჰყავ). ჩვეულებრივ ითქმის „კეთ-ღება“, მისი რელიატიური ფორმაა „უკეთდება“; მაგრამ „უკეთდება“ ერთია და „ეკეთება“ სხვა („მე იქ აღარა მეკეთებოდა რა“, ჭ. 324,23=მეც იქ აღარაფერი მქონდა გასაკეთებელი).

შენიშნვა. გვხვდება ორმაგი წარმოების ფორმებიც, ე. ი. ფორმები, რომელთაც პრეფიქსიც აქვთ და სუფიქსიც, რაც კონტრამინაციით აიხსნება: შეეშინდა (ყ. 137,7; 231,6; კონტრამინაცია პერსონალური „შეშინდა“ და იმპერსონალური „შეეშინა“-სი), გაეზარდა, შეებრალდა („დიდად შეეებრალდი“ ი. ოსესზე. 39,2 ჭვ.; „შეგვებრალდა დედაბერი“, ბესიკი, არძალ-დედამთ.ა; შდრ. მისივე: „შემებრალდა, წაველ შექვირვებითა“).

369. ხაშუალი ზნარი. არის რიგი სახელთა და ზნათა ფუძეებისა, რომელთაგანაც შეიძლება ვაწარმოოთ მოქმედებითის საპირისპიროდ არა მარტო ვნებითი გვარის ზნა, არამედ სხვანაირი ზნაც, რომელიც კონვერსიულ ურთიერთობაშია მოქმედებითი გვარის ზნასთან, მაგრამ ვნებითი არ არის. ზოგი ნიშნის მიხედვით ეს ზნა მოქმედებითს ჰგავს, ზოგით კი—ვნებითს: ფორმა უმეტესად მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია—ვნებითისა. ამის გამო მას საშუალს

(მედიუმს) ეცახნით. ასეთია, მაგ., შემდეგი ზმნები: ხურს, დულს, ტირის, გორავს, ხარობს, ლალობს, ფასობს, ტრიალებს და სხვა, რომელთაც საპირისპიროდ მოქმედებითი მოეპოვებათ და ვნებითიც:

მოკმ.	ვნებ.	საშ.	მოკმ.	ვნებ.	საშ.
ახურებს	ხურდება	ხურს	აცხარებს	ცხარდება	ცხარობს
აღულებს	ღულდება	ღულს	ალალებს	ლალდება	ლალობს
ატირებს	*ტირდება	ტირის	აფასებს	ფასდება	ფასობს
აგორებს	გორდება	გორავს	ატრიალებს	*ტრიალდება	ტრიალებს

სუბიექტის ობიექტისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით საშუალო ზმნა იზიარებს ვნებითის თვისებას: სუბიექტური პირი აქაც მოქმედებს, ასე ვთქვათ, თავისთვის, სხვა პირზე მოქმედების გადაუტანლად. ამიტომ პირდაპირი მიმართების ფორმები საშუალო ზმნის უღლებაშიც გამოირიცხულია. აქედან ცხადია, რომ საშუალო ზმნა გარდაუვალია. ამ მხრივ ის ვნებითთან ერთად არის და ორნივე უპირისპირდებიან მოქმედებითს, რომელიც მორფოლოგიურად პირად. მიმართების ფორმებს გვიჩვენებს და სინტაქსურად გარდამავალია. ვაჟა-ფშაველას ერთს პოემაში ვკითხულობთ:

ერთხელ ლაშს, ნადირთ მეფესა, ხარი მოეკლა ირემი,
 მოსთრავდა თავის ბინისკე ნადავლი, ნანადირები.

(*მეჯლიში ლომისა*).

აქ ნახშიარი „მოსთრავდა“ ფორმით მოქმედებითს ჰგავს, მაგრამ მნიშვნელობით იგივეა, რაც „მოეთრეოდა“. ამის გამო ის საშუალოა.

შენიშვნა. მოყვანილ ადგილას „მოსთრავდა“ აბსოლუტური ფორმა ჩანს. მაგრამ თითქო შეიძლება მისი რელატიურად გაგებაც: „ჩამოტიროდა ბაყაყი, მასთრავდა ტიტველ ფაშია“ (ვაჟა-ფშ., *ფშაველე და მისი წუთისოფელი*: ძვ. საქ. II, განყ. IV, 337). აქ „მასთრავდა“ თითქო ამას ნიშნავს: „მოეთრეოდა“ მისი“.

პირთა რაოდენობის თვალსაზრისითაც მედიუმში პასივთან დრის: მასაც მხოლოდ ერთ-პირიანი ან ორ-პირიანი ფორმები შეიძლება ჰქონდეს, სამიანი კი არა; ორ-პირიანი ფორმაში ერთი პირი სუბიექტურია და მეორე—ობიექტური: უღულს, უჩანს, თავს დასტრიალებს და სხვა.

რავა ჰყოფს მედიუმს პასივისაგან?—ის, რომ იმას თავისი ფორმები აქვს. ამას კი—თავისი. წარმოების თვალსაზრისით დიდია განსხვავება მედიუმსა და პასივს შორის; ერთი მხრით: გორავს, გორავდა, გორავდეს, მეორე მხრით: გორდება, გორდებოდა, გორდებოდეს; ერთი მხრით: ცხარობს, ცხარობდა, ცხარობდეს, მეორე მხრით: ცხარდება, ცხარდებოდა, ცხარდებოდეს და მისთ.

განსხვავებაა მედიუმსა და პასივს შორის მწკრივთა წარმოების მხრივაც: შეიძლება, რომ ზოგიერთი მწკრივის ფორმა მედიუმმა აწარმოოს, პასივმა კი არა, ან პირუკუ; მაგ., „წევს“ ზმნას აწმყოს წრის მწკრივებისაგან მარტო ერთი, აქვს (აწმყო). სხვები კი არა, მაშინ როდესაც „წეება“—სამ წრეში ყველა მწკრივთ

მოებოვება: წება, წებოდა, წებოდეს. „ღულს“ ზნას ყველა მწკრივი მოეპოვება აწმყოს წრეში, სათანადო ვნებითი კი („ღულდება“) თითქმის უხმარებელია.

რა აქვს საერთო მედიუმს აქტივთან?—ის, რომ გარეგნულად მასაც ისეთივე სახე აქვს, როგორც მოქმედებით: „ტრიალებს“ და „ატრიალებს“ გარეგნულად ერთმანეთისაგან ა-თი განსხვავდებიან, მაგრამ ა არ არის საზოგადოდ ისეთი ნიშანი, რომ იპის მიხედვით გვარებს ვარჩევდეთ, თორემ „წერს“ და „ა-წერს“ ან „წევს“ ან „ა-წევს“ სხვადასხვა გვარის ზმნები იქნებოდა. „ქრის“ და „ხრის“ ერთნაირად ნაწარმოები ზმნებია, მაგრამ ერთი გვარისა არ არიან; წევს „წოლის“ მნიშვნელობით და წევს „წევის“ („გაწევის“) მნიშვნელობით ერთნაირად უღერენ, მაგრამ სხვადასხვა გვარს ეკუთვნიან.

ამას გარდა თემის ნიშნებად საშუალსაც შეიძლება ჰქონდეს ი, ავ, ებ, ობ (ბტ-ი-ს, ტურ-ავ-ს, ფრიალ-ებ-ს, ხარ-ობ-ს) ან ისიც შეიძლება, რომ საშუალებს არაერთი თემის ნიშანი არ ჰქონდეს (თოვ-ს, ქუბ-ს, წუბ-ს და სხვ.); ყველაფერი ეს საშუალებს გვარის ზმნას მოქმედებითთან აახლოებს. მართალია, საპირისპირო ფორმებს (საშუალებს და მოქმედებითს) ჩვეულებრივ სხვადასხვა ნიშანი მოუღდის (გორ-ავ-ს—აგორ-ებ-ს, წუბ-ს—აწუბ-ებ-ს), მაგრამ ზოგჯერ ერთნაირიც აქვთ: ტრიალ-ებ-ს—ატრიალ-ებ-ს და მისთ.

ამგვარად, საშუალებს გვარი. მორფოლოგიურად მოქმედებითისაგანაც განსხვავდება და ვნებითისაგანაც: მოქმედებითისაგან ფუნქციით, ვნებითისაგან ფორმით. თუ განსხვავების ნაცვლად ნსგავსების მიხედვით ვიძსჯელებთ, უნდა ვთქვათ: საშუალებს ზმნას ფორმა მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია—ვნებითისა.

აუცილებელი როდია, რომ ერთისა და იმავე ფუძისაგან სამივე გვარის ზმნა იყოს ნაწარმოები. ხშირია, რომ მოქმედებითის საპირისპიროდ მარტო მედიუმში მოიპოვებოდეს ან მარტო ვნებითი. მაგ., „სადილ“—ისაგან გვაქვს: „ასადილებს“ (აქტ.) და „სადილობს“ (მედ.). ასეთივე აქტივ-მედიუმია: აეხზნებს—ეახზობს, ახარებს—ხარობს, მიაქროლებს—მიქრის, ათამაშებს—თამაშობს, გააცინა—გაცინა, დააჩოქა—დაიჩოქა და მისთ.

მარტო აქტივ-პასივის შემთხვევები უამრავია.

370. ორი ჯგუფი საშუალები ზმნების. საშუალებს გვარის ზმნები საზოგადოდ მეტად კრელ სურათს ვეძლევენ ფორმათა წარმოების მხრივ. თუ მცირე-რიცხოვან გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, საკუთრად მათ მარტო აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ, დანარჩენი მწკრივები კი შევსებულნი აქვთ იმავე ფუძის სხვანაირად ნაწარმოებ ფორმათა საშუალებით. იმის მიხედვით, თუ როგორ ივსებენ ისინი ამ დანაკლისს, გამოირჩევა ორი ჯგუფი: ერთი, რომელიც აქტიურ ზმნებს მიჰყვება და მეორე, რომელიც პასივის ფორმა-წარმოებას იზიარებს. პირველ ჯგუფს აღვნიშნავ მედიოაქტივის სახელით, მეორეს მედიოპასივისა.

371. მადიოაქტივი. საშუალებს ზმნათა ერთი ჯგუფი დანაკლის ფორმათა შესავსებად თაეისი ფუძის მოქმ. გვარის ზმნათა ფორმებს იყენებს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით: პირდაპირ-ობიექტური პირის გამორიცხვით. ამის გამო ისინი რამდენადმე მოქმ. გვარის თვისებას იზიარებენ: III სერიის ფორმებს

ინვერსიულად იკეთებენ. ამას ერთვის სინტაქსური მოვლენაც: სუბიექტის ბრუნვად ასეთ ზმნებთან მოთხრობითია II სერიაში და მიკემითი III-ში: დულს წყალი, იდულებს წყალი, მაგრამ: იდულა წყალმა, უდულნია წყალს; ცხოვრობს კაცი, მაგრამ: იცხოვრა კაცმა, უცხოვრია კაცს.

მედლი-აქტივი. ზმნები გარდაუვალია, პირდ.--ობიექტური მიმართების ფორმები აკლია და ამის მიხედვით არც სათანადო ფარდი აქვს პირდ. ობიექტის სახით. რიცხვი ასეთი ზმნებისა საკმაოდ დიდია: თოვს, წვიმს, ელავს, ქუხს, ქრის, ცხოვრობს, ხარობს, ცურავს, მეფობს, ჩქარობს, ხტის, დის, წვეთს, ბოლავს, წუხს და სხვა. ამავე გჯუფში შემოდის მეორეული წარმოების ზმნები „თევზაობს“ ტიპისა: ბანაობს, ცურაობს, ჭიდაობს, ქანაობს, გორაობს და სხვა. გარეგნულად ამავე გჯუფს ეკედლება ა-ზე გათავებულ სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოები ზმნები: ციგა-ობ-ს, კობტა-ობ-ს. ამ ზმნებში და აგრეთვე მეორეული წარმოების ზმნებში თ-ს წინ დაკარგულია ვ, რომელიც სათანადო მოქმედებითს მოეპოვება: აბან-ავ-ებს, აცურა-ავ-ებს, აგორ-ავ-ებს, აკობტა-ვ-ებს და მისთ.: აბან-ავ-ებს-ს—ბან-ა(ვ)-ობ-ს.

372. მადლიაშფივის მიმართება პანდითან. ურთიერთობა მედლიაქტივისა და პასივს შორის მეტად თავისებურია და მრავალფეროვანი. აღწინშნოთ ზოგი რამ.

1. არის შემთხვევები, რომ საშუალი ენაცვლება ვნებითს. ეს ხდება უსრული ასპექტის შემთხვევაში. მაგ., „აღულღებს“ ზმნის საპირისპიროდ საშუალიც გვაქვს („აღულს“) და ვნებითიც („აღულღება“), მაგრამ ვნებითი გვარის ფორმათა ხმარება სრული ასპექტის შემთხვევებით ამოიწურება (აღულღება, აღულღა, აღულღებულა და სხვა); რაც შეეხება უსრულ ასპექტს, აქ ვნებითის მაგვირობას მედიუმში ეწევა: დულს, დულდა, დულღს, იდულებს, იდულა, უდულღნია: წყალმა იდულა, იდულა და ბოლოს ადულღა. ასეთივე მაგალითია: მიკვირს—გამიკვირდება, გამიკვირდა.

გარკვეულ ზმნათაგან განსაკუთრებით ჭირს სუფიქსიანი ვნებითის წარმოება აწყოს მწკრივებში: „აყვავებს“ ზმნას ვნებითად „აყვავდება“ მოუღის, მაგრამ ავეთი ფორმა იშვიათად იხმარება („ია ყვავდება-გაზაფხულის დამდეგს“, ი. გოგებაშვი., „დედაენა“, 1940, გვ. 48), ჩვეულებრივ კი „ყვავის“ ითქმის. ამგვარივე ურთიერთობაა ამ ზმნებს შორისაც: „წუხს“ და „წუხდება“, „ქუხს“ და „ქუხდება“, „ღის“ და „ღინდება“, „ფრინავს“ და „ფრინდება“, „როკავს“ (=ცეკვავს) და „როკდება“, „ტირის“ და „ტირდება“, „გოგავს“ და „გოგდება“ და მისთ. აქ მოყვანილი საშუალი ზმნები ჩვეულებრივია, მაგრამ იშვიათია ვნებითის ფორმათა ხმარება. ალბათ რითმით ან მარცვალთა რაოდენობით არის გამოწვეული „გოგდება“ ფორმა ხალხურ ლექსში: „ყველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება“, თორემ ჩვეულებრივ „გოგავს“ ითქმის: „გოგდება“ და „გოგავს“ ერთსა და იმავე აზრს გადმოგვცემს, მაგრამ სხვადასხვა საშუალებით: ერთი პასიურად, მეორე მედიალურად. აწყოაში ისინი ერთიმეორის მაგვირობას გასწევენ, მაგრამ საკმარისია ზმნისწინი დაფურთოთ, რომ განსხვავება მოგვეცნ: „დაგოგავს“ ისევ აწყოა, „დაგოგდება“ კი—მყობადი (კესო

„მთელი დღე დაგოგავდა ფერად ყვავილებს და მწვანე მდელოებს შორის“, ი. ქ., «თ. ქვრ.»).

ორ-პირიანი „გაახარა“ (მან იგი) კონვერსიულად საშუალებას მოგვცემს: „გაიხარა“ (მან); სამ-პირიანი „გაუხარა“ კი—ვნებითს: „გაუხარდა“, რომელსაც პირვანდელი მნიშვნელობა რაჭულში ჰქონია დაცული: ბავშვი გაუხარა—ბავშვი გაუხარდა (=მისმა ბავშვმა გაიხარა). ორ-პირიანი „ააყვირა“ კონვერსიულად ვნებითს მოგვცემს („ააყვირ-და-ა“), მაგრამ ორ-პირიანივე „დააყვირა“—საშუალებას („და-ი-ყვირა“). ასეთივე ზმნებია: „აკივლდა“ და „დაიკივლა“; „აჩხავლდა“ და „დაიჩხავლა“ და სხვ.

2. მედიალური ფორმები მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში აბსოლუტურად იხმარება, რელატიურად კი ვნებითს (resp. დეპონენსს) უნდა მივმართოთ: ჰიკჰიკებს—ეიკჰიკება, სუბრობს—ესაუბრება, ხუმრობს—ეხუმრება და სხვ. (მაგრამ ითქმის როგორც „ეხუმრა“, ისე „უხუმრა“). ამიტომ შემდეგ მაგალითებში ვნებითის ფორმა არ შეიძლება საშუალებით შევცვალოთ:

ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების,
 რათგან შეება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების.
 (ვეფხ.-ტყ., 705)
 კოკასა შიგან რაცა დვას, იგივე წარმოსდინდების
 (იქვე, 1094)
 როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკდები
 (ხალხური)

3. ერთსა და იმავე აქტიურ ზმნას შეიძლება ორი სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს და კონვერსიულად ერთ შემთხვევაში საშუალებას გვაძლევდეს, მეორეში კი—ვნებითს. ამისი მაგალითია: აბრუნებს—ბრუნდება—ბრუნავს. „წყალი წისქვილს აბრუნებს“—„წისქვილი წყლისაგან ბრუნავს“. აქ „აბრუნებს“—„ბრუნავს“ ერთურთის მიმართ აქტივ-მედიუმი; მაგრამ: „მამა ბავშვს სალამობით შინ აბრუნებს“—„ბრუნდება“—„აქტივ-პასივია“.

4. პირდაპირი ობიექტის უქონლობის გამო ვნებითი და საშუალებითი თანაბარ მდგომარეობაშია და ზოგჯერ თამამად ვუნაცვლებთ მათ ერთმანეთს: „ილიმება“ ვნებითად მიდის აწმყუს წრეში, სხვაგან კი მედიალური ფორმები ენაცვლება: გაილიმებს—გაილიმა.

373. მმდმოპანძვი. საშუალებითა მეორე წყება (რიცხვით ნაკლები, ვიდრე პირველი) დანაკლის ფორმებს თავისი ფუძის ვნებითით იცხებს; ამიტომ მას არ სჭირდება არც მოთხრობითი სუბიექტის ბრუნვად II სერიის ფორმებთან და არც ინვერსია III სერიაში და ამასთან დაკავშირებით მიცემითის ბრუნვა სუბიექტისათვის. ასეთებია: დვას, წევს, ძევს [შენაცვლებით: დებს—იღება—ძევს], სძინავს, ჰღვიძავს, სწყინს, უყვარს, სძულს და სხვა, რომელთაგანაც ზოგი (მაგ., უყვარს, სძულს) II სერიის ფორმებს ვერც იკეთებს, მაგრამ III-ისა აქვს (ჰყვარება, სძულებია). კონვერსიული ვითარება აქაც იმავე სახისაა, როგორც მედიოაქტივში ვნახეთ:

მოკმ.	ვნებ.	საშ.	მოკმ.	ვნებ.	საშ.
ღგამს	იღგმება	ღგას	აძულებს	სძულდება	სძულს
აწვენს	წვება	წვეს	აშორებს	შორდება	შორავს.
[ღებს]	[იღება]	ძვეს	ახსომებს	ახსომდება	ახსოვს
აწყურებს	სწყურდება	სწყურია	ახლებს	ეახლება	ახლავს
აკლებს	აკლდება	აკლია			

ამავე ჯგუფში შემოდის ზნები, რომლებიც მარტო I სერიაში (უმეტესად აწყოს წრეში) იხმარება: კირს, ჩანს, მწიფს, *შავს, უმძიმს, უკვირს და სხვა.

მოკმ.	ვნებ.	საშ.	მოკმ.	ვნებ.	საშ.
აკირებს	* კირდება,	კირს	ამწიფებს	მწიფდება	მწიფს
აჩენს	ჩნდება	ჩანს	უშავებს	უშავდება	უშავს
უმძიმებს	უმძიმდება	უმძიმს	აკვირებს	კვირდება	* კვირს

მედოპასივის დღევანდელ ქართულში მეშველი ზნა სკირდება I-სა და II სუბ. პირში: ვდგავარ, ვსძულვარ, ვსწერივარ და სხვა, გარდა ისეთი არქაული შემთხვევებისა, როგორცაა „ვშორავ“ ბესიკის ამ ლექსში:

ჰაერი ცივ-ნამიანი ჩემთვის აღარა შზიანი,
მას ვშორავ გულ-სევდიანი, ვის მოლოდნა მაქვს გვიანი.

(გ. ლეონიძე, ბესიკი: «ლიტ. მატ», ?—4, გვ. 415).

შენიშვნა. საშ. „ღგას“ სხვა სამეულშიც შედის: აღგენს (ძვ. ქ.)—ღგება—ღგას.

374. უკთიმართობა გზარემს შორის ვორჩისხა და ვაშნაშინის მიხედვით.

ქართ. ენის ჩამოყალიბების ისტორიულ პირობათა გამო ფუნქციონალურ მიმართებას გვარებს შორის ყოველთვის არ ახლავს ერთგვარი გაფორმება. მაგალითები:

1. „უყვარს“ ფორმა თითქო ასეთ საპირისპირო ფორმებს მოითხოვს: უყვარებს—უყვარდება—უყვარს, მაგრამ საქმე ის არის, რომ „უყვარს“ მოკლებულია ქცევის ვაგებას, ის ორ-პირიანი რელატიური ფორმაა და ამიტომ არის; რომ „აყვარებს“ ფორმის პირისპირ ღგას.

2. „აკლებს—აკლდება—აკლია“. უკანასკნელი ძველად იხმარებოდა „აკლს“ ფორმით, რომლისგან ნაწარმოებია უწყვეტელი და I კავშირებითი: აკლს, აკლდა, აკლდეს. „აკლს“ ფორმის ადგილი ანალოგიურმა „აკლია“-მ დაიკირა.

3. „აწონებს“ ზნა ვნებითად „ეწონება“-ს გვაძლევს; რაც შეეხება „მოსწონს“ ფორმას, ის საშუალოა „მოაწონებს“ ფორმისა, „მოაწონებს“ დღეს მყოფადის წრეშია გადასული, და „მოსწონს“ უცალოდ რჩება აწმყოში.

4. „აძინებს“ ზნა კონვერსიის ძალით საშუალოში „იძინებს“ ფორმას გვაძლევს („დღეა ბავშვს აძინებს“—„ბავშვი იძინებს“). რაც შეეხება „სძინავს“ ფორმას, რომელიც დღეს ერთ-პირიანია და ობიექტური წყობით იხმარება, კონვერსიულად სამ-პირიან ფორმას გულისხმობს: ცხადია, „აძინებს“—„დააძინა“ ძვე-

ლად შეიძლება სამ-პირიანიც ყოფილიყო, როგორც ამას ერთ ხალხურ-ლექსში დღესაც ვხედავთ: „საფურცლეს მოკლეს ზურაბი, ძილ და აძინეს მაგარი“ (ხალხ. პოეზ. I, 8). „დააძინა“-ს ვნებითია: „დაეძინა“ (დააძინა: მან მას იგი — დაეძინა მას იგი). შემდეგ კი პირდ. ობიექტის ჩაგარდნის გამო ირიბი იქცა პირდაპირად და მივიღეთ ორ-პირიანი „აძინებს მას“ — „დააძინა იგი“. მაშასადამე, დღევანდელი „დააძინა“ და „დაეძინა“ ერთმანეთის კონვერსიული ფორმები არ არის. თუ ჩავსვამთ აღნიშნულ ფორმებს სამ გვართა სქემაში, შემდეგს მივიღებთ:

მოქმ.	ვნებ.	საშ.
აძინებს (2-პ.)	—	იძინებს (მედიოაქტ.)
*აძინებს (3-პ.)	ეძინება	სძინავს (მედიოპას.)

5. რაც ითქვა „აძინებს“ ჯგუფის შესახებ, იგივე შეიძლება ითქვას „აღვიძებს“ ჯგუფის შესახებაც („აღვიძებს“ — „იღვიძებს“, მაგრამ: „ეღვიძება“ — „აღვიძებს“) და რამდენადმე აგრეთვე „აციინებს“ ჯგუფის შესახებაც: „აციინებს“ — „იციინის“ (აქტივი — მედიოაქტ.), „ეციინება“ კი უცალოდ არის.

375. ძაბოთული მადიუში და ბმარული მადიუში. როგორც ვნახეთ, ქართ. მედიუმს საფუძვლად უძევს დაპირისპირება აქტივთან კონვერსიის ნიადაგზე. პირთა რაოდენობის თვალსაზრისით ის აქტივზე ნაკლებია: ვნებითის მსგავსად სამ-პირიან აქტივს ორ-პირიანი მედიუმი შეესატყვისება და ორ-პირიან აქტივს — ერთ-პირიანი მედიუმი. გარდაუვალობის თვალსაზრისითაც ის ვნებითთან არის.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ბერძნულში: ის ფორმა, რომელიც ბერძნულში მედიუმის სახელით არის ცნობილი, პირთა რაოდენობის თვალსაზრისით არ განსხვავდება არც აქტივისაგან და არც პასივისაგან, რადგანაც ისინი აქ ყველა ერთ-პირიანებია. მაგრამ ეს არაფერი, რადგანაც მრავალ-პირიანობა ბერძნულს არ მოეპოვება. მთავარია შემდეგი: იქ, სადაც მედიუმი ბერძნულში აშკარად განსხვავებულია ფორმით და ფუნქციით როგორც აქტივისაგან, ისე პასივისაგან (მაგ., აორისტში), მას გარდამელობასთან ერთად ახასიათებს მიმართება სამოქმედო ობიექტთან კუთვნილების ნიადაგზე. ეს კი სულ სხვა ამბავია და უნდა გაგებულ იქნეს არა გვარის ფორმად (ე. ი. არა დიათესის ფორმად), როგორც ესმით ხოლმე, არამედ სათავისო ქცევის ფორმად. ქვევა კი ანუ ვერსია სულ სხვა კატეგორიაა, ვიდრე გვარი (§ 417).

376. შვანარო ზმნები. გვარზე იძღვინად შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რამდენადაც ენას მოეპოვება საშუალება, რომ ერთისა და იმავე ფუძისაგან აწარმოოს თუ სამი ფორმა არა (აქტივი, პასივი, მედიუმი), ორი მანც, რომლებიც ერთმანეთის მიმართ აქტივ-პასივია (გრეხს — იგრინება) ან აქტივ-მედიუმი (აცხოვრებს — ცხოვრობს).

შენიშნვა. თეორიულად გვარი მაშინაც არის შესაძლებელი, თუ საპირისპიროდ პასივ-მედიუმი. ამ წუთას სათანადო მაგალითი არ მაგონდება, მაგრამ ასეთი უნდა იყოს: „ფული მპირდება“ — „ფული მპირს“. „მპირს“ —

ასეთი ფორმა, მართალია, გვხვდება („სურდო მკირს“), მაგრამ ფულზე არ ითქმის, სამაგიეროდ ითქმის: „ფული მიკირს“, როგორც ეს ჩანს შემდეგიდან: თედო რაზიკაშვილს 1905 წ. აგვისტოში ლევიის რედაქციისათვის გაეგზავნა პოლიტიკური შინაარსის ზღაპარი „ყორანი“, რომლის ბოლოს წერილი მიეწერა, სადაც, სხვათა შორის, იკითხებოდა: „ფულები ძალიან მიკირს“ (გადმოწერილი მაქვს დედნიდან). „მკირდება“ ენებითა, „მიკირს“ საშუალი, ოღონდ ფორმობლივ ისინი ერთმანეთს არ ფარავენ.

უგვაროა ისეთი ზმნები, რომელთაც საპირისპირო ფორმები სრულიად აკლია. ასეთებია: არის, იცის, სწამს, აქვს, ვაჟს (ძვ. ქ.), ღირს და სხვა. „ხარობს“ გვარიანი ფორმა (საშ.), რადგანაც მისი საპირისპიროა „ახარებს“ („კარგი ამბისაგან გული ხარობს“). მაგრამ „შეხარის“ უგვაროა, რადგანაც აკლია საპირისპირო „შეხარებს“.

თუ მას საშუალებად ეძახიან, მხოლოდ იმ საბუთით, რომ ენებითის ფორმა არა აქვს და გარდაუყოლია.

377. უცალო მოკმედებითი. უცალოა მოქმედებითი, რომელიც გარდა-მავალია და მართლმდენ ფორმით არის მოქმედებითი, სათანადო ენებითი ან საშუალი აკლია. მაგ., „უბრძანა“ მოქმედებითია, მისი ენებითია „ებრძანა“, მოქმედებითია აგრეთვე „მოაბრძანა“, რადგანაც პირისპირ „მოაბრძანდა“ უდგას, მაგრამ „ბრძანა“ უცალოა: არ ითქმის „იბრძანა“. ამიტომ ის დაცლილია გვარის გაგებისაგან. ერთად-ერთი, რაც საბუთს გვაძლევს, რომ მას „მოქმედებითი“ ეწოდოდა, ეს არის მისი კავშირი აშკარა გვარიან ფორმებთან: ბრძანა—უბრძანა. მსგავსად ამისა, „მოსთხოვა“ მოქმედებითია, რადგანაც მას მხარს უჭერს მისი ცალი ენებითი: „მოეთხოვა“ (პასუხი მოსთხოვოს—პასუხი მოეთხოვოს), მაგრამ „მოითხოვა“ უცალოა. უცალოა აგრეთვე „დაინახა“, მაშინ როდესაც „დაინახვა“ ცალიანია და გვარის გაგებას სავსებით გვაძლევს (დაინახვა—დაეინახვა).

საზოგადოდ უცალოა სათავისო ქცევის ფორმები: ააშენა—აშენდა, აუშენა—აუშენდა, მაგრამ: აიშენა—ამას ენებითი არა აქვს. ასეთივე ვითარებაა აქაც: დაწერს—დაიწერება, დაუწერს—დაეწერება, დააწერს—დაეწერება, მაგრამ: დაიწერს—ამას ენებითი აკლია. გამონაკლისს შეადგენს ის ზმნები, რომლებიც სათავისოა ფორმით, ფუნქცია კი საარგისოსი აქვთ: დაიწყებს—დაიწყება, შეინახავს—შეინახება (წა)იკითხავს წიგნს—წიგნი (წა)იკითხება და მისთ.

378. უცალო ვნებითი. გვხვდება ისეთი ზმნებიც, რომლებიც მარტო ფორმის მიხედვით არის ენებითი, საპირისპირო მოქმედებითი არ მოეპოვებათ და ამის გამო გვარის ნამდვილ შინაარსს მოკლებულია. მაგ., გვაქვს ერთ-პირიანი გარდაუყოლი „წყრება“, მაგრამ არ მოიძებნება მისი კონვენციული ზმნა, რომ ის „წყრება“ ფორმის პირისპირ ორ-პირიანად ჩნდეს და მოქმ. გვარის გაგებას გვაძლევდეს. რაკი, მაშასადამე, „წყრება“-ს აკლია ცალი, რომელიც მას გვარის ფუნქციას ნამდვილად მიანიჭებდა, ამიტომ მისი ენებითობა უფრო მოჩვენებითია, ვიდრე ნამდვილი. ასეთი ენებითი ფორმალურად არის ენებითი და არა ფუნქციონალურად. მსგავსი მაგალითებია: ელის, ებრძვის, ერჩის („გული ერჩის“), ეგულება, ეღირება (ღირს—ეღირება), ეცდება, მიაჩერდა და სხვა. შიგ

ურევია „შეიქრა“-ც ასეთი ფრაზიდან: „მონადირისაგან დაქრილი ირემი ტყეში შეიქრა“ და „გაიქრა“ („ველად გაიქრა“). „ეძგერა“ ნამდვილი პასივია, რადგანაც საპირისპიროდ „აძგერა“ აქვს, მაგრამ „ეცა“ ღლეს უტალაა, რადგანაც მისი ცალი „სცა“ აღარ იხმარება. „ჩააცივდა, აღარ მოეშვა“ — ამათგან საპირისპირო ფორმა არც ერთს არ მოეპოვება.

379. უტალო საშუალი. გვხვდება ზნებიც, რომლებიც გარეგნულად მოქმედებითს ჰგავს, მაგრამ გარდაუვალია, საპირისპირო გვარის ფორმები კი აკლია. ძვ., გვაქვს ზნა „მოსდგამს“ (ასეთი წინადადებიდან: „გვარად მოსდგამს“), რომელიც უტალაა: არ ითქმის არც „გვარად მოადგამს“ (მოქმ.), არც „გვარად მოედგამება“ (ენებ.). სამაგიეროდ საშუალი გვარისაა „ჩასდგამს“ ამ წინადადებიდან:

გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად, მუხა-იფნებით ფარული
(ეჟუა-ფშ., ძახტრა.),

სადაც „ჩასდგამს“ ამახ ნიშნავს: „ჩადგმულია“ (მაშასადამე, ზნას სტატიკური იერი აქვს), მისი საპირისპირო ფორმებია: ჩასდგამს (მოქმ.), ჩაიდგმება (ენებ.), ჩასდგამს (საშ.). ერთად-ერთი რამ, რაც ასეთი დაპირისპირების წინააღმდეგ ითქმის, ეს ისაა, რომ ამჟამად მოქმ.-ისა და ენებითის ფორმები მწკრივის თვალსაზრისით მყობადია, საშუალი „მოსდგამს“ კი—აწმყო.

380. შინაცვლმება გვარში. ზოგიერთ ზნას არ მოეპოვება კონვერსიული ფორმა იმავე ფუძისა, მაგრამ შეიძლება, რომ ეს ნაკლი შევსებულ იქნეს სხვა ფუძის ზნით. ასეობია: დააყენა (2-პირ.)—დადგა („ურემი დააყენა“—„ურემი დადგა“), დააყენა (3-პირ.)—დაადგა („შავი ღლე დააყენა“—„შავი ღლე დაადგა“), გააგლო—გავარდა („თოფი გააგლო“—„თოფი გავარდა“), გადაყარა—გადაცვივდა („ნაცარი გადაყარა“—„ნაცარი გადაცვივდა“). ეჟუა-ფშაველას ერთ მოთხრობაში ვკითხულობთ: „საცა სკოლაში მისცეს, ყველგნით ან თვითონ გამოვარდა ან გამოადღეს“ (V, 295, 2—3). „გამოვარდა“ და „გამოადღეს“ სხვადასხვა ფუძის ზნებია, მაგრამ ფუნქციით ისინი ერთუტრის მიმართ ისეთნია, როგორც „გამოიზარდა“ და „გამოზარდეს“.

სხვათა შორის „კლაეს“ ზნა, თუ ის „დაკლას“ გულისხმობს, ენებითად „იკვლება“-ს გვადლევს, მაგრამ „მოკვლის“ შემთხვევაში ენებითი არ იხმარება და მას „კვლება“ ენაცვლება. ამიტომ „კლაეს“ და „კვლება“ ისე ეუარდებიან ერთმანეთს, როგორც სევან. აღგზრი („კლაეს“) და იღგზრი („კვდება“). ამის გამოა, რომ ითქმის: დახარჯა—შემოეხარჯა, შექამა—შემოექამა, მაგრამ: მოკლა—შემოაკვდა.

381. გვარში და გარდაშინაცვლმება. გვარის საკითხი წყდება საპირისპირო ფორმათა პარალელური არსებობით კონვერსიის ნიადაგზე, გარდამავლობისა კი—პირდაპირი ობიექტის შეწყობის უნარით. თუ ზნას პირდაპირი ობიექტი ეწყობა, ის გარდამავალია: „ვანომ გაკვთილი იცის“, „იცის“ ორ-პირიანი (მან ის) და ორი სახელი ეუარდება: სუბიექტი და პირდ. ობიექტი: ცხადია, ზნა გარდამავალია; მაგრამ „იცის“ არ არის მოქმედებითი, რადგანაც საპირისპირო ენებითი ან საშუალი აკლია.

მსგავსად ამისა „ქირაობს“ გარდამავალია („ქირაობს ოთახს“, „ქირაობ ოთახი“), მაგრამ ის არ არის გეარიაინი, რადგანაც კონკრეტული ფორმები აკლია. რაც შეეხება ამ წყვილს: „აქირაუებს“—„ქირაუდება“, ისინი ერთურობის მიმართ აქტივ-პასივია, პირველი გარდამავალია, მეორე—გარდაუვალი: აქირაუებს ოთახს—ქირაუდება ოთახი.

მსგავსად ამისა „ესწავლობ“ გარდამავალია, რადგანაც მას პირდ. ობიექტი აქვს: ესწავლობ ფრანგულს, ესწავლობ წერას და სხვ. („მე იმათგან ზოგჯერ ქკუასა და ხშირად ენასა ესწავლობო“, ი. ჭ. ათ. ქერა). „ესწავლობ“ და „ესწავლი“ ისეთს მამართებაშია ერთმანეთთან, როგორც, ვთქვათ, „ეკაზ“ და „ეკაზევ“, ან „ვიცემ“ და „ვიცემე“. შეიძლება „ესწავლობ“ ზოგჯერ აბსოლუტურად იქნეს ნახშირი, მაგრამ ეს სხვა მოქმედ. ზმნებსაც ახასიათებს: გული უცემს, თვ:ლი უჭრის და მისთ. („ნეტა დედის სხეასავით ორი თვალი არა პქონოდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შეალისად“? ი. ჭ., ათ. ქერა).

საზოგადოდ მოქმ. გვარის ფორმა გარდამავალია, ენებითისა და საშუალისა კი—გარდაუვალი. ყოველი მოქმედებითი გარდამავალია, მაგრამ ყოველი გარდამავალი არ არის მოქმედებითი.

მმმ. მზარდი და ზმნისწინისი. ზმნისწინისი ღარიუვის თვალსაზრისით საშუალი გვარი მკვეთრად გამოიყოფა მოქმედებითისაგან და ენებითისაგან: აქტივსა და პასივში ჩვეულებრივია ზმნისწინისი სპარება. რაც შეეხება მედიალურ ზმნებს, ისინი სრულებით არ დაირთავენ ზმნისწინს, ან თუ დაირთავენ, მხოლოდ ზოგიერთობი და ისიც თითქმის მხოლოდ აწმკოს წრის მწკრივებში: მი-გორავს, მი-ფრინავს, მი-ცურავს, მი-ქრას, მო-სწონს, ჩა-სდგამს („გორი რამ ჩასდგამს შუბისწვრად მუხა-ივნებით ფარული“, ვეჟა-ფშ., ძხახტრა) და მისთ. სხვა მწკრივებში მედიუმი ზმნისწინს იწვიათაუდ მიიღებს.

მმმ. მზარდი და აბპმდმი. ასპექტი მოვბოვება მარტო ორი გვარის ზმნას: აქტიურსა და პასიურს. რაც შეეხება მედიალურს, ის უასპექტოა. ოლონდ, როგორც ალენიშნეთ (§ 36!), მედიუმში შეიძლება უსრული ასპექტის მაგიერობა გაუწიოს დონიან ენებითს, განსაკუთრებით აწმკოს წრეში.

მმმ. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხი რაუნენალზე შემოთავს ენებობდით (§ 36, 374). საჭიროა, კვლავ დავუბრუნდეთ მას. როგორც ალენიშნეთ, ცალმხრივი წარმოება მოჩვენებით წარმოგიდგენს გვარს და არა ნამდვილად (§ 375). ნამდვილი წინაარსი მხოლოდ მაშინ აქვს გვარის ფორმას, როცა აქტივის გვერდით პასივი მოვბოვება ან მედიუმია, ან კიდევ ამათ გვერდით აქტივი. ამიტომ ის ფორმები, რომელთაც გვარობლივი კორელაცია, კონვერსიის ნიადაგზე დადგენილი, არ მოეზოვებათ, არსებითად უგვარონი არიან, მაგრამ ფორმის მიხედვით შეიძლება ერთ-ერთ მათგანთან მოვითავსოთ: აქტივთან, პასივთან ან მედიუმთან.

ამას გარდა, შეიძლება, რომ გვარის ფორმამ ისე იცვალოს ზინაარსი, რომ დასცილდეს წინაშენებლობით ოდესღაც საკორელაციო ფორმებს და ამით სულ განსოვდეს გვარის კატეგორიიდან. მაგ., ცხადია, რომ „გაყო“ მოქმედებითია, „გაიყო“ მიაი ვენებითი („ორად გაყო“—„ორად გაიყო“). ერთსაც და მეორესაც

ზმნისწინი აქვს (გა-), მაგრამ უზმნისწინო „ყო“ დღეს აღარ იხმარება, დარჩა მისი საპირისპირო „იყო“, მაგრამ მას დაეპარვა ვნებითის მწაფენლობა. ძველს ქართულში კიდევ იხმარებოდა აქტიური „ყო“ („ვინ ყო საქმს ესე“ = ვინ ქნა ეს საქმე?), მაგრამ „იყო“-ს მასთან კავშირი ჰქონდა წარმოშობის თვალსაზრისით და არა შინაარსეულად. ამიტომ „იყო“ ძველს ქართულშიც უგვარო იყო. ის შემდეგ მეწველ ზნადაც იქნა გამოყენებული, ე. ი. მორთქმის სამსახურაზღვე ჩამოქცევიდა (წასულ-იყო).

არის რიგი ვნებითი ზმნებისა, რომლებიც ფორმით ორ-პირიანებია, მაგრამ გაგება ერთი პირისა აქვთ; ასეთებია: გაემგზავრა, გაემარია (= წავიდა), მოემზადა, გაექანა, მოეწყო, დაეშაო, დაეშვა, გაება, გაეთრა და სხვა. ამათი ერთ-პირიანობა იქიდან ჩანს, რომ მარტო ერთ სახელს იწყობენ, სუბიექტს, მეორეს კი, მიცემათში დასმულ ირიბ ობიექტს, არ მიიღებენ: გაება მახეში (და არა: მახეს), დაეშვა მიწაზე (და არა: მიწას), დაეშო მიწაზე (და არა: მიწას), გაეთერ (ბრძან.) და სხვა. მართალია, ითქმის „გაემართა თელავა“, მაგრამ აქ „თელავს“ ადგილის გარემოება და არა ობიექტი.

ამას გარდა შემდეგია აღსანიშნავი: III სერიის ფორმები სხვადასხვანაირად აქვთ ნაწარმოები ერთ-პირიანსა და ორ-პირიან ვნებითებს (მაკალითი: იმალება — დამალულა, მაგრამ: ემალება — დამალვია). ზემოთ აღნიშნული ზმნები კი III სერიის ფორმებს ისე აწარმოებენ, როგორც ერთ-პირიანები საზოგადოდ: გამგზავრებულა, გამზადებულა, გაქანებულა, მოწყობილა, დაშობილა, დაშვებულა, გაბმულა და მისთანა.

რომ შევადაროთ ერთმანეთს „გაემართა“ და „დაემართა“, ერთბაშად შევნიშნავთ განსხვავებას: გაემართა იგი, მაგრამ: დაემართა მას იგი, მაშასადამე, „გაემართა“ ერთ-პირიანია, „დაემართა“ კი — ორ-პირიანი („გაემართა თელავი-საკენ“, „კუდი საქმე დაემართა“).

ზოგჯერ ერთი და იგივე ფორმა ერთ-პირიანადაც შეიძლება გაგებულ იქნეს და ორ-პირიანადაც; ასეთია „დაეცა“. ის ორ-პირიანია ასეთ ფრაზაში: „ბანიდან ქვა გადმოვარდა და ბავშვს დაეცა“, მაგრამ ერთ-პირიანი ასეთში: „ბავშვი ბანიდან გადმოვარდა და მიწაზე დაეცა“. იმისი I თურქულივითია „დასცემია“, ამისი კი — „დაცეშულა“. მაშასადამე, „დაეცა“ ორიილია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები იმის მაჩვენებელია, რომ ზოგჯერ არსებობს აშკარა დაცილება ფორმასა და ფუნქციას შორის. თუ ისტორიულად განვიხილავთ ამ მოვლენას, დავრწმუნდებით, რომ შინაარსი იცვალა, მაგრამ ფორმა ძველი დარჩა: დღეს ითქმის „მიწაზე დაეცა“-ო, სადაც „მიწაზე“ ადგილის გარემოება, მაგრამ ძველის ძველად „დაეცა“ აღმათ ირიბ ობიექტს ითხოვდა: „დაეცეა ქუეყანასა“, სადაც „ქუეყანასა“ (= მიწასა) ირ. ობიექტად უნდა ყოფილიყო გაგებულნი.

კონსტრუქციის შეცვლასთან ერთად ხშირად ფორმის შეცვლაც ხდება. ასეთი შემთხვევებიც გვაქვს: „დაჰადა“, ძველს-ძველად სამ-პირიანი უნდა ყოფილიყო, მისი კონკრეტული „დაებადა“ კი — ორ-პირიანი. მაგრამ უძველეს წერილობით ძეგლებში (მაგ. ოათათაებში), „დაჰადა“ უკვე ორ-პირიანია და მისი კონკრეტული „დაებადა“ — ერთ-პირიანი: დაჰადა — გაჩინა, შექნა, დაე-

ბა და — გაჩნდა, შეიქნა („შაბათი კაცისათვის და ება და და არა კაცი შაბათისათვის“, მარკ. 2, 27). რაკი ამის გამო ფორმა და ფუნქცია ერთმანეთს აშკარად დასცილდნენ, ენა შეეცადა წინააღმდეგობის დაძლევის, ფორმა ახალ შინაარსს დაუმორჩილა და მივიღეთ „დაიბადა“, რომელიც საყოველთაოდ გატარებულია ახალ ქართულში. ოღონდ ის ამქამად მხოლოდ ბავშვის გაჩენაზე ითქმის, ძველი მნიშვნელობა კი „ებადება“ და „აბადია“—შია შემონახული („არათფერი ებადება“; „რა აბადია“ = რა გაჩნია).

„დაებადა“-ს გარდა ასეთივე კონსტრუქციის შეცვლა მოხდა ზოგ სხვა ზმნაშიც: გაიშრათა, დაითესა, დაიბეჭდა და სხვა (შდრ. ასუბ. პრეფიქსი მეორე პირისა, § 35, 36).

ასევე ორ-პირიანი უნდა ყოფილიყო ძველის ძველად, ქართ. ენაზე იშვრლობის დაწყებამდე, აგრეთვე „აღეშენა“, მაგრამ ძველს ქართულში ის ერთ-პირიანია. ამასთან დაკავშირებით ის მეორე ტიპის ენებითში გადავიდა და რელატიური ფორმები აღიღვინა (§ 367).

აბსოლუტურად უნდა გავიგოთ „ერწევიან“ ამ წინადადებაში: „როცა ქარი-შებერავს, სხვა ხეები ერწევიან, მხოლოდ ხმელი წითელი არ ინძრევა“ (ვაჟა-ფშ., ხმ. წით., V, 87, 2) და აგრეთვე „ჩავეფარები“ ამაში: „ტყე რომ გაცვდება, მეც მაშინ მიწაში ჩაეფარები“ (ასოფ. სურ., V, 212, 19).

„ღირს“ ზმნას მუობადში „ელირება“ აქვს. ისინი ფორმის მიხედვით მელიუმ-პასივია, რომლებიც ერთმანეთს მწკრივებში ენაცვლებიან. მაგრამ ნამდვილად გვარის ფორმა არც ერთს აქვს და არც მეორეს. უკანასკნელი ორ-პირიანი ფორმით, მაგრამ გავება ერთი პირისა აქვს.

დინამიკა და სტატიკა

365. სტატუსი და მისი რაობა. სტატუსს ანუ მდგომარეობას ვუწოდებთ ფორმას, რომელიც ენებითი გვარის ზმნის-მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოგივლდგენს დინამიკურად ან სტატიკურად. ამის მისხედვით გვაქვს ორი სტატუსი: დინამიკური და სტატიკური.

დინამიკურია ფორმა, რომელიც მოქმედებას აჩენს პროცესის სახით, (ე. ი. მის მსვლელობაში) და სტატიკურია ფორმა, რომელიც მოქმედებას ერთს ვითარებაში წარმოგივლდგენს. როგორც წყალი შეიძლება იყოს მდინარი ან დამდგარი, ისე ზოგიერთი მოქმედება შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი სახით: მიმდინარე პროცესად ან პროცესის შედეგად, რომელიც უძრავ ვითარებას ასახავს ერთ მომენტში. დინამიკა—ეს არის მოქმედება მოძრაობის სახით, სტატიკა კი—„მოქმედება“ უძრავ მდგომარეობაში. განსხვავებას მათ შორის ადვილად შევამჩნევთ, თუ შევადარებთ ერთმანეთს ამ ორ ზმნას: „ეფინება“ და „აფენია“. თუ გავიგონეთ ფრაზა: „მთებს შუქი ეფინება“-ო, წარმოვიდგებო, რომ მზის შუქი თანდათან გადადის ჩრდილ ადგილებში, მაშასადამე, შუქი მოძრაობს, მსვლელობაშია, მაგრამ თუ გავიგონეთ: „მთებს შუქი აფენია“-ო, მივხვდებით, რომ მთებზე შუქი უკვე მიფენილია და მის მოძრაობას ადგილი არა აქვს, მიფენის პროცესი წინათ ყოფილა, ესლა კი ამ პროცესის შედეგთან გვაქვს.

საქმე. აღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქ არის აშკარად გამოხატული სტატუსი: „ფეინება“ დინამიკური ფორმაა, „აფენია“ კი—სტატიკური. ასეთივე ურთიერთობაა ამ ზნებშიც: „იღვრება“ და „ღვრია“. „წყალი იღვრება“—ვხედავთ, რომ პროცესია: წყალი დის; „წყალი ღვრია“—წყალი დაღვრილია, მაშასადამე, ვხედავთ არა წყლის დაღვრის პროცესს, არამედ ამ პროცესის შედეგს. სხვა მაგალითები:

დინამ.	სტატ.		დინამ.	სტატ.
იწერება	სწერია		იხატება	ხატია
ეცხება	აცხია		ეკერება	აკერია
ეფარება	აფარია		ერკობა	არკვია
ერთყვება	არტყია		ეხურება	ჰხურავს

დინამიკური ფორმა გულისხმობს მოქმედების მიმდინარეობას დროში, სტატიკური კი—მოქმედების ასახვას ერთს მომენტში.

თუ რასმე რეალურს მივამსგავსებთ ამ ფორმებს, შეიძლება ითქვას, რომ დინამიკური ფორმა ზნისა—ეს არის კინოსურათი, წარმოდგარი მოძრაობაში მოყვანილი კინოლენტისაგან, რომელზედაც მრავალი მომენტი ასახული თანამიმდევრობით, ხოლო სტატიკური ფორმა—ეს არის ერთი კადრი ამ სურათიდან, ე. ი. ფოტოსურათი.

შენიშვნა. სტატუსი — ფრ. état, რუს. состояние.

366. სბატუსი როგორც კბამოკი. ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია სპირისპირო ფორმათა ნიადაგზეა ჩამოყალიბებული. ამიტომ არა ყოველი ვნებითი არის დინამიკური სტატუსისა, არამედ ისეთი, რომელსაც მოეპოვება სპირისპირო ფორმა სტატიკური ზნის ნიშნებით, როგორც, მაგ., ესენი: ითესება—სთესია, იწერება—სწერია, ინთება—ანთია და მისთ. რადგანაც ასეთი შეფარდება არა ყოველ ვნებითს მოეპოვება, ამიტომ სტატუსი, როგორც გრამატიკული კატეგორია, სუსტად არის გამოხატული დღევანდელ ქართულში.

367. სბატუსი ზნებში მნიშვნელოვანია ისინი შედეგებითი შექმნისგან, რომელშიც ვნებითის მიმდინარეობა შედის: სთესია—დათესილია, სწერია—დაწერილია; კმარია—დამარტულია, ანთია—დანთებულია, აწყუბა—დაწყუბილია, აბარია—მიბარებული აქვს (ან ჩაბარებული აქვს) და მისთ. მაშასადამე, სტატიკური ზნა—ეს არის ფორმა, რომელსაც შეუძლია თამამად შეცვალოს პასივის მიმდინარეობის შედეგითი შექმნისგან. ამიტომ სადაც სტატიკური ფორმა არა გვაქვს, იქ სწორედ ასეთი შექმნისგან იხმარება: „იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯრითურთ. მოაჯარს ეკრა ზედ მერცხლის ბუდედავით ერთი მცირედი ფიცრული“ (ი. ქ., ჟეც.-ად.). „მიკრა“ ზნის აქვს სტატიკური ფორმა (აკრავს—ეკრა), „ამოყვანას“ კი არა, ამიტომ ერთ შემთხვევაში ნახმარია სტატიკური ფორმა (ეკრა), მეორე შემთხვევაში—მეშველ-ზნისანი მიმდინარეობა: „ამოყვანილი გახლდათ“=ამოყვანილი იყო (შდრ. § 2-4).

ვევ. სტატიკური ზმნები ისე მცირე-რიცხოვანია, რომ შეიძლება მათი ჩამოთვლა. უმთავრესად შემდეგი ზმნები გვხვდება:

1. ა-ბია, ება.
2. ა-ბადია, ებადა („ვისაც საკუქნაო-ში არაფერი აბადია“, ვაჟა-ფშ., ტყვის კომ.) . დინამიკურია: ებადება. აქტიურია: ჰბადებს ან *აბადებს: „მე ქვრივ-ოხერს ვინ მომბაბადა“, ი. ქ., ვაჟა-ფშ., ი. 283,7).
3. ა-ბარია, ებარა („ამდენი საქონელი და მწყემსები მე მბარია“, ყ. 283,7).
4. ა-ბეჭდია („ელისაბედს... ახსოვს კი არა, გულს ღრმად აბეჭდია ის ტურფა საღამო“, გაბაშვი., 115).
5. ჰ-ბურავს, ებურა.
6. ა-ბნევია, ებნია.
7. უ-ბჯენია, ებჯინა („ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა“, ი. ქ., ოთ. ქვრ.; „მკლავი ხანჯალზედ ებჯინა“, ი. ქ., ვაჟა-ფშ.).
8. ა-გია, ეგო (აგია = დაგებულა, მაგ. ლოგინი, ხალიჩა).
9. ჰ-გიეს, ეგო (იზმარებოდა ძველად; ნიშნავდა: არის, არსებობს).
10. ა-გდია (ჰ-გდია), ეგდო („იქვე გდია იმისი ლახტი“, ვაჟა-ფშ., კვლდე მტრ., V, 136,8).
11. ჰ-გონია, ეგონა.
12. ა-ვალა (= დავალებული აქვს; ქართლელისაგან ვაგონილი ფორმა). საპირისპიროა: ევალება.
13. ა-ვლია, ევლო („იმათ კირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას—ცალკე“, ი. ქ., ოთ. ქვრ.).
14. ს-თჯნია (უ-თჯნია), ეთესა.
15. უ-კავია, ეკავა.
16. უ-კეთია, ეკეთა.
17. ა-კერია, ეკერა.
18. უ-კეცია, ეკეცა.
19. ჰ-კილია (= დაკიდებულია), უ-კილია [= მოკიდებულია (ხელი, ცეცხლი)], ეკილა.
20. ა-კმეფია, ეკმია.
21. ა-კოსია („ეს ბუზბრული ქული ღლე-საც აკოსია თავზე“, ა. წერ.).
22. აკრავს (ა-კრია, ჰ-კრია), ეკრა („იქნება ამოირეცხო გულიდან თუ რამ ფშავლობისა გაკრია“, ვაჟა-ფშ., მორკვეთ., V, 43, 15; „ებლა მთას ნისლი აკრია“, იქვე, 437,5). „არც ფეხზე ჰკრან ნალნია“ (ფშ.).
23. ა-ლაგია, ელაგა.
24. ჰ-მარხნია, ემარხა.
25. ჰ-მოსია, ემოსა (მარკ. 1,6).
26. უ-მწყედღეფია, ემწყედღია („იმთ რუსები ემწყედღათ მთიულეთის ქალებში“, ყაზბ. ელგ.).
27. ა-მხვია, ემხო (ამხვია = დამხო-ბილია).
28. ა-ნთია, ენთო.
29. უ-პყრია, ეპყრა.
30. არგია (= მორგებული აქვს); არგია (= მისი სასარგებლოა: „ანთებ და კარგი ხარ, მაგრამ არგის არგობარ“, ა. წერ.).
31. უ-რეფია, ერია.
32. ჰ-რთავს (= დართული აქვს, ურე-ვია. იზმარებოდა ძველად: „აწ ვინაჲ ჰრთავს ღუარძლქ ესე“ (მთ. 13,27 აღიშ.); „არაი რთავს ჩემის მამულისა ჩემსა სისხლისა ბაღდადით მოგებულისა მეტი“ (ძაგან აბუღეთის ძის სიტყვში, XIII ს.).
33. ა-რტყია, ერტყა.
34. (*ჰ-რტყია—) ჰტყია, ერტყა.
35. *უ-რჩეფნია (*ურჩეფნია), ერჩნია.
35. ა-რჰვია (← ასჰვია) ერჰო (ერ-ჰვა←ესჰვა) („სხვათა ნასროლ-

- ისარეე ვოქს ესპეკე, ხესორუ-
ლი არლაზა: წყელიქლა, 205).
ამავე ძირისაა „სასმეველი“.
37. ა-ს-ფლავეა (იხმარება მარტო აწ-
მყოში).
38. ა-ს-გია, ესვა (ას ვ ი ა = დასობილია)
39. უ-ს-გია (= წასრული აქვს).
40. ა-ს-გენია, ესვენა.
41. ა-ს-ბია, ესხა.
42. ს-ტანია, ეტანა („იმას ორი სხვა
ამხანაგი ეტანა“, ვაჟა-ფშ., V,
250, 15).
43. ს-ტეგია, ეტია („თავის ტყავში
არ ეტია“. უფრო დინამიკური
იხმარება: ეტევა, ეტეოდა).
44. ს-ტენია („ბნელს ბოსელში ვტე-
ნოვართ“, ვ. გაბაშე.)
45. ა-ტყვია (წყვეტილი აქლია, უწყვე-
ტელში დინამიკური ენაცვლება:
ეტყობოდა).
46. ჰ-ფანტია, ეფანტა.
47. ა-ფარია, ეფარა.
48. ა-ფენია, ეფენა.
49. უ-ფლიეს (იხმარებოდა ძველად:
„სხუესა ნუ ვის უფლიედ ჩუნ
თანა შემოსლვად“, წყამ. შუშ.,
6, 3).
50. ა-ფრქვევია, ეფრქვია („ნამქერი-
საგან გატიტვლებულ ადგილებს-
თვის მზეს მოსწერო და რაც და-
ნარჩენი თოვლი ეფრქვია,
გაედნო“ (თ. რაზიკ., ვაზაფხ. ა).
51. ჰ-ღვრია, ეღვრა.
52. უ-ყენია, ეყენა („ზეფეს გვერდს
ეყენა უფროსი ეებირი“ (ვაჟა-
ფშ., ამუცელა); „ისინი შესდნენ
ცხენებზედ, რომელიც იქვე ეყე-
ნათ“ (ვ. 127, 22).
53. ჰ-ყუღია, ეყუღა.
54. ყუნთია, ეყუნთა (= მოხრილია,
დახრილია): „გაგებლავ ვაე-
დაც სთავდა, თად მასაწყლებით
ყუნთია“ (ვაჟა-ფშ., V, 235, 26;
„გიომი დასტყუელს დახესა
ჰმესი, თავის ჩინულში ჰყუნ-
თია“ (ვაჟა-ფშ., V, 110, 4 ქვ.).
შტრ. ჰ-ყუნთია.
55. ჰ-ყუნტია, ეყუნტა. თოქო ეს ზნა
სხვა და ჰყუნთია კი სხვაო.
ჰყუნტია -- დაღუნტულია (და-
ყუნტებულია), ე. ი. წარმოუღარია
(ძალი, ბაყაყი): დაყუნტდა
(მელია: ვაჟა-ფშ. III, 221, 4 ქვ.),
დაყუნტებული (მელია: Ib.
222, 18). თუმცა ევხევაბა ამავე
მნიშვნელობით დაყუნთებუ-
ლი-ც (ძალი: ვაჟა-ფშ. I, 155, 3).
ყუნთ ძირი ზოგ შემთხვევაში
შეიძლება იგივე იყოს, რაც
ყვინთ: ეყვინთება (ჯურიაში)
-- სთვლენს.
56. ჰ-ჭრია, ეჭრა.
57. ა-შავია („რა აშავია“-ო იტყვიან
ცუდად მოხსენების დროს, ე. ი.
რა აბადიო, რა გააჩნიაო).
58. ჰ-შლია, ეშალა („პარკეთიანს ია-
ტაქებ ძუის ხალია შლია“, იხზა,
I, 283, 10—11; „არ გასცილდე,
მიწაზე რომ სწევხარ“-ო, უთბრეს
ერთ ქალს ერწოში. — „ქვეშ მი-
შლია“-ო, უპასუხა მან. „ქვეშ
ეშალა ლეკური ნაბჯის ნაგლე-
ჯი“ (ი. ჰ. ვლ. ნაამბა.)
59. ს-ჩევეია (იხმარება მარტო აწყო-
ში).
60. ს-ჩრია, ეჩრა („ხეთისოს კეცში
გამომტვარი ჰუბის მობრდილი
უა ეჩრა ილიაში“, ვაჟა-ფშ.,
V, 167, 28; მწყემსებს „კომბლები
ილიაში ეჩრაით“, ი. ჰ., ათ-
ქერა).
61. ა-ჩნია (წყვეტილის ნაცვლად უწ-
ყვეტილი: აჩნდა). იმავე მნიშვნე-
ლობით „აჩნევა“ (ან „აჩნევა“)

ინმარება. („ზედ ანგეია“, კ. 284,2) წყვეტილი არც ამას აქვს, ენაცვლება დინამიკური ფორმა უწყვეტის ფორმით: „ემჩნეოდა“.

62. ს-ჩიხია, ეჩხირა („გუხსევეელი ვაჟაკი არ სჩანს, აღარსად სჩიხია“, ვაჟა-ფშ., V, 149,10; „და ამოაგდონ ძირითა, საცა ეკალი სჩიხირა“, იქვე, 213,2).

63. ა-ცვია, ეცვა.

64. ვ-ცხია, ეცხო.

65. ს-წერია, ეწერა.

66. ა-წყვია, ეწყო.

67. უ-ქერია (უ-ქირავს), ექირა („იმ დალოცვილის შვილებს რკინის ქახრაკისებ მაგრა ვექირე“, ი. კ., ფლ. ნაამბ.).

68. უ-ქვეტია, ექვიტა („საწყალი კურდღელი! სძინავს და თვალები უქვეტია,—თუ ფხიზელია, ხომ

სია, უქვეტელია, სრული არ არის, მაგრამ ყველა რომ ჩამოიწეროს, ალბათ, საერთო რიცხვი 120-ს ძლივს მიაღწევს (სამიოდე მაგალითი Vogt-ის გრამატიკიდან მაქვს ამოღებული: აბექია, აკოსია, სტენია).

აღნიშნული ზნეები პრევერბს არ დაირთავენ და უწყვეტელსა და I კავშ.-ს ვერ იკეთებენ. ამით ისინი მკვეთრად გამოირჩევიან დინამიკური ზნეებისაგან.

გვარის თვალსაზრისით ეს ზნეები პასივში შედიან და მედიოპასივებთან ერთად აწმყოში I-სა და II სუბ. პირში მეშველ ზნნას მიიღებენ აწმყოში.

დინამიკისა და სტატიკის საკითხი მარტო გარდაუქვალ ზნეებს ეხება.

სტატიკური ფორმები უმთავრესად ზნნათა ფუძეებისაგან კეთდება, მაგრამ გვხვდება სახელთა ფუძეებისაგანაც: ავალია, აშავია („შავ“-ისაგან; „ვინ მიამაგვებს“—ვინ ნისცემს), ასაფლაფია. უკანასკნელი მიღებულია „საფლაფ“-ისაგან (ასაფლაფებენ—ასაფლაფია), რომელიც თავის მხრით ფალ ფუძეს ეყრდნობა: დაფვალ, დაფლა, ფლაფს, საფლაფი.

ფშ. ფორმისა და ფშ. ფორმის უკანასკნელის საბიძგი სტატიკურ ზნეებში. სტატიკურობა ზნნისა მხოლოდ მაშინ არის ნათელი, როცა მას გვერდში სპირისპიროდ დინამიკური ფორმა უდგას, ამიტომ „სთესია“ ნაწდელიად არის სტატიკური, რადგანაც ჩვეულებრივია დინამიკური „ითესება“. ასევე შინაარსიანია: ეკრება—აქერია, ეკრდება—ჰკრია, ეღვრება—ჰღვრია, ენთება—ანთია, ეცხება—აცხია, ეგრება—სჩრია და მისთ. მაგრამ „ჰგონია“ მარტო ფორმით არის სტატიკური, შინაარსი კი აღარ აქვს, რადგანაც სპირისპირო ფორმა ამჟამად აკლია (შდრ. § 386).

უქვეტია და უქვეტია“! ვაჟა-ფშ., „კურდღ.“); ლუარსაბი „ვერც არასა ჰხედავდა, თუმცა თვალები კი ექვიტა“ (ი. კ., „კაც.-ად.“).

69. ა-ხატია, ეხატა.

70. უ-ხელია („რად უხელია მძინარე კურდღლეს თვალები“? ვაჟა-ფშ., „კურდღ.“).

71. უ-ხვევია, ეხვია: „კალთაში პაპა-ჩემს ორი ხმინდის ნაქერი ეხვია“, (ვაჟა-ფშ., V, 185,16); „იკადრათის ლურჯის ხელსახოცის ამოღება, რომელშიაც რალაცები ეხვია“ (ი. კ., „კაც.-ად.“).

72. ჰხირია, ეხირა („შეჰხვდა იასაულს, რომელიც იქვე ეხირა“, ყ. 379,12).

73. ჰ-ხურავს, ეხურა („კაცი ვარ და ქული მხურავს“).

74. უ-ხუჭავს თვალები (= დახუჭული აქვს თვალები).

390. **სტატიკური ზნებთა დაბოლოებისათვის.** სტატიკურ ზნებებს ძველ ქართულში აწყოს შწკრივი ფუძის ბოლოს რთული იე სუფიქსი მოუდიოდა, რომლის მეორე ნაწილი (ე) იკარგებოდა III პირის მრ. რიცხვში: ე-ჰგონიე, ჰ-გონიე, ჰგონიე-ს, ე-ჰგონიე-თ, ჰ-გონიეთ, ჰ-გონი-ან. ახალ ქართულში ამ ზნებმა I-სა და II სუბ. პირში მეშველი ზნა დაირთო, III-ში კი ე-ს-ის ადგილი ა-მ დაიკირა, როველიც ზოგ შემთხვევაში მრავლობითის ფორმიდან მოდის [ჰგონი-ა(ნ)], და როველიც გარეგნულად მეშველი ა(რს) ზნის შეკვეცილ სახეს ჰგავს. ამიტომ ისეთი სურათია დღეს, თითქო მეშველი ზნა ყველა პირში იყოს გატარებული: ეჰგონი-ვარ, ჰგონი-ხარ, ჰგონი-ა, ეჰგონი-ვართ, ჰგონი-ხართ, ჰგონი-ა(ნ). მაშასადამე, ამჟამად III სუბ. პირის ფორმას მნ.-ში ბოლოს ია მოუდის: სწერია, სთესია, ჰკილია და მისთ. (ძველად: სწერიეს, სთესიეს, ჰკილიეს და მისთ.); გამონაკლისს შეადგენენ ავ-იანი ზნებები, რომელთაც შენახული აქვთ ავ: ჰხურ-ავ-ს, აქრ-ავ-ს, უქრ-ავ-ს, მაგრამ მათ პარალელური ფორმებიც მოეპოვებათ, ანალოგიით გაკეთებული და ია-ზე გათავებული: ახურია, აქრია, უქერია. სამაგიეროდ, ფშაურმა და ხევსურულმა ამ შემთხვევაში ავ-ს მისცა დიდი გასაქანი: იე-ხ დაბოლოების ნაცვლად ავ-ს გაატარა ბეერვან, ოლონდ სუბიექტური ხ ნიშნის ჩამოკეციით: სჩრ-ავ, სტან-ავ, ირტყ-ავ, ჰყულ-ავ, აბ-ავ და მისთ. მაგალითები ვაჟა-ფშაველადან: „სულ ფეხზე ჰყულავ“ (V, 63,32; შდრ. „სულ ფეხზე უყუღია ხმალი“, V, 136,8); ავლავ (I, 44,19); ჰბავ (I, 26,34); აცვავ (III, 108,18), სტანა(ე)-ო (III, 189,31), „ყანას რო სთესავ თესლიო“ (ახალ-პ., № 399,7).

391. **სტატიკური ზნებზე და მდლიოპასიში.** სტატიკურ ზნებთან მნიშვნელობით ახლო დგას მედიოპასივი. შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული მნიშვნელობის მხრივ არ არის არაფითარი განსხვავება მედიოპასივსა და სტატიკურ ზნებებს შორისო. მართლაც: წვეს, დგას, ზის, სხედს, ძეგს, სძინავს, ჰღვიძავს და სხვა არსებითად სტატიკური ზნებია, იმიტომ რომ ფორმები: დგას—ილვა, წვეს—იწვა, ზის—იჯდა, სხედს—ისხდა, ძეგს—ილვა, სძინავს—ეძინა, ჰღვიძავს—ეღვიძა და მისთანანი ისეთს ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც სწერია—ეწერა, ჰკილია—ეკილა და მისთ. მაგრამ, მეორე მხრით, ექვი არ არის, რომ მათ სხვადასხვა ფორმა აქვთ; შევადაროთ ერთმანეთს ეს წყვილი: „წვეს“ და „ჰკილია“. კონვერსიის თვალსაზრისით ორივე ერთნაირია: აწვენს—წვება—წვეს; ჰკილებს—ეკილება—ჰკილია. მაგრამ „წვეს“ და „ჰკილია“ (ძე. ქ. ჰკილიე-ს) სხვადასხვანაირად გაკეთებული ფორმებია. II სერიის ფორმებიც ამას სხვანაირად აქვს ნაწარმოები (ეკილა), იმას კი—სხვანაირად (წვე: ჰქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული“, ვეფხ.-ტყ., 522; აქედან შემდეგ, ვნებითთან ანალოგიით: იწვა). სტატუსის თვალსაზრისითაც ისინი თითქო ერთნია: ორივე გადმოგვეცემს ისეთს ვითარებას, რომელიც სუბიექტის „მოქმედებას“ უძრავად წარმოვეიდეგნს, ან—უფრო ზუსტად რომ ვთქვათ—ერთს მდგომარეობაში ყოფნას აღნიშნავს. ამასთანავე ერთად ორივე შეგვიძლია ასე თუ ისე მიმღებობანი კონსტრუქციით შევცვალოთ: წვეს — დაწოლილია, ჰკილია — დაკილებულია.

მეორე მხრით ისიც არის აღსანიშნავი, რომ „ჰკილია“-ს გვერდით, —იშვიათად, მაგრამ მაინც, —„ჰკილივს“ ფორმაც გვხვდება: „სამსახური ჰკილავს“ (ცხრა-ზმის ხევისუფალთა X ს. ძეგლზე: «საისტ. მოამბე», I, 1925, გვ. 97), „მამბ-

ჩემის ვალი ბარძიხს ჰკიდავს“ (ი. ოსესშე., 95,10). თუ ამასთანავე მოვავლობთ, რომ ავ-ზე სხვა ზმნებიც გვაქვს ანავე ტიპისა (ჰხურავს, აკრავს, უკირავს), რაღა გვიშლის, რომ აქვე შემოვიტანოთ „ჰშორავს“, „სძინავს“, „ჰლვიდავს“ და მისთანანი? და თუ ესენიც სტატიკური ზმნებია, რაღა იქნება „ჩასდგამს“ ამ წინადადებიდან: „გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად“, რომელიც ზემოთაც დაგიმოწმეთ ვაჟა-ფშაველადან (§ 379)? ახლა დავსძინოთ ამას კიდევ, რომ მთის კილოებმა სტატიკურ ზმნებში ავ დაბოლოება გაატარა ბევრგან (§ 390) და ადვილად დაფრწუნდებით, თუ რაშდენად ძნელია მშოღარის გავლება მედიოპასივსა და სტატიკურ ზმნებს შორის. საკითხი ისედაც შეიძლება დაისვას, ხომ არ შეიძლება, რომ სტატიკური ზმნები, გვარის თვალსაზრისით, საშუალს მიეკუთვნოს, ვთქვათ ასე:

მოკმ.	ვნებ.	საშ.		მოკმ.	ვნებ.	საშ.
ღვრის	იღვრება	ღვრია		უკიდებს	ეკიდება	უკილია
წერს	იწერება	სწერია		აკერებს	ეკერება	აკერია
ხატავს	იხატება	ხატია		აკრავს	ეკრება	აკრავს

ამჟვარი განაწილება სტატიკური ზმნებისა. იმ მხრივ იქნებოდა შეუფერებელი, რომ მაშინ გვარსა და სტატუსს შორის ასეთი ურთიერთობა დამკარდებოდა: ფორმა, რომელიც გვარის თვალსაზრისით ვნებითია („ეკიდება“); სტატუსის თვალსაზრისით დინამიკური იქნებოდა, ხოლო ფორმა, რომელიც გვარად საშუალოა, სტატუსის მიხედვით სტატიკური იქნებოდა, ე. ი. მაშინ ალარ გვექნებოდა საერთო ფონი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ადვილად გაგვეჩინა საპირისპირო ფორმები და ამით დაგვედგინა როგორც ქვე-კატეგორიები (დინამიკა და სტატიკა), ისე ზე-კატეგორია (სტატუსი), ე. ი. კატეგორია კერძობითი და ზოგადი. ამიტომ, სტატიკურ ზმნებს გვარის თვალსაზრისით ვნებითს ეკუთვნებთ და მისი ადგილი გვართა სისტემაში ასე გვაქვს წარმოდგენილი:

მოკმ.	ვ ნ ე ბ ი თ ი			მოკმ.	ვ ნ ე ბ ი თ ი	
	დინამ.	სტატ.			დინამ.	სტატ.
ღვრის	იღვრება	ღვრია		უკიდებს	ეკიდება	უკილია
წერს	იწერება	სწერია		აკერებს	ეკერება	აკერია
ხატავს	იხატება	ხატია		აკრავს	ეკრება	აკრავს

ნათქვამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითად განსხვავებას სტატიკურ ზმნებსა და მედიოპასივს შორის ფორმათა წარმოება ამკლავნებს. მაგრამ, როგორც შემდგომ პარაგრაფში ვნახავთ, არც ეს ნიშანია მკვიდრი. §92. სტატიკურ ზმნეთა ფარგლებში გაშარტოვება. მედიოპასივისა და სტატიკური პასივის ფუნქციონალური სიახლოვით აიხსნება ის გარემოება, რომ, როგორც ვთქვით, ერთი მხრით სტატიკური ზმნები იღებენ ავ დაბოლოებას, მაგ. ჰკიდავს (განსაკუთრებით მთის კილოებში: ჰყუდავ და სხვ., § 390), მეორე მხრით მედიოპასივი იცვლის თავის დაბოლოვებას და სტატიკურისაზე გადადის.

„ძვეს“ ზნის პარალელურად „ღვეს“ მოგვეპოვება, რომელსაც სასხვისო ფორმად „უღვეს“ უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ. მაგრამ მის ნაცვლად „უღვია“-ც გვხვდება („თავი უღვია მკლავზედა“, ვაჟა-ფშ., I, 6, 1). არ შეიძლება აქ არ დაინახოთ ენის ტენდენცია მედიოპასივის გათანაბრებისა სტატიკურ ვნებითთან. ასეთივე ტენდენცია გვაქვს აქაც: ღვას—უღვას—ადვას. უკანასკნელ ფორმათა ნაცვლად ზოგ კილოში „უღვია“ და „ადვია“ გვხვდება („ჯერ კიდევ სული გვიღვია“, ყ. 216, 23; „ყველაზედ მეტი სამსახური ჩვენ გვადვია“, ყ. 224, 32). საყურადღებოა ისიც, რომ წყვეტილში რელატიურ ფორმებს ე აქვთ ამჟამად: „ელგა“. ამიტომ, თუ ღველად წყვეტილის ფორმები: ღვა—უღვა—ადვა ისეთ ურთიერთობაში იყო ერთმანეთთან, როგორც აწმყოსი: ღვას—უღვას—ადვას, სამაგიეროდ ამჟამად ასეთი შეფარდება გვაქვს: ღვას—უღვას—ადვას: იღვა—ელგა. ეს ი-ღვა—ე-ღვა ამჟამად ისე იღის, როგორც დინამ. ვნებითი და ი-ხა—და-ე-ხა-ს ტიპ: სა. სამაგიეროდ ამ ხანით: უღვას—ელგა (resp. ადვას—ელგა) ეს ზნნები ისე წარმოგვიდგება, როგორც უწერია—ეწერა (resp. აწერია—ეწერა), ე. ი. როგორც სტატიკური ზნნები.

საზოგადოდ უასლეს ქართულს აქვს ერთგვარი ტენდენცია სტატიკურთა ფარგლებში მოაქციოს ისეთი ზნნებიც, რომლებიც ტიპობრივად მედიოპასივია. მაგ., უეჭველია, რომ „სახლობს“ მედიოაქტივი ზნნა ამ გასოტქმავში: „ჩემი სახლიც სახლობს“, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობაც აქვს: სახლობს—და-სახლებულია, სახლ-კარი აქვს, სახლია (თუ შეიძლება ასე ითქვას). უკანასკნელი მნიშვნელობით ზნა მედიოპასივია და წყვეტილში „ესახლა“-ს გვაძლევს:

მე სოფლის თავსა ვე სახლე, არა სოფელი ჩემს თავსა (ხალხ.).

ცხადია, სახლობს—ესახლა ფუნქციით ისეთს ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც სწერია—ეწერა, ჰკილია—ეკილია, აბია—ება და სხვა. თუ აგრეა, რა გვიწლის ხელს, რომ ტიპობრივად სხვანაირი ზნაც (აბ-იანი) სტატიკურებში ჩავრიცხოთ?—თითქო არაფერი.

მედიოაქტივია აგრეთვე „ბეჟუტავს“ (ბეჟუტავს—იბეჟუტებს—იბეჟუტა). მაგრამ რაღაა „ბეჟუტა“? („სინათლე გამოდიოდა, ქრაქი ებეჟუტათ“, თ. რაზიკ., ღვაწაფხა.).—ცხადია, ის ისე უნდა გავიგოთ, როგორც სტატიკური ზნა, რომლის აწმყოა „უბეჟუტავს“ (უბეჟუტავს—ებეჟუტა). და თუ სტატიკურია რელატიური ზნა „უბეჟუტავს“, რაღა უნდა იყოს მისი. აბსოლუტური ცალი „ბეჟუტავს“?

ესლა ეს ვნახოთ: ჰმართებს—ეჰართა („ფული ჰმართებს“—„ფული ემართა“). ზნა ყველაფრად სტატიკური ჩანს, რომ სათანადო დინამიკური ელვს გერდით. მართალია, აქ-იქ ითქმის: „ჩემი ფული დემართა“-ო (ე. ი. ვალად დაედლოო), აქედან აწმყოში მოსალოდნელია „ემართება“, მაგრამ ის ფულზე არ ითქმის, სხვა შემთხვევაში კი ითქმის, მაგ., რა გემართება=რა მოგდის.

როგორც ვხედავთ, სტატიკურ ზნნათა რიგებში ექცევა ისეთი ზნნებიც, რომელთაც თემის ნიშნებად მოუღის ავ (აკრავს, ჰხურავს და სხვ.), აბ (სახლობს), ებ (ჰმართებს), აშ (პრევერბიანი „ჩასდგამს“!), ამგვარად იშლება ფორმალურ ი გზღვარი მედიოპასივისა და სტატიკურებს შორის.

სტატიკურებში მოქცეულია დღეს „ჰქვია“, მიღებული აქტივი ფორმისაგან: ეს ფორმა წარმოშობით ხოლმეობითია: ჰრქვან (ძე. ქ.). ის III პ.-ის მრ. რ.-ის ფორმაა, სამ-პირიანი, მაგრამ იმპერსონალურად ხმარების შედეგად სუბ. პირი მიიღია, შემდეგ სულ დაიკარგა და ორ-პირიანად გახდომის შემდეგ ირ.-ობიექტური პირი ზნაში სუბიექტურად იქნა გაგებული. ამას გარდა ფორმამ დრო იცვალა, წარსულის ნაცვლად ეხლანდელის გაგება მიიღო და აწმყოში გადმოვიდა. ამით სტატიკურებს მიეკედლა სახეებით: ჰქვია (←ჰრქვია)—ერქვა.

სტატიკურ ზნათა დიდისაგან დიდი უმეტესობის დაბოლოება დღეს იხარის (ძველი ი-ე-ხ). ამ დაბოლოებაზე გადმოვიდა რიგი ზნებისა. აწმყოში: სჯობია (ჩვეულებრივ „სჯობს“: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, ფეფხ.-ტყ.ა), აკლია (ძველად: აკლს), მი-აჩნია, გა-აჩნია (არაფერი გა-აჩნია=არაფერი აბადია), სწყურია (ძველად: სწყურის), ჰშია (ძველად: ჰშიის), ჰრცხენია (ძველად: ჰრცხენის), ეშინია (ძე. ჰეშინის), უხარია(ნ), რომლებიც წარსულის ფორმას უწყვეტლით იკეთებენ: სჯობდა, აკლდა, მიაჩნდა, გააჩნდა, სწყუროდა, ჰშიოდა, ჰრცხენოდა, ეშინოდა, უხაროდა. უკანასკნელი ფორმები ძველდგან მოდის, გარდა ჰშიოდა-სი, რომელიც ანალოგიურად არის ნაწარმოები (ძველად: „შე-ეშია“) რაც შეეხება „სცალია“-ს (ძველად: სცალს), მასთან „ეცალა“ უფრო ჩვეულებრივია, ვიდრე „სცალა“; „შეუძლია(ნ)“ კი „შე-ეძლო“-ს გაძღვეს.

ამავე ჯგუფშია შემოსატანი „მისჩერებია“ („შესჩერებია“), რომელიც აწმყო და ეხლანდელი დროის გაგებას შეიცავს (=მიჩერებულია, უყურებს), მაგრამ არ განსხვავდება I თურმეობითისაგან: მიაჩერდება, მიაჩერდა, მისჩერებია. ასეთივეა აგრეთვე „ჩასცივებია“.

ქ მ ე ჯ ა

393. 393-ის რაობა. სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის (ან ობიექტური პირების) უბრალო აღნიშვნის გარდა ქართულ ზნას მოეპოვება აგრეთვე საშუალება გამოხატოს, რომ

a) ობიექტი, რომელსაც ობიექტური პირი ეფარდება ფორმაში, არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა დანიშნული; ან

b) ობიექტი მოქმედ პირს ანუ სუბიექტურ პირს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი; ან კიდევ

c) ერთი ობიექტი მეორეს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი.

მოძღვრებას ქართ. ზნის ამ საშუალებათა შესახებ ეწოდება საქცევი, ხოლო თვითეულ ფორმას კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით განსხვავებულს—ქცევა ანუ ვერსია. ამის მიხედვით გვაქვს სამი ქცევა: საარვისო, სათავისო და სასხვისო, ანუ, რაც იგივეა, სამი ვერსია: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო.

საარვისოა (ნეიტრალურია) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (დანიშნული): „სახლს ვაშენებ“.

სათავისო (სასუბიექტო) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდ-ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს, ან მისთვისაა განკუთვნილი: „სახლს ვიშენებ“.

სასხვისო (საობიექტო) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდ-ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ირიბისთვისაა განკუთვნილი: „სახლს ვუშენებ“.

მაშასადამე, ქცევა ანუ ვერსია არის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა ურთიერთობაა კუთვნილება-დანინშულების თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის. ეს აღნიშვნა ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი, ე. ი. კუთვნილება-დანინშულებითი ურთიერთობა შეიძლება აღინიშნოს ან არ აღინიშნოს, საამისოდ მოიპოვება საოპოზიციო ფორმები, რომლებიც ერთმანეთს კუთვნილება-დანინშულების მიხედვით უპირაპირდებიან.

შენიშვნა. ქცევა აღნიშნავს არა მარტო ფორმას, კუთვნილების მიხედვით განსხვავებულს, არამედ აგრეთვე განკუთვნილების ანუ დანიშნულების მიხედვით განსხვავებულსაც, მაგრამ სიმოკლისათვის ხშირად მარტო კუთვნილებას ვახსენებთ ხოლმე.

ქცევათა ბუნებისა და თვისების გამორკვევა უფრო გარდამავალი ზნების საშუალებით არის შესაძლებელი. რომ ავიღოთ მაგალითისთვის „წეა“ და „კეთება“ ზმნისაგან ნაწარმოები ფორმები:

წერს, ი-წერს, უ-წერს, ან
ა-კეთებს, ი-კეთებს, უ-კეთებს,

ვნახავთ, რომ ისინი ერთიმეორის დაპირისპირებით სულ სხვადასხვა წარმოდგენას გვაძლევენ: „წერს“, „ა-კეთებს“,—აქ ფორმით არ არის ნაგულისხმევი არავითარი კუთვნილებითი ურთიერთობა; შეიძლება ითქვას: წერს თავისთვის ან წერს შენთვის ან კიდევ წერს ჩემთვის; აკეთებს თავისთვის ან აკეთებს შენთვის ან კიდევ აკეთებს ჩემთვის. სამავიეროდ „ი-წერს“ ან „ი-კეთებს“ ფორმები გულისხმობს, რომ წერს ან აკეთებს თავისთვის (არ შეიძლება ითქვას: იწერს შენთვის ან იკეთებს ჩემთვის), ხოლო „უ-წერს“ ან „უ-კეთებს“ ნიშნავს, რომ წერს ან აკეთებს სხვისთვის (აქაც არ შეიძლება ითქვას: უწერს შენთვის ან უკეთებს ჩემთვის). მაშასადამე, „წერს“ და „აკეთებს“ ფორმაში არავისი კუთვნილება არ არის გამოხატული, დანარჩენებში კი გამოხატულია, რომ მოქმედება თავისაზე ან თავისთვისაა („ი-კეთებს“, „ი-წერს“), ან არა და სხვისაზე ან სხვისთვისაა განკუთვნილი („უ-კეთებს“, „უ-წერს“). აქედან არის მათი სახელწოდება: საარვისო, სათავისო და სასხვისო.

განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალკ-ცალკე.

354. საარვისო ძმება ბარდამავალ ზმნაში. გარდამავალ ზმნებში საწინაო პირიელი ნიშნები (ე. ი. სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსები) ზოგჯერ უშუალოდ ერთვის ფუძეს, ზოგჯერ კი საპიროა განსაკუთრებული მართებელი ზმოვანი ა-ს სახით. მაგ., ამ-ფორმებში: მ-კლავს და მ-წერს (უკანასკნელი ამ ფრაზიდან: „წერილს მწერს“) სუბიექტ-ობიექტის მარტივი ურთიერთობის გა-

მოსახატავად სუბიექტ-ობიექტური (მ—ს) ნიშნების გარდა არავითარი მორფემა არ მოგვეპოვება. მაგრამ ამ ფორმებში: მ-ა-მზადებ-ს და მ-ა-ქმევ-ს სუბიექტ-ობიექტურ ნიშნებს გარდა არის კიდევ ა, რომელიც მოქცეულია ობიექტურ ნიშანსა და ზანის ფუძეს შორის. ესაა თუ ავიღებთ ამ ოთხ მაგალითს, რომელთაგანაც პირველ წყვილს (მ-კლავ-ს, მ-წერ-ს) მარტოოდენ ობიექტური ნიშანი მიუძღვის წინ, ხოლო მეორე წყვილს დამატებით აქვს კიდევ ა (მ-ა-მზადებ-ს, მ-ა-ქმევ-ს) და ერთმანეთს დაუპირისპირებთ არა წარმოების მიხედვით, (ე. ი. არა მორფოლოგიური აგებულების მიხედვით), არამედ სინტაქსურ თვალსაზრისით, მაშინ „მ-კლავ-ს“ და „მ-ა-მზადებ-ს“ ერთ ჯგუფში მიექცევა, ვინაიდან მათთან ობიექტად მარტოოდენ „მე“ შეიძლება დაისვას („მკლავს მე“, „მამზადებს მე“), ხოლო „მ-წერ-ს“ და „მ-ა-ქმევ-ს“ მეორე ჯგუფში ამოჰყოფს თავს, ვინაიდან ამ ფორმებთან მეორე ობიექტიც არის შესაძლებელი („მწერს მე წერილს“, „მამკვებს მე პურს“). რა აერთებს ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა წარმოების ფორმას, ანუ, რაც იკვივა, რა არის საერთო ერთი მხრით „მ-კლავ-ს“ და „მ-ა-მზადებ-ს“ ფორმას შორის და მეორე მხრით „მ-წერ-ს“ და „მ-ა-ქმევს“ ფორმას შორის?—ისა, რომ თვითეულ წყვილში შემავალი ზმნები ერთისა და იმავე სინტაქსური ურთიერთობის გამოხატველია: პირველი წყვილის ზმნები ერთ ობიექტს იგუებს, მეორე წყვილისა კი—ორს. მაშასადამე, რომ იქნეს გამოხატული პირი სუბიექტისა და ობიექტისა (ან ობიექტებისა), ზოგჯერ საკმარისი ყოფილა, სუბიექტურ ნიშნებს გარდა, მარტოოდენ ობიექტური ნიშანი, ზოგჯერ კი ამასთან ერთად საპირო ყოფილა ა ხმოვნის დართვაც. ეს მოვლენა უფრო ნათლად შეგვიძლია გავითვალისწინოთ ისეთი ზმნების საშუალებით, რომელთაც; ამა-თუ-იმ ზმნისწინის სმარებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა კონსტრუქცია აქვთ, უნიწნო (ნულიანი) და ანიანი:

უნიწნოა (ნულიანი): გა-კეთა (მან იგი)—მო-ჰკეთა (მან მას იგი); გატება (მან იგი)—მო-ს-ტება (მან მას იგი); გა-წყვიტა (მან იგი)—მო-ს-წყვიტა (მან მას იგი); და-წერა (მან იგი)—მი-ს-წერა (მან მას იგი) და მისთ.

ა: ა-ა-დულა (მან იგი)—შე-ა-დულა (მან მას იგი) [“შე-ჰ-ა-დულა-საგან”; გა-ა-თხოვა (მან იგი)—მი-ა-თხოვა (მან მას იგი) [“მი-ჰ-ა-თხოვა-საგან”; და-ა-ბერა (მან იგი)—შე-ა-ბერა (მან მას იგი); გა-ა-შრო (მან იგი)—შე-ა-შრო (მან მას იგი) და მისთ. პირველ მაგალითებში რაგორც უნიწნო წარმოებაში, ისე ანიანში ზმნას ერთი ობიექტი აქვს, რომელიც, თუ ზმნა მესამე ობიექტურ პირშია, ბრუნვა-ცვალებადია, მაგ., გა-კვდეს მას—გაკვეთა იგი, ააღუღებს მას—ააღულა იგი და მისთ.); მეორეში კი—ორ-ორი: ბრუნვა-ცვალებადიც და ბრუნვა-უცვლელიც; მაგ., მოჰკვდეს მას ყურს—მოჰკვეთა მას ყური; შეაშროპს მას ცრემლს—შეაშრო მას ცრემლი და მისთ. მაშასადამე, ერთი ობიექტი ექნება ზმნას, თუ ორი, ეს სრულებით არ არის დამოკიდებულ იმაზე, არაფერი აქვს მას პრეფიქსების ფუძესთან ზაერთებლად, თუ ხმოვანი ა. მეორე ობიექტის განენასთან ერთად (ეს ობიექტი კი ირიბია, ბრუნვა-უცვლელი) მესამე ობიექტურ პირში ჩნდება სათანადო მორფოლოგიური ნიშანიც, ჰ, რომელიც ზოგიერთ ფონეტიკურ პირობებში ვერ ძღვება: ა-ს წინ იკარგება; ხოლო ცხრა.

თანმოდენის წინ ხ-დ იქცევა (§ 237). ორ-ობიექტიანი კონსტრუქციის დროს ერთსა და იმავე ზნაში შეიძლება ორივე წარმოება იყოს გაპოყენებული:

ჰ-კითხა—ღი-(ჰ)-ა-კითხა მი-ს-წერა—ნი-(ჰ)-ა-წერა
 მო-ს-ტყბა--მო-(ჰ)-ა-ტყბა მო-ს-ჭრა--მო-(ჰ)-ა-ჭრა
 მო-ს-წყვიტა--მო-(ჰ)-ა-წყვიტა და მისთ.,

მაგრამ ერთ-ობიექტიანში, როდესაც ეს ერთი ობიექტი მესამე პირის ფორმასთან ბრუნვა-ცვალებადია, ერთსა და იმავე ზნაში ან ერთი წარმოებაა გაპოყენებული, ან მეორე; მაგალითად:

უნი შნო ა: ტებს, გრებს, კრის, თხრის, სერის, ყიდის, ჰამს, ხევს და მისთანანი.

ანიანია: ა-კეთებს, ა-შევებს, ა-ბერებს, ა-მრავლებს, ა-ქრობს, ა-თბობს, ა-დნობს და მისთ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელთა ფუძეებისაგან გარკვეული ტიპის გარდამავალი ზმნები ა-თია ნაწარმოები; მაგ., „შეშ“-ისაგან არ ითქვის: *შეშებს, არამედ ა-შეშებს, „მიწ“-ისაგან არ ითქვის *მიწებს, არამედ ა-მიწებს, „წითლ“-ისაგან: ა-წითლებს, „მდიდრ“-ისაგან: ა-მდიდრებს და სხვა, და სხვა.

მსგავსად ამისა ა გამოყენებულია გარდამავალ ზნათა საწარმოებლად გარდაუვალ ზნათა ფუძეებისაგან: დულ-ს—ა-დულებს, წუხ-ს—ა-წუხებს, დ-ის--ა-დენს, რბ-ის—ა-რბენს (ან ა-რბ-ევს) და სხვ.

თვით გარდამავალი ზმნისაგან, რომელსაც მაწარმოებლად პრაქტიკულად გამოვიყენებთ არა აქვს, ე. წ. კატეგორიული ფორმები (ე. ი. შუალობითი კონსტრუქციის ფორმები) უანოდ ვერ ვაწარმოებთ; მაგ., წერს, მაგრამ: ა-წერინებს; ტებს, მაგრამ: ა-ტეხინებს; თხრის, მაგრამ: ა-თხრეხინებს და მისთ. (§ 416).

ამის მისდევით შეგვეძლოს გვეთქვას, რომ ა-ს დანიშნულება მეორეული ზმნების წარმოებაა საარვისო ქცევიანა.

როგორც უნდა იყოს წარმოშობა ანიანი ფორმებისა და, საზოგადოდ, როგორც უნდა იყოს ურთიერთობა უნიშნობასა და ა-ს შორის ამ შემთხვევაში, არ არსებობს თუნქციონალური განსხვავება შთა შორის კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით: ორივე თანაბრად უპირისპირდება ინიანსა და უნიან წარმოებას. მართლაც, რომ აქედით ერთი მხრით რიგი ზმნებისა:

ტებს	ო-ტებს	უ-ტებს	წერს	ო-წერს	უ-წერს
გრებს	ო-გრებს	უ-გრებს	ხევს	ო-ხევს	უ-ხევს
თლის	ო-თლის	უ-თლის	ხრის	ო-ხრის	უ-ხრის

და მეორე მხრით კი ეს რიგი ზმნებისა:

ა-კეთებს	ო-კეთებს	უ-კეთებს		ა-ჩენს	ო-ჩენს	უ-ჩენს
ა-თბობს	ო-თბობს	უ-თბობს		ა-ქებს	ო-ქებს	უ-ქებს
ა-შენებს	ო-შენებს	უ-შენებს		ა-შევებს	ო-შევებს	უ-შევებს

გნახვთ, რომ ის ფორმები, რომლებიც ზედა რიგში უნიშნოდ არის ნაწარმოები, ქვედაში კი ა-თი, ერთსა და იმავე წარმოდგენას გვაძლევენ ინიანსა და

უნიანი ფორმების დაპირისპირებით, ე. ი. ფუნქციონალური განსხვავება, მაგ., „ტებს“ ფორმასა და „ო-ტებს“ (resp. „უ-ტებს“) ფორმას შორის ისეთივეა, როგორც, ვთქვათ, „ა-კეთებს“ და „ო-კეთებს“ (resp. „უ-კეთებს“) ფორმას შორის: რაც იმისთვისაა უნიშნო წარმოება, იგივეა ამისთვის ანიანი.

ეგვევ ითქმის იმ ზმნებზედაც, რომელთაც ორი ობიექტი აქვს. განსხვავება ჰ-კითხა'სა და ი-კითხა'ს [ან (ჰ)-უ-კითხა'ს] შორის, ან ს-თხოვა-სა და ი-თხოვა'ს [ან (ჰ)-უ-თხოვა'ს] შორის იგივეა, რაც და-(ჰ)-ა-ბარა'სა და-ი-ბარა'ს [ან და-(ჰ)-უ-ბარა'ს] შორის, ან კიდევ: გა-ა-აკეთა იმავე ფუძისაგან კაუზატიურად ნაწარმოების გა-(ჰ)-ა-კეთებინა'ს პირისპირ იგივეა, რაც გა-ი-კეთა გა-ი-კეთებინა'ს პირისპირ, ანდა გა-უ-კეთა გა-უ-კეთებინა'ს პირისპირ. ასეთივე შეფარდებაა ამ ფორმებშიც: გა-ტება — გა-ა-ტებინა, გა-ი-ტება — გა-ი-ტებინა, გა-უ-ტება — გა-უ-ტებინა და მისთ. ერთი სიტყვით, უნიშნო წარმოებაცა და ანიანიც თანაბრად უპირისპირდება ინიანსა და უნიან წარმოებას, ერთ-ობიექტიანი იქნება ზმნა თუ ორ-ობიექტიანი.

რაში გამოიხატება ეს დაპირისპირება ანუ ოპოზიცია, რა ქმნის მათ შორის განსხვავებას? — ის, რომ ინიანსა და უნიანს კუთვნილების გაგება- ახლავს, უნიშნოსა და ანიანს კი არა. მართლაც, და-წერა, გა-ტება, მო-კლა ან გა-ა-კეთა, გა-ა-შავა, და-ა-ლბო, და-ა-წერინა, გა-ა-ტებინა, გა-ა-კეთებინა და მისთანანი არავითარ გაგებას არ გვაძლევენ კუთვნილებისას, მაშინ როდესაც და-ი-წერა. (ან და-უ-წერა), გა-ი-ტება (ან გა-უ-ტება), მო-ი-კლა (ან მო-უ-კლა), გა-ი-კეთა (ან გა-უ-კეთა), გა-ი-შავა (ან გა-უ-შავა); და-ი-ლბო (ან და-უ-ლბო) და-ი-წერინა (ან და-უ-წერინა) ყველანი კუთვნილებით ურთიერთობას გამოხატავენ. ამის მიხედვით უნიშნო და ანიანი ფორმები უკუთვნიელი ფორმებია: და-წერა, გა-ტება, მო-კლა და მისთ., გა-ა-კეთა, გა-ა-შავა, და-ა-ლბო, და-ა-წერინა და მისთ., ინიანი ფორმები კი ყველა კუთვნილებითია: და-ი-წერა, გა-ი-ტება, მო-ი-კლა, გა-ი-კეთა, გა-ი-შავა, და-ი-ლბო, და-ი-წერინა და მისთ., ან და-უ-წერა, გა-უ-ტება, მო-უ-კლა, გა-უ-კეთა, გა-უ-შავა, და-უ-ლბო, და-უ-წერინა და მისთ.

ის ფორმები, რომლებიც არავითარ კუთვნილებით ურთიერთობას არ გამოხატავენ სუბიექტსა და ობიექტს შორის (ან ობიექტებს შორის), ნაგრამ რომელთაც მოპირისპირედ კუთვნილების გამოხატველი ფორმები უდგას, არის საათვისო ქცევის ანუ ნეიტრალური ვერსიის ფორმები.

საათვისო ქცევა უნიშნოა ან, მისი ნიშანია ა.

მშვ. ხატამშხო მცმვა. სათავისო ქცევა ანუ სასუბიექტო ვერსია საზოგადოდ აღნიშნავს პირდ. ობიექტის კუთვნილებითს ურთიერთობას სუბიექტთან. მისი ნიშანია ი: ი-შენებს, ი-კეთებს, ი-წერს, ი-თბობს და მისთ.

სათავისო ქცევა მხოლოდ გარდამავალ ზმნაში გვხვდება. ამ ფორმით ყოველთვის ორი პირია მოცემული: სუბიექტური და პირდ.-ობიექტური, რომელთაც, — თუ ისინი მესამე რომლობითს აღნიშნავენ, — სათანადო ფარდიც აქვთ ხოლმე ზმნასთან შეწყობილი სახელების სახით. ამ სახელების ფუნქციაა გამოხატონ სუბიექტი და პირდ. ობიექტი. თუ ფორმაში I ან II პირი ურევია, მაშინ სუბიექტად (resp. ობიექტად) თვით ეს პირებია ნაგულისხმევი, დამოუკი-

დებლად იმისა, აქვთ შეწყობილი სათანადო ს.-ნაცვლები (მე, შენ, ჩვენ, თქვენ), თუ არა.

რაკი პირი ორია ფორმაში, ამიტომ ურთიერთობა, კუთვნილება-დანიშნულების ნიადაგზე დამყარებული, მხოლოდ მათ შორის ან ფარდი სახელებით ნაგულისხმევ საგნებს შორის არის შესაძლებელი. ეს შესაძლებლობაც მუდამ ერთი სახისაა: სათავისო ქცევით აღნიშნულია ობიექტური პირის ან სამოქმედო საგნის (ობიექტის) კუთვნილებითი ურთიერთობა მოქმედ პირთან ან საგანთან, მარტივად რომ ვთქვათ, პირად. ობიექტისა სუბიექტთან:

- მხ. 1. ვ-შენებ = ვაშენებ ჩემსას ან ჩემთვის
 2. ი-შენებ = აშენებ შენსას ან შენთვის
 3. ი-შენებს = აშენებს თავისას ან თავისთვის

- მრ. 1. ვ-შენებთ = ვაშენებთ ჩვენსას ან ჩვენთვის
 2. ი-შენებთ = აშენებთ თქვენსას ან თქვენთვის
 3. ი-შენებენ = აშენებენ თავისას ან თავისთვის

როგორც ვხედავთ, სუბიექტური პირი (resp. სუბიექტი) მოქმედებს ისეთ პირზე ან საგანზე, რომელიც მისია ან მისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ, რომელი პირიც უნდა იყოს ნიშნული ანუ მოქმედი—პირველი, მეორე თუ მესამე—ობიექტურ პირს (resp. ობიექტს) მასთან ექნება კუთვნილებითი ურთიერთობა. სუბიექტი მოქმედებს თავისაზე ან თავისთვის და ამიტომაც, რომ ამ ფორმას სათავისო ანუ სასუბიექტო დაერქვა.

შენიშვნა. ხათავისო ძველის ხმარების პატი. სათავისო ქცევის ფორმათა ხმარება მრავალფეროვანია. შეიძლება დასახელებულ იქნეს რამდენიმე ჯგუფი შემთხვევებისა, სადაც ზნით გამოხატული მოქმედება უმთავრესად ან ნიშნულად ამ ქცევით არის წარმოდგენილი.

1. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც სუბიექტი თავის სხეულზე ან თავისი სხეულის ნაწილებზე მოქმედებს, სათავისო ქცევას მიემართავთ ხოლმე: ტანი და-ი-ბანა, თავი მო-ი-ფსანა, თვალები ამო-ი-წმინდა, ყური გამო-ი-ჩსრიკა, კბილი მო-ი-ცვალა, პირი გამო-ი-რეცხა, თმა მო-ი-კრიკა (ან შე-ი-ღება, და-ი-ვარცხნა, და-ი-გლიჯა, და-ი-წნა), უღვაშები გადა-ი-გარისა, კისერი მო-ი-ტეხა, ხელი გა-ი-წაფა. ფეხი ი-ღრძო, მუხლი და-ი-შავა, ცხვირი მო-ი-სოკა, ფრჩხილები და-ი-ქნა, წელი ი-ტკინა, ყელი მო-ი-ღერა, გული გა-ი-ხარა (ან გა-ი-იხეთქა, და-ი-მშვიდა), წარბები შე-ი-კმწმნა, შუბლი შე-ი-კრა, მუწუკი განო-ი-წურა და სხვა.

იგივე ამბავია არსებითად, როცა ვანბობთ: თავი მო-ი-კლა, სული წა-ი-წყმინდა და მისთ.

შენიშვნა. 1. გამონაკლისია: პირი და-ა-ალო, თვალი ა-ა-ხილა.

2. როცა ობიექტად დასახელებულია თავის სამკაული, ტანის-მოსი (ან მისი ნაწილი) ან ფეხსაცმელი თუ იარაღი, რომელიც ტანზე აქვს კაცს, ჩვეულებრივ სათავისო ქცევასვე მიემართავთ ხოლმე, თუნდაც ობიექტი სუბიექტს

არ ეუოგნოდეს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტია ის გარემოება, რომ სუბიექტი თავისთვის მოქმედებს: ქული და-ი-ხურა, პერანგი ჩა-ი-ცვა (ან ქალამანი ჩა-ი-ცვა), პალტო მო-ი-სხა, სარტყელი შე-ი-რტყა, კალთები ი-ი-კვალთა, საყელი გადა-ი-კცა, გულ-მკერდი გადა-ი-ღღა; საკინძი გა-ი-ხსნა, ხმალი ი-ში-შვლა, ხანჯალი ი-ძრო, ნაბადი მო-ი-ხადა და მისთ. ითქმის: „ჩემი ქული და ი-ხურა“, მაგრამ არ ითქმის: „ჩემი სახლი აიშენა“.

შენიშვნა. 2. შეიძლება სათავისო ქცევით აღინიშნოს კუთვნილება სხვა სახელისა, რომელიც უბრალო დამატებად ან ადგილის გარემოებად არის წინადადებაში წარმოდგენილი: თავში ხელი შემოიკრა, ფეხი ფეხზე შემოიდვა, გულზე ხელები დაიკრიფა, ჯიბეში ფული ჩაიდვა ან ჯიბეს ხელი იკრა (იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი“. ი. ქ., სარჩობა.) და სხვა. ამ ნაწევრში:

გონთით გადვარდა ბეჩავი, ხელი იტაცა თმაზედა,
შუა ვახია მინდილი, ხორცი იგლიჯა ტანზედა

(ვაჟა-ფშ. I, 27)

„იტაცა“-ს სათავისობა „თმით“ არის გამოწვეული და არა „ხელით“ (იმიტომ რომ შეიძლება ითქვას: „ხელი სტაცა თმაზედა“); „იგლიჯა“-სიც აგრეთვე უფრო „ტანით“ არის გამოწვეული, ვიდრე „ხორციით“.

3. სათავისო ქცევა იჩენს თავს; როცა მოქმედება სუბიექტისთვისაა დანიშნული ან მისკენ არის მიმართული: ფული ა-სესხა, მაგრამ: ფული ი-სესხა; წიგნი ა-თხოვა, მაგრამ: წიგნი ი-თხოვა, ქონება ჩა-ა-ბარა, მაგრამ: ქონება ჩა-ი-ბარა და მისთ. ამიტომია, რომ ითქმის: „არც სხვისას შე-ი-რჩინს და არც თავისას შე-ი-რჩინს სხვასა“ (ი. ქ., ლთ. ქერა). ამითვე აიხსნება განსხვავება ჰ-კრა და ი-კრა-ს შორის ამ ანდაზაში; „ეირმა პალო მოაძრო და ერთი სხვასა ჰკრა და ათანი თავად იკრაო“ (ვაჟა-ფშ., ფშავ. და მისი წუთისოფა). ამიტომევეა, რომ ითქმის: დონიჯი შემო-ი-ყარა, თავში ქვა ი-ეც (ან თავში ქვა ი-ხალე) და მისთ.

ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში განსხვავების დადგენაში ქცევის შეცვლასთან ერთად ზმნისწინიც იღებს მონაწილეობას: ქალი გა-ა-თხოვა, მაგრამ ცოლი ი-თხოვა, სახლი გა-ყიდა, მაგრამ სახლი ი-ყიდა, ფული წა-ა-გო, მაგრამ ფული მო-ი-გო და მისთ. უკანასკნელი ზმნა უზმნისწინოდაც გვაძლევს მნიშვნელოვან განსხვავებას: ფულს ა-გებს, მაგრამ ფულს ი-გებს.

4. როცა გარდამავალ ზმნას ირიბი ობიექტიც აქვს საარვისო ქცევით და ამ ირიბის გამორიცხვა გესურს, სათავისოზე გადავდივართ: სახელი ჰკითხა—სახელი ი-კაახა, ქათამი მო-ჰ-ბარა—ქათამი მო-ი-ბარა, პური ს-თხოვა—პური ი-თხოვა, ქალი მო-ს-ტაცა—ქალი მო-ი-ტაცა და მისთ. ასეთი სათავისო მნიშვნელობით საარვისოს უახლოვდება.

5. სათავისო ქცევის ფორმითა ხშირი ხმარების გამო ზოგ ზმნას სულ დაეკარვა საარვისო ფორმები და მათ მაგივრობას აშვამად სათავისო ეწევა. ეს მოვლენა ისტორიულად კარგად დადასტურებულია „ბოენა“ ზმნაში. ძვ. ქ.-ში ეს ზმნა საარვისოსთი იმპარებოდა: „ბოვა ერთი მოყვასი თვისი“ (მათ. 18,26),

„რომელი ეძიებდეს პოვოს“ (მათ. 7,8); „პოვნა სხუანი“ (მათ. 20,6) და სხვ. მაგრამ დღეს მის ნაცვლად სათაფისო იხმარება: იპოვა. ოღონდ ამ სათაფისოს ფორმას ამჟამად უფუქცია საარგისოსი აქვს.

„ქმნა“ ზმნა II სერიაში საარგისოს ფორმით იხმარება, I-ში კი მას სათაფისო ენაცვლება: რა ქნა—რას იქნს (მონაცვლე ზმნასაც სათაფისოს ფორმა აქვს: რას ი ზამს). აქაც ფორმით სათაფისო ფუქციით საარგისოა.

ძველად ა-გრძნა იხმარებოდა, ეხლა კი ი-გრძნო იხმარება. დღეჴკით ესც საარგისოშია გადარიცხული (სასხვისოა „უგრძნო“ ასეთ გამოთქმაში: „გულმა უგრძნო“).

ამგვარივე შინაარს-დაცლილი სათაფისოა: შე-ი-ნახა, წა-ი-ლო, მო-ი-ტანა, და-ი-ჭირა და მისთ., რომლებიც ფუქციის მიხედვით საარგისოს ფორმებთან არიან გათანაბრებული (§ 414).

397. იოჴმადი ფოკმეჴი ხათამიჴო ძმეჴით. სათაფისო ქეჴეა ორ-პირიანი ფორმა. ობიექტურ პირად აქ ჩეჴულებრივ მესამეა, მაგრამ ზოგჯერ I და II-ც გვხვდება. მაგალითები I პირზე: „არავინ დამიდგინა ჩუენ“ (მათე 20,7); „უჴუჴეთუ შეჴკრას მე და მითრიოს, მიხარის“ (ჴჴამ: შუჴანა, 15,4); „მერმე ერთსა ლიასა მე შემომიგდო ლა ერასა უსაზ“ (ამბირ.-დარ.); „მიბრძანა, ახლოს მიმისეა, მოჴიო, თავი დახარა“ (ეფეხ.-ტყ., 448); „სრულ მელეჴსეთ მიუფროსონ, ეით ისრავლთ მლეჴელი არონ“ (აარჩ.); „მიმიჴევანეს არა-ღირსთა, ღირსულად მიმსახურეს“ (გურამიშე, 85,9); „ნუ გააბარებ ჩემ თავზე ბოროტ სულებს და მიმსახურე ჴთელი ჩემი ქონებით, სარჩო-საბადებლით“ (გვაჴ-ფშ., ჴეჴელა, V, 332,6); „ეირი სიჴედლის ელოდა, სხვა მოსალოდნელი მას წუთისოფელში არაფერი დარჩენოდა. მიმობარფო, ევედრებოდა თავის განჩენს“ (გვაჴ-ფშ. ჴუძლ. ეირი, V, 259,16); „ქვეშაგებად დამიგდო ავადჴოფობაჴ“ (ი. ქ. ჴლახ. ნაამბა);

„შე დაჴირებას კულაო, მოდი, დაგვიხენ სულაო,
ყმად დაგვიწერე ყველანი, წელში გაგვიგდე კულაო“
(ხალხური. შეტანილია ყაზბეგის ელგუჴამო. გამოც. 1935, გვ. 131);
„ატაბეს ვიყავე ჴორწილში, ყველამ გამიგა ძირშია“
(ხალხ. პოეზ., № 631);

„მიშველე, შეილო ივანე, ლეკმა წამიდვა ძირსაო“
(ფშური ლეჴსი, თ. რახიკაშვილის ჩანაწერი).

I პირის მაგალითები ადვილად გადაკეთდება II-ისაზე, გარღა იმ შემთხვევებისა, სადაც ფორმა ბრძანებითისაა და, მაშასადამე, სუბიექტური პირაც მეორეა (II პირი სუბიექტად და ობიექტად ერთ ფორმაში შეუძლებელია, § 287).

398. ხანხამიჴო ძმეჴა გარღამაჴალ ჴმნაში. სასხვისო ქეჴეა ანუ საობიექტო ვერსია აღნიშნავს კუთვნილებითს ურთიერთობას ობიექტებს შორის: პირდ. ობიექტი (ღაჴ. პირდ.-ობიექტური პირი) ეკუთვნის-ირიბს ან განკუთვნილია ირიბისთვის (ღაჴ. ირიბ-ობიექტური პირისთვის). მისი ნიშანია ი ან უ, რომლებიც ასე ინაწილებენ ფორმებს: ი იხმარება მაშინ, როცა ირიბ ობიექტად I ან II პირია (პ-ი-წერს, გ-ი-წერს; მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს; გ-ი-წერ, ...

ამოვიღოთ და ის გაგება, რომელიც მასთან არის დაკავშირებული, ზნნაში გადავიტანოთ: „სახლი ავიშენეს“. წინადადება: „დაარბიეს ჩემი ქვეყანა და ამოწყვეტეს ჩემი ლაშქარი“ ამგვარად შეგვიძლია შევცვალოთ: „დამირბიეს ქვეყანა და ამომიწყვეტეს ლაშქარი“ (ს. ჩხეიძე, საქ. ცხოვრ.: ქ. ცხ. II, 316).

სათავისო და სასხვისო ქცევა ერთსა და იმავე ნიშანს გვიჩვენებს I-სა და II ობ. პირში, განსხვავებულს კი—III-ში. ამ მხრივ ეს ორი ქცევა ერთგვარ პარალელს წარმოადგენს ობიექტური ნიშნების ხმარების მიმართ (როგორც ვნახეთ, პირდ.-სა და ირიბ ობიექტს ერთნაირი ნიშნები აქვთ I-სა და II პირში და განსხვავებული—III-ში, §§ 226—228). ამის გამო ერთი და იგივე ფორმა (მაგ., და-მ-ი-ყენა) შეიძლება სათავისოც. იყოს და სასხვისოც: ის სათავისოა ასეთ ფრაზაში: „ერთმა უღმობელმა ვაჰარმა მსახურად დამიყენა და ორ წელიწადს უჯამაგიროდ მიმსახურა“ და სასხვისოა შემდეგში: „მამაჩემმა ერთი ობოლი ბიჭი მსახურად დამიყენა“. განსხვავება სათავისოსა და სასხვისოს შორის III ობ. პირში გამოჩნდება: სათავისოს შეპრჩება ო ბმოვანი, სასხვისოს კი უ-დ გადაუქეთდება.

მაშასადამე, III ობ. პირში-სათავისოს თავისი ფორმა აქვს, სასხვისოს—თავისი. ამიტომ იმის გამოსარკვევად, თუ რა ფორმასთან გვაქვს საქმე I-სა და II ობ. პირში, ის III ობ.-ში უნდა გადავიყვანოთ. თუ იქაც ო დარჩა, ფორმა სათავისო იქნება (მსახურად და-მ-ი-ყენა, მსახურად და-გ-ი-ყენა, მსახურად და-მ-ყენა) და თუ უ მოგვცა, მაშინ ქცევა სასხვისო იქნება (მსახურად და-მ-ი-ყენა, მსახურად და-გ-ი-ყენა, მსახურად და-უ-ყენა).

III ობ. პირში გადაყვანა—ეს მორფოლოგიური ხერხია ფორმის გამოსაცნობად. მაგრამ არსებობს სინტაქსური ხერხიც იმის გამოსაცნობად, სათავისოა ფორმა თუ სასხვისო: ზნნას უნდა შევუწყოთ სახელები (მაგ., საგუებლები) და თუ ორი შეიწყო მხოლოდ, სათავისო ყოფილა, და თუ სამი—სასხვისო. „დათვმა მომიგლო ქვეშ და მბეგვა“,—აქ „მომიგლო“ ორ-პირიანია (მან მე) და ქცევას სათავისოა; „ამხანაგმა ვაშლი მომიგლო“,—აქ კი „მომიგლო“ სამ-პირიანია (ეწეობა 3 სახელი: მან მე იგი), მაშასადამე, ფორმა სასხვისო ქცევასაა.

სინტაქსური ხერხი. უფრო მარტივია და ჩვეულებრივ მას მივმართავთ ხოლმე ობიექტური ფორმათა გამოსაცნობად ქცევაში.

ერთ განსხვავებაზე სპეციალურად შემდგომ პარაგრაფში გვექნება საუბარი.

460. იშვიათი ფორმები სასხვისო ძველში. სასხვისო ქცევას ვარდამავალ ზნნაში პირდაპირ ობიექტად ჩვეულებრივ III პირი აქვს, ირიბად კი ყველა შეიძლება ჰქონდეს. უცვლელია პირდაპირი, ცვლელი—ირიბი. აღნიშნული კომპინაცია სუბიექტ-ობიექტური პირებისა სასხვისო ქცევაში ჩვეულებრივია და საყოველთაოდ გატარებული.

იშვიათად ისიც გვხვდება, რომ ამავე ქცევაში ობიექტური პირებისათვის შებრუნებული ვითარება იყოს, ე. ი. პირდაპირ ობიექტად ყველა პირი იყოს, ირიბად—მესამე, მაშასადამე, იცვლებოდეს პირდაპირი, უცვლელი კი ირიბი იყოს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის I და II პირდ.-ობიექტური პირის ფორმებია საყურადღებო. I პირის მაგალითებია: „მას აქეთ, რაც ფეხზე სიარული შეე-

ძელ, სულ სხვისშვილად¹ ვარ. შვიდის წლისა მამა-ჩემმა დიდუყრაანთ დამი-
ყენა მოჯამაგირედ“ (ვაჟა-ფშ., აპტ. მწყემსის ფიქრები, V, 27, 5). უპკვე-
ლია, რომ აქ მოყვანილი წინადადების „დამიყენა“-ში I პირი პირდ. ობიექტია,
ირიბად კი მიცემითში დასმული „დიდუყრაანთ“ მიდის. კიდევ უფრო ნათელია
იმავე ფორმის მნიშვნელობა შემდეგს წინადადებაში: „მე წამომიყვანა და ერთ
ულმობელ ვაჟარს დამიყენა მოჯამაგირედ“ (ვაჟა-ფშ., ღერემ-სერემ-სურ., V,
283, 8). აქაც „დამიყენა“ ამას ნიშნავს: „ჩემი თავი დაუყენა“. მაშასადამე, მთე-
ლი ფრაზა ამას ნიშნავს: მე წამომიყვანა და ჩემი თავი ერთ ულმობელ ვაჟარს
დაუყენა მოჯამაგირედ“. ცხადია, „დამიყენა“-ში I პირი პირდაპირი ობიექტია.

მოყვანილ მაგალითში პირდ. ობიექტად I პირი იყო. მაგრამ რაც I პირზე
ითქმის, იგივე ითქმის II-ზედაც.

აქედან ჩანს, რომ „დამიყენა“ ომოილია: ერთ შემთხვევაში ის სათავისო
ქცევის ფორმია, მეორესა და მესამეში—სასხვისოსო:

ა) დამიყენა (მან მე): „ულმობელმა ვაჟარმა მოჯამაგირედ დამიყენა“.
დამიყენა, დაგიყენა, დაიყენა (ქცევა სათავისოსა).

ბ) დამიყენა (მან მე იგი): „მამა-ჩემმა ულმობელი ვაჟარი დამიყენა
მოჯამაგირედ“. დამიყენა, დაგიყენა, დაუყენა (ქცევა სასხვისოსა, ცვალებადია
ირიბი).

გ) დამიყენა (მან მას მე): „მამა-ჩემმა ულმობელ ვაჟარს დამიყენა მო-
ჯამაგირედ“. დამიყენა, დაგიყენა, დაუყენა (ქცევა ისევ სასხვისოსა, ოლონდ
ცვალებადია პირდაპირი).

თქმულის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ შესაღარებელი პარადიგმები:

საარვისო (მან მე)	სათავისო (მან მე)	I სასხვისო (მან მე იგი)	II სასხვისო (მან მას მე)
1. და-მ-ა-ყენა	და-მ-ი-ყენა	და-მ-ი-ყენა	და-მ-ი-ყენა
2. და-გ-ა-ყენა	და-გ-ი-ყენა	და-გ-ი-ყენა	და-გ-ი-ყენა
3. და-ა-ყენა	და-ი-ყენა	და-(3)-უ-ყენა	და-(3)-უ-ყენა

აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ როცა სასხვისოში პირდ. ობიექტად
I პირია და ირიბად III (II სასხვისოსო) ქცევის ნიშნად ი არის და არა უ: და-მ-ი-
ყენა (მან მას მე), და-გ-ი-ყენა (მან მას შენ), მაშასადამე, აქ ისეთივე მდგომარე-
ობა გვაქვს, როგორც მაშინ, როცა სასხვისოსო ქცევა ფორმალურია, გაგება კი
საარვისოსი აქვს: გა-მ-ი-შვა, გა-გ-ი-შვა გა-უ-შვა (§ 411).

**401. ოზიმიტოზი პირის ნიშანთა ფუნქციის ძველის ფორმების. ფოლო-
ბელი ოზიმიტნი.** ობიექტურ პრეფიქსებს ქცევის ფორმათა მიხედვით სხვადასხვა
ფუნქცია ეძლევა გარდამავალ ზმნებში:

1. საარვისოსო ქცევაში ობ. პრეფიქსი სათანადო პირს წარმოგვიდგენს
წმინდა ობიექტად,—პირდაპირად ან ირიბად. ამ მხრივ ერთგვარი განსხვავებაა
პრეფიქსებს შორის: I-ისა და II პირის პრეფიქსები სათანადო პირს წარმოგვი-
დგენენ ან პირდაპირად (ჩა-მ-წერა, ჩა-გ-წერა, ჩა-გვ-წერა), ან ირიბად (მო-მ-

¹ სხვისშვილი — მოჯამაგირე (ფშურად).

წერა, მო-გ-წერა, მო-გვ-წერა), III პირისა კი—მხოლოდ ირიბად (მი-ს-წერა, მ-კითხა) [§ 228].

2. სათავისო ქცევაში მარტო ორი პირის ობ. ნიშნები ისმარება, I-ისა და II-ისა; მათი ღუნქვიაა, სათანადო პირი წარმოადგინონ პირდ. ობიექტად (მ-ი-მსახურა, გ-ი-მსახურა, გვ-იმსახურა).

3. რაც შეეხება სასხვისო ქცევას, აქ ობ. ნიშნების ღუნქვიის შესახებ არი რამ უნდა ითქვას:

ა) მათ იგივე ფუნქცია აქვთ, რაც საარვისოსა და სათავისოში, ე. ი. სათანადო პირს ისინი წარმოგვიდგენენ წმინდა ობიექტად—პირდაპირად ან ორიბად. ირიბ ობიექტთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ფორმით დანიშნულებაა გახობატული. თუ ასეთ ფორმას საარვისოში გადავიყვანთ, იმავე აზრის ვადმოსაკვმად თვის თანღებული უნდა დავუმატოთ: ჩემთვის, შენთვის, თავისთავის და შემდგომი: სურათი დამიხატა = სურათი დახატა ჩემთვის.

ბ) ირიბ ობ. პრეფიქსებს სხვა ფუნქცია აქვთ: ისინი სათანადო პირს წარლოგვიდგენენ მფლობელ ობიექტად, ე. ი. ისეთ ობიექტად, რომელსაც ეკუთვნის ობიექტი ან ნეორე ობიექტი. ამ შემთხვევაში თუ ფორმას საარვისოში გადაიყვანთ, იგივე აზრი კუთვნილებითი ს-ნაცვლების დართვით უნდა გამოვთქვათ: ემი, შენი, თავისი და შემდგომი: „სახლი დამიწვა“ = ჩემი სახლი დაწვა.

აღვნიშნათ I ირიბის სახელით ის ირიბი ობიექტური პირი, რომელიც წმინდა ობიექტია და კუთვნილებას არ გამოხატავს, II ირიბის სახელით კი ის ობიექტური პირი, რომელიც კუთვნილებას გამოხატავს. ამ უკანასკნელს სხვაიბირად მფლობელი ირიბი ანუ პოსესორი დავარქვათ. I ირიბის მაგალითი იქნება: ხელი ჰკრა ბავშვს, II ირიბისა (მფლობელისა): ხელი უკრა ბავშვს (= ხელი ჰკრა მის ბავშვს).

კუთვნილება ანუ პოსესიობა არ ჩანს ამ წინადადებაში: „რაში მიწუნებს ითამ“? (ი. ჰ. ჟაკ.-ად.), რადგანაც ფორმა გარეგნულად სათავისოა, შინაგად კი, ე. ი. ფუნქციით—საარვისო (მიწუნებს, გიწუნებს, იწუნებს), მაგრამ თუ მნას სასხვისოში გადავიყვანთ, კუთვნილების გაგებას მოგვეცემს: „რას მიწუნებს ითამ“, სადაც „მიწუნებს“ ამას ნიშნავს: იწუნებს ჩემსას (მიწუნებს, გიწუნებს, უწუნებს). სასხვისოა აგრეთვე: „ნუ ჰიოცებთ და თქვენთან ყოფნა წადიან“ (ი. ჰ., «ოთ. ქვრ.»). ნუ მიოცებთ—ნუ იოცებთ ჩემსას (ჩემს ოტყვებს).

402. ორი ირიბი გარდამავალ ზმნაში. მფლობელი ირიბის ხმარების რე საკმაოდ ვრცელია, განსაკუთრებით აღმოს. კილოებში. ჩვეულებრივი შემხვევების გარდა უნდა აღინიშნოს რამდენიმე ჯგუფი ზმნებისა, სადაც ფორმით რი ირიბია ნაგულისხმევი და კუთვნილ ფორმათა ხმარებას განსაკუთრებული ლფერი აქვს.

ა) საარვისო ქცევით ხმარებული სამ-პირიანი ზმნა, რომელშიც ირიბი პირი მინდა ობიექტია, ადვილად გადაკეთდება სასხვისო ქცევის ფორმად, სადაც მინდა ირიბის გაგება. დარჩება, თუმც კი მილეული, მაგრამ მოემატება გაგება ვლობელი ირიბისა, ანუ პოსესორისა. ასეთებია შემდეგი ზმნები: *ართვა—

*ურთვა (წაართვა, გამოართვა, მიაართვა), მისწერა—მიუწერა, მიაბა—მიუბა, აქმია—უქმია, ჰკრა—უკრა (ან დაჰკრა—დაუკრა), ხელი ახლო—ხელი უხლო, შვეილდს მოსწია—შვეილდს მოუწია, ყელი გამოსქრა—ყელი გამოუქრა და მისთ. მაგალითები ლიტერატურიდან და ხალხური სიტყვიერებიდან:

1—2. მიაბა—მიუბა, სცა—უცა. XV ს.-ის მიწურულში შემდეგი ამბავი მომხდარა: ვილაც ჩვენებური ვაჭარი მესხეთიდან აბრეშუმის საყიდლად ყოფილა ქ. არეშში, მაშინდელ შაქის სახანოში. მესხს და შაქელ მედუქნეს ჩხუბი მოასვლიათ. შაქელს უცემნია მესხისთვის. შერუაცხყოფილი დაჰმუქრებია მედუქნეს ათაბაგის სახელით („აქადა ძალი და სიმანე ათაბაგისა“-ო, ნათქვამი აქვს ვახუშტს). ამას კიდევ უფრო გაუბრაზებია მედუქნე, რომელსაც უწყალოდ უცემნია მესხისთვის, ნაყიდი აბრეშუმშიც წაურთმევია და მიუძახნია: „არ მიმიბაას ყური სამშველითა დუქანსა ჩემსა და მიციეს წიხლი დარბაზსა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთჳს“-ო (ვახუშტი, ქ. ცხ., II, 157). მოყვანილი წინადადების სიტყვები: „არ მიმიბაას ყური სამშველითა დუქანსა ჩემსა“ ამას ნიშნავს: „არ მიბაას ჩემი ყური ლურსმნით ჩემ დუქანს“, ხოლო „არ მიციეს წიხლი დარბაზსა ამას ჩემსა“ ნიშნავს: წიხლი არ სცეს (ე. ი. წიხლი არ ჰკრას) ამ ჩემ დარბაზს“. მართალია, აქ კუთვნილება ზნით არის გამოხატული (არ მიციეწ=არ სცეს ჩემსას), მაგრამ ის სახელითაც არის გამოვლილი („დარბაზსა ამას ჩემსა“-ო).

შენიშნვა. ამბავი, რომელიც აქ არის მოთხრობილი, უნდა მომხდარიყო როა ქორონიკონს (1483 წ.). ამ დროს მესხეთში ათაბაგად იყო ყვარყვარე III, აღბუღას-ძე. შაქის სახანო იყო დღევანდელ აზერბაიჯანში, მტკვრის მარცხენა მხარეს მთებამდის, ივრის შესართავს ჰქვემოთ, კახეთსა და შირვანის სახანოს შუა.

შემდეგი მოთხრობიდან ჩანს, რომ ყვარყვარე ათაბაგს სანანებლად გაუხდია შაქელი მედუქნისთვის მისი სიტყვები და საქციელი.

3. მისწერა—მიუწერა, მოსწერა—მოუწერა: „რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამჴლანე“ (ვეფხ.-ტყ., ჩხად); „რომ მიგვიწერო წერილი“ (ვაგა-ფშ., ამათა ერთობა); „რაკი სასკომსაჰკომ მიმიწერა, გათავდა საქმე“ (ეკომ., 18.4. 1937, 3,6). მიმიწერა—მისწერა, ჩემგან, ჩემთვის; რომ მიგვიწერო—რომ მისწერო ჩვენი სახელით.

4. *ართვა—*ურთვა: „რაც ღალა წაედოსო, ის გამოურთვი და ამით მოეც“ (საქ. სიძვ., III, № 538, 1785 წ.); „რაც ამ ჩემს განაყოფს კაციას ჩემთვის მიწეუბი წიგნი რამისო, ხელი აუბართა და ჩემი მიწეუბი ან რაც ღალა ელოს ჩემს მამულშია, ისიც გამომირთვას“ (საქ. სიძვ., III, № 543, 1773 წ.); „წყალობას ვითხოვ, რქვი მიბოძოს, რომ ჩემი თეთრი თავისის ანგარიშით გამომირთოს და მომბაროს... თავისი ჰაყხი ახლავ გამოურთვი და მოეც“ (საქ. სიძვ., III, № 551, 1793 წ.); „გახოვთ საჩქმეც. წამირთოთ“ (ი. კ. ფლ. განთ. სტენებია); „წამიძღენენ, ძღენენ მიმირთვეს, ხელწიფესა სალამი მიმატემინეს“ (არუსუდ., კ. IV, ანთოლოგია, II, 83, 12). „ეს დედა-ჩემსა მიმიართვი“ („ავთანდილმ გადინადირა“-ს ერთ-ერთ ვარიანტში); „კიდევ მი-

პირთვით აღუდას წვენ-ხორცი გაცხელებული“ (ვაჟა-ფშ., ალ. ქეთ.); „ჩემ სარჩო-საბადებელი მიმირთვით თამარ-ნეფესა“ (ვაჟა-ფშ. I, 21,3); „მიმირთვი მამის სალოცავს“ (ვაჟა-ფშ., ჟილბლო ილბლა.); „შაგრჩეს მუხლები! სამუხლე მიგვირთვით შუშანას“ (ვაჟა-ფშ., ამოკვეთა, V, 419,28).

5. სტაცა — უტაცა; „სიდედრი გამომეგება, აღვირს მიტაცა ხელიო“ (ხალხური ლექსიდან).

6. ახლო — უხლო: „ჩემ სალაროს ხელს ნუ მიხლებ“ (ს.-ს. ორბ. ასიბრძნ.-სიცრა.).

7. გამოსჭრა — გამოუჭრა, დასჭრა — დაუჭრა: „მსხვილს შეილებს ყელი დამიჭრა, წვრილები ფეხით მისრისა“ (გურამიშვი., 142,11).

8. მოსწია — მოუწია: „მშვილდს მომიწია მუხთალმა“ (გურამიშვილი, 136,17).

9. აქმია — უქმია: „ემ მამალს ამაღამ თქვენ გაბარებთ, ხოლოთ კი არაფერს შემიქმიოთო“ (ერწოული ზღაპრიდან); „ცხენსაც ღამაზად მიქმევდენ, მენაც მაწვენდენ ყინადა“ (ფშაური ლექსიდან; ხალხ. სიტყვა, I, გვ. 497,19); „მიქმიეთ ღალმისტიურსა თავის საქმელი ქერიო“ (ხალხ. პოეზ., № 458,7).

10. ანება — უნება: „ცხენს არ მინებოს თავია“ (ი. ბუქურ., თეუშ. ლექს., № 35,8; ხალხ. სიტყვა, 105).

11. შეატყობინა — შეუტყობინა: „იობას შემიტყობინეთ, ნუ გამოიყიდის ცხენსაო“ (მოხეური ლექსიდან).

12. მიჰხედა — მიუხედა: ჩვეულებრივია გამოთქმა: „ბავშვს მიმიხედ“.

13. მიაბარა — მიუბარა (მაგალითი ქვემოთ, ივანეურის ლექსში).

14. აკლებს — უკლებს (მაგალითი ქვემოთ, ივანეურის ლექსში).

15. თავი დაანება — თავი დაუნება: „თავს დამინებებს ბალღებსა“ (ვაჟა-ფშ., I, 215,7 ქვ.).

მოყვანილ მაგალითებში საარვისო ფორმა სამ-პირიანია და კუთვნილების გაგებას არ შეიცავს; ირიბ-ობიექტური პირი, რომელიც ფორმაშია, წმინდა ობიექტია, რომელსაც I ირიბს ვეძახით. ეს I ირიბი-ულლების დროს ცვალებადია, მასთან უცვლელია პირდაპირ-ობიექტური პირი: მო-შ-აბა, მო-გ-აბა, მი-აბა და შემდგ.; შეიძლება ასეც: მი-შ-აბა, მი-გ-აბა, მი-აბა და შემდგ., სადაც I და II პირი პირდ. ობიექტია და III—ირიბი. მაგრამ აქაც ობ. პირები წმინდა ობიექტებია, — კუთვნილების გაგება მათ არ ახლავს.

სამაგიეროდ პოსესიურ ფორმებში ერთი ობ. პირი მეორის მსაზღვრელია კუთვნილების მიხედვით, — ის საზღვრავს ან პირდაპირს (მიმიბა — მიაბა მან მას ჩემი) ან ირიბს (მიცა — სცა მან იგი ჩემსას).

b) საარვისო ქცევა ზოგჯერ ორ-პირიანია და ის სათავისოს ფორმით არის წარმოდგენილი (§ 411), სასხვისო ქცევაში გადაყვანით ფორმას ემატება კუთვნილების გაგება: იწყინა — უწყინა, დაიწუნა — დაუწუნა, მიიღო — მიუღო (= წაართვა), იგლოვს — უგლოვს, იბრალებს — უბრალებს და მისთანანი. მაგალითები ლიტერატურიდან:

1. იგლოვს — უგლოვს: „ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა“ (ვეფხ.-ტყ., 1206). აქ „მიგლოვ“ I პირს პირდ. ობიექტულ წარმოგვიდგენს. ფორმა საარვისოა (გარეგნობით სათავისო): მიგლოვს, გიგლოვს, იგლოვს და შემდგომი. სამაგიეროდ ვახტანგის გამოცემაში იგივე ტაეპი ასე იკითხება: „ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა“ (ჩსტე), სადაც I პირი განსაზღვრავს „სიყვარულს“ და ფორმა სასხვისოა: მიგლოვს (=იგლოვს ჩემსას) გიგლოვს, უნლოვს.

2. შეიბრაღა — შეუბრაღა: „კიდევ თავის სულს აბრაღებს: მკედარს ხო აღარა გარდამებდევის რაო, სული შემიბრაღეთო“ (ვახტ. VI, თარგა, ღეე). სული შემიბრაღეთ = ჩემი სული შეიბრაღეთ.

3. მიილო — მიულო: „სრულად მიმილო ყოვლი ღონები“ (ბესიკი); „მე საწუთრომან მიმილო, რაც საბადისი მებადა“ (გურამ., 136, ო).

ც) „თქმა“ ზმნა ორ-პირიანია (თქვა: მან იგი). სამ-პირიანად გადაკეთება: მას უზმნისწინოდ არ უხერხდება, მაგრამ ამავე მიზნით მას „თხოზა“ ენაცვლება (უთხრა: მან მას იგი), რომელიც ქცევის მიხედვით გარეგნულად სასხვისოა; მაგრამ სათანადო გაგება არა აქვს, რადგანაც სათავისო აკლია. სამაგიეროდ სპეციფიკურ გამოთქმებში (მაგ., თხოვნით კილოში, § 254) იხმარება „უთქვა“, რომელსაც პოსესიური გაგება ახლავს:

მითქვიდით ჩილოვლებსა, ხახონს უტირეთ მხარო

(თუშური ლექსიდან: ძვ. საქ., II, განყ. IV, № 8).

მითქვიდით ჩემსა ხაზენს, ცხენს არ მინებოს თავია

(თუშ. ლექსიდან: იქვე, № 85).

ხშირია პოსესიური ფორმები (კერძოდ „მითქვიდი“ ფორმა) ივანეურის ლექსში:

ჩემ ჯალათ ეგრე მითქვიდი: კარგა მიქმიან ცხენსაო,
გამიკვებიდით ზამთარსა, თივას ნუ მიკლებთ, ქერსაო;
დედასა ეგრე მითქვიდით: ქალ ნუ დაიქრის თმათაო,
ობოლიც კარგა გაზარდეთ, ნუ მიმიბარებთ სხვათაო
(ხალხ. პ. I, № 184 გ., გვ. 449).

„მითქვიდი“ და „გამიკვებიდი“ ხეცსურული ფორმებია, ფშაურად იქნებოდა: „მითქოდი“ და „გამიკვებოდი“. „მითქოდი“ კუთვნილი ფორმაა, სათანადო უკუთვნილია მონაცვლე ფუძისაგან ნაწარმოები „უთხოზოდი“:

ქალს თვალ-შალშავას¹ უთხოზოდით, მალე მოიქრას თმანია

(ვაჟა-ფშ., I, 20, 7-ქვ.)

d) განკერძობით დგას „დაძახება“ ზმნა ხმობის მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში ის სასხვისო ქცევით მიდის, მაგრამ ქცევის გაგება არა აქვს, რადგანაც საპირისპირო ფორმები აკლია: დამიძახა, დაგიძახა, დაუძახა („ამხანაგს უძახის“ — „ამხანაგს დაუძახა“). პირდაპირი ობიექტი მას ჩვეულებრივ არა აქვს, თუმცა კი შეიძლება ჰქონდეს: სახელი დამიძახა. პირდაპირი ობიექტის ჩა-

1. შალშავი — მოცივი; თვალ-შალშავა — თვალ-მოცვა, მოცივის თვალები.

ვარდნის შემდეგ ირიბი გამოდის პირდაპირის როლში, თუმცა კი თავის სინტაქსურ თვისებას ინარჩუნებს. ამის გამო ამჟამად „ღამიძახა“ გრამატიკულად იმგვარადვე გვეპნის, როგორც „ღამიშვა“: ღამიძახა — он позвал меня, ამხანაგს დაუძახა — он позвал товарища; ეს ობიექტი, წარმოშობით ირიბი, თავის ალაგას რჩება სხვა ობიექტის შეყვანის შემდეგაც: „ღამიძახეთ ნაჩაღნიკს! ერთი კარგად გაეწკებლინო ის დაქერილები... წადით, ღამიძახეთ!“ (კაზბ. „ელგ.“, 99). მაშასადამე, მოყვანილი წინადადების „ღამიძახეთ“ ტიპობრივად ისეთივე ფორმაა, როგორც „ღამინება“ ამ წინადადებიდან: „თავი ღამინება ბაღლებს“, რომელსაც ერთი პირდაპირი აქვს („თავი“, ეს „თავი“ ფორმალური ობიექტია) და ორი ირიბი (I პ. და „ბაღლებს“). ამ ირიბთაგან ერთი მფლობელია (I პ.), მეორე — კუთვნილი („ბაღლებს“): თავი ღამინება ბაღლებს — თავი დაანება ჩემს ბაღლებს. მაგრამ მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც არის: „ღამიძახეთ“-ში პირდაპირი ობიექტი ჩვენარდა [„ღამიძახეთ ნაჩაღნიკს (სახელი)“] და ამის გამო სხვაგვარი ფუნქციონალური ვითარება შეიქნა: ერთი ირიბი პირდაპირად იქცა და მეორე — წმ. ობიექტად. დღეს „ღამიძახეთ ნაჩაღნიკს“ გრამატიკული ფუნქციით ამას უღრის: „მომიყვანეთ ნაჩაღნიკი“.

403. ძვევიხი სანითხი გარდაწმებალ ზმნათა III სერიის ფორმებში.

ქცევა კარგად გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა ქართულში, მაგრამ ის მხოლოდ ზნის პირიან ფორმებს მოეპოვება და ისიც I-სა და II სერიაში. რაც შეეხება III სერიას, იქ ქცევებზე გარჩევას ადვილი არა აქვს, რადგანაც ზმნას აკლია საპირისპირო ფორმები კუთვნილება-დანისწულლების მიხედვით განსხვავებული. ამიტომ ქცევიანი და უქცეო ფორმები ულღებადი გარდამავალი ზმნისა ასეა განაწილებული:

ქ ც ე ვ ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი (I და II სერია)			უ ძ ვ ე ო ფ ო რ მ ე ბ ი (III სერია)		
აწყო	ყობ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.	III კავს.
საარგ. ა-შენებს	ა-ა-შენებს	ა-ა-შენა	ა-უ-შენებია	ა-ე-შენებინა	ა-ე-შენებინოს
სათავ. ბ-შენებს	ა-ბ-შენებს	ა-ბ-შენა	_____	_____	_____
სასხვ. უ-შენებს	ა-უ-შენებს	ა-უ-შენა	_____	_____	_____

მიუხედავად იმისა, რომ „აუშენებია“ გაგრძელებაა „აშენებს“ — „ააშენებს“ — „ააშენა“ ფორმებისა, მას არ შესწევს ძალა ქცევებზე წარმოდგენა მოგვეცეს, რადგანაც საპირისპირო ფორმები აკლია, მაშინ როდესაც სათანადო უკუთვნილი ფორმა I სერიაში (აწყოში, მყობადში, წყვეტილში და სხვაგან) ქცევიანია. ეს იმიტომ არის, რომ I-სა და II სერიაში უკუთვნიელ ფორმებს კუთვნილებითი უდგას პირისპირი, III სერიაში კი უკუთვნიელი ფორმა განმარტოებულია, უცალკა.

404. ძვევა გარდაწმებალ ზმნებში. ქცევის საკითხი გარდაუვალ ზნებში რამდენადმე სხვაგვარია, ვიდრე გარდაუვალ ზნებში.

1. ჯერ ერთი: გარდაუვალ ზმნებს ქცევა ან სრულებით არ მოეპოვებათ, ან, თუ მოეპოვებათ, მხოლოდ ორი: საარვისო და სასხვისო. სათავისო კი აკლიათ; აკლიათ იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ არის აღნიშნული (§ 393), სათავისო ქცევით საზოგადოდ გამოხატულია კუთვნილებითი ურთიერთობა პირ-

„გაქეთდა“ აბსოლუტური (ერთ-პირიანი) ფორმებია და აშკარად უკუთუნელია, მაგრამ „გაუტყდა“-სა და „გაუტყეთდა“-ში ორ-ორი პირია და ამ პირებს თავ-თავისი ფარდი აქვთ სუბიექტისა და ირიბი ობიექტის სახით. კითხვა ურთიერ-ობის შესახებ ორ-პირიან ფორმებს ეხება.

აქტივის ირიბ-ობიექტური პირი პასივში უცვლელი რჩება (§§ 349, 350), მაშასადამე, უცვლელი რჩება მისი ფარდიც: ბ ა ვ შ ე ს კოკა გაუტყენეს—ბ ა ვ შ ე ს კოკა გაუტყდა. აქტივში პირდაპირ-ობიექტური პირი პასივში სუბაქტური ხდება (ან აქტივ კონსტრუქციაში პირდაპირი ობიექტი პასივში სუბიექტი-ხდება). რადგანაც აქტივ კონსტრუქციაში სასხვისო ქცევით გამოხატულია, რომ პირდ. ობიექტი ეკუთვნის ირიბს ან დანიშნულია ირიბისათვის, პასივ კონსტრუქციაში იგივე მიმართება ირიბისადმი სუბიექტურმა პირმა (resp. სუბიექტმა) უნდა გვიჩვენოს. აგრეც არის: პასივში სასხვისო ქცევით გამოხატულია, რომ სუბიექტი ეკუთვნის ირიბს ან დანიშნულია ირიბისათვის. მაშასადამე, განსხვავება აქტივსა და პასივს შორის სასხვისო ქცევაში ის არის, რომ აქტივში ირიბს ეკუთვნის ან ირიბისთვის განკუთვნილია პირდაპირი (შესაბამისად: პირდ.-ობ. პირი), პასივში კი—სუბიექტი (შესაბამისად: სუბ. პირი).

შენიშვნა. რა თქმა უნდა, სასხვისო ქცევა კუთვნილებას ყოველთვის არ გზიხატავს, მაგრამ ეს თანაბრად შეეხება როგორც პასივს, ისე აქტივს; ითქმის: „შენი კოკა გამიტყდა“ და „შენი კოკა გამიტყენეს“ (მაშასადამე, ფორმა რელატიურია, მაგრამ უკუთვნიელი), მაგრამ არ ითქმის: „შენი სახლი ამიშენდა“ ან „შენი სახლი ამიშენეს“.

406. მცევაა უნიშნო ვნებითში. უნიშნო ვნებითში საქმის ვითარება ქცევისთვის იმგვარიეა, როგორიც სულიქსიან ვნებითში. ამიტომ მართო მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდები: დნება. (საარგ.)—უნდება (სასხვ.), ქრება—უქრება, წყრება—უწყრება და მისთ.

407. მცევაა პრეფიქსიან ვნებითში. 0-თი და ე-თი ნაწარმოებ ვნებითში ორ-ორი ფორმა მოგვეპოვება, რომლებიც ერთურთისაგან აგებულების მიხედვით არის განსხვავებული: ერთია აბსოლუტური, მეორე კი—რელატიური: 0-წერება—ე წერება, 0-ნახება—ე-ნახება, 0-მალება—ე-მალება, 0-წვის—ე-წვის და მისთ. ამათგან აბსოლუტური ფორმები შეესაბამება მოქმედებითი ზმნის ისეთ კონსტრუქციას, სადაც ობიექტად III ობ. პირის ფორმასთან მართო ბრუნვა-ცვალებადი სახელია, რომელიც აქ სუბიექტად არის წარმოდგენილი: წერს წიგნს—წიგნი იწერება, მალავს ნაქურდალს—ნაქურდალი იმალება, დაწვა სახლი—სახლი დანიწვა და მისთ., ხოლო რელატიური ფორმები შეესაბამება III ქმედ. ზმნის ისეთ ფორმებს, სადაც ორი ობიექტია, რომელთაგანაც ერთი III ობ. პირში ბრუნვა-უცვლელია და მეორე—ბრუნვა-ცვალებადი. აქტივი კონსტრუქციის ვნებითად გადაკეთებისას ბრუნვა-ცვალებადი სახელი, რომელიც იქ პირდ. ობიექტი იყო, აქ სუბიექტად მოგვევლინება, ხოლო ბრუნვა-უცვლელი ობიექტი თავის სახეს შეინახავს აქაც, ე. ი. ისევ ობიექტად დარჩება; მაგ. მი-ს-წერს ძმას წერილს: მი-ე-წერება ძმას წერილი; შე-ა-წერს მეზობელს გადასახადს, შეეწერება მეზობელს გადასახადი; და-უ-წერს დას ლექსს: და-ე-წერება

დას ლექსი და მისთ. პასივისათვის სულ ერთია, საარვისო ქიქევაში შედის აქტივი კონსტრუქციის ბრუნვა-უცვლელი ობიექტი, თუ სასხვისოში: აქ ორივე თანაბრად ერთსა და იმავე ფორმას მოგვეცემს, რომელსაც შეიძლება საზიარო ვუწოდოთ (§ 356), მაგრამ ეს საზიარო ფორმა, რომელიც აგებულია რელატიურია, სათანადო აბსოლუტურ ფორმასთან დაპირისპირებით კუთვნილება-უკუთვნილობის გაგებას ვერ მოგვეცემს; მაგ. ი-წერება'ც უკუთვნილი ფორმაა და ე-წერება'ც, რაზღენადაც ეს უკანასკნელი მიღებულია ს-წერს და ა-წერს ფორმისაგან. მაგრამ რადგანაც ეგვევ ე-წერება უ-წერს ფორმის შესაფერისიც არის, ამიტომ კუთვნილებითი ურთიერთობის გაგება მან, აბსოლუტურ ფორმასთან დაპირისპირებით უშუალოდ თუ ვერ მოგვეცა, შეიძლება ერთგვარად მოქმედებითი გვარის სასხვისო ფორმის ასოციაციის შუალობით მოგვეცეს. ამის მიხედვით ენიან ვნებითა ქცევა არის, მაგრამ ისე მკაფიოდ გამოხატული არაა, როგორც სუფიქსიანსა და უნიშნო ვნებითში, ან კიდევ საშუაალ ზმნებში ან, მით უმეტეს, გარდამავალ ზმნებში.

ქცევებრი მიმართება აბსოლუტურსა და რელატიურ ფორმებს შორის აქ ასეთია: აბსოლუტური (ინიანი) საარვისოდ მიდის, რელატიური (ენიანი)—სასხვისოდ. მართლაც, ურთიერთობა ამ ფორმებს შორის: და-ი-კარგა—და-ე-კარგა (ამ ფრაზებიდან: „ცხენი დაიკარგა“ და „ცხენი დაეკარგა“) კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით ისეთივეა, როგორც ამებში: მო-კვდა—მო-უ-კვდა („ცხენი მოკვდა“—„ცხენი მო-უ-კვდა“). ეს კი თავის მხრით კავშირშია ასეთ ფორმებთან: „ცხენი მოკლა“—„ცხენი მოუკლა“, „ცხენი დამალა“—„ცხენი დაუმალა“, „ცხენი გახენდა“—„ცხენი გაუხენდა“ და მისთ.

რისი ნიშანია ი და ე, გვარისა თუ ქცევისა? - რა თქმა უნდა, გვარისა (პასივისა), მაგრამ სათანადო აქტივთან მიმართებით და აგრეთვე სხვა ტიპის ვნებითებთან ფუნქციონალური დამოკიდებულებით მათ შეუძლიათ ქცევის ნიშნობაც გასწიონ.

რა თქმა უნდა, პრეფიქსიანი ვნებითის რელატიური ფორმები ზოგჯერ რელატიურობის იქით ვერ მიდის და ქცევის გაგებას ვერ გვაძლევს (§ 413), მაგრამ იმის თქმა არ იქნებოდა სწორი, რომ ისინი საზოგადოდ მოკლებულია ქცევის გაგებასაო. გადამწყვეტია ის გარემოება, რომ ფორმათა დაპირისპირება არის და რომ ეს ოპოზიცია გარკვეულ მიმართებაშია ერთი მხრით სათანადო მოქმედებითის ქცევიან ფორმებთან და მეორე მხრით სხვა ტიპის ვნებითთა ფორმებთან, სადაც ქცევის გაგება, საკუთარი ნიშნის ქონების გამო, მკვიდრია.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქცევის საკითხი სტატიკურ ვნებითში.

408. ძვედა სტატიკურ ვნებებში. სტატიკურ ზმნებსაც ქცევა ორი აქვთ: საარვისო და სასხვისო. საარვისო ფორმები წარმოშობით ორ-პირიანია ყველა, მაგრამ ამჟამად ბევრი მათგანი ერთ-პირიანია: სწერია, სთესია, ჰვდია, ჰყრია, აბია, აწყვია, ასხია და სხვა; სასხვისო თითქმის ყველას უკეთდება: სწერია—უწერია, აბია—უბია, ასხია—უსხია და მისთ. (მაგრამ: უქირავს).

სტატიკურ ზმნებს ქცევა მარტო აწმყოში აქვთ (I სერიიდან მათ საკუთრივ მარტო ეს მწკრივი გააჩნიათ). რაც შეეხება II სერიის მწკრივებს, იქ ყველა

ერთ ფორმას გვიჩვენებს, რომელსაც მაწარმოებლად ე აქვს: ეწერა, ეთესა, ეგდო, ეყარა, ება, ეწყო, ესხა და სხვ. ამიტომ კუთვნილების გამოხატვის საშუალება ამ ფორმებს უშუალოდ არ მოეპოვებათ. მაგრამ რელატიურ ფორმებს, აწმყოს ფორმებთან კავშირის გამო, შეუძლიათ კუთვნილების გაგებაც მოგვეცენ: ჩემს უბის წიგნში სწერია=უბის წიგნში მიწერია; ჩემს უბის წიგნში ეწერა=უბის წიგნში მეწერა.

409. ძველად საშუაალ ზნებაში. საშუალი ზნა სათანადო მოქედებით ზნნასთან ისეთსავე კონვერსიულ მიმართებაშია, როგორც ვნებითი. ამიტომ ქცევის საკითხი აქაც ისევე წყდება, როგორც ვნებითში: ქცევა საშუალ ზნნასაც ორი შეიძლება ჰქონდეს, საარვისო და სასხვისო; საარვისო უნიშნოა, სასხვისო კი—ნ-უნიაანი: გორავს—უგორავს, ბრუნავს—უბრუნავს, ტრიალებს—უტრიალებს, ზის—უ-ზის, წევს—უ-წევს, წუხს—უ-წუხს, დულს—უ-დულს და სხვა.

ამ ქცევით ზოგჯერ აქაც აღინიშნება კუთვნილება არა მარტო სუბიექტისა, არამედ ისეთი ობიექტისაც, რომელიც წინადადებაში გარემოებად მიდის: „ყოველსა კაცსა ასე ეგონა: პირსა იაღონი უბუდობსო ან მერცხალი ჰკეკიკებსო“ (ს. ორბ. წიბრძნ.-სიცრ.)>; [პირსა უბუდობს—მის პირში ბუდობს]; ასეთივე მაგალითია: „ფულები ბლომად უქყაო და ჯიბეში“ (ვაჟა-ფშ., V, 292,4).

410. ძველის სპიძისი ზარდაშუალ ზნათა III სერიის ფორმებში. თუ გარდახველ ზნაში გამოიციხულია ქცევის გაგება III სერიის ფორმებში (401), იმასვე ვერ ვიტყვი გარდაუვალ ზნათა შესახებაც, რადგანაც ასეთ ზნებს ქცევებრივ განსხვავება რამდენადმე III სერიაშიც შეუძლიათ მოგვეცენ საპირისპირო ფორმების წყალობით. მართლაც, ის ურთიერთობა, რომელიც მოგვეპოვება გარდაუვალ ზნათა აბსოლუტურსა და რელატიურ ფორმებს შორის I-სა და II სერიაში, III სერიაშიც ძალაში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ აქ სხვაგვარი წარმოებაა: ფუნქციონალურად „სახლი ამშენებულა“ ისე ეფარდება ამ გამოთქმას: „სახლი ამშენებია“, როგორც „სახლი შენდება“ ამას: „სახლი მიშენდება“. თუ „მიშენდება“ სასხვისოა „შენდება“-ს პირისპირ, ცხადია, იგივე ურთიერთობა გვექნება III სერიის ფორმებშიც: „ამშენებია“ სასხვისოა „ამშენებულა“-ს პირისპირ. რაკი ეგრეა, გარდაუვალ ზნათა აბსოლუტური და რელატიური ფორმები გარკვეულ ადგილს პოულობენ ქცევათა სისტემაში. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ცხრილი:

I და II სერია		III სერია	
	აწყო	I თურმ.	II თურმ.
საარვ.	შენდება	ა-შენებულა	ა-შენებულოყო
სასხვ.	უ-შენდება	ა-პ-შენებია	ა-პ-შენებოდა
საარვ.	თბება	გა-მთბარა	გა-მთბარყო
სასხვ.	უ-თბება	გა-ს-თბობია	გა-ს-თბობოდა
საარვ.	ი-ხატება	და-ხატულა	და-ხატულოყო
სასხვ.	ე-ხატება	და-პ-ხატვია	და-პ-ხატვოდა
საარვ.	ი-წვის	და-მწვარა	და-მწვარყო
სასხვ.	ე-წვის	და-ს-წვია	და-ს-წვიოდა

მასხადამე, გარდაუვალ ზნათა ფორმები, კუთვნილების გამოხატვის თვალსაზრისით, ერთგვარი ჯაჭვით არის გადაბმული ერთმანეთთან. ამ ჯაჭვის რგოლები უფრო მკვიდრია იქ, სადაც ქცევას ნიშანიც მოეპოვება, რომელიც მას მოქმედებითი გვარის ფორმებთან აკავშირებს, მაგ., უ-შენდება—უ-შენებს; სხვაგან კი ქცევის კატეგორია სუსტად არის წარმოდგენილი.

411. ო.ჩი ირიბი ბარდაუშვალ ზმნაში. გვხვდება ისეთი გარდაუვალი ზმნები, რომლებიც ქცევის მიხედვით სასხვისოა და გაგებას ორი ობიექტური პირისას შეიცავენ. რადგანაც ზმნა გარდაუვალია, არ შეიძლება, რომ რომელიმე ობიექტური პირი პირდაპირი იყოს. ამ პირებს გარდა ფორმაში არის კიდევ სუბიექტური პირიც. ურთიერთობა პირებს შორის ისეთია, რომ ერთი ირიბი მეორის კუთვნილებაა ან სუბიექტი ერთ-ერთ ირიბს ეკუთვნის. როგორც უნდა იყოს საქმის ვითარება, პირის ნიშანი ერთ ირიბს ექნება და არა ორივეს.

ფუნქცია ამ ირიბებს სხვადასხვა აქვთ: ერთი წარმოგვიდგენს პირს წმინდა ობიექტად, მეორე—მფლობელ ობიექტად. პირის ნიშანი ამათგან მფლობელს მოუღდის. ზმნა შეიძლება ვნებითიც იყოს და საშუალებაც. მაგალითები ლიტერატურიდან და ხალხური სიტყვიერებიდან:

ა) ზმნა ვნებითი გვარისაა:

1. მიმეპყარ: „ღედას უკადრათ მიმეპყარ, თავზე დაარტყი ფეხია“ (ქროსტა II, 4782 ა, გვ. 507). ღედას უკადრათ მიმეპყარ=ჩემს ღედას უკადრათ მიეპყარ.

2. „წვრილ-ხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავ-შიშველნი ტოტებს მე მათარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს, ან არათერმა არ აწყინოსო“ (ვაჟა-ფშ., ითა). აქ ზმნა თავად აღნიშნავს კუთვნილებას, ამიტომ თამამად შეიძლება, რომ კუთვნილებითი ს.-ნაცვალი „ჩვენი“ არც ყოფილიყო ნახმარი; ისიც შეიძლება, რომ მეორე ზმნასაც მსგავსივე ფორმა ჰქონოდა: „იას არ შეგვიცივდეს ან არათერმა არ გვიწყინოსო“ (მეორე ზმნა გარდა-მაგალია).

3. გამოგიყვებით. თ. რაზიკაშვილის ჩაწერილ ერთ ფშაურ ლექსში იკითხება:

კი დაიქცაა ჩარგალი, გადმოვარდნენა ზღვანია?

ნაღობ კი გამითხოვდაა, კი დამეცნენა ცანია?

მეწადა მაგის მაყრობა, მაგრამ შორნი მქონ გზანია.

ცხენი მყავ შეტად ჯანდაგი, არც ფეხზე ჰკრიან ნაღვანია.

გაჰყევით, ჩეჟო სწორებო, თუ გვამთ ლაშარის ჯვარია!

ახლა მე გამოგიყვებით, თუ ღმერთმა მამცა ხანია:

ან უცოლო ძმა გექნებათ, ან გასათხოვარ ქალია,

ახლა მე გამოგიყვებით, რო მოვიშორო ვალა.

გაჰყევით მაყრად—ზმნა ორ-პირიანია (თქვენ მას); გამოგიყვებით მაყრად—ზმნა სამ-პირიანია და ამას უღრის: გამოგაყვები მე თქვენსას (თქვენს უცოლო ძმას, ან თქვენს გასათხოვარ ქალს).

ბ) ზმნა ვნებითივება, სტატიკური. უფრო ხშირია ორ-პირიანი ფორმების ხმარება სტატიკურ ზმნებში. მაგალითები:

1. მიმართებს: „მიმართებს ჯალაბაურსა ბეგარი შარშანდელია“ (ხევ-სურჟული ლექსიდან); „ვისაც მიმართებს, არ იძლევიანო“, სწერდა ერთი ერწოელი თავისიანებს 1922 წელს (ე. ი. ვისაც ჰმართებს ჩემი ფული, არ იძლევიანო).

2. მიხურავს:

ქალმა თქო: ქმარი მეწყალის ბორბალ გამთენე ღამისა.

სხვამ უთხრა: არას მეწყალის,—ნაბად მიხურავ კრავლისა
(წელიწდ., 248).

3. მიცვია: „ცოლს არ მიცვია კაბაო“ (ვაჟა-ფშ., I, 245,18).

მიცვია — აცვია ჩემსას (ან სცვია ჩემსას. შდრ. „არცრა ტანთ მცვია, არც ფეხთა“, იხ. 82). [ნ. კიდევ შემდეგი მაგალითი].

4—6. მისხია, მივლია, მიბია:

შიგ უწევთ ბატონიშვილი, უსხიათ ოქროს ქონორი,

ზარბაფთისა არტახებით, მოვის პერანგი უცვიათ,

მთვარე გრეხილად უვლიათ, ვარსკვლავი ღილად უბიათ (ხალხ.).

უსხიათ — ასხია მათს (ბატონიშვილს), უცვიათ — აცვია მათს, უვლიათ — ავლია მათს, უბიათ — აბია მათს.

7. მიხუქავს: „ვღვევარ და თვალი მიხუქავ“ (ბაჩანა). თვალი მიხუქავ — თვალი დახუჭული მაქვს.

8. მიქვია: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა“ (ი. ქ. «ოთ. ქერ.»); „სახელი რას მიქვიან უსახრავოდაო“ (ვაჟა-ფშ., V, 229,14); „მოუხეგნარი რას მიქვიან“ (იხ. 53,8); „ხოლო რას გიქვიან“ (იხ. 345,36); „სტუმარი ჩვენ გვიქვიან სხვა სოფელშით მასულს“ (წელიწდ., 126,10). რას მიქვიან = რას ჰქვია ჩემთან, სტუმარი ჩვენ გვიქვიან = სტუმარი ჩვენში ჰქვია.

ც) ზმნა საშუალია.

1. მიმიდევს: „კახეთ მოგვიკლეს კრელია, ლეკებს მიგვიდევ ვალიო“ (ხალხ. პოეზ., № 199,3); „მითხოს მიგვიდევ ვალია“ (იხ., 218,24). ვალი მიგვიდევს — ჩვენი ვალი ადევს (აძევს).

2. მიშვია. ანდაზაა: „შინ რომ ბაღებს გიშვიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო?“ — „ნშია“ ზმნა არსებითად ერთ-პირიანად არის ქვეული, მაგრამ წარმოშობით ორ-პირიანია. ბაღებს გიშვიოდეს — შენს ბაღებს ჰშვიოდეს.

3. მიტკივია. „ხო არა გიკირსთ კაციო, საქონით, ბეჩავ, ან ამ ვაჟს ხომ არ გიტკივია?“ (ვაჟა-ფშ., დღარჯჯ., V, 44'31)—ამ ვაჟს ხომ არა გიტკივია — ამ შენს ვაჟს ხომ არა სტკივია რა?

412. შპსნმ ზმნები. ქცევაზე იმდენად შეგვიძლია ლაპარაკი, რამდენად ზმნას ძალა წესწევს ორი ფორმა მანინ გვიჩვენოს, რომლებიც ერთაურთის დაპირისპირებით კუთვნილება-უკუთვნილობის გაცემას მოგვცემს. ამიტომ ისეთი

ზმნები, რომელთაც საპირისპირო ფორმები აკლიათ, უქცეონი არიან. ასეთია, მაგ., *ო-ცის*, *ჰ-გონია*, *ჰქვია*, *უ-ქირავს*, *უ-ყვარს*, *ა-ქეს*, *ა-ხსოვს* და *მისთ.*, რომელთაც საპირისპირო ფორმები არ მოეპოვება, მაგრამ თუ მანაც ვინმე იტყვის, რომ *ო-ცის* სათავისო ქცევად, ან *უ-ყვარს* სასხვისოვო, ხოლო *ა-ქეს* და *ა-ხსოვს* საარვისოვო, ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ესენი წარმოების მიხედვით. დგანან ქვევანი ზმნების სათანადო ფორმების რიგებში. მართლაც, არ ითქმის **ცის* (ან **ა-ცის*) ან **უ-ცის*, არამედ *ო-ცის*, რომელიც ისეა ნაწარმოები, როგორც, ვთქვათ, *ო-შლის*, ან *ო-თლის*, ან კიდევ *ი-კეთებს*, რომელთაც სხვა ფორმებიც მოეპოვებათ საპირისპიროდ:

შლის, *ო-შლის*, *უ-შლის*
 თლის, *ო-თლის*, *უ-თლის*
 ა-კეთებს, *ო-კეთებს*, *უ-კეთებს* და *მისთ.*

ამიტომ *ო-ცის* ზმნა უფუნქციო, ფორმალური სათავისოა, ისე როგორც უფუნქციო სასხვისოა მისი შესატყვისი ზმნები მეგრულად (*უ-ჩქუ*) და სვანურად (*ო-ლ-ხალ*), რომელთაც საპირისპირო ფორმები აკლიათ. ასეთი უცალო ფორმა მოჩვენებით არის ქცევანი: *ო-ცის*—მოჩვენებითი სათავისო, *უ-ჩქუ* და *ხ-ლ-ხალ*—მოჩვენებითი სასხვისო.

არ ითქმის **ყვარს* (ან **ჰ-ყვარს*, **ა-ყვარს*), არამედ მხოლოდ *უ-ყვარს*, რომელიც ისეა ნაწარმოები, როგორც *უ-დის*, ან *უ-ცემს* (ამ წინადადებიდან: „გული უცემს“), ან კიდევ *უ-წუხს*, რომელთაც საპირისპირო ფორმებიც მოეპოვებათ:

დის (*ს-დის*): *უ-დის*
ს-ცემს: *უ-ცემს*
წუხს: *უ-წუხს* და *მისთ.*

თუ ქართ. *უ-ყვარს* უქცეოა, უქცეო იქნება აგრეთვე მისი შესატყვისი ზმნები მეგრულად და სვანურად: *მ. უ-ყორს*, *სვ. ხ-ა-ლატ*, რადგანაც არც მათ აქვთ საპირისპირო ფორმები. ესენი რელატიური ზმნებია მხოლოდ და მათი ქცევიანობა მოჩვენებითია.

შეიძლება პარალელურად არსებობდეს ორი სხვადასხვა ფორმა, ერთერთის მიმართ თითქო საარვისო და სასხვისო, მაგრამ თუ მათ სათანადო მნიშვნელობაც არ ახლავს, ნამდვილ ქცევაზე ლაპარაკი შეუძლებელია. მაგ., *ა-ჩვენა-ც* გვხვდება და *უ-ჩვენა-ც*, მაგრამ ფუნქციონალური განსხვავება მათ შორის არ ჩანს: „მიჩვენე“ და „მიჩვენე“ ერთია მნიშვნელობით. ვაჟას აქვს:

მთვარეო, ბევრმა გიმღერა, ბევრმა გაშტერა თვალები (I, 111, 7),

მაგრამ ზმნას იგივე მნიშვნელობა ექნებოდა, რომ პოეტს დაეწერა: ბევრმა გიშტერა თვალები (ოღონდ ითქმის მხოლოდ „მი-ა-შტერა“).

413. კუთვნილების გამოსახატვა საარვისო შცაშის ფორმით. საარვისო ქცევა კუთვნილება—დანისწულების თვალსაზრისით საზოგადოდ ნეიტრალურია, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, როცა მასაც შეუძლია კუთვნილების გაგება მოგვეცეს. ეს ხდება მაშინ, როცა

1. გ არ ღ ა მ ა ე ლ ზმნას ორი ობიექტი ეწყობა, რომელთაგანაც ერთი მეორის ნაწილია, ან ერთი მეორის კუთვნილებია. ანდაზაა: „პაპამ ტყემალი ქაა და შეილიშვილს კბილი მოჰკვებთაო“. აშკარაა, რომ კბილი შეილიშვილისა არის, ისე როგორც კბილი ჩემია, როცა ვამბობ „ტყემალმა“ კბილი მომკვება“-მეტქი. იგივე ვითარებაა ამ მაგალითებშიც: მგელმა ცხვარს ყური მოსჭამა, ხეს ტოტი მოსჭრეს, კიდაობის დროს ერთმა ბიჭმა მეორეს პერანგი შეშოახია, ქეთომ კატოს ღილი მოჰპოლიჯა, ჯიბიდან ფული ამოშავალეს, ამხანაგმა მხარზე ხელი დამკრა, ექიმმა გულზე სელი დამადო, დედაბერს ქათამი მოჰპარეს, „ღვარპა და მტაცა ხარები“ (ვაჟა-ფშ., I, 79,5). და მისთ. ოღონდ კუთვნილებების გაგება აქ მოცუწულია არა ზმნის ფორმით, არაშედ იმ ურთიერთობით, რომელიც რეალურად არსებობს ობიექტებს შორის, როგორიცაა: შეილიშვილი და კბილი (ან მე და კბილი), ცხვარი და ყური, ხე და ტოტი, ბიჭი და პერანგი, კატო და ღილი, კაცი და ჯიბე, კაცი და მხარი, კაცი და გული, დედაბერი და ქათამი და მისთ.

2. მსგავსივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა გ არ ღ ა ე ჯ ვ ა ლ ი ზმნა ორპირიანია: ზუხლი მომეკვებთა, ცხვირიდან სისხლი მდიოდა, თავზე ბუზი გაზის და მისთ.

შენიშვნა. კუთვნილებითი ს.-ნაცვალი ზედმეტია ზოგ შემთხვევაში, მაგრამ ნათარგმნ ტექსტში ის დედანთან დაახლოვების მიზნით არის ნახმარი: „შემიწყალე ძმ ჩემი“ (მათ. 17,15 პაემ.); ორში ერთი: ან „შეიწყალე ძმ ჩემი“ ან „შემიწყალე ძმ“; „ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა“ (მარკ. 5,30). ამავე მოტივით არის მიღებული ასეთი კონსტრუქცია: „ჰუპყრა ჳელი ყ რ მ ი ს ა მ მ ი ს (მარკ. 5,41. პაემ.); მოსალოდნელი იყოს: ჰუპყრა ჳელი ყ რ მ ა ს ა მ ა ს).

როცა გვაქვს საპირისპირო ფორმები: აბსოლუტური „ღის“ და რელატიური „უ-ღის“ („სუნი ღის“—„სუნი უღის“), ვამბობთ: ღის საარვისოა, „უღის“ კი—სასხვისოა. მაგრამ, როცა გვაქვს აბსოლუტური „ღის“ და რელატიური „სღის“ („ომში სისხლი ღვარივით დიოდა“ და „დაჭრილ კაცს სისხლი სდიოდა“), აქ უკვე ძნელია იმისი თქმა, რომ „ღის“—„სღის“ (შესაბამისად: „დიოდა“—„სდიოდა“) ერთურობის პირისპირ საარვისო და სასხვისო იყოს.

საზოგადოდ ისე გადახლართულია ერთმანეთში სხვადასხვა ტიპის რელატიური ფორმები, რომ ზოგჯერ ჰირს გადაჭრით თქმა იმისი, თუ რასთან ვაქვს საქმე. მაგ., უეჭველია, რომ „მო-ვიდა“ და „მო-მ-ვიდა“ ერთურობის მიმართ საარვისო და სასხვისოა (ჩემი წერილი მოვიდა = წერილი მომივიდა), მაგრამ მეორე მათგანს აწმყოში ფუნქციის მიხედვით უფრო „მო-მ-ღის“ შეეფერება, ვიდრე „მო-მ-ი-ღის“: ჩემი წერილი მოღის—წერილი მომღის. საკითხავია: თუ იქ „მომივიდა“ სასხვისოა, აქ მისი ცალი („მომღის“) რაღა უნდა იყოს? საზოგადოდ, არის კი ფუნქციონალური განსხვავება „მომღის“ და „მომიღის“ ფორმებს შორის? და მერმე ეს წყვილი ხომ განმარტობით არ დგას! რა განსხვავებაა, ვთქვათ, ამ ფორმებს შორის: „ალი აუვარდა პირზე“ და „ალი აპვარდა პირისა“ (ვაჟა-ფშ., I, 27,21)? ან კიდევ: პოეტური ლიცენციაა ვითომ

„მშობება“ ამ წინადადებაში: „მიხმება, მშობება სახაო“ (ვაჟა-ფშ., I, 245, 1 ქვ.)? სადაც: „მიხმება“ ითქვა, იქ უუკველია „მიმშობება“ უნდა თქმულიყო, მაგრამ მარცხაღთა რაოდენობამ პოეტი შეზღუდა და „მშობება“ ათქმევინა. მაგრამ როგორ ათქმევინებდა, რომ გრამატიკული შინაარსით „მშობება“ არსებითად იყოს განსხვავებული „მიმშობება“-საგან?

ზემოთ თქმულის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ გარდაუვალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა, ორ-პირიანი რელატიურობის იქით ვერ მიდის და ამ შემთხვევაში მას შეიძლება სხვა ორ-პირიანი ფორმა ენაცვლებოდეს.

საზოგადოდ კი უნდა ვთქვათ, რომ მტკიცე გაგება ქცევისა გარდაუვალ ზმნებში იქ არის, სადაც კუთვნილება-დანიშნულება ისეთი გრამატიკული საშუალებით არის გამოხატული, რომელიც რელატიურ საპირისპირო ფორმაში ქცევის ნიშანს გვიჩვენებს და კონკურენტად მას სხვა რელატიური (უნიშნო) ფორმა გვერდით არ უდგას.

414. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხი მცხვრის ფორმებში. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხს ქცევაში რამდენადმე უკვე შევხებით (§§ 492, 407, 409, 410). დამატებით აქ უნდა აღვნიშნო შემდეგი. არის რიგი გარდამავალი ზმნებისა, რომლებიც ინმარებიან სათავისო ქცევით ან სასხვისოთი, მაგრამ შესაფერისი მნიშვნელობა არა აქვთ; ასეთებია:

ა) სათავისოს ფორმით: ა-ი-ლო, და-ი-კირა, და-ი-წყო, შე-ი-ნახა, გა-ი-ტანა, წა-ი-ყვანა, და-ი-ცვა, გა-ი-გო, მო-ი-წონა, და-ი-წუნა, შე-ი-პყრო, და-ი-ნახა და ბევრი სხვა.

ბ) სასხვისოს ფორმით: გა-უ-შვა, წა-უ-სვა („წამალი წაუსვა“).

აღნიშნული ფორმები რომ განმარტოებულნი ყოფილიყვნენ, ე. ი. უცალონი, როგორც, მაგ., და-უ-კრა ასეთს გამოთქმაში: „ფანდურს დაუკრა“ (ძველად ითქმოდა: „ფანდურს დაუკრა“, ხევისურულში ეხლაც: „ფანდურს დამიკარ, ბერტუნლო“, ძხალს. პ., № 543, 2), ვიტყვით, რომ უქცეო ზმნებიაო, მაგრამ: საპირისპირო ფორმებიც აქვთ: აილო—აულო, და-ი-კირა—დაუკირა, და-ი-წყო—დაუწყო, შე-ი-ნახა—შეუნახა, გა-ი-ტანა—გაუტანა, გა-ი-შვა—გაიშვა, წა-ი-სვა—წაისვა და მისთ. მაშ, როგორიღაა ეს ზმნები ურთიერთ შორის ქცევის თვალსაზრისით?

მივხაროთ მაგალითს: ი-ნახავს—შე-ი-ნახა. ამ ფორმით არ ჩანს არავითარი კუთვნილება: „სადილი შეინახა“-ო, რომ თქვენს, ვერ გავიგეთ ვისი იყო, ან ვისთვის იქნა შენახული ეს სადილი. მაგრამ როცა თქვენს: „მქას სადილი შეუნახა“-ო, გავიგეთ, რომ ან მის სადილი შეინახეს, ან სადილი შეინახეს მისთვის.

საინტერესოა პარალელი გავიყვანოთ ამ ქართული ზმნის ფორმასა და სათანადო ზმნების ფორმებს შორის ჩეხურულსა და სვანურში: „ინახავს“ ზმნა მეგრულად ასე ითარგმნება: „ჩუანს“ (რომელსაც ეტიმოლოგიურად „სცავს“ შეესატყვისება), სვანურად კი—„აზნენი“. ეცევის თვალსაზრისით ერთიც და მეორეც უნაკლო ზმნებია, რადგანაც ყველა საპირისპირო ფორმა აქვთ: ჩუანს—ი-ჩუანს—უ-ჩუანს, ა-ზნენი—ი-ზნენი—ხ-ო-ზნენი. ამ სამი ფორმის ნაცვლად ქართულს ორი-და აჭეხ, მესამე აკლია, მაგრამ სად? თუ ფორმიდან გამოვივლეთ, ერთი ვითარება გვექნება და თუ ფუნქციის მიხედვით ვიმსჯელებთ,—სხვა ვითარება.

რება. როგორი თვალსაზრისითაც უნდა შევხედოთ საქმეს, „უ-ნახავს“ სასხვისო იქნება მაინც. რაც შეეხება „ინახავს“ ზმნას, ის ფორმის თვალსაზრისით ერთგან დაიქვრს ადგილს, ფუნქციის თვალსაზრისით კი—მეორეგან. მართლაც,

ა) თუ ფორმიდან გამოვალთ, ქართულ-მეგრულ-სვანურ.ი ზმნები შევღვ-ნაირად დალაგდებიან:

	სარგ.	სათვ.	სახვ.
ქართ.	—	ი-ნახავს	უ-ნახავს
მეგრ.	ჩუანს	ი-ჩუანს	უ-ჩუანს
სვან.	ა-შხენი	ი-შხენი	ხ-ა-შხენი

ბ) და თუ ფუნქციიდან გამოვალთ, ასეთი სურათი გვექნება:

	სარგ.	სათვ.	სახვ.
ქართ.	ი-ნახავს	—	უ-ნახავს
მეგრ.	ჩუანს	ი-ჩუანს	უ-ჩუანს
სვან.	ა-შხენი	ი-შხენი	ხ-ა-შხენი

მაშასადამე, ქართული „ინახავს“ ერთ შემთხვევაში სათავისო ქცევის ფორმებთან არის (ი-ნახავს, ი-ჩუანს, ი-შხენი), გვაკლია საარვისო, მეორე შემთხვევაში კი საარვისოს ფორმებს უდგას გვერდით (ი-ნახავს, ჩუანს, ა-შხენი), გვაკლია სათავისო.

პირველი თვალსაზრისი ფორმალისშია, მეორე—ფუნქციონალისში. საკითხავია: რას უნდა მივსცეთ უპირატესობა, რა ქცევასთან გვაქვს საბოლოოდ საქმე? არის ეს შერეული ხასიათის ფორმა (ე. ი. იმისიცი და ანისიცი), თუ ერთ რომელიმე ქცევის უნდა მიეკუთვნოს გარკვევით?—ამ კითხვას ჩვენ ასე უნდა ვუბასუხოთ: წარმოშობით „ინახავს“, რა თქმა უნდა, სათავისო ქცევაა, მაგრამ დღეს ის საარვისოა. რომ ასეა, ამას შევღვეი ფაქტი ადასტურებს:

ა) სათავისო ქცევა (ისე როგორც სასხვისო ქცევა) III სერიის ფორმებს ვერ იკეთებს, ეს კი იკეთებს: ინახავს, შეინახა, შეუნახავს.

ბ) სათავისო ქცევის ფორმას ვნებითად ვერ მოაქვევ, ამისაგან კი ენებითიცი კეთდება: ინახება, შეინახება, შეინახა, შენახულა.

ც) საარვისო ქცევისაგან შუალობითი გზის ფორმები ა-თია ნაწარმოები და სათავისოსაგან ი-თი, ამას კი შუალობითი ა მოუღის: შე-ი-ნახა, მაგრამ: შე-ა-ნახვინა.

ყველა ეს საბუთია იმისა, რომ „ინახავს“—„შეინახა“ დღევანდელი ენის ქცევათა სისტემაში საარვისოდ იქნეს მიჩნეული და, მაშასადამე, ფორმისა და ფუნქციის სადაო საკითხში უპირატესობა ფუნქციის მიენიჭოს.

„ინახავს“—„შეინახა“ დღეს საარვისოა და, სხვათა შორის, ამით აინსნება, რომ მას ადვილად უკეთდება ფორმები, სადაც პირ. ობიექტად I და II პირია: „მინამ ერთი ორიოდ გაროში მჭომდა და ეხარჯავდი, მინამ მინახა“ (ი. კ. ავლ. ნაამბ. ა); „მენა შენ მინახავდი და მენა შენ გინახავდი“ (ი. კ., ავლ. განთ. სც. ა).

მსგავსად ამისა და-ი-წყებს ზმნა, „სათავისო“ ქცევაა, მაგრამ სათავისოა ფორმის მიხედვით, წარმოების ძალით, თორემ ფუნქციით საარვისოდ არის ქცეული. გრამატიკული შინაარსის დაცილება გარეგნული ფორმისაგან, ანუ ფუნქციის გადანაცვლება აქაც იმით არის გამოწვეული, რომ მესამე ფორმა გვაკლია: არ მოიპოვება საარვისოსათვის განკუთვნილი ფორმა: *და-წყებს ან *და-ა-წყებს (როგორც *შე-ნახავს ან *შე-ა-ნახავს). სულ სხვაა, მაგ., „დაწყობა“ ზმნა („დალაგების“ მნიშვნელობით), რომელსაც სამივე ქცევის ფორმა მოეპოვება და ამიტომ მისი „და-ი-წყობს“ ნამდვილი სათავისოა ქცევაა (და-ა-წყობს შეშას, და-ი-წყობს შეშას, და-უ-წყობს შეშას), ხოლო მასთან შედარებით „და-ი-წყებს“ ფორმის „სათავისობა“ იწვევებოდა.

რაც „შეინახა“ და „დაიწყებს“ ზმნების შესახებ ითქვა, იგივე შეიძლება ითქვას სხვა ანავე ტიპის ზმნათა შესახებ, რომლებიც ზემოთაა ჩამოთვლილი.

არსებოდა იგივე ითქმის სახეისო ფორმიან უ-შვა და უ-სვა ზმნების შესახებაც (ა-უ-შვა, გა-უ-შვა, მი-უ-შვა, შე-უ-შვა და სხვა; წა-უ-სვა, მო-უ-სვა, და-უ-სვა და სხვა), იმ განსხვავებით ოღონდ, რომ „უშვა“ ჩვეულებრივ ორპირიანია (გაუშვა მან იგი), „უსვა“ კი — სამპირიანი. „წა-უ-სვა“ და „წა-ი-სვა“ ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც „ჰკრა“ და „იკრა“, ან „ასესხა“ და „ისესხა“. გა-უ-შვა-ს, მართალია, საპირისპირო ფორმა მოეპოვება გა-ი-იშვა-ს სახით, მაგრამ ვა-ი-შვა და ვა-უ-შვა ერთურობის მიმართ მნიშვნელობით ისეთ-სავე მდგომარეობაშია, როგორც ვა-ი-კეთა და ვა-ა-კეთა, ან და-ი-წერა და და-წერა, ე. ი. ვა-უ-შვა ფორმას. სასხვისო ქცევის ფუნქცია კი არ აქვს, არამედ საარვისოსი. ასეთი გადანაცვლება ფუნქციისა იმით არის გამოწვეული, რომ არ მოიპოვება ზესამე ფორმა (უნიშნო ან ანით ნაწარმოები, ვთქვათ *ვა-შვა ან *ვა-ა-შვა), რომელთან დაპირისპირებითაც „ვა-უ-შვა“ ფორმა შესძლებდა სასხვისო ქცევის ფუნქცია შეენარჩუნებინა.

საყურადღებო ფაქტია, რომ ვა-უ-შვა ზმნამ ამავე ტიპის ზმნა შეცვალა, რომელიც ძველად იხმარებოდა: ვან-უ-ტევა. ამ წინადადებაში: „აწ განმიტევე მონა შენი, მეფეო, სიტყუსაებრ შენისა მშდლობით“ ზმნა I პირს პირდაპირ ობიექტად წარმოგვიდგენს, ისე როგორც ამაში: „შინ გამიშვი“.

შედეგად. რა თქმა უნდა, ზოგჯერ „გამიშვი“ ფორმაში I ან II პირი შეიძლება ირიბიც იყოს, როგორც, მაგ., აქ: „ხელი გამიშვი“ და, მაშასადამე, ზმნა სამ პირს გამოხატავდეს, მაგრამ უმეტესად ის ორპირიანი და I და II პირი — პირდაპირი.

415. ძველი და ახალი. ქცევის ფორმებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ასპექტის ფორმებთან, იქნება ასპექტი ძველი სისტემით გამოხატული თუ ახალი. მაგრამ არის რამდენიმე ზმნა, სადაც სხვადასხვა ქცევის ფორმა თითქო ასპექტური დიფერენციაციისთვის არის გამოყენებული, — საარვისოს ფორმები უსრულად მიდის, სასხვისო კი — სრულად: ჰკბენს — უკბენს, სჩხვლეტს — უჩხვლეტს, სჩქმეტს — უჩქმეტს, ჰრქენს — ურქენს. „რა-გინდ ვარამმა მკბინოსა (ევა-ფშ., I, 43, 21) — აქ „მკბინოს“ უსრულია, სრული იქნება: მიკბინოს. განსხვავება დიკარგება III სერიაში: მკბენს — მიკბენს, მკბინა — მიკბინა, მაგრამ: უკბენია.

რომ აქ ქცევა არაფერ შუაშია, ის ან ჩანს, რომ ასეთივე დიფერენცია-
ცია სხვანაირად ნაწარმოებ ფორმებს შორისაც გვხვდება: ჰკოცნის—აკოცებს,
სჯობნის—ჯობებს, ჰუნებს—უნებს, სწენს—წენს, სტკენს—ატკენს. II სერიის
ფორმები პირველი წველის ორივე ცალს აქვს: ჰკოცნა—აკოცა, სხვა წველე-
ბიდან კი—შაოლოდ მეორე ცალგებს: აჯობა, აჯნო, აწყინა, ატკინა.

416. პირთა რაოდენობის საკითხი კვლავთან დაკავშირებით. პირთა
რაოდენობის საკითხი ქართ. ზნაში საზოგადოდ გარკვეულია: გარდაუვალ ზნას
შეიძლება ჰქონდეს ერთ-პირიანი და ორ-პირიანი ფორმები, გარდაშვალს კი—
ორ- და სამ-პირიანი. ეს ზოგადი დებულება უწყვეტია ქცევის კატეგორიის შე-
სწავლის შემდეგაც. მაგრამ არის ზოგიერთი კერძობითი ხასიათის მოვლენა,
რომლებიც გვაგალებს,—თქმულის თანახმად (6. გვ. 192),—საკითხს კვლავ დაფუ-
ზრენდეთ.

1. დავიწყეთ გარდაუვალ იზნიდან. მაგალითისთვის შევპართოთ
სტატისტიკურ „აღვია“-ს. ეს ზნა ორ-პირიანია, მისი საგუებლებია: იგი მას. აქ
სუბიექტიცა და ობიექტიც III პირია. თუ „აღვია“ ორ-პირიანია, ორ-პირიანივე
იქნება „მაცვია“-ც, რომელიც მისეულ-ჩემეული ფორმაა, სადაც სუბიექტია
III პირი, ობიექტია I (მაცვია: იგი მე). რაკი ზნა გარდაუვალაა, ცხადია,
რომ I პირი აქ ირიბია. მაგრამ „აღვია“—„მაცვია“ ფორმათა გვერდით არსე-
ბობს იშვიათი ფორმა „მიცვია“, რომელიც მხოლოდ აღმოს. კილოებმა იცის
(§ 411). ეს „მიცვია“ არ ჯდრის არც „მაცვია“-ს და არც „აღვია“-ს, რადგა-
ნაც ამათი ობიექტური პირი უკუთვნილია; „მიცვია“-ში კი კუთვნილების გაგებაა
შეტანილი და დაახლოებით ამას ჯდრის: აცვია ჩემსას. ამიტომ ფრაზა:
„ცოლს არ მიცვია კაბა“ ამას ნიშნავს: ჩემს ცოლს არ აცვია კაბა“, მა-
შასადაქვე, ირიბი ობიექტი განსაზღვრულია I პირის კუთვნილებით: ის I პირს
ეკუთვნის. ეს I პირი ობიექტია, მაგრამ მფლობელი ობიექტი. ამიტომ,
თუ „აღვია“-ს საგუებელია „მას იგი“, „მიცვია“-ს საგუებელი იქნება „ჩემსას
იგი“, სადაც „ჩემსას“ ფორმაში არსებითად ორი საგუებელია შეერთებული: „მე
იგი“.

რაც „მიცვია“-ს შესახებ ითქვა, იგივე (ან მსგავსი რამ) შეიძლება ითქვას
იმევე რიპის სხვა ზნების შესახებაც, რომლებზედაც ზემოთ გვექონდა საუ-
ბარი (§ 411): მიმართებს — პირათებს მას ჩემი, მიხურავს — მხურავს
(ახურავს) იგი ჩემსას, მიგვრდევს — აღევს მათ ჩემნი, უსხიათ — ასხია
ის მათს, უბიათ — ბია იგი მათს, მიმეპყარ — მიმეპყარ შენ ჩემსას,
არ შეგვიცივდეს — არ შესცივდეს ჩვენსას და მისთ. ამ საგუებლებში ჩემი,
ჩემნი, ჩემსას, ჩვენსას, მათს სათანადო პირს მფლობელად წარმო-
გვიდგენენ და კუთვნილების თვალსაზრისით სუბიექტს (ან მეორე ობიექტს) გან-
საზღვრავენ.

ამ თვალსაზრისით „მიცვია“, „მიგვიდევს“, „მიმეპყარ“ და მისთანა გარ-
დაუვალ იზნები სამ-პირიანი ჩანს. ეს სამ-პირიანობა იქიდან მომდინარეობს,
რომ, როცა ფორმა უკუთვნილია, ფორმა ორ-პირიანია (აცვია, აღევს, მიმეპყარ),
ემატება კუთვნილების გამომხატველი პირი და სამ-პირიანი ხდება: მიცვია, მი-
გვიდევს, მიმეპყარ. ამ სამ პირთაგან ერთი სუბიექტია და ორი ირიბი ობიექტი-

ამ ობიექტთან ერთი მფლობელია, მეორე — „წმინდა“ (უბრალო). ეს „წმინდა“ ობიექტი მფლობელი ობიექტის მიმართ ზოგჯერ ფლობილია (ანუ კუთვნილი), ზოგჯერ კი არა: ფლობილია ასეთ შემთხვევაში: „დღედას უკადრად მიმეპყარ“, არ არის ფლობილი ასეთში: „მითხოს მიგვიდევ ვალია“, სადაც ფლობილია სუბიექტი და არა ობიექტი (= ჩვენი ვალი ადევს მითხოს).

მაშასადამე, გარდაუვალ ზმნაში სუბიექტურ პირს გარდა შეიძლება გამოხატულ იქნეს ორი ობიექტი, რომელთაგანაც ერთი მიიკუთვნება სუბიექტს ან მეორე ობიექტს და ამის გამო მფლობელი ობიექტია. პირის ნიშანი ამ მფლობელ ობიექტს მოულის და არა მეორეს, ამიტომ მისი გაგება მკვიდრია და ნათელი, მეორისა კი მკრთალი.

2. ეხლა გარდამავალი ზმნები ენახოთ. მაგალითად ავიღოთ „მიმბა“ (§ 402). საარვისო ქცევით ეს ზმნა სამ-პირიანია იმ შემთხვევაშიც, როცა ცვალებადად ირიბია (მომბა: მან მე იგი, მოგაბა, მიაბა) [§ 254]. რომელი ობიექტური პირიც უნდა ავიღოთ, ეს პირი ყველგან წმინდა ობიექტი იქნება. მაგრამ თუ ფორმას გადავიყვანთ სასახისოში, პირთა რაოდენობას მოვმატება ერთი, რომელიც მფლობელობას აღნიშნავს, სხვა პირები კი უცვლელი დარჩება: მიაბა — მან მას იგი, მ-გრამ მიმბა — მან მას ხემი (ან ჩემსას). ეს „ჩემი“ (ან „ჩემსას“) განსაზღვრებაა პირდ. ობიექტისა (ჩემი ყური), ან ირიბი ობიექტისა („ჩემს დუქანს“). რადგანაც ამ განსაზღვრებით თვით ეს ობიექტიც არის მითითებული, ამიტომ თეორიულად „მიმბა“ ფორმა 4 პირს შეიცავს. მაგრამ ამ პირთან ერთად ნიშანი მარტო ორს მოულის: სუბიექტს და მფლობელს ობიექტს. ცვლითაც ესენი იცვლებიან პირისა და რიცხვის მიხედვით, ე. ი. უღლების ბუღალსაზრისით ესენია მნიშვნელოვანი. ამიტომ ამ ორი პირის გაგება ნათელია და მკვიდრი, დანარჩენებისა კი — მკრთალი. რა თქმა უნდა, ასეთ გარდამავალ ზმნას შეიძლება ოთხი სახელი შეეწყოს: სუბიექტი, პირდაპირი, მფლობელი ირიბი და წმინდა ირიბი, მაგრამ პირთა რაოდენობის საკითხი ზმნაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საშუალება გააჩნია ზმნას ფორმა-ცვალებისათვის პირისა და რიცხვში, ე. ი. რა შემადგენელი ნაწილები იღებენ აქტიურ მონაწილეობას ფორმა-ცვალებაში. ამ ბუღალსაზრისით ფორმის აქტიური მონაწილეებია: სუბიექტური პირი და ის ობიექტური პირი, რომელსაც კუთვნილების გაგება ახლავს, ე. ი. მფლობელი ირიბი. სხვა ობიექტური პირები კი (გარდაუვალში ერთი, გარდამავალში ორი) უცვლელია და ფორმათა შენების ბუღალსაზრისით პასიური¹.

ზემოთ მოკვანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ მფლობელი ირიბი კუთვნილების მიხედვით განსაზღვრ. ეს ან პირდ. ობიექტს [ეს ნაშალი არაფერს წემიკმითო — პირდაპირია „მამალი“, ირიბია სხვა რანე (ტურა, მელა და სხვა)], ან ირიბს [„ცენსაც ლამაზად მიქმეიდენ“, — პირდაპირია საქმელი (ქერი, თივა და სხვა, რომელიც აქ არ არის, მ-გრამ შეგვიძლია ვიგულისხმოთ), ირიბია „ცხენი“]. წყვეტილნი გადაყვანით და „ქერი“ ობიექტად შეწყობით წინადადება ასე გაიმართება: „ცხენსაც ლამაზად მიქმეის ქერი“. მაგრამ იგივე

¹ „აქტიური“ და „პასიური“ ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი მნიშვნელობით არის ნაშაპრი, და არა გრამატიკულსა.

„ცხენი“ პირდაპირად გადაიქცევა, თუ ირიბად სხვა რამეს ვიგულებთ: „ცხენიც ლამაზად შემიქმიეს მეგლს“.

აქედან დასკვნა: არის შემთხვევები, როცა გარდაუვალი ზმნა სამ-პირიანი ჩანს და გარდამავალი—ოთხ-პირიანი. ზაგრამ იქაც და აქაც ნათლად და მკაფიოდ მხოლოდ ის პირებია გამოხატული, როგორც ცელიღების საშუალება აქვთ. ასეთი საშუალება კი ქართულ ზმნაში მარტო ორ პირს აქვს: სუბიექტურს და ერთ ობიექტურს. მორფოლოგიურ საშუალებათა ასეთი შეზღუდულობით არის განსაზღვრული, რომ მესამე პირი გარდაუვალ ზმნაში და მესამე და მეოთხე პირი გარდამავალში ნათელ წარმოდგენას ვერ გვაძლევენ.

ზენიზმნა. ძე. ქართულში უცვლელი პირდ.-ობიექტური პირი სამ-პირიანი ზმნისა მხოლოდ რიცხვის მიხედვით იღებდა მონაწილეობას ფორმათა შენებაში, ისიც გარკვეულ შემთხვევებში (თუ ზმნა II სერიაში იდგა): „ღამიწერა სიგელი“ — „ღამიწერ-ნ-ა სიგელი“. მაგრამ ეს ნიშანი დაკარგულია ახალ ქართულში.

417. ძველი სავითხი ინდოევროპულ მნებში. ქცევა მკაფიოდ გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა ქართულსა და მოძვე ენებში — მეგრულ-ქანურსა და სვანურში: გარდამავალ ზმნებში აქ სამ-სამი ფორმა გვაქვს კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით განსხვავებული, გარდაუვალ ზმნებში კი—ორ-ორი. სხვა ენებში, რამდენადაც ვიცით, ეს კატეგორია აღნიშნული არ არის, მაგრამ ჩემთვის უუქველია, რომ ის ინდოევროპულ ენებსაც მოეპოვებათ, თუცა არა ისე მკაფიოდ გარჩეული, როგორც ჩვენს ენებში. მაგ., ძველი ბერძნულისათვის აშკარად უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ მას ქცევის კატეგორია მოეპოვება გარდამავალ ზმნებში, რომელთაც გარკვეულ შემთხვევებში (მაგ., აორისტში) ორ-ორი ფორმა აქვთ ერთმანეთისაგან მკვეთრად გარჩეული კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით როგორც ფორმით, ისე ფუნქციით: საარვისო და სათავისო. მაგრამ ძველ გრამატიკოსებს ბერძნული სათავისო ქცევის ფორმები ისეთ ფორმებად მიაჩნდათ, რომლებიც თითქოს თანაბრად შეეზომებოდეს მოქმედებითსა და ენებითს. ამიტომ მიღებული იყო სამ-გვარიანი სქემა: მოქმედებითი—ენებითი—საშუალი (აქტივი—პასივი—მედოუმი), რომელსაც დღევანდელი ევროპელი ენათმეცნიერებიც საყვებით იზიარებენ.

აქტივი	პასივი	მედოუმი
ქა:ძმესძე(ν)	ქა:ძმამუ	ქა:ძმესძაძ

თუ ამ ფორმებს შევხედავთ გვარისა და ქცევის კატეგორიების შესწავლის შემდეგ ქართ. ენის მასალებზე, აღმოჩნდება, რომ ისინი ერთი სიბრტყის მოვლენას კი არ ასახავენ, არამედ სხვადასხვისას: პირველი და მეორე ერთმანეთს კონვერსიის მიხედვით შეეზომება, პირველი და მესამე—კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით; ამიტომ განსხვავება პირველსა და მეორეს შორის გვარის მიხედვით არის, პირველსა და მესამეს შორის—ქცევის მიხედვით. მეორე და მესამე კი თანაშეუზომელი ფორმებია. ამ გარემოებას ქართული თარგმანი გამოაშკარავებს:

	აქტივი	პასივი
გვარი	განმანათლებელი(ვ)	განმანათლებელი(ვ)
	[მან აღზარდა (იგი)]	[იგი აღიზარდა]
	საარვისო	სათავისო
ქცევა	განმანათლებელი(ვ)	განმანათლებელი(ვ)
	[მან აღზარდა (იგი)]	[მან აღიზარდა (იგი)]

ერთად ერთი განსხვავება ქართულსა და ბერძნულს შორის პირთა რაოდენობაა. გარდამავალ ზმნაში. სხვაფრივ ქართ. და ბერძნული ზმნა თანაბარია. ცხადია, ბერძნულს ქცევის კატეგორია აქვს, მაგრამ მართო გარდამავალ ზმნებში და ისიც არა ყველა მწყობრში. მაგრამ თუ ქცევის კატეგორიის გვარიდან გამოთიშვა ვერც ძველმა გრამატიკოსებმა მოახერხეს და ვერც ებლანდელმა ბერძნული ენის სპეციალისტებმა, ეს იმიტომ, რომ ბერძნულში ეს კატეგორია მკაფიოდ გამოხატული არ არის, ბევრგან წაშლილია განსხვავება სათავისო ქცევის ფორმასა და ვნებითი გვარის ფორმას შორის, ერთსა და იმავე „მედიალურ“ ფორმას შეუძლია გარდამავალიც იყოს (მაშასადამე, სათავისოობა გასწიოს) და გარდაუვალიც (მაშასადამე, ვნებითი გვარის როლი შეასრულოს).

აქედან დასკვნა: გვარის კატეგორიიდან უნდა გამოიყოს ქცევის კატეგორია და მას დამოუკიდებელი ადგილი მიეჩინოს ბერძნულში და სხვა ინდოევროპულ ენებში, სადაც სათავისო ფორმები, მედიუმად წოდებული, გადმონაშთის სახით არის მოღწეული (შღრ. § 375).

418. სათავისო ქცევის ნიშანი პრეფიქსი ი: და-ი-წერა. პრეფიქსი ი მოუღდის აგრეთვე გარკვეული ტიპის ზმნებს აბსოლუტური აგებულების დროს ვნებითში: და-ი-წერა. საკითხავია: შემთხვევითია ეს გარემოება, თუ არა? თუ შემთხვევითი არ არის, ხომ არ შეიძლება საკითხი დაისვას იმის შესახებ, რომ ორივე ი ერთია წარმოშობით? ამ საკითხის გადასაწყვეტად სამი გარემოებაა საყურადღებო:

1. სათავისო ქცევა მოქმედ. გვარის კუთვნილებია. მართალია, მას აკლია საპირისპირო ვნებითი, მაგრამ სხვაფრივ ის ყველაფერად თანაბარია ორპირიან საარვისოსთან, რომელთანაც ის გარკვეულ კავშირშია. მოქმ. გვარის ზმნა საზოგადოდ გარდამავალია, გარდამავალია სათავისოც, მაგრამ ქართულში ხშირად ადგილი აქვს სათავისო ფორმის გარდაუვალად გამოყენებას. ეს ხდება მედიო-აქტივ ზმნებში (§§ 370, 371), რომლებიც დანაკლის ფორმათა შესავსებად თავისივე ფუძას მოქმ. ზმნის სათავისოს მიმართავენ: ცხოვრობს, ცხოვრობდა, ცხოვრობდეს, მაგრამ: ი-ცხოვრებს, ი-ცხოვრა. დღეს ჩვენ ერთისა და იმავე ზმნის ფორმებად გვესმის „ცხოვრობს“ და „ი-ცხოვრა“, მაგრამ ისინი წარმოშობით სხვადასხვა ზმნებია: „იცხოვრებს“ არის სათავისო ქცევა, რომელსაც საარვისოდ „იცხოვრებს“ აქვს. მაგრამ ეს სათავისო ქცევის ფორმა დაკლილია ქცევის შინაარსისაგან იმით, რომ მას პირდ. ობიექტი ჩამოეცალა და უბიექტოდ დამორჩალი ზმნა გარდაუვალი გახდა. მიუხედავად ამისა მას შერჩენილი აქვს. ორი ნიშანი გარდამავალი ზმნისა, ერთი სინტაქსური, მეორე მორფოლოგიური: ა) II სერიის ფორმებთან მას სუბიექტი მოთხრობითში მოუღდის (იცხოვრა

კაცმა), ხ) III სერიის ფორმები ინვერსიულად აქვს ნაწარმოები და ამასთან დაკავშირებით სუბიექტი მიკემითში უდგას (უცხოვრია კაცს).

„აცხოვრა“-ს სუბიექტიც აქვს და პირდ. ობიექტიც: კოტემ კარგად აცხოვრა ცოლ-შვილი; სხვათა შორის პირდ. ობიექტად მასთან უკუქცევითი ს.-ნაცვალნი „თავი“-ს შეიძლება იყოს („თავეს, საცა უნდა, ვაცხოვრებ“, ვაჟა-ფშ., V, 6, 11). მაგრამ სადღაა პირდ. ობიექტი სათავისოსთან? „იცხოვრა მან“, მაგრამ რა იცხოვრა?—თითქო „თავი“, რომელიც დაიკარგა, რადგანაც ერთადერთი იყო და ამიტომ ადვილად საგულისხმებელი. პირდ. ობიექტის დაკარგვით ზმნამ გარდამავლობა დაკარგა და ამით ის საშუალებას გაუთანაბრდა და მისი დანაკლისი ფორმების შეესებაც იკისრა. მის აქტივ წარმოებას მართო მისი სინტაქსური ძალა გვაგონებს II სერიაში და მორფოლოგიური ნიშანი III-ში (ინვერსია). მაგრამ ერთიც ვნახოთ, ზმნამ ხელი აიღო ამ ნიშნებზედაც და გაუთანაბრდა სხვა ტიპის ვნებითებს. რაღა დაგვრჩება მაშინ აქტივი ფორმისაგან?—აღარაფერი და... მაშინ წარმოშობით აქტივი ფორმა ნამდვილ პასივად გადაიქცევა.

ასეთი განვითარების გზა უნდა ჰქონდეს ვავლილი ინიან ვნებითს ქართულში.

მართლაც, ობიექტიანი საარვისო „გა-ა-ხარა“ („დღემ ბევში გაახარა“) და უობიექტო სათავისო „გა-ო-ხარა“ („ბავშვმა გაიხარა“) ფუნქციონალურად ისეთსავე ურთიერთობაშია ვრთმანეთთან, როგორც აქტიურ-პასიური ფორმები: გაზარდა—გაიზარდა, გაამდიდრა—გამდიდრდა, უაახმო—გახმო, გატეხა—ვატყუდა და მისთ., სადაც კონვერსია აშკარად გამოხატული მოვლენაა (პროპორცია: დღემ ბავში გაახარა: დღემ ბავში გაზარდა=ბავშვმა გაიხარა: ბავში გაიზარდა). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ უობიექტო „გაიხარა“ ვნებითიაო, მაგრამ, თუ ვამბობთ, რომ „გაიხარა“ საშუალოა და არა ვნებითია, იმიტომ, რომ II სერიის ფორმებთან სუბიექტი მას მოთხრობითში ეწყობა და არა სახელობითში (ბავშვმა გაიხარა); დასძინეთ ამას ინვერსია III სერიის ფორმებში („გაუხარინა“) და სუბიექტის შეწყობა მიკემითში („ბავშვს გაუხარინა“), რომ აშკარა განდეს მისი ვნებითად გამოცხადების შეუძლებლობა.

2. ინიანი ვნებითის მოქმედებითან კავშირს ის უცილობელი ფაქტი ამჟღავნებს, რომ სუბიექტური პირის ფორმები ვნებითს ძვ. ქართულში (ნაწილობრივ ახალშიც) ოროვე რიცხვის მიხედვით იმგვარადვე აქვს ნაწარმოები, როგორც სათანადო მოქმედებითს პირდ.-ობიექტური პირის ფორმები მხ.-სა და მრ.-ში. ამას თვალსაჩინოდ შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს:

	აქტივი	პასივი
მხ.	1. აღმზარდა	მხ. 1. აღვიზარდე
	2. აღგზარდა	2. აღიზარდე
	3. აღზარდა	3. აღიზარდა
მრ.	1. აღმზარდ-ნ-ა (*აღმზარდ-ენ-ა)	მრ. 1. აღვიზარდ-ენ-ით
	2. აღგზარდ-ნ-ა (*აღგზარდ-ენ-ა)	2. აღიზარდ-ენ-ით
	3. აღზარდ-ნ-ა (*აღზარდ-ენ-ა)	3. აღიზარდ-ენ-ეს (*აღიზარდ-ენ-ეს)

ეს დამთხვევა პასივისა აქტივის ფორმებთან, რაც მარტო პრეფიქსიან ვნებითს ახასიათებს, არ არის შემთხვევითი. სწამე ის გახლავს, რომ, როგორც არა ერთხელ არის ნათქვამი, პასივი აქტივის კონვერსიული სახეა: აქტივის პირდაპირ-ობიექტური პირი პასივიში სუბიექტური ხდება. ამიტომ პასივიში სუბ. პირის ფორმები ორ-ფუძიანობას იჩენენ: მხ.-ში მარტივი ფუძე აქვთ, მრ.-ში რთული, ენ აფიქს-დართული. ეს იმით, რომ პასივის ფორმები სუბ. პირისათვის აქტივის პირდ.-ობიექტურის ფუძეს ეყრდნობა: მხოლოებითში მხოლოებითისას, მრავლობითში მრავლობითისას.

3. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც შუქს ჰყენს ინიანი პასივისა და სათავისოს ურთიერთობის საკითხს: რით აიხსნება ის გარემოება, რომ დეპონენსებს ფორმა ვნებითისა აქვს და ფუნქცია მოქმედებითისა (§ 365)?-- იმით, რომ ინიანი ვნებითი მოქმედებითისაგან არის წარმოშობილი, სახელდობრ სათავისო ქცევის ფუძისაგან.

შუბველია, ქართული მოვლენის ანალოგიას წარმოადგენს ინდოევროპული პასივის წარმოშობა მედიალური ფორმისაგან. ბერძნული მედიუმი კი, როგორც განიორკვა (§ 417), სხვა არა არის რა, თუ არა სათავისო ქცევა.

შენიშვნა. გასარკვევი რჩება საკითხი, ენიანი ვნებითის შესახებ. აკად.

ნ. მარი ფიქრობდა, რომ ე მიღებულია შერწყმის გზით აი ჯგუფისაგანო: აი→ეი→ეა→ე→ე: *მ-ა-ი-სმის→მ-ე-სმის (Грaмм., 128). ასე რომ იყოს საქმე, მაშინ ენიანი ვნებითი ინიანისაგან იქნებოდა გამოსული და მისი წარმოშობის საკითხიც მასთან ერთად გადაწყდებოდა. მაგრამ ძველისძველად ე აქტუვიშიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც ამას ნაშთის სახით ეხლაც ვხედავთ: (*მი-ვ-ჰ-ე-ც-ემ—*მი-ვ-ჰ-ე-ც) მი-ვ-ს-ც-ემ—მი-ვ-ე-ც. ენიანი ვნებითი ამ ენიანი მოქმედებითისაგან უნდა მომდინარეობდეს.

419. ძველის კატაგორიის შესწავლის ისტორიიდან. კარვა ხანია შენიშნულია ე. წ. „მიჩემებითი“ ანუ „მიკუთვნილებითი“ ფორმები ქართ. ზმნისა (ცნობები მოუპოვებათ დ. ჩუბინაშვილს, პ. კვიციანიძეს, კ. დოლიშვილს, ა. ქუთათელაძეს, თ. ყორღანიას, ს. ხუნდაძეს და სხვებს), მაგრამ არ იყო გამოკვლეული, თუ რა ურთიერთობაა „მიჩემებითისა“ და მიუჩემებელ ფორმებს შორის და რას წარმოადგენს არსებითად მიჩემებითი ფორმები.

3. შუხართი ფიქრობდა, რომ ქართ. ზმნას აქვს ოთხი ძირითადი ფორმა: ერთი უნიშნო (ე-ს-წერ) და სამი ნიშნიანი: ა (ე-ა-წერ), ი (ე-ი-წერ), ე (ე-ე-წერები). უკი (III ობ. პირში) პარალელური ფორმა ინისაო (Über das Geordische, ვენა, 1895, გვ. 15). მაგი ფუნქციის შესახებ ის არას ამბობს.

ნ. მარი გამოდიოდა ქართულისა და სემიტურის ენების ნათესაობის თეორიიდან და ქართ. ქცევათა ფორმებს განიხილავდა ისეთ ფორმებად, რომლებიც არაბულად ნავყის სახელით არის ცნობილი (ნავყ), რუსულად კი: поприца-თი აღინიშნება. პირველად მას ორსავე გვარში ოთხი ნავყი მიაჩნდა.

მ თ ქ მ ე დ ე ბ ი თ ი

ნიშანი	მაგალითი
I. —	ვწერ
II. o	ვისმენ
III. ა	ვაჩერებ, ვაცხადებ
IV. ა	ინებ ვაჩერებინებ, ვაცხადებინებ

ვ ნ ე ბ ი თ ი

ნიშანი	მაგალითი
—	ვწერები
o	ვიჩერები, ვიცხადები
დ(ნ)	ვწერდები, ვცხადდები
ე	ვეცხადები

მეოთხე ნაყი ნ. მარს მეორეულ მოვლენად მიაჩნდა: მოქმედებითში ის ნაწარმოებია III ნაყისაგან, ენებითში კი — II-ისაგანაო (Осн. табульц, 1908, ტაბ. XI).

ეგვე სქემა გაიმეორა მან 17 წლის შემდეგაც, 1925 წელს გამოსულს ქართულს გრამატიკაში (ტაბ. VIII, გვ. 141), ოღონდ დაურთო მეზუაე ნაყი, რომელსაც ნიშნად ო აქვსო: ვ-კუნ-ეტ, ვ-სხლ-ეტ, ვ-წრ-ეტ, ვ-წრ-ეტ (გვ. 140).

როგორც ვხედავთ, იძიება ტერმინით ნ. მარს სულ სხედასახვა სახის მოვლენები აქვს გაერთიანებული.

არაბული გრამატიკის გაკვლეა არ ასცდა არც ჩემს პირველ ცდას, რომ ქცევის მოვლენები გაშეჯერებინა როგორც სისტემა ყველა ფორმათა წარმოებისა ერთი ფუძისაგან:

ნიშანი	მაგალითი	ნიშანი	მაგალითი
	[მოქმედ.]		
1. —	და-წერა (ძირით.)	5. ა—ინ	და-ა-წერა-ინ-ა
—	მი-ს-წერა (პარალ.)	6. უ—ინ	და-უ-წერა-ინ-ა
2. o	და-o-წერა		[ვნებ.]
3. უ	და-უ-წერა	7. o	და-o-წერა
4. ა	და-ა-წერა	8. ე	და-ე-წერა

(ამის შესახებ: სტბ. პრეფიქსი...ა, 1920, 36—37, 50—51, 79. ნასახელ. ზმნები ქართულშია: ტ. უ. მ. I, 1919—1920, გვ. 88—89).

შემდეგს ეტაპს წარმოადგენს ჩემი გამოკვლევა: ქართული ზმნის საქცევი, რომელიც დაიბეჭდა 1926 წელს (ტ. უ. მ., VI); აქ პირველად არის დადგენილი ამ კატეგორიის რაობა. ოღონდ ეს გამოკვლევა რამდენაღე არ იყო თავისუფალი ფორნალიზმისაგან: ქცევა 5 იყო: საარვისო (ვწერ), სათავისო (ვიწერ: მე მას), სასხვისო (ვუწერ), სათანაო (ვსწერ: მე მას მას) და საზედაო (ვაწერ).

ეს სქემა გაიზიარა და გაატარა თავის ნაშრომში გ. დეეტერსმა (Das kharthelische Verbum, ლფც. 1930). ამასობაში გამოვიდა ჩემი „მორფოლოგია“ (1930), სადაც მოძღვრებამ ქცევის შესახებ საბოლოო სახე მიიღო. აქ უკვე ქცევათა რიცხვი სამამდე დაყვანილი (საარვისო, სათავისო, სასხვისო), ამოღებულია „სათანაო“ (რომლის ქცეობაში ა. ჩიქობავაც დაეკვდა) და საზედაო. მიუხედავად ამისა კ. ფოგტმა (H. Vogt) შესაძლებლად სცნო, რომ „საზედაო“ დაეტოვებინა თავის ფრანგულად დაწერილ გრამატიკაში (ოსლო, 1936). „ვერსია“ როგორც გარკვეული გრამატიკული კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი, შევიდა სპეციალურ ლიტერატურაში ევროპაში (გ. დეეტერსისა

და პ. ფოგტის ნაწერებში), ოლონდ ბ. რუდენკომ არჩია, რომ ძველი ტერმინი (порт) დაეტოვებინა, თუმცა აღნიშნა კი, რომ ეს ტერმინი შეუფერებელიაო (Грамм. рус. яз., 1940, § 67).

აქ წარმოდგენილი მოძღვრება წარმოადგენს დაზუსტებას და განვითარებას იმ პრინციპებისას, რომლებიც ჩემს მორფოლოგიაშია მოცემული 1930 წელს (§ 49—96).

ქ ო ნ ე პ ე ზ ი

420. კონტაქტის რაობა. კონტაქტის ანუ გზის სახელით აღნიშნავ. ზნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით. ამის მიხედვით გვაქვს ორი, კონტაქტი: უშუალო და შუალობითი (resp. უშუალო და მეშვეობითი).

უშუალო კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბ. პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად: ვწერ, ვხატავ, ვაშენებ, ვიპერ.

შუალობითი კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბ. პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე სხვა პირის შუალობით: ვაწერინებ, ვახატვინებ, ვაშენებინებ, ვაიპერინებ.

შუალობითი კონტაქტის ფორმას დამოუკიდებლად კაუზატივს ეძახიან ანუ ფაქტიტივს, ზოგჯერ აგრეთვე იძულებითსაც (რუსულად: посылительный, покудательный ან принудительный глагол).

421. ხელმძღვანელი და შემსრულებელი. შუალობითი კონტაქტის მიხედვით რეალურად მოქმედებს არა ერთი პირი, არამედ ორი: პირი, რომელიც ხელმძღვანელობს საქმეს და პირი, რომელიც უშუალოდ მოქმედებს და პირად აღსრულებს ხელმძღვანელის დავალებას. ხელმძღვანელი პირი—ეს არის საქმის მეთავე, მისი ორგანიზატორი, ხოლო ვინც უშუალოდ მოქმედებს, ერთგვარი იარაღია საქმის ორგანიზატორის ხელში. ამ ორ პირს გარდა არის კიდევ მესამე პირი, რომელიც წარმოადგენს მათი მოქმედების საგანს. აღნიშნათ: ეს პირები შესაბამისად ამ ტერმინებით: ხელმძღვანელი, შემსრულებელი, სამიზნო. მოვიყვანოთ მაგალითიც: „პეტრემ პავლეს ქურდი დააწერინა“. ამ წინადადების მიხედვით მოქმედებენ პეტრე და პავლე, მაგრამ მათი როლები ამ მოქმედებაში სხვადასხვანაირია: პეტრეა დაკერის ინიციატორი, ხოლო პავლე—ფაქტიური შემსრულებელი ამ დაკერისა: ქურდთან საქმე უშუალოდ პავლეს აქვს. აპგარად, პეტრე ხელმძღვანელობას უწევს პავლეს, რომელიც თავის მოქმედებაში სხვისი ნების გამახორციელებელია. ესენი ორივე მოქმედებენ მესამეზე—ქურდზე, რომელიც არის დაკერის საგანი ანუ სამიზნო.

ზმნაში სამივე პირია ასახული, მაგრამ სხვადასხვანაირად: ხელმძღვანელი—სუბიექტურ პირად, ფაქტიურად შემსრულებელი—ირიბ-ობიექტურად, ხოლო სამიზნო—პირდაპირ ობიექტურად: დააკერინა (მან მას იგი). დასახელებულ ზმნაში სამივე პირი რომლობის მიხედვით მესამეა, რის გამოც საქმის ვითარება შეიძლება ყველაფერად ნათელი არ იყოს. ამიტომ ვცვალოთ ისინი. თუ სუბიექტურ პირებს ვცვლით, გვექნება: დავაკერინე, დააკერინე, დააკერინა, დავაკერინეთ და შემდგომი; თუ ირიბ-ობიექტურ პირებს ვცვლით, გვექნება:

დამაპერინა, დაგაპერინა, დააპერინა, დაგაპერინა. პირდ.-ობიექტური პირების ცვლა იმავე ფორმებს მოგვცემს, რასაც ირიბ-ობიექტურისა; გარეყვას მათ შორის (ე. ი. პირდაპირ-ობიექტურია პირი თუ ირიბი) მხოლოდ სახელთა შეწყობის საშუალებით მოვახერხებთ.

„დააპერინა“ ფორმით გამოხატულ პირთა ფარდი სახელებია: სუბიექტურისა „პეტრე“, ირიბ-ობიექტურისა „პავლე“, პირდაპირ-ობიექტურისა „ქურდი“. ამიტომ „პეტრე“ სუბიექტია, „პავლე“—ირიბი ობიექტი, „ქურდი“—პირდაპირი ობიექტი.

422. სუპიეპტი და ობიეპტი ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით კონტაქტის ფორმებში. თუ შუალობითი კონტაქტის წინას განვიხილავთ პირთა გამოხატვის საშუალებათა თვალსაზრისით, დავრწმუნდებით, რომ არც სუბიექტური პირი და არც ობიექტური პირი (ან პირები) არ განსხვავდება უშუალო კონტაქტის სათანადო პირებისაგან არც მორფოლოგიურად და არც სინტაქსურად.

რომ განსხვავება არ არის, ამას ამ მაგალითების შედარება გვიჩვენებს: „პეტრემ პავლეს ქურდი და აპერინა“, „პეტრემ პავლეს მწყერი და აუკირა“, „პეტრემ პავლეს ცხენი აჩუქა“, „პეტრემ პავლეს სახლი დაუწვა“, „პეტრემ პავლეს ამბავი ჰკითხა“, „პეტრემ პავლეს წიგნი სთხოვა“ და მისთ. აქ მხოლოდ პირველი წინადადების ზმნაა შუალობითი გზისა („დააპერინა“), სხვები კი უშუალო გზის ფორმებია. მაგრამ პირის ნიშნები ყველგან ერთია: სუბიექტისა სუფიქსი ა (დააპერინა-ა, დაუკირა-ა, აჩუქა-ა, დაუწვა-ა, ჰკითხა-ა, სთხოვა-ა), ირიბ-ობიექტურისა პრეფიქსი მ, რომელიც უცვლელად *მ კითხა-შია შემონახული, სხვაგან კი ან ს-დ არის ქცეული (ს-თხოვა), ან დაკარგულია ხმოვნების წინ: *და-მ-აპერინა, *და-მ-უკირა, *მ-აჩუქა, *და-მ-უწვა *(და-ა-უწვა). მაგრამ ყველაფერი ეს ფონეტიკური წესების ჩარევის ბრალია. მორფოლოგიურად კი აქ ყველგან ერთსა და იმავე ოდნობასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება პირდ.-ობიექტურ პირს, მას ნიშანი არსად არა აქვს.

სინტაქსური კავშირის მიხედვით თუ შევხედავთ საქმეს, ენახათ, რომ აქაც სრული პარალელიზმია: ფარდი სახელების ბრუნვის ფორმები ყველგან ერთია: სუბიექტისა—მოთხრობითი („პეტრემ“), ირიბი ობიექტისა—მიცემითი („პავლეს“), პირდაპირი ობიექტისა—სახელობითი („ქურდი“, „მწყერი“, „ცხენი“, „სახლი“). „ამბავი“, „წიგნი“).

მაშასადამე, ფორმის თვალსაზრისით სუბიექტური პირი და ორივე ობიექტური ორივე კონტაქტისა ყველგან თანაბარ პირობებშია ჩაყენებული.

თუ ფუნქციის თვალსაზრისით შევხედავთ აღნიშნულ ზნებსა და მათთან შეწყობილ სახელებს, დავრწმუნდებით, რომ დიდ განსხვავებას აქვს ადგილი: უშუალო კონტაქტის ფორმა ერთ მოქმედ პირს გულისხმობს, რომელიც სუბიექტურის სახელით არის ცნობილი და რომელსაც უშუალოდ აქვს საქმე პირდ-ობიექტურ პირთან (ან პირდ. ობიექტთან), შუალობითი კონტაქტისა კი ორ მოქმედ პირს გულისხმობს; ერთს ხელმძღვანელს (ანუ ორგანიზატორს), მეორეს შემსრულებელს (ანუ ეგზეკუტორს). ამათგან ხელმძღვანელი სუბიექტად ნიღის, მოქმედების უშუალოდ შემსრულებელი კი—ირიბ ობიექტად.

ასეთი ფუნქციონალური განსხვავება სხვადასხვა კონტაქტის სუბ. პირებსა და ირიბ-ობიექტურ პირებს შორის (resp. სუბიექტებსა და ირიბ-ობიექტებს შორის) დამოკიდებულია არა პირთა გამოხატვის საშუალებათაგან და არა სინტაქსური კავშირისაგან, არაქედ იმისაგან, რომ შეულობითი კონტაქტის ფორმას სხვა გრამატიკული შინაარსი აქვს მოპოვებული, ვიდრე უშუალო კონტაქტისას.

მაშასადამე, შეულობითი კონტაქტის ფორმა ერთი მოქმედების შესრულებას ორ პირს მიაწერს, მაგრამ სხვადასხვა სახის მონაწილეობით: ერთი მათგანია ხელმძღვანელი ანუ მეთაური, მეორე—მისი ფაქტიურად გაზახორციელებელი. პირველი სუბიექტური ნიშნით არის წარმოდგენილი, მეორე—ირიბ-ობიექტურით, გრამატიკულად პირველი სუბიექტია, მაგრამ ხელმძღვანელი სუბიექტი, მეორე კი—ობიექტი, მაგრამ შემსრულებელი ობიექტი.

საყურადღებო ფაქტია, რომ პირდაპირი ობიექტი (სამიზნო) ყველა ტიპის ზმნაში ორივე კონტაქტის ფორმით ერთნაირად არის წარმოდგენილი: შეულობითი კონტაქტის ფორმა მის მიმართ ნეიტრალურია, ის არავითარ გავლენას არ ახდენს მასზე: ქურდი დაიჭირა—ქურდი დააჭერინა, მგელი მოკლა—მგელი მოაკლევინა, წერილი დაწერა—წერილი დააწერინა და მისთ.

მაშასადამე, ზმნის გადაყვანა შეულობითში—ეს ნიშნავს სუბიექტური პირის ნუნანის გამოცვლას და ფორმაში უშუალოდ მოქმედი პირის შეყვანას.

შენიშვნა. როგორც შემდეგ ვნახავთ (§ 431), ზოგ შემთხვევაში უშუალოდ მოქმედი პირი შეიძლება ზმნის ფორმით გათვალისწინებული იყოს, მაგრამ მკაფიოდ არ იყოს წარმოდგენილი.

423. შუალობიითი ძონტაქტის წარმომბა. შეულობითი კონტაქტის ფორმათა მაწარმოებელია: **ინ, ევ და ევინ.**

1. **ინ** მოუღის ზმნათა დიდ უმეტესობას: წერ-ს—აწერ-ინ-ებს, ტეხ-ს—ატეხ-ინ-ებს, გრეხ-ს—აგრეხ-ინ-ებს, აქცევ-ს—აქცევ-ინ-ებს, ხატავ-ს—ახატე-ინ-ებს, აკეთებ-ს—აკეთებ-ინ-ებს, აზობ-ს—აზობ-ინ-ებს ს. ცემ-ს—აცემ-ინ-ებს და მისთ.

2. **ევ** მოუღის თითო-ოროლა ზმნას, როგორცაა: ჰამ-ს—აჰმ-ევ-ს, სვამ-ს—ასმ-ევ-ს, იცავ-ს—აცივ-ევ-ს. ეგვევ **ევ** გვაქვს ართმ-ევ-ს და არქმ-ევ-ს ზმნებშიც, მაგრამ ამათ დაკარგული აქვთ შეულობითი გზის გაგება. ეს **ევ** ხმოვან-შეცვლილად არის წარმოდგენილი II სერიის ფორმებში (ივ).

ძველსა და საშუალ ქართულში უფრო გავრცელებული იყო **ევ-ის** ხმარება (და რამდენადმე დღესაც გავრცელებულია ზოგიერთ კილოში, მაგ. ხევსურულში), როგორც ამას ეს მაგალითები გვიჩვენებს:

ენავს—**აენვევს**: „ხოლო ოღუესას არა ენება წარსლვაჲ... მოიყვანნა წარი და ვირი და... აენვევდა მათ ერთად“ (ილ. აბულ., ევლინთა ზღაპრობანი, III, 60).

ქლავს—**აკლვევ-ს** (გაღასმით: აკლევს): „აწ აღარავის მოვაკულევ, მეფეა წარმართებული“ (ვეფხ.-ტყ. ა-ის გავრძ., ს. კაკბ. გამოც., 1689); „ღაგაკლევთ ქურტს“² ბეს. ვაბუური, ხევის. მასალა: წელიწად., 123, 22).

გახსნა—**გახსნევ**: „სინახლი დამწამეს, მეფემან ბრძანა გახსნევა ხელისა“ (ვეფხ.-ტყ. ა, 362).

გადაიქდის — გადააქდევს: „ნაღმსაცა მუნეე გადაგაქდევ“ (ამირ.-დარეჯ.-). ეგვეე ფორმა დღესაც იხმარება ხევსურულში: „და კიდევ სამაჰფიც-როსაც გადააქდევს“ (წელიწდ., 139,13).

თქმა — თქმევა: „უჰამან თქვა თუ არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა“ (ეფთხ.-ტყ., 243); „მე იმელი მომეცა დაწვრილებით თქმევისა (ი. ქ. 266,25).

ქ(მ)ნა — ქ(მ)ნევა: „გაქნეე კარგთა სიშმაგეთა“ (ეფთხ.-ტყ., 1375); „რას მაქნედიოთ, რა გინდოდათ“ (იქვე, 293); „რას აქნეეენ მიმინოსა?—მწყერს აქერინებენ“ (ქ. 293,31); „ქურდობას აქნეეს“ (ბეს. გაბუღორ, ჭვეს. მასალ., 124).

3. ეგინ. ეს ატიქსი რთულია, წარმომდგარია ევ-ისა და ინ-ის შეერთებით-საგან (ევ-ინ), რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ევ გარკვეული ტიპის ზმნებს მოუღლიოდთ, მაგრამ ის არ აღმოჩნდა საკმარისი შუალობითი გზის საწარმოებლად და ინ დაერთო: ათლ-ევ ინ-ებს, აქრ-ევ-ინ-ებს, ათხრ-ევ-ინ-ებს; ახსნ-ევ-ინებს, აკვლ-ევ-ინ-ებს, ათქმ-ევ-ინ-ებს, აქნ-ევ-ინ-ებს და მისთ.

შინიშნა. ევინ-ის ნაცვლად ზოგიერთ კილოში (მაგ. ფშაურში) ეინ გამოითქმის: ახენ-ეინებს.

როგორც სახელზმნათა წარმოება გვიჩვენებს (საწყისისა და მიმღეობისა), პრეფიქსს არა აქვს კავშირი შუალობითი გზის ფორმათა წარმოებასთან: გა-ხსნ-ევ-ა, თქმ-ევ-ა, წაღებ-ინ-ება, მო-კვლ-ევ-ინ-ებულთი, გა-ტებ-ინ-ებულთი, დასა-წვ-ევ-ინებულთი, მოსა-ტან-ინ-ებულთი და მისთ.

ამასვე ადასტურებს სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმათა წარმოებაც, რაზედაც ქვემოთ გვეჩვენება საუბარი (§§ 428, 429).

424. კონტაქტითი ვიპარისა და ძმების კატეგორიებთან შემადარებით. ორ კონტაქტთაგან ერთია ძირეული, მეორე—წარმოქმნილი: ძირეულია უშუალო კონტაქტის ფორმა („ეწერა“), წარმოქმნილია შუალობითი კონტაქტისა („გაწერინებ“). ამ წარმოქმნილის გამოა, რომ ძირეული ზნა კონტაქტთან ფორმად წარმოგვიდგება; მაგალითით რომ ვთქვათ, „გაწერინებ“ რომ ათა, „ეწერა“ ზნა არ იქნებოდა კონტაქტითი ფორმა.

წარმოქმნილი ფორმა კონტაქტისა, შუალობითი, არსებითად განსხვავდება გვარისა და ქცევის წარმოქმნილ ფორმათაგან (როგორც ვიცით, გვარში წარმოქმნილ ფორმად მიღის ვნებითი, ქცევაში კი სათავისო და სასხვისო). განსხვავება იმაში ნდგომარეობს, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმისაგან შეიძლება გაწარმოვით ფორმები როგორც ვნებითი გვარისა. ისე სათავისო და სასხვისო ქცევისა. ამ მხრივ კონტაქტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართ. ზნის სისტემაში წარმოქმნის კატეგორიებს შორის: წარმოქმნილი ფორმა აქ საკმაოდ დაშორებულია ძირეულისაგან ლექსიკური შინაარსით, უფრო მეტად, ვიდრე გვარისა და ქცევის შემთხვევაში. თუ ამას დავსძენთ, რომ კონტაქტი სახელ-ზმნებსაც მოეპოვებათ (დაწერინება, დაწერინებულთი), შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონტაქტი მკაფიოდ გამოხატული და ერთი უმკვიდრეს კატეგორიათაგანია ქართულში.

425. შუალობითის პასივი. შუალობითის ფორმები ვნებითი გვარის ზნა-საც მოეპოვება, თუცა იშვიათად. ამ მოვლენას უმთავრესად აღნოსავლურ კი-ლოებში ვხვდებით. ვნებითი ამ შემთხვევაში ყოველთვის ორ-პირიანია და ერთი ნაწარმოები. მაშინაც კი, როცა სათანადო უშუალო კონტაქტის ფორმას დ სლუჯესი აწარმოებს: ვაცემინებ—ვეცემინები, ვაკვლევირებ, ვაკვლევირები, ვა-თრევირებ—ვეთრევირები, ვალანძლევირებ—ველანძლევირები, ვაშავეპინებ—ვეშავე-ბინები და მისთ.

რადგანაც პასივი აქტივის კონვერსიული სახეა, ამიტომ პასივში ისეა საქმე წარმოდგენილი, რომ სუბიექტია მიზნის იმისა, რომ მასზე იმოქმედოს ირიბმა ობიექტმა, რომელიც რეალურად საქმის შემსრულებელია (ეგზეკუტორია): „მათ დღეა გამიზარდას გაყოლია, გასტაცებინებია, ბაღღებისად თავი დაუნე-ბებავ“ (ვაფა-ფშ., დარეჯ., V, 50, 31).—„დარეჯანი გამიზარდას გასტა-ცებინებია“ ამას ნიშნავს დარეჯანის იგი მოუწყვია საქმე, რომ ის გამიზარ-დას გაეცანა, ასე რომ გატაცების მიზეზი თვითონ დარეჯანია. მსგავსი მაგა-ლითებია: „ვეთრევირებ ი ზღვის ტალღებს“ (ვაფა-ფშ., I, 128, 16); „აი ეს ხო ნადოია, მგელია, მტაცებელია, მკამელი სხვისა სარჩოსი—და როგორ უყვარს თავს შვილები, მოგეკვლეინათ შვილების გულისთვი, ეგებ იმათ რაჲ მიუ-ტანო, შიშლით არ დამეხოცნენო“ (მოკვეთ., V, 398, 1—4); „თქვენ ისა თქვით, რომ არ მოგეკვლეინოთ უკემურად, უკეთურად თავის მკვლელს, რა უსდა ჰქმნათ-მეთქი“ (V, 462, 3); „ციკო წყნარად გაეშევირებინა (ყ. 151, 8).

მსგავსი გამოთქმები აქტივში ერთსა და იმავე პირს გულისხმობს სუბიექ-ტად და პირდაპირ ობიექტად. მაგრამ, რადგანაც ერთი და იგივე რეალური პირი არ შეიძლება ფორმაში გამოხატულ იქნეს სუბიექტადაც და ობიექტადაც, ამიტომ პირდ. ობიექტად უკუქცევითი სახელთნაცვალი „თავი“ იხმარება, რომელიც რიცხვის მიხედვით არ იცვლება (§§ 283, 285): თავი გაუტაცებინებ-ბია—გასტაცებინებია, თავს ნუ დააწყევლინებ—„ნუ დაეწყევ-ლინებ“ (ი. კ., 312, 32); თავს ვათრევირებ ტალღებსა—ვეთრევირები ტალღებსა: ტყუილად თავს ვალანძლევირებთ—ტყუილად ველანძლე-ვირებთ: უსახელოდ მოგაკვლევირებ თავი—უსახელოდ მოგეკვლევირებ“ (კ. 324, 14) და მისთ. ოღონდ, თუ აქტივში პირდ. ობიექტად სხვა სიტყვაა, ის წესის სტრ. პასივში სუბიექტად იქნება წარმოდგენილი: უწინ ჩვენ აზღვენს არ გვახდევინებდნენ—უწინ ჩვენ ამდენი არ გვეხდევინებოდა“ (ყ. 322, 26).

426. შუალობითის ძმევი. შუალობითი კონტაქტის ზნას სამივე ქცევის ფორმები მოეპოვება, როგორც ამას ეს მაგალითები გვიჩვენებს: ვაქერინებ, ვიჭერინებ, ვუჭერინებ; ვატეხინებ, ვიტეხინებ, ვუტეხინებ; ვაწერინებ, ვიწერინებ, ვუწერინებ; ვაშენებინებ, ვიშენებინებ, ვუშენებინებ და მისთ. როგორიც უნდა იყოს უშუალო კონტაქტის ფორმა წარმოების თვალსაზრისით: უნიშნო, ი-ნიანი, ი-ნიანი, თუ უ-ნიანი (§ 414), მას შუალობითის საარვისოში ა ექნება პრეფიქსად: წერს—ა-წერინებს, ა-შენებს—ა-შენებინებს, ი-ქერს—ა-ქერინებს, გა-უ-შეებს—გა-ა-შეებინებს. ოღონდ შუალობითის საარვისოს ძველად წინ ობ. ნიშანი მოუთიოდა კიდევ: ა-ა-წერინებს და მისთ.

განვიხილოთ თვითთული ქცევა ცალკ-ცალკე.

427. შუალობითის საბრძანბო. უშუალო კონტაქტის საარვისო ადვილად გადადის შუალობითში, თუ ის ორ-პირიანია და პირდ. ობიექტად III პირი აქვს, ძნელად გადადის, თუ ის ორ-პირიანია და პირდ. ობიექტად I ან II პირი აქვს, და კიდევ უფრო ძნელად გადადის, თუ ის სამ-პირიანია და პირდ. ობიექტად ისევე I ან II პირი აქვს.

1. ორ-პირიანი საარვისო, რომელსაც ობიექტად III პირი აქვს, შუალობითში გადაყვანისას სამ-პირიან ფორმას გვაძლევს, რადგანაც ემატება შეზღუდვებიანი პირი (ეგზეკუტორი). ამ პირს თავისი ნიშანი აქვს, რომელიც მისეულსა და მათეულში იკარგება ხმოვნების წინ. სასლს აშენებს—სახლს მაშენებინებს (გაშენებინებს, აშენებინებს, გვაშენებინებს), საქმეს აკეთებს—საქმეს მაკეთებინებს (გაკეთებინებს, აკეთებინებს, გვაკეთებინებს) და მისთ.

ასეთი შუალობითი ჩვეულებრივია და უამრავი. მგონია არ შეეცდებ, თუ ვიცყვი, რომ არ მოიპოვება ზნა, რომ მისგან ასეთი ფორმის წარმოება არ შეიძლებოდეს.

2. სულ სხვან ორ-პირიანი საარვისო, რომელსაც ობიექტად I ან II პირი აქვს. ასეთი ფორმის შუალობითში გადაყვანა იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება, განსაკუთრებით აღმოსავლურ კილოებში და აქედან ლიტერატურაშიც. ასეთი შუალობითი სამ-პირიანია, მაგრამ პირის ნიშანი პირდაპირს მოუვია, ირიბი კი (ეგზეკუტორი) უნიშნოდ დარჩება. მაგალითი:

I პირი პირდაპირ ობიექტად

დამაწვინა — დამაწვევინა (=დააწვევინა ჩემი თავი); „ცეცხლსა უშრეტსა უწყალოდ სხაბან წინ დამაწვევინა“ (თეიმ. I, ფარდ.-ბულბ.).

მომაკლანა — მომაკვლევინა (=მოაკვლევინა ჩემი თავი); „ბარამს არ მომაკვლევინა თვითონ მისითა ნებითა“ (ეროსტ., II, 3005), „ლამის რომ სახშიაც აღარ შამიშო, სიცივეს მამაკვლევინო“ (ვაჟა-ფშ., V, 171,29).

გამაგდონა — გამაგდებინა (=გააგდებინა ჩემი თავი); „ერთხელ თვითონ ერეკლემ გამაგდებინა ლეკებს ცოცხალ-მკვდარი“ (ib., V, 162,17).

დამანიშნა — დამანიშნინა (=დაანიშნინა ჩემი თავი); „ეცადე, რომ რენენკამბთან დამანიშნვინო, ხომ ამ პირობით წამოველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის“ (ნ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანს. 1922 წ. გამოც., გვ. 104).

გამძარცვანა — გამძარცვინა (=გააძარცვინა ჩემი თავი); „ვეცე ჩემი მძარცველია: ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე არ გამძარცვინებდამეთქი“ (ი. ჭავჭავაძე, სარჩობ.).

დაგვბეგვანა — დაგვაბეგვინა (=დააბეგვინა ჩემი თავი); „კაცო, აიქ დათეს არ დაგვაბეგვინო, შენ შენი ღმერთი, თავი დაგვანებო“ (ვაჟა-ფშ., დათვია, V, 457,5).

II პირი პირდაპირ ობიექტად

დაგხვრეტანა — დაგახვრეტინა (=დაგახვრეტინა ჩემი თავი); „დააგდე, თორემ ახლავ დაგახვრეტინებ“ (ყაზბ. 261,37).

დაგალპობ — დაგალპობინებ (=დავალპობინებ შენს თავს): „სულში წაგაორეც და ქურდობისათვის დაგალპობინებ“ (ე.გაბაშვი., მავდ. ლურჯა).

გაგაწვენს — გაგაწვენიებს (=გააწვენიებს შენს თავს): „აი სად არის ეხლა ის დრო, რომ ეხლა შენი ბატონი მაგისთვის არ გაგაწვენიებს და ფეხებილამ თავამდე ტყავს არ გაგაძრობს“ (ი. ჰავეჯი., 401, 4—5).

დაგიქერ — დაგაქერიებ (=დავაქერიებ შენს თავს): „დაგაქერიებ თელავსა, ციხის ვერ გადაურჩები“ (ფშაური ლექსიდან). [„დაგიქერ“ საარვისთა ფუნქციის მიხედვით, ისე როგორც შემდგომი მაგალითის „წაგიყვანეთ“].

წაგიყვანეთ — წაგაყვანიეთ (=წაყვანიეთ შენი თავი): „დაგავიწყდა განა, მზევიანრო, ჩემი სიკეთე? რა მინდოდა, რა მომარბენდა ამ თავმკვდარს, რატო არ წაგაყვანიეთ ბახსა და ქისტებსა“ (ფაფა-ფშ., მოკვეთა, V, 404,8).

დაგაპატიმრებ — დაგაპატიმრებინებ (=დავაპატიმრებინებ შენს თავს): „დაეშუქრა: დაგაპატიმრებინებო“ (თიანელისაგან გაგონილი 1942 წ.).

3. სამ-პირიანი საარვისთა შუალობითში მრავალ შემთხვევაში უკლებლივ არ გადაიყვანება. უმეტესად ისე ხდება ხოლმე, რომ უბრალო ობიექტი გამოდის ფორმიდან და თავის ადგილს შემსრულებელ ობიექტს (ეგზეკუტორს) უთმობს. ამიტომ სამ-პირიანობას არა ემატება რა: ამბავი ჰკითხა — ამბავი აკითხვინა, წერილი მისწერა — წერილი მიმაწერინა, ქათამი მოჰპარა — ქათამი მოგაპარვინა, სალამი მისცა — სალამი მიმაცემინა და მისთ.

უბრალო ობიექტის ფორმიდან გამოსვლა უფრო აშკარად მაშინ ჩანს, როცა ასეთად I ან II პირთა: წერილი მომწერე — წერილი მოაწერიე (ჩემთვის), ფული მოგცეს — ფული მოაცემინოს (შენთვის), სახლი მოგეყიდოს — სახლი მოაყიდვინე (ჩვენთვის) და მისთ.

შენიშვნა. „ცემა“ ზმნა (დარჯების მნიშვნელობით) წარმოშობით სამ-პირიანია: სცა (მან მას კურთხი). მაგრამ ამჟამად ის ორ-პირიანად მიდის: სცემს მს ჯიხით, სცემა მას ჯიხით, ამ შემთხვევაში პირდ. ობიექტი (კურთხი, ჯიხი) დამატებად არის ქცეული და საქუროლის გავება აქვს მოპოვებული. ამიტომ ირიბი ობიექტი პირდაპირის როლში გამოდის, თუცა კი ინარჩუნებს თავის სინტაქსურ ძალას. ამ ნიადაგზე შესაძლებელი ხდება ასეთი ფორმის წარმოშობა: „გაცემინებ“, რაც ანას ნიშნავს: „გაცემინებ შენთვის“, ე. ი. „ისე ვინამ, რომ გცემონ“ („დაშესხენ, თვარ გაცემინებ, სიგარძე მოგცეს განადო“. თეიმ. I, ჟვარდ.-ბულბა.).

423. შუალოპინის სათავისო. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება შუალობითი კონტაქტის სათავისო, განსაკუთრებით აღმ. საქ.-ში. პირთა რაოდენობის თვალსაზრისით შუალობითი კონტაქტის სათავისო არ განსხვავდება უშუალო კონტაქტის სათავისოსაგან: ესეც ორ-პირიანია და ისიც: სახლი აიშენა — სახლი აიშენებინა, საქვე გაიკეთა — საქვე გაიკეთებინა. ასეთ ფორმაში შემსრულებელი პირი (ეგზეკუტორი) არ ჩანს, ფორმათა შენებაში მარტო ორი პირი

იღებს მონაწილეობას: სუბიექტური და პირდაპირ-ობიექტური. ზოგ შემთხვევაში ასეთ ფორმებს სათანადო ფუნქცია დაკარგული აქვს, როგორც ამას ეს მაგალითები გვიჩვენებს:

გაიტეხა — გაიტეხინა: „ოაარაანთ ქერივი... ჯერ ხომ გულმა გასტეხა, მერე თვითონ მოერიო გულსა, თვითონ გაიტეხინა გული“ (ი. ჭ., ოთ. ქერა).

გად(ა)ვიგღებ — გად(ა)ვიგღებინებ, მოვიგღე — მოვიგღებინე: „გადვიგღებინებთ მაშინა ყინულის ლოდსა ქედითა“ (ვაჟა-ფშ., ამათა შითხრესა, I, 87,15).

გაყრა — გაყრევინება, გადაყრა — გადაყრევინება, მოყრა — მოყრევინება: თავვე ამბობს: „მოიცა, ამ კაეებს გავიყრევინებ“ (ვაჟა-ფშ., V, 437,13); „როდესაც (წიფლის) ხე წაიქცა, გუგულის კაბამ გადიყრეინა ზევიდამ ფოთლები და წითლად გამობრჭყეინდა“ (ვაჟა-ფშ. იია); „სწორედ ამ დროს ამოაჩინა თავი აამ, გადიყრევინა თავივამ წიფლისა და თხილის ხმელი ფოთლები“ (ვაჟა-ფშ., V, 156,31); „მთელი საათი ვიწმინდეთ თავი და ტანი და, როგორც იყო, გავიყრევინეთ ზედასხმული ბურღო“ (იბ., 181,28); „ბიკო ნოდარ, აბა მარდად გააცხელე წყალი, ე მტვერი გავიყრეინო“ (ვ. ბარნოვი, შინაური მტერი); „არუთინას ცხენები დაფრთხენ, ერთმა მოიყრევინა ბოხჩები. მეორემ — ერბოიანი გულები“ (ვაჟა-ფშ., დარეჯან V, 49,26).

მოყვანილი მაგალითების ზმნები ფორმით, რასაკვირველია, შუალობითა, მაგრამ ფუნქციით უთუოდ უშუალო ჩანს. მართლაც, როცა სუბიექტად არა-ადამიანია, მასთან ზმნა ჩვეულებრივ უშუალო კონტაქტის ფორმით გვხვდება; შუალობითისით კი — განსაკუთრებულ შემთხვევებში. აღნიშნულ ზმნებთან სუბიექტად არა-ადამიანებიც გვხვდება: თავვე, გუგულის კაბა (ყვავილია), ია, ცხენი. მათი „მოქმედება“ ისეთი არ არის, რომ შუალობითის ფორმას მოითხოვდეს, მაგრამ მაინც შუალობითის ფორმითაა მოცემული. ამიტომ, მაგ., ამ წინადადებაში: „არუთინას ერთმა ცხენმა მოიყრევინა ბოხჩები“ ზმნა ფუნქციის მიხედვით შუალობითისა კი არ არის, არამედ უშუალო: მოიყრევინა = მოიყარა, გადმოყარა.

ასეთივე მაგალითია აქაც: მონადირე მოკვითხრობს: დათვი მომდევდოა. დაუყოვლე: დამეხსენ, ჩამომეხსენო. რომ ვერაფერი გავაგონეო, განაგრძობს ის, „ცოტა გზა კიდევ გამოვიარე, მოვეფარე ერთს კაი დიდს ქანდარს, მოვიგღებინე ბარგი, მოვსალთავდი და მივეუშვირე თოფი. დათვი მოდის. კარგა ახლოს რომ მოვიდა, ნიშანი შიგ ნიკორა შუბლში მივეც“ — ო და სხვა (ვაჟა-ფშ., V, 68, 26—28). არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ აქ „მოვიგღებინე“ ფუნქციით შუალობითი გზის ფორმად იქნეს ჭაგებული, ფორმით კი უთუოდ შუალობითია. აქედან ცხადია, რომ მოყვანილი ფორმა გარეგნულად არის შუალობითი, თორემ ფუნქციით ის უშუალოა. უშუალო კონტაქტისა ჩანს აგრეთვე ზმნა აქაც: „ბედშაო, რა ხელს იკვრევინები“ (ყ. 139,17). ეს ერთი ნიმუშია ფორმისა და ფუნქციის ერთმანეთისაგან დაცილებისა. შეიძლება ეს ამბავი გარკვეულ ზმნებთან იყოს დაკავშირებული (გატეხინება, გაყრევინება, მოგღებინება).

429. შუალობითის სახსრისი. შუალობითი კონტაქტის სასხვისო ქცევის ფორმები შედარებით უფრო ხშირია, ვიდრე ამავე კონტაქტის სათავისოსი. ამას გარდა აქ არ გვხვდება ფორმისა და ფუნქციის დაცლებმა, როგორც ეს „სათავისოში“ ვნახეთ.

რაც შეეხება უშუალო კონტაქტიდან შუალობითში ფორმის გადაყვანას, ეს ასე ხდება: სამივე პირი უშუალო კონტაქტისა თავ-თავისი ნიშნებით უკლებლივ გადადის შუალობითში, სადაც ემატება იმის გაგება, რომ მოქმედება სხვისი შუალობით არის გაკეთებული. შემსრულებელი პირი ჩვეულებრივ ზმნის ფორმაში არ ჩანს, ოღონდ წინადადებაში შეიძლება ერიოს სიტყვა, რომელიც შემსრულებელს ანუ მეშუალებს (ეგზეკუტორს, მედიატორს) გულისხმობს.

1. დამიწერა — დამიწერინა (მანუჩარ სოლაღასშვილმა) ... „სიგელი ჯვარის ზამის დეკანოზს იოანე მოძღვარს დამიწერინა“ (იესე ოსესშვ., 49,7); „სტეფანე კოტეტის შვილს სიგელი თვითონ (ლოლოენელმა ბერუამ) და იმისმა ძმებმა დამიწერინეს“ (ib., 25,9); „თუ ამას გარკვევით კაის ჯელად დამიწერინებ და გამომიგზავნი“ (გიორგი XI-ის წერილი ს.-ს. ორბელიანისადმი: ასაქ. სიძე., II, 223); ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება, იმაზედ გადმომიწერინე, ღიად დაგიმადლებ“ (ib., გაგრძელება).

2. დამიბეჭდა — დამიბეჭდვინა: (ნეკოლაოზ ქავთარიშვილმა) „სიგელი მიქელ თეოდორტეს შვილს დამიწერინა, სარდარსა, მისკარბაშს და სხვათ დამიბეჭდვინა“ (იესე ოსესშვ., 2ე, 17—19).

3. მოგიქედე — მოგიქედინე: „მე ფრიად ცოდვილმან მხვევალმან შენმან ხორეშან გიორგი ლარაძის მეუღლემან მოგიქედინე ხატი ესე“ (ე. თაყ., Арх. экск., IV, 93).

4. დავუხატე — დავუხატვინე: „ჩვენ, მუხრანის ბატონის შვილმან ბოლნელ ფეისკაოზმან ბაგრატის ძემან პატრონმან ნიკოლოზ, მოვედით ბოლნის(ს) სიონთა ღვთის საკის მპყრობელად, ამისი პატიოსნება ვიგულეთ, დაუხატვინეთ შიგნით კაკელი“ (ბოლნისის სიონის სამრეკლოს წარწერა); „ქარგო მიყიდეთ გულის ქვა, დამიხატვინეთ ჯვარია“ (ს. მაკალ., მთიულ., 51,12).

5. მოუტანა — მოუტანინა: „ერთმან არაბმან ერთი ცხენი მოიყვანა, ორი ათას მარჩილად დააფასა. ხალიფამ შაშინვე მოუტანინა“ (ს.-ს. ორბ., ასიბრძნე სიცრა.); „მაღე მტერი მოგიკვდეს, მაღე იუნკრობა მოგიტანინო“ (ყაზბ. მამ. მკვლელ., 398).

6. დავუქერე — დავუქერვინე: „სააღდგომოდ ყოველს სულს ტანი-სამოსი და (ვ)უქერვინე“ (იესე ოსესშვ., 118,9).

7. დაუწვიე — დაუწვივინე: „აგრეთვე ხალხი ააჯანღე, ქაიხოსრო სახლთხუცესზე მიუხლუნე; თუ არ წამოვიდეს, სახლ-კარი სულ დაუწვივინე და ააკლებინე, ოღონდ ჯანღე ნუ გაერევი“ (დავით ბატონიშვილის წერილი თავის ძმა ბაგრატიანადმი: ი. ჯავახიშვი., ასაქ. სამეფო ტახტის მემკვიდრეები: მოამბე 1900, აპრ., II, 15).

8. გაუგდებინა: „მიუქდა, ქვალი გადაჰკრა, ცხენს თავი გაუგდებინა“ (ვეფხ.-ტყ.-ის გაგრძ., 1687); „მაშინ წამოიჩოქა მარაბელმა, გაიკრა

ბრშალს ხელი, შემოუკრა ცხენსა, ცხენს თავი გაუგდებინა და ტახტაზედ დაასო“ (ქართ. ცხ.-ის გავრძ.; მ. ჯანაშვი., ნაშრომი, I, 43).

9. გაგიეუუთავ — გაგიეუუთინებ: „სიცივეს გაგიეუუთინებთ ცოლ-შვილსა“ (ვაჟა-ფშ., V, 205,23).

10. წამიხდინე — წამიხდენინე: „დაძლუპე, ათის წლას სარჩო წამიხდენინე ჯორებსა“ (ვაჟა-ფშ., ნახ. წიწა.).

მოყვანილ მაგალითთაგან ავიღოთ უკანააქნელი და განვიხილოთ მისი ზნა: წამიხდინე სამ პირს შეიცავს (შენ მე იგი), ეს სამივე პირი უკლებლივ არის გადასული შუალობითში, მაგრამ ამასთანავე ერთად აქ თეორიულად თითქოს მეოთხე პირიც უნდა ივარაუდებოდეს, ეგზეკუტორი, რომელსაც წინადადებაში „ჯორებსა“ სიტყვა ეფარდება. მაგრამ ეს მეოთხე პირი არაფრით არ არის წარმოდგენილი ზნის ფორმაში. ამიტომ მისი გაცემა მკრთალია.

430. კონტაქტი და გარდამავალი ზნები „წერს“ და „აშენებს“ ტიპისა. ეს იმიტომ, რომ ქართ. ზნათა სისტემაში ამ ტიპის წარმოება წარმოდგენს ძირითად სახეს, რომლის გარშემო თავს იყრის ყველა დანარჩენი ფორმები. მართლაც, „წერს“ ძირეულია „აწერინებს“ ფორმის პირისპირ, ისე როგორც „აშენებს“ „აშენებინებს“ ფორმის პირისპირ. მსგავსად ამისა, ძირეულ-წარმოქმნილია შემდეგი წყვილები: ტებს—ატეხინებს, გრებს—აგრეხინებს, გზავნის—აგზავნინებს, ხატავს—ახატეხინებს, აბამს—აბმეხინებს, ალებს—ალებინებს, ახმოზს—ახმოზინებს და მისთ.

მოყვანილ წყვილ-წყვილ ზნათა პირველი ცალები აღნიშნავენ უშუალოდ ჩადენილ მოქმედებას. ასეთსავე უშუალო მოქმედებას აღნიშნავენ შემდეგი ზნეებიც: ატირებს, აღლუებს, აწუხებს, აგორებს, აწვევს, ახტუნებს, ამწიფებს, აცხოვრებს და მისთ., რომელთაც შუალობითი გზის ფორმები საერთო შაბლონის მიხედვით აქვთ გაკეთებული: ატირებინებს, აღლუებინებს, აწუხებინებს, აგორებინებს, აწვევინებს, ახტუნებინებს, ამწიფებინებს და მისთ. მაგრამ ამ ზნათა უშუალო გზის ფორმებს გვერდს უდგას ასეთი ფორმებიც: ტირის, დულს, წუხს, გორავს, წევს, მწიფს, ცხოვრობს და მისთ., რომელთაც პირდ. ობიექტი არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ, რადგანაც ესენი გარდაუვალი ზნებია. წარმოების თვალსაზრისით კი ესენი ჩანან ძირეულბედ და გარდამავალი ფორმები—წარმოქმნილებად. მართლაც, ძნელი არ არის იმის გარკვევა, თუ რომელია ძირეული და რომელი წარმოქმნილი ამ წყვილის ცალებს შორის: ტირ-ის (ძვ. ქ. ტირ-ს)—ატირ-ებ-ს; დულ-ს—ა-დულ-ებ-ს, წევს-ს—ა-წვ-ენ-ს, ძვ. ქ. ვალ-ს—ა-ვლ-ენ-ს და მისთ. რაც შეეხება ისეთ წყვილებს, როგორიცაა: გორ-ავს-ს—ა-გორ-ებ-ს, ცხოვრ-ობს-ს—ა-ცხოვრ-ებ-ს და მისთ., აქ თვითული მათგანი დამოუკიდებელი წარმოების ფორმაა, მაგრამ თუ მანაც დავსვამთ საკითხს, რომელი მათგანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძირეულად, ჩვენი არჩევანი უმკველია გორ-ავს-ს და ცხოვრ-ობს-ს ფორმებზე შეჩერდება, ა-გორ-ებ-ს და ა-ცხოვრ-ებ-ს კი წარმოქმნილებში მოჰყვება. ასეთივე ურთიერთობა ჩანს ამ წყვილის ცალებს შორისაც: კივ-ის და აკივ-ლ-ებ-ს, ხტ-ის და ა-ხტ-უნ-ებ-ს, ყარ-ს და ა-ყარ-ლ-ებ-ს და მისთ. წარმოქმნილ ფორმებს მაწარმოებელ აფიქსებზე ვა-ტყობთ, რომლებიც ძირეულში არ მოიპოვება.

ფუნქციონალური განსხვავება აღნიშნულ ფორმებს შორის გარდამავლობის მიხედვით არის მოცემული: ძირეული გარდაუვალობა („ტირ-ი-ს“), წარმოქმნილი კი—გარდამავალი („ბ-ტირ-ე-ს“). ეს განსხვავება იმისგანაა დამოკიდებული, რომ მეორე ფორმაში პირდ.-ობიექტური პირის გაგებაა შეტანილი.

მაშასადამე, გვაქვს სამეულები: ტირის—ატირებს—ატირებიანებს, დულს—ადულებს—ადულებიანებს, წუხს—აწუხებს—აწუხებიანებს, წვეს—აწვენს—აწვენიანებს და მისთ. ამათგან შუა ფორმა ორსავე წვეილში შედის: დულს—ადულებს, ადულებს—ადულებიანებს. ფუნქციონალური განსხვავება პირველი წვეილის ცალკეს შორის გარდამავლობისაგან არის დამოკიდებული, მეორე წვეილის ცალკეს შორის კი—კონტაქტისაგან. მართლაც, გარდამავლობის თვალსაზრისით მეორე წვეილის ცალკეები თანაბარია სრულიად: ისიც გარდამავალია და ესეც, პირდ.-ობიექტური პირის ფორმები (resp. პირდ. ობიექტი) იმასაც აქვს და იმასაც. ამიტომ, რამდენადაც გარდამავლობა პირდაპირი ობიექტისაგან არის დამოკიდებული, ამ მხრივ კი მეორე წვეილის ცალკეს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, უნდა დაისვას კითხვა: მართებულია განა, რომ უშუალო კონტაქტის ფორმას (ადულებს, წერს, აშენებს) ცალკეად გარდამავალი ეწოდოს და შუალობითისას კი (ადულებიანებს, აწერიანებს, აშენებიანებს)—ორმაგად გარდამავალი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაში საყოველთაოდ არის გავრცელებული? ორმაგად გარდამავალი მხოლოდ მაშინ იქნებოდა ზმნა, რომ პირდაპირი ობიექტი მას ორი ეწყობოდა.

შენიშნა. მით უფრო საცილობელია სამმაგად გარდამავლობის ამბავი, როგორც ამას ბ. რუდენკოს გრამატიკაში ვხედავთ (§ 108). საზოგადოდ „მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი“ ფორმები ანტონ I-ისა, გაიოზისა და სხვათა (ვაწერინებიანებს, ვაჭრევიანებიანებს) ბუნებრივად არ არსებობს ქართულში, ესენი ხელოვნური ფორმებია.

ერთი რამ საყურადღებოა მაინც: წარმოების თვალსაზრისით შეიძლება გავითიანებულ იქნეს გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალი ზმნის წარმოქმნა და უშუალო კონტაქტის ზმნისაგან შუალობითი კონტაქტის ზმნისა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ზოგ. ენაში (არაბულში, სპარსულში, თურქულში და სხვ.), მაგ., არაბ. ხ ა რ ა ჯ ა -საგან („გავიდა“) ისეა ნაწარმოები ა ხ რ ა ჯ ა („გაიყვანა“), როგორც ქ ა თ ა ზ ა -საგან („დაწერა“) ა ქ თ ა ზ ა („დაწერინა“). ქართულში ამ ერთიანობას რამდენადმე ის აფიქსი გვიჩვენებს, რომელიც ენ-ის ხმოვან-შეცვლილი სახეა: ა-წვე-ენ-ს—ა-წვე-ენ-ა; ა-შენებს—ა-შენებ-ენ-ებს. საერთოა აგრეთვე ეგ: წაქ(ე)-ეგ-ა (წააქ(ე)-ეგ-ს) გარდამავალია, მაგრამ უშუალო გზისა, გაახსნ-ეგ-ი კი—(გაახსნ-ეგ-ს) გარდამავალი, მაგრამ შუალობითი გზისა. უნ აფიქსი ქართულში გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალს აწარმოებს: პრწამს—არწმ-უნ-ებს, ხტის—ახტ-უნ-ებს, მიუხდა—მიუხდ-უნ-ა („ხალხი ააჯანღე, ქაიხოსარი სახლთ-ბუუცესზე მიუხდუნე“: სრული ციტატი ნ. ზემოთ, § 429,7), სვანურში კი იგივე: უნ შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად არის გამოყენებული: ტიხე („აბრუ-ნებს“) — ხ-ა-ტხ-უნ-ე („აბრუნებიანებს“).

431. პიკთა რაოდენობა შუალობითი კონტაქტის ფორმებში. შუალობითის ფორმებში ჩვეულებრივ სამი პირია მოცემული: სუბიექტური, პირდაპირ-ობიექტური და ირიბ-ობიექტური (უკანასკნელი შემსრულებელ ობიექტს წარმოადგენს). მაგრამ არის შემთხვევებიც, სადაც ერთს ფორმაში ორი ირიბი მოსალოდნელი, ეს მოვლენა უფრო აშკარად მაშინ ჩანს, როცა პირდაპირად I ან II პირია. ავიღოთ სამ-პირიანი ფორმა უშუალო გზისა „გამოასალმა“ ასეთს წინადადებაში: „მონადირემ ნუკრი სიცოცხლეს გამოასალმა“. აქ „ნუკრი“ პირდაპირია, „სიცოცხლეს“—ირიბი, ორივე მათგანს ზნის ფორმაში სათანადო გამოხატულება აქვს. ვადავიყვანოთ ზნა შუალობითში, გვექნება: „გამოასალმე-ბინა“. შევეწყოთ ამასაც ფარდი სახელები: „ბიძა-ჩემმა მონადირეს ნუკრი სიცოცხლეს გამოასალმებინა“. „გამოასალმებინა“ ფორმა ორ ირიბს იკუთვნებს, რომელთაგანაც ერთი შემსრულებელია („მონადირეს“), მეორე—უბრალო („სიცოცხლეს“). მამასადაბე, ზნას მოემბატა ეგზეკუტორის გაგება. მაგრამ ამით დაი-ჩრდილა მეორე ირიბის გაგება. ის კიდევ უფრო დაიჩრდილება, თუ პირდაპირად I ან II პირს ავიღებთ, მაგ., ასეთს წინადადებაში, რომლითაც შევლი გა-მოუცდელ ნუკრს მიმართავს: „ეგენი (დედაკაცი და ბაღლი) წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და ვამოგვასალმებინებენ სიცოცხლეს“ (ეყა-ზეშ., „შეგლის ნუკრის ნაამბა, V, 13,7). აქ ზნის ფორმიდან ნათლად ჩანს ორი პირი: სუბიექტური (მათეული, რომლის ნიშანია სუფიქსი ენ) და პირდ-ობი-ექტური (ჩვენეული, რომლის ნიშანია პრეფიქსი გვ); გამო-გვ-ასალმებინებ-ენ. ორი დანარჩენი პირი, რომლებიც თეორიულად ივარაუდება (შემსრულებელი ირიბი და უბრალო ირიბი), მართალია, იწყობენ სათანადო ფარდ სახელებს („მონადირეს“, „სიცოცხლეს“), მაგრამ ფორმის შენებაში აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებენ და მკრთალად ჩანან.

მსგავსად ამისა, „მისცა“ სამ-პირიანია (ჰან მას იგი). შუალობითში ვადა-ყვანით ის ოთხიანი უნდა ვახდეს: შიაცემინა (ჰან მას იგი მას). მართლაც, ასეთ ზნას შეუძლია ოთხი სახელი შეიწყოს: „წამიძღვნენ, ძღვენი მიმირთვეს, ხელმწიფესა სალაში მიმაცემინეს“ (ერუსლ., კ. IV, ანთოლ. II, 83,12). მიმაცემინეს—მათ მე სალაში ხელმწიფეს. მაგრამ პირის ნიშანი მარტო ორს აქვს: სუბიექტს და შემსრულებელ ობიექტს (მი-მ-აცემინ-ეს). ამიტომ ნათ-ლად ეს პირები მოჩანს ფორმაში, ორი დანარჩენი კი მკრთალია.

უშუალო გზის სასხვისო ყოველთვის სამ-პირიანია. შუალობითში ვადაყვა-ნით შემსრულებელი ობიექტური პირი ემატება და ოთხიანი უნდა ვახდეს: „სი-გელი დამიწერა“—„სიგელი დამიწერინა“. „დამიწერა“ სამ სახელს იკუთვნებს (ჰან მე იგი). „დამიწერინა“ კი—ოთხს: მან მე იგი მას. ამათგან „მე“ უბრალო ირი-ბია, „მას“—შემსრულებელი. „მანუჩარმა სიგელი მოსე მღვდელს დამიწერინა“ (იესე ოსესზე., 49,6 ქვ.), ე. ი. მანუჩარ სოლალასშვილმა სიგელი მოსე მღვდელს დააწერინა ჩემთვის. აქაც ზნაში ნათლად და მკაფიოდ ორი პირი ჩანს, რომ-ლებიც ფორმა-ცვალებაში იღებენ მონაწილეობას: სუბიექტური (მისეული) და უბრალო ირიბი (ჩემეული), ორი დანარჩენი კი მკრთალია.

432. კონტაქტის კატეგორიის შესწავლის მსგავსად. კონტაქტური ფორმები მრავალ ენას მოეპოვება (არაბულს, თურქულს, სპარსულს და სხვ.).

ენის სპეციალისტები კარგად იცნობენ შუალობითი კონტაქტის ფორმას, რომელსაც ძველი ქართველი გრამატიკოსები (ანტონი I, გაიოზი და სხვები) სხმოთგარდასვლითს ეძახიან, ევროპელი გრამატიკოსები კი—კაუზატივს ანუ ფაქტიტივს. მაგრამ, რამდენადაც ვიცით, არ იყო გამოჩენილი ურთიერთობა ძირეულ ფორმასა და კაუზატივს შორის და ამ ურთიერთობით გამოწვეული ვითარება. ერთი სიტყვით, იყო ცნება კაუზატივისა, მაგრამ სათანადოდ დაფასებული არ იყო მისი საოპოზიციო ცალი. ამიტომ არც ზე-კატეგორიის ცნება იყო (ცნება კონტაქტისა ანუ გზისა). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმა ზოგჯერ განსაკუთრებული გვარის ფორმად მიაჩნდათ. უცხო ენების გრამატიკებს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება დავიმოწმოთ ქართ. ენის გრამატიკა ბ. რუდენკოსი, სადაც მოყვანილია спряжение глаголов по субъектальному залого (§ 107). გვარის კატეგორიაში შეტანა კაუზატივისა მცდარია, რადგანაც გვარის მიხედვით ეს ფორმა მოქმედებითა და მას სათანადო ვნებითაც მოეპოვება.

პირველად კონტაქტის კატეგორია დადგენილია ჩემს გრამატიკაში, რომელიც 1930 წ. გამოვიდა (§ 124,125). ოღონდ იქ ამ კატეგორიის აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი „გზა“, რომელიც ამ გამოცემაშიც დავტოვე, მაგრამ მის პარალელურად შემოვიღე „კონტაქტი“, რომელიც უკეთ გადმოგვეცემს აღნიშნული კატეგორიის ბუნებას და მეტი შანსი აქვს, რომ საერთაშორისო ლინგვისტიკურ მეცნიერებაში შევიდეს, გავრცელდეს და საყოველთაოდ დამკვიდრდეს.

433. სუბიექტური და ობიექტური პირთა ნაშანსები. გვარისა და კონტაქტის კატეგორიების მიმოხილვის დასრულების შემდეგ ორიოდ სიტყვით უნდა შევჩერდეთ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა რაობის შესახებ და ვნახოთ, თუ როგორია ამ მხრივ მიმართება გრამატიკასა და საქმის რეალურ ვითარებას შორის. გრამატიკაზე რომ ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მორფოლოგიური საშუალებანი ზნისა.

1. სუბიექტური პირი. მორფოლოგიის თვალსაზრისით სუბიექტურია პირი, რომელიც მოქმედად არის წარმოდგენილი ზნის ფორმაში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინვერსიის შემთხვევებს, აგრეთვე ფონეტიკური ვითარებით გამოწვეულ სხვადასხვაობას (III სუბ. პირისთვის ნაირ-ნაირობასაც მწყრივთა და სხვადასხვა ტიპის ზნათა მიხედვით), სუბიექტური პირი მუდმივ ერთგვარად არის გამოხატული ზნის ფორმაში. მაგალითი I პირზე: ვ-წერ, ვ-იწერები, ვ-სწერივარ, ვ-აწერინებ, ვ-ეწერინები. აქ I პირი ყველგან სუბიექტურია, მაშასადამე, ყველგან მოქმედია გრამატიკის თვალსაზრისით. მაგრამ ამასთანავე ერთად აღნიშნული ფორმებით საქმის რეალური ვითარება სხვადასხვანაირად არის ასახული:

ვ წერ — აქ რეალურადაც მე ვარ მოქმედი.

ვი წერები — აქ კი რეალურად სხვა მოქმედებს და არა მე (სხვა მწერს) [ფორმა აღებულია პასიური მნიშვნელობით].

ვს წერივარ — აქაც რეალურად სხვას უმოქმედია ჩემზე, სხვის მიერ ვარდაწერილი.

ვა წერინებ — სხვა წერს ჩემი დავალებით.

ვეწერიანები — სხვა მწერს, მაგრამ ამისი მიზეზი მე ვარ.

როგორც ვხედავთ, I პირი ყველგან სუბიექტია, მაგრამ ის სხვადასხვა სახით წარმოვეიღებება:

ვეწერ — I პირი აქტიური სუბიექტია.

ვიწერებ — I პირი პასიური სუბიექტია.

ვსწერივარ — I პირი ისევ პასიური სუბიექტია, მაგრამ მოქმედება უზნობის მომენტამდე მომხდარა, უზნობის მომენტში კი ამ მოქმედების შედეგი ჩანს.

ვაწერიანებ — I პირი ხელმძღვანელი სუბიექტია, — ის სხვა პირს ამოქმედებს.

ვეწერიანები — I პირი ხელმძღვანელი სუბიექტია, მაგრამ პასიური: ის თვითონვეა მიზეზი იმისა, რომ მასზე მოქმედებენ.

მაშასადამე, სუბიექტებს შორის განსხვავებაც არის. ეს განსხვავება იმი-საგანაა დამოკიდებული, რომ თეიფეული ამ ფორმათაგანი სხვადასხვა შედეგ-ნილობისაა. ასე რომ სუბიექტური პირის ნუანსების დადგენაში მთელი ფორმა იღებს მონაწილეობას. პირის ნიშანს კი ეკისრება გამოხატოს, რომ პირი მოქმედია და აგრეთვე რომელი (პირველი, მეორე თუ მესამე).

2. ობიექტული პირი. მორფოლოგიურად ობიექტურია პირი, რომელიც არ მოქმედებს. მაგრამ ეს უმოქმედობა სხვადასხვა სახისაა, როგორც ამას შემდეგი გვიჩვენებს (მაგალითები I პირზე):

დამწერა — მე წერის უშუალო ობიექტი ვარ.

მომწერა — წერის უშუალო ობიექტი სხვაა (მაგ., წერილი), მე კი არ ვმოქმედებ და ობიექტი ვარ, მაგრამ არა პირდაპირი, არამედ ირიბი.

მიწერია — ჩემსაში სწერია. მე ირიბი ობიექტი ვარ, მაგრამ მფლობელი (რაშიაც სწერია, ის ჩემია).

დამაწერინა — მე ისევ ირიბი ობიექტი ვარ, მაგრამ აქტიურად შემსრულებელი.

დამეწერინა — მე ისევ შემსრულებელი ობიექტი ვარ, მაგრამ პასიური.

მაშასადამე, ყველა მაგალითში I პირი ობიექტია. პირველ შემთხვევაში ეს ობიექტი პირდაპირია, სხვა შემთხვევებში კი — ირიბი. პირდაპირი ობიექტი შინაარსით მულმივ ერთი სახისაა, ირიბი კი — სხვადასხვა: უბრალო, მფლობელი (პოსესორი), შემსრულებელი (ეგზეკუტორი). ეს ობიექტები ყველა შინაარსით აღნიშნული. განსხვავება პირდაპირსა და ირიბს შორის I-სა და II პირში ფორ-მოზილივ არ ჩანს, III პირში კი ძველად ისინი მკაფიოდ გარჩეული იყვნენ ერთ-მანეთისაგან. სამაგიეროდ ყველა ტიპის ირიბს ერთ რომელსამე პირში და ერთსა და იმავე ფონეტიკურ ვითარებაში ნიშანი ერთი აქვს. მიუხედავად ამისა ხერხ-დება სხვადასხვა შინაარსის ობიექტების გამოხატვა. ეს იმიტომ, რომ ობიექ-ტური პირის რაობის დადგენაშიც მთელი ფორმა იღებს მონაწილეობას და არა მარტო პირის ნიშანი. პირის ვაგება რომ მარტო პირის ნიშანზე იყოს და-მოკიდებული, მაშინ, ვთქვათ, „დამწერა“ ან „მომწერა“ ერთსა და იმავე ვაგებას მოგვეცემდა I ობიექტური პირისათვის. მაგრამ ეს ასე არ არის: „დამ-წერა“-ში მე პირდაპირი ობიექტი ვარ, „მომწერა“-ში კი — ირიბი.

სუბიექტი მოქმედია, ობიექტი—უმოქმედო, სუბიექტი მიზეზია მოქმედებისა, ობიექტი არა. აი ეს არის იმის საფუძველი, რომ ეს ორი წინადადება: „მეტყევემ კაცი მოკლა“ და „მეტყევეს კაცი შემოაკვდა“ თუმცა ერთსა და იმავე მოქმედებას აღნიშნავს, მაგრამ სხვადასხვა თვალსაზრისით: პირველ შემთხვევაში ფორმა აქტიურია და მოქმედების მიზეზად (სუბიექტად) მეტყევე გამოყვანილი, მეორე შემთხვევაში კი ფორმა პასიურია და მკვლელობის მიზეზად (სუბიექტად) თვით მოკლული კაცია გამოყვანილი, მეტყევე კი ობიექტია ამ საქმეში, ის უნებური მონაწილეა მოქმედებისა, რომელიც მისი ხელით სხვამ ჩაიდინა.

ს ი ზ უ ა ს ი ა

434. სიტუაციის რამდამაგვალნი. სიტუაციის ანუ მდებარეობის სახელით აღვნიშნავთ ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების ლოკალიზაციას ამა თუ იმ საგანთან მიმართებით. ლოკალიზაცია წართქმითია ან უქუთქმითი, ე. ი. ზმნის ფორმა მას ან მიგვითითაუბს ან არ მიგვითითებს. ამის მიხედვითა გვაქვს ორი სიტუაცია: მითითებული ან მიუთითებელი.

მითითებული სიტუაცია აღნიშნავს, რომ მოქმედება ხდება რაზედმე, ამიტომ ასეთ ფორმას საზედაოსაც ვეძახით. ეს კატეგორია სუსტად არის გამოხატული ქართულში და გვხვდება მხოლოდ პირველადს ზმნებში. მაგალითები:

ა) გარდამავალნი: წერს—აწერს, ტეხს—ატეხს, ყრის—აყრის, თლის—ათლის, კრის—აკრის და მისთ.

გარდაუვალნი: ა) მედიოპასიენი: დგას—ადგას, წევს—აწევს, ძეგს—აძეგს, ზის—აზის, სხედან—ასხედან და მისთ.; ბ) სტატიკურნი: სწერია—აწერია, ჰყრია—აყრია და მისთ.

მოყვანილ წყვილ-წყვილ მაგალითთაგან პირველი ცალკე მიუთითებელი სიტუაციის ფორმებია (წერს—სწერია), მეორე კი—მითითებულისა, სახელდობრ საზედაო (აწერს, აწერია).

435. საზედაოს ნიშანი და ზმნის სახელდობრის ნიშანი. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საზედაოს ნიშანია პრეფიქსი ა. ეს ნიშანი ზმნას I სერიაშიც აქვს და II-შიც: აწერს—აწერა, აწევს—აწევა, აზის—აჯდა და მისთ. ოღონდ სტატიკურ ზმნებს ეს ნიშანი მარტო აწმუოში აქვთ: აწერია (სხვა მწკრივები I სერიისა შათ აკლიათ). რაც შეეხება II სერიის მწკრივებს, აქ მათ, —რელატიური პრეფიქსიანი ენების მსგავსად, —ე აქვთ ყველა ტიპის წარმოებისათვის; ზმნები: სწერია, უწერია და აწერია—ყველა ეწერა-ს გვაძლევს. ამიტომ სტატიკურ ზმნებში სიტუაციაზე საუბარი მარტო აწმუოს ფორმის მიხედვით შეგვიძლია.

განკრძობით დგას საკითხი III სერიის შესახებ. აქ არც გარდამავალსა და არც გარდაუვალს ზმნას საზედაო ფორმა არ შეპირება. სხვანაირად რომ ვთქვათ, საზედაო ფორმას აკლია III სერიის მწკრივები, სადაც ის ძირეული ზმნის ფორმაზე გადადის. მაგალითი ჯერ გარდამავალი ზმნებიდან:

	I სერ. (მულობ.)	II სერ. (წყვეტ.)	III სერ. (I თურბ.)
მიუთით.	და-წერს	და-წერა	და-უ-წერია
მით. (საზედ.)	და-ა-წერს	და-ა-წერა	—

„დაუწერია“ ნორმალურად მიუთითებელი სიტუაციის ფორმათა გაგრძელება (დაწერს—დაწერა-სი); მასვე სარგებლობს მითითებული ფორმაც, საზედაო (დააწერს—დააწერა), ოღონდ ის აქ ვერ გვიჩვენებს იმ მნიშვნელობას, რომელიც მითითებულ ფორმებს თავ-თავის საპირისპირო ფორმათაგან განსხვავებით I-სა და II სერიაში მოეპოვება.

მაშასადამე, სამ-პირიანი გარდამავალი ზმნა და-ა-წერა ისევე ვერ გვაძლევს საკუთარი წარმოების ფორმებს III სერიის მწკრივებში, როგორც რომელიმე სხვა სამ-პირიანი ფორმა, მაგ. და-ხ-წერა (ასეთი ფრაზიდან: „ჯუარი დასწერა“, ძვ. ქ.). რატომ?—იმიტომ რომ სიტუაცია საზოგადოდ ირიბი ობიექტის გამო-ხატვასთან არის დაკავშირებული. ირიბი ობიექტის ბირის ნიშანი გარდამავალ ზმნაში III სერიის ფორმებში სუბიექტისთვის არის გამოყენებული ინვერსიულად (§§ 240, 351). ამიტომ ირიბ-ობიექტური პირი ფორმიდან გადის, ადგილს სუბიექტურ პირს უთმობს და თვითონ აღუნიშვნელი რჩება ზმნაში.

რაც შეეხება გარდაუვალ ზმნებს, მათი ყოველგვარი რელატიური ფორმების წარმოებაშია გაერთიანებული. III სერიის მწკრივებში: და-ა-ჯდა და და-უ-ჯდა აქ ორივე და-ს-ჯდომია ფორმას მოგვცემს; ამგვარადვე მი-ს-დგა და მი-ა-დგა—ორივე მი-ს-დგომია-ში იყრის თავს.

436. სიტუაცია და ძველად. არის ერთგვარი მსგავსება მითითებულ სიტუაციასა და საარვისო ქცევას შორის: საზედაოს ნიშანი პრეფიქსი ა (ა-წევ-ს); ეგეთივე პრეფიქსი მოულის ნიშნად საარვისო ქცევასაც მეორეულ ზმნებში, იქნება ეს მეორეული ზმნა ნასახელარი (შავ-ი--ა-შავ-ებ-ს), თუ ნაზნარი (წევ-ს—ა-წევ-ენ-ს). ამ მსგავსების გამო ერთად განიხილავდნენ მათ. მაგრამ ისმის საკითხი: ასახვევ თუ არა ისინი ერთისა და იმავე ხასიათის მოვლენას ენაში? მაგალითით რომ ვთქვათ, არის თუ არა ფორმები: ე-წერს—უ-წერს—ა-წერს ფუნქციის თვალსაზრისით ყველა ისეთი ხასიათისა, რომ თანაბრად შეეზომებოდნენ მათს ძირეულ „წერს“ ფორმას?—არა, არ არის. მართლაც, განოსავალ ფორმას, ძირეულს, ორი მათგანი პირდ. ობიექტის კუთვნილება-დანისწულების მიხედვით უპირისპირდება: წერს—ე-წერს, წერს—უ-წერს, უკანასკნელი კი—მოქმედების ლოკალიზაციის მიხედვით ირიბ-ობიექტთან მიმართებით: წერს—ა-წერს. ამიტომ ა-წერს ფორმა გამოეყოფა ე-წერს და უ-წერს ფორმებს და ცალკე დაუდგება თავის ძირეულს პირისპირ:

	საარვ.	სათავ.	სასხვ.
ქცევა	წერს	ე-წერს	უ-წერს
მიუთით.		მითით.	
		(საზედ.)	
ს ი ტ უ ა ც ი ა	წერს	ა-წერს	

ეს იმიტომ, რომ სხვაა ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს ერთი მხრით წერს—ი-წერს (ან წერს—უ-წერს) ფორმებს შორის და მეორე მხრით წერს—ა-წერს ფორმებს შორის. განმასხვავებელ ნიშნად პირველი წყვილის ცალგზს შორის კუთვნილება-დანისწულბაა, აქ კი მიმართება ირიბ ობიექტთან სივრცეში განლაგების თვალსაზრისით, იქ კვევა ანუ ვერსია, აქ კი—სიტუაცია. ამიტომ მათი ერთ სიბრტყეზე განხილვა შეუძლებელია. საზედაო ფორმა რომ კვევის ფორმად ვიცნოთ, მაშინ, უეჭველია, კვევის განსაზღვრაში ასალი მომენტი უნდა შევიტანოთ და არსებობდა ორი სხვადასხვა კატეგორია შევადგინოთ. ეს იგივე იქნებოდა, რომ ერთად განგვეხილა ისეთი ფორმები, როგორცაა, ვთქვათ: და-წერა, და-ი-წერა (აქტ.), და-უ-წერა, და-ი-წერა (პას.) და და-ე-წერა (პას.) იმ მარტივი მოსაზრების გამო, რომ ყველა მათ, პირველს გარდა, პრეფიქსი აქვს. მაწარმოებლად.

437. სიბუბაციის აუცილებელი პირობა. წართმეითი სახის სიტუაცია, ე. წ. საზედაო, უთუოდ გულისხმობს ირიბ ობიექტს, რომლის შეწყობის შესაძლებლობა ისევე აუცილებელი პირობაა ამ ფორმის ხმარებისათვის, როგორც პირდ. ობიექტის შეწყობის უნარი ზმნის გარდამავლად მიჩნევისათვის. როცა ვკითხულობთ:

წარსულთა დროთა ამაგი ზედ მაწერია მკერდზედა

(ვაჟა-ფშ., V, 213),

აქ ირიბ ობიექტად I პირი უნდა გავიგოთ, „მკერდზედა“ კი ადგილის გარემოებაა, რომელიც შეგვიძლია სხვა სიტყვით შევცვალოთ (მაგ., შუბლზედა; ზემიწენილობის გულისთვის მას კიდევ „ზედა“ აქვს დართული: ზედ... მკერდზედა). III პირში გადაყვანით ზმნის ბრუნვა-უცვლელი სახელი გაუჩნდება: აწერია ლოდს, ეწერა ლოდს.

რომ ნათელი იყოს ზმნის ფორმის მიმართება ირიბ ობიექტთან, მაგალითად ავიღოთ „მო-კვდა“. ირიბ ობიექტს ეს ზმნა „მო“ ზმნისწინით არ მიიღებს. მაგრამ თუ „მო“-ს ნაცვლად „მი“-ს ვიხმართ, მაშინ ირიბი ობიექტი გაუჩნდება, ოღონდ თვითონ ზმნა ფორმას იცვლის—მეერთებელ ხმოვანს მიიღებს ა-ს სახით: მი-აკვდა. ეს ა გარდაუვალ ზმნებთან ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშანია, რასაც ამ წყვილის ცალგზის შედარება გვიჩვენებს: ჩა-კვდა—ჩა-აკვდა; ჩა-კვდა ერთ-პირიანია, ჩა-აკვდა კი—ორ-პირიანი. ეს მეორე პირი აქ ირიბი ობიექტია. ასევე ორ-პირიანებია: და-აკვდა, გადა-აკვდა, შე-აკვდა, შემო-აკვდა, რომლებშიც ირიბი ობიექტის გაგება შეტანილი. იგივე მოვლენაა აქაც: მი-ატყდა, შე-ატყდა, და-ატყდა, ჩა-ატყდა; მი-აწვა, და-აწვა, ჩა-აწვა და მისთ.

ამგვარსავე ვითარებას გვიჩვენებს თანხმონით დაწყებული პირველადი გარდამავალი ზმნებიც: და-კლა, ჩა-კლა, მაგრამ: და-აკლა, შე-აკლა, ჩა-აკლა, მი-აკლა, წა-აკლა (აქათამა თქვა: გოჭი დაკლეს—შე წამაკლეს, ცხარი დაკლეს—მე წამაკლეს“); ერთ ობიექტთან ითქმის: მან და-წერა, ჩა-წერა და სხვა. მაგრამ მეორე ობიექტთან,—ყოველთვის თუ არა, მრავალ შემთხვევაში მაინც,—აკვდის: და-აწერა, ჩა-აწერა, მი-აწერა, წა-აწერა, შე-აწერა; პირდაპირთან ითქმის: გა-ტეხა, ჩა-ტეხა, მაგრამ: ირიბის დამატებით: და-ატეხა, ჩა-ატეხა, გადა-ატეხა და სხვა.

მაშასადამე, იმ პირველადს გარდამავალ ზნნებშიც, რომელთაც ფუძე თანხმონით ეწყებათ, ა პრეფიქსი აგრეთვე ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშანია.

რა თქმა უნდა, ა პრეფიქსი ყოველთვის არ მიგვითითებს ირიბ ობიექტზე, მეორეულ ზნნებში ის გარდამავალ ზნნათა მაწარმოებელია საარვისო ქცევით: ა-წითლებს, ა-გორებს, ა-წვენს, ა-დვენს და მისთ.; მაგრამ პირველადს ზნნებში ა-ს ფუნქცია ნათელია: ის ირიბი ობიექტის გამოხატავსთან არის დაკავშირებული როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალ ზნნებში.

438. ხათანაო. შკთიჲმთობა ხაზმადოხთიან. გვაქვს ორგვარად გაფორმებული მიმართება ირიბ ობიექტთან როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალს ზნნაში: უნიშნო და ნიშნიანი (ა-ნიანი). ამისი მაგალითებია: და-ხ-წერა, და-ა-წერა (ჯვარი დასწერა, სიტყვა დააწერა) ს-ტეხს—ა-ტეხს (ხეს რტოს სტეხს, სოფელს მეხს ატეხს თავზე), ს-ძევს—ა-ძევს და მისთანანი. გამოვიყენოთ არსებული ტერმინი „სათანაო“ უნიშნო ირიბი მიმართების აღსანიშნავად (როგორცაა: ს-დის, ს-ძევს, ს-წერს, ს-ტეხს და მისთ.) და ვნახოთ რა ურთიერთობაა მასა და საზედაოს შორის. თანაც არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში დღევანდელმა ვითარებამ, რომელიც ფონეტიკური წესების შედგენის და-ს-წერა და და-ა-წერა ასეთი ფორმებისაგან არის შესაბამისად მიღებული: და-ჰ-წერა და და-ჰ-ა-წერა. ასე რომ განმასხვავებელი ნიშანი მათ შორის ისტორიულად მარტო ა არის.

წინა პარაგრაფში გამოთქმულ მოსაზრებას ა აფიქსის ფუნქციის შესახებ პირველადს ზნნებში ის გარემოება უკერს მხარს, რომ იმავე პირველადს ზნნებს საარვისო ქცევის ფორმები შუალობით კონტაქტში ა-თი აქვთ ნაწარმოები: ტეხს—ა-ტეხინებს, წერს—ა-წერინებს, ჰამს—ა-ჰმევეს და მისთ. რა ემატება შუალობითში აღნიშნულ ზნნებს პირთა რაოდენობის თვალსაზრისით?—ემატება მესამე პირი, ირიბ-ობიექტური, რომლის ნიშანი დაკარგულია III რომლობითში, მაგრამ შენახულია I-სა და II-ში: მ-ა-წერინებს, გ-ა-წერინებს, *ჰ-ა-წერინებს. რატომ გახდა აუცილებელი ა-ს დართვა? კონტაქტის ბრალია ვითომ?—ეგრე რომ იყოს, მაშინ უანოდ ვერ ვაწარმოებდით ვერავითარ შუალობითის ფორმას, მაგრამ, როგორც ვიცით (§ 423), შუალობით კონტაქტის ფორმათა წარმოება არ არის უთუოდ ა-სთან დაკავშირებული (წერინება, ა-წერინებს, უ-წერინებს). გვრჩება, მაშასადამე, დავასკვნათ, რომ ა-ს დართვა ამ შემთხვევაში ირიბ-ობიექტური პირის გამოხატავსთან არის დაკავშირებული; უფრო ზედმიწევნობით რომ ვთქვათ, ირიბ-ობიექტურ პირს ვერ შევიყვანთ თანხმონით დაწყებული პირველადი ზნნის შუალობითში, თუ მის პირის ნიშანსა და ზნნის ფუძეს შორის მიერთებულ ხმოვანს არ ჩასვამთ: წერს—მ-ა-წერინებს, გ-ა-წერინებს, (ჰ)-ა-წერინებს, გვ-ა-წერინებს.

თუ აღნიშნული მოსაზრება სწორია, მაშინ უუკველია, რომ ა ერთისა და იმავე ფუნქციის მატარებელია პირველადს ზნნებში, გარდამავალი იქნება ფორმა, თუ გარდაუვალი: წევს—მ-ა-წევს, ძევს—მ-ა-ძევს, ზის—მ-ა-ზის, წერს—მ-ა-წერს—მ-ა-წერინებს, ტეხს—მ-ა-ტეხს—მ-ა-ტეხინებს და მისთ.

439. პარალელი სპანწრილან. საყურადღებოა, რომ სევანური უბრალო. ირიბი მიმართების ფორმას უანოდ ვერ აწარმოებს. ეს მოვლენა იქ III ობ-

პირის ფორმაშიც აშკარად ჩანს, რადგანაც ამ პირის ნიშანი სვანურს დღევანდლამდე დაცული აქვს ხ-ს სახით. მაგალითები: სგურ („ზის“) — ხ-ა-სგურ („აზის“), ლ-გ-გ („ღგას“) — ხ-ა-გ („აღგას“), ცვირ („დარჩენილია“) — ხ-ა-ცვირ („დარჩენილი აქვს“), ტული („იძახის“) — ხ-ა-ტული („უძახის“), ტიხე „აბრუნებს“ — ხ-ა-ტიხე („უბრუნებს“ — უბრალო რელატიური ფორმა ირიბისათვის; ხ-ო-ტიხე ექნება: „უბრუნებს მისას“, ე. ი. სასხვისო ქცევა); კვიშე („ტიხს“) — ხ-ა-კვიშე („ატიხს“: თხუში გაკს ხაქვეშ — „თავზე კაკალს ამტვრევს“) და მისთ. საზოგადოდ, ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი ზმნას სვანურში უხმოვნოდ არ უერთდება, თუ, რა თქმა უნდა, რედუქციას ადგილი არა აქვს მარცვალთა რიცხვის გადიდების შემთხვევაში: ხ-ა-ტული („უძახის“), მაგრამ ლ-ხ-ტულ [ლ-ა-ხ-ა-ტულ] („ლაუძახა“).

ამიტომ გასაგებია, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმა ჰირველად ზმნათაგან სვანურშიც ა-ს გვიჩვენებს: ტიხე („აბრუნებს“) მაგრამ ხ-ა-ტიხენე („აბრუნებინებს“).

ქართულში ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი უშუალოდაც ერთვის ზმნას (ჰ-გავეს, ს-ძულს, მო-მწერა, მი-სწერა), სვანურში კი მათგან განსხვავებით ა-ს არის საჭირო: ხ-ა-გემ („ჰგავს“), ხ-ა-სისგ („სძულს“).

440. სათნანო ღა საზიმღო ზანურჩივლად. ზოგ შემთხვევაში განურჩევლად ვხმარობთ სათნანოსა და საზნდაო ფორმებს; ამისი მაგალითები ძველი ქართულიდანაც შეგვიძლია დავიმოწმოთ და ახლიდანაც, თანაც როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალ ზმნებში:

დაჰკუეთა — დააკუეთა. ოთხთავის ხელნაწერებში ერთსა და იმავე ადგილას ზოგში „დაჰკუეთა“ იკითხება, ზოგში კი — „დააკუეთა“: „სადაცა დააპყროს იგი, დაჰკუეთოს“ (მარკ. 9, 18 აღიშ., ტბ.; „დააკუეთოს“, ათონ., ჯრ., პარხ.); „სულმან მან არაწმიდამან დაჰკუეთა იგი“ (მარკ. 9, 20 ტბ., „დაჰკუეთა“ აღიშ., „დააკუეთა“ ათონ., ჯრ., პარხ.).

დავსცვითე — დავაცვითე. ერთს ხალხურ ლექსში იკითხება (ახალხ. 3., № 27):

„ავავსე დიდი მინდორი თათრის ხოჯაის ძვალთა,
მგელს დავაცვითე კბილები, ტურას — ლოყები კამითა“.

ერთს ვარიანტში აქ იკითხება: „მგელსა დავსცვითე კბილები“.

„ძევს“ ზმნა (ვარიანტები: ძეს, ძე) გარდაუვალა და აბსოლუტური: „ზედა ეწერა: აქა ძეს აბჯარი საკვირველიო“ (ვეფხ.-ტყ., 1368). რელატიურად ის შეიძლება სამგვარად წარმოვიდგეს: ს-ძევს, უ-ძევს, ა-ძევს. ამათგან „ძევს“ ძირითადია ყველას მიმართ, რადგანაც ყველა მას შეეზომება:

ძევს — სძევს, — განსხვავებაა უბრალო რელაციის მიხედვით;

ძევს — უძევს, — განსხვავებაა ქცევის მიხედვით.

ძევს — აძევს, — განსხვავებაა სიტუაციის მიხედვით.

ამისი მაგალითები ვაჟადან:

„ხმალიც გვერდს უძე“ (I, 124, 20); ხილი არ გვიძე წყალზედა (I, 81, 8).
და შენც, სიკვდილო, ფერი გძე სიცოცხლის ნაწყენობითა (I, 37, 9).
„თქვენ აღარ გაძეთ ბაეები.“ (I, 110, 9).

თუ სასხვისო ქცევის „უძე“-ს არ მივიღებთ მხედველობაში და ორ და-
ნარჩენ რელატიურ ფორმას შევადარებთ ერთმანეთს, ვნახავთ, რომ მოსალოდნელი
ფუნქციონალური განსხვავება სათანაო „სძე“-სა და საზედაო „აძე“-ს შორის
აღარ არის, რადგანაც შეიძლება ითქვას: „ფერი გძე“ და „ფერი გაძე“, „ბაეი
გძე“ და „ბაეი გაძე“.

„დადება“ ზმნა ირიბ ობიექტთან ძველად სათანაოთი იხმარებოდა („დას-
დვა“ კელი წმიდამან ნინო ერთსა ქვასა“, ქართლ. მოქც., თაყ.-ის გამოც.,
792, 4), მაგრამ ეხლა საზედაოთი ვხმარობთ („ხელი დაადვა ერთ ქვას“). მა-
შასადამე, ძველი „დასდვა“ და ახალი „დაადვა“ ერთია ფუნქციის თვალსა-
ზრისით.

მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ სათანაო და საზედაო ფორმები
საერთოდ განსხვავებულად არის გამოყენებული: დას წერილი მის წერა და
ბოლოში ლექსი მი აწერა; შინ მოსწერა, მაგრამ: პირობას ხელი მოაწერა;
ცას ვარსკვლავი მოსწყდა, მაგრამ: ხალხი ამ აღგიოს მოაწყდა და მისთ.

441. **სატიანაოხ მინწიხიხი.** ზემოურ თქმულის საფუძველზე შეიძლება და-
ვასკენათ, რომ ზუმოვნო რელაცია ირიბი ობიექტისადმი მიღებული უნდა იყოს
ხმოვნის ამოღების ნიადაგზე, ე. ი. „სათანაო“ საერთოდ საზედაოსაგან უნდა
მომდინარეობდეს. ამას ზრ ეწინააღმდეგება .ის გარემოება, რომ ძველად „დას-
დვა“ იხმარებოდა, ეხლა კი „დაადვა“.

ხმოვნის ამოღება, როგორც ჩანს, კილოებში სხვადასხვა დროს და სხვადა-
სხვა სახით ჩატარებულა და სალიტერატურო ენას შემოუკრებია ნარევი ფორ-
მები: ზოგი ურედუქციო და ზოგი ნარედუქციალი. შემდეგ ენა ცდილა განსხვავ-
ების დამყარებას მათ შორის და ამის შედეგად მივიღეთ „საზედაო“, რომელიც
გარკვეულ შემთხვევაში განსხვავებას გვაძლევს სათანაოსაგან. რომ არ გვეკონდეს
აშკარად განსხვავებული ფორმები ამ ტიპისა: წერს—აწერს, სწერია—აწერია,
სტეხს—ატეხს, სკრის—აკრის, მი-სწერა—მი-აწერა და მისთ., მაშინ არც
ღაისმოდა საკითხი სიტუაციის შესახებ ქართულში. მაგრამ განსხვავებული ფორ-
მები გვაქვს და ამ ფაქტს სათანადოდ უნდა გაეწიოს ანგარიში.

შენიშვნა. ზოგ შემთხვევაში სათანაო შეიძლება სხვა ხმოვნის ამოღების
გზითაც იყოს მიღებული; შდრ. ეტრფის (*ჰ-ეტრფის) და შე-ს-ტრფის
(←*შე-ჰ-ეტრფის), უ-ყურებს (←*ჰ-უ-ყურებს) და შე-ჰ-ყურებს, უ-ტრია-
ლებს (←*ჰ-უ-ტრიალებს) და თავს და-ს-ტრიალებს და მისთ.

ერთი კი უნდა ითქვას მაინც: საზედაო ცნების დადგენაში რამდენაღმე
ზმნის ლექსიკური მნიშვნელობაა გადაწყვეტი: ჯდომა, წოლა, ღდომა, წერა და
მრავალი სხვა სახის მოქმედება შეიძლება რაზედმე. ამიტომ ეგვევი მნიშვნე-
ლობა რომ შეპრჩეს ზმნას, პრევერბთაგან და ან ჩა უნდა მიიღოს: და-ა-წვა,

და-ა-ჯდა, და-ა-დგა, და-ა-წერა, ჩა-ა-კვდა და მისთ. პრევერბის შეცვლით ზედლობის გაგება იკარგება და გერჩება უბრალო რელაცია ირიბთან: მი-ა-წვა, შე-ა-კვდა, მი-ა-წერა და მისთ.

ამიტომ სიტუაციაზე ლაპარაკი მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც განსხვავება ფორმებს შორის ირიბთან მიმართების მიხედვით არის დამყარებული: ჩა-კვდა და ჩა-ა-კვდა, დაწერა და და-ა-წერა და მისთ.

442. სიხუბაცის ადგილი წარმოქმნის კატეგორიებს შორის. მითითებული სიტუაციის ფორმა, სახედაო, წარმოქმნის კატეგორიებს შორის ყველაზე უფრო ახლო ქცევასთან დგას, რადგანაც მასაც მარტო I და II სერიის მწკრივები აქვს, III-ისა კი არა. ამას გარდა ეს კატეგორია, ქცევის მსგავსად, არც სახელზმნებს მოუპოვებთ (მიმღობასა და საწყისს), მაშინ როდესაც სხვა წარმოქმნის კატეგორიები (გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, კონტაქტი) სახელზმნებშიც არის გატარებული.

საზედაო ფორმა მოკლებულია ქცევის გაგებას, რადგანაც საპირისპირო ფორმები არ მოუპოვება. ამ მხრივ ის დიდად განსხვავდება შუალობითი კონტაქტისაგან, რომელსაც, როგორც ვიცით, ქცევის ფორმებიც აქვს. მაგრამ საყურადღებოა, რომ რამდენიმე ზნა საზედაოს ფორმით სუფიქსითაც განსხვავდება ძირეულისაგან: კერ-ავ-ს—ა-კერ-ებ-ს, ქედ-ს (ან ქედ-ავ-ს)—ა-ქედ-ებ-ს, ფარ-ავ-ს—ა-ფარ-ებ-ს, წებ-ავ-ს—ა-წებ-ებ-ს, ხეთქ-ს—ა-ხეთქ-ებ-ს და მისთ. აღნიშნულ ზმნებს ქცევის გაგება აქვთ I სერიაში (ა-კერებს—ი-კერებს—უ-კერებს), მაგრამ II სერიაში, თემატური ნიშნის ჩამოცილების გამო, ეს გაგება დაეკარგებათ, რადგანაც მარტო ანიანი ფორმა შეპრჩებთ ძირეულისაგან განსხვავებული. მაგალითი:

	საარგ.	სათავ.	სასხგ.
I სერია (აწველი)	კერვა	კერ-ავ-ს	ი-კერ-ავ-ს
	კერება	ა-კერ-ებ-ს	ი-კერ-ებ-ს
II სერია (წყვეტილი)	საარგ.	სათავ.	სასხგ.
	კერვა	კერა	ი-კერა
	კერება	ა-კერა	[ი-კერა]

ამგვარად, II სერიაში სათავისო და სასხვისოს ფორმები წარმოქმნილი ფორმისა დაემთხვა ძირეულისას, განსხვავება დაპირა მარტო საარვისოს ფორმას, მაგრამ მან, საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო, ქცევის გაგება დაეკარგა.

აქ, მასადადამე, ქცევის თვალსაზრისით, ისეთივე მდგომარეობა შეიქნა, როგორც „აქმევს“ და „ასმევს“ ზმნებში, რომელთაც სალიტ. ენაში და კილოთა უმეტესობაში თემატური ნიშანი დაკარგეს II სერიის ფორმებში, ამით ძირეულ „კამა“ ზმნას გაუთანაბრდნენ და ქცევის გაგება დაკარგეს: ა-ქმევს—უ-ქმევს, მაგრამ ა-ქამა-ს აღარ აქვს ცალი, რადგანაც „უ-ქამა“ ძირეული ზმნის საარვისოა: კამა—ი-კამა—უ-კამა. ქცევის გაგება მას შენახული აქვს მთის კი-

ლოებში, სადაც თმატური ნიშანი მოიპოვება მ(ვ)-ის სახით: ა-ქმ-ი(ვ)ა-
ჟ-ქმ-ი(ვ)ა-:

ქას ყმას აქმე, დედაო, დილა ადრიან სადილი (ხალხ. პ., № 283).

მიქმეით ლალმისტიურსა თავის საქველი პურიო (ib. № 458).

ზმნის კავშირითაშვილის ზოგადად

443. საფუძველი ერთი ხტაშვის ხხვადახხვა კატეგორიის ფორმად გაგზავნის. ზმნის კატეგორიების მიმოხილვის დასრულების შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე იმაზე, თუ რა არის იმის საფუძველი, რომ ერთმა და იმავე ბგერათა კომპლექსმა, რომელსაც ქართულში ჩვეულებრივის აზრიანი სიტყვის სახე აქვს, შეიძლება ერთსა და იმავე დროს რამდენიმე გაგება მოგვეცეს, ანუ, — რაც იგივეა, — ერთმა და იმავე ზმნამ ერთისა და იმავე ბგერითი შედგენილობით რამდენიმე გრამატიკული შინაარსი დაიტოვოს? რა არის იმის საფუძველი, რომ რომელიმე ფორმა, ვთქვათ „დავწერე“, ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კატეგორიას გვიჩვენებს როგორც უღლებიას ისე წარმოქმნისას? — საფუძველი ის გახლავს, რომ ამ ფორმის გვერდით ენაში არსებობს რიგი იმავე ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები ფორმებისა, რომელთაც ეს ერთი „დავწერე“ სხვადასხვანაირად ეზომება და უპირისპირდება. შედეგი ის არის, რომ ერთთან დაპირისპირებისას ერთ ნიშანს ვიღებთ, მეორესთან დაპირისპირებისას — მეორეს, მესამესთან — მესამეს და ასე ბოლომდის. ეს ნიშნები კატეგორიებია, რომლებიც გარკვეულ ცნებებს შეიცავენ. მაშასადამე, ზოოფოლოგიური თვალსაზრისით ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობის სიტყვა სხვადასხვა დაპირისპირებათა ნიადაგზე სხვადასხვა ფუნქციის მატარებლად წარმოგვიდგება. დაპირისპირებისას აუცილებელია, რომ საოპოზიციო ცალი (ან ცალეები) განსხვავებული იყოს როგორც გარეგნული სახით, ბგერობრივად, ისე გრამატიკული შინაარსითაც, ე. ი. როგორც ფორმით, ისე ფუნქციით. აღნიშნულ „დავწერე“ ზმნაში უღლებების კატეგორიათაგან წარმოდგენილია: პირი (თანაც სუბიექტური და ობიექტური), რიცხვი, დრო, კილო, ჯგრობა, აქტი, თანამდევრობა, მწკრივი; წარმოქმნის კატეგორიათაგან: ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი, სიტუაცია (აკლავა გეზი და ორიენტაცია). განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალკე-ცალკე.

უღლების კატეგორიები

1. პირი. პირის მიხედვით „დავწერე“ ზმნა პირველიც არის და მესამეც. პირველი სუბიექტურია, მესამე — ობიექტური. რომ I პირი სუბიექტურია, ამას აჩენს შემდეგი საპირისპირო ფორმები: დავწერე — დასწერე — დაწერა; რომ III პირი ობიექტურია, ამას აჩენს შემდეგი დაპირისპირება: დავწერე (მე იგი) — დასწერე (მე შენ).

III ობიექტური პირი, რომელიც „დავწერე“-შია წარმოდგენილი, არის პირდაპირი, რადგანა მოიპოვება საოპოზიციო ფორმა „დასწერე“, სადაც

„დავწერე“-ს გაგება მთლიანად არის შესული, მაგრამ დამატებულია მეორე ობიექტის გაგება. ეს დაპირისპირება უფრო ნათელი იქნება, თუ ფორმას I ობ. პირში ვადმოვიყვანთ: დამწერა—დამწერა. „დამწერა“—მე ვარ დაწერილი, „დამწერა“—ჩემზეა სხვა დაწერილი.

მეშასადამე, პირის კატეგორია ქართულში მეტად რთული კატეგორიაა. ნუანსებს რომ თავი დავანებოთ, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი (§ 433). ერთი მხრით გვაქვს გაგება პირის რომლობისა, რაც გულისხმობს სამ ქვეკატეგორიას: I პირს, II-სა და III-ს. მეორე მხრით გვაქვს გაგება ვითარებისა ანუ როგორობისა, რაც ორ ქვეკატეგორიას გულისხმობს: სუბიექტისას და ობიექტისას. ობიექტური პირი თავის მხრით ორად დაიშლება კიდევ: გვაქვს პირდაპირ-ობიექტური პირი და ირიბ-ობიექტური პირი: გრაფიკულად ეს შემდეგნაირად შეგვიძლია გავითვალისწინოთ:

რომელი პირი: პირველი, მეორე, მესამე.

როგორი პირი	{ სუბიექტური. ობიექტური }	{ პირდაპირი. ირიბი. }

ინდოევროპულ ენებში, სემიტურებში და თურქულებში პირი მხოლოდ რომლობის გაგებას იძლევა, როგორობისას კი არა. ქართულში რომლობის ერთვის როგორობის გაგებაც. ამ მხრივ ქართულსა და მის მოძმე ენებს, ზანურსა (მეგრულ-ქანურსა) და სვანურს მხარს უჭერს რიგი სხვა ენებისა, მაგ., აფხაზურ-ჩერქეზული და ბასკური.

2. რიცხვი. რიცხვი შეიძლება პქონდეს პირს, როგორც სუბიექტურს, ისე ობიექტურს. „დავწერე“ ფორმა სუბიექტური პირისათვის მხოლოდითია, რადგანაც მოიპოვება საპირისპირო „დავწერეთ“, რომელიც მრავლობითად გვესმის; ობიექტური პირისათვის „დავწერე“ ამჟამად ურიცხვია, მაგრამ ძველ ქართულში რიცხვიანი იყო: დავწერე—დავწერენ („დავწერე“ მხოლოდითად მიდიოდა, დავწერენ“ კი—მრავლობითად). სხვა მაგალითი: დამწერა—დავწერა. პირველი ფორმა („დამწერა“) ობ. პირისათვის მხოლოდითია, მეორე კი („დავწერა“) იმავე ობ. პირისათვის—მრავლობითი.

3. ღრმ. ღროის მიხედვით „დავწერე“ წარსულია, რადგანაც მას პირისპირ უდგას „დავწერ“, რომელსაც მომავლის გაგება აქვს, ან „ვწერ“, რომელიც ეხლანდელად გვესმის.

4. კილო. კილოს მიხედვით „დავწერე“ თხრობითია, რადგანაც მოიპოვება საპირისპირო „დამეწერო“, რომელიც კავშირებითია. სხვა მაგალითი: „დავწერო“ თხრობითია, რადგანაც მოიპოვება საპირისპირო „დავწეროთ“, რომელიც ბრძანებითია (ზოგ შემთხვევაში კავშირებითიც).

5. ჯგრობა. ამ კატეგორიის თვალსაზრისით „დავწერე“ ერთგზისია, რადგანაც მას უპირისპირდება: „დავწერი“ (ზოგ კილოში „დავწერილი“, „დავწეროლი“) ან „დავწერი“, რომლებიც მრავალგზისობის გაგებას გვაძლევენ. ეს კატეგორია დღეს სუსტად არის ქართულში გამოხატული.

6. აქტი. აქტის მიხედვით „დავწერე“ ნახულია, ვინაიდან მას უნახავი აქტის ფორმა უდგას პირისპირ: „დამეწერა“.

7. თანამდევრობა. ამ კატეგორიის მიხედვით „დავწერე“ შემდგომია, რადგანაც მას უწინარესი უპირისპირდება: „დაამწერა“. დაპირისპირება უფრო ნათელია. ორი სხვადასხვა ზმნის მაგალითზე: „წერილი დაეწერე ქალალღზე, რომელიც ერთ ამხანაგს გუშინ ჩემთვის გამოეგზავნა“. უწინარესია ქალალღის გამოგზავნა, შემდგომია წერილის დაწერა.

მწკრივი. მწკრივის მიხედვით „დავწერე“ წვეტილია, რადგანაც მას სხვა მწკრივები უპირისპირდება: „დავწერო“ (II კავშ.), „დავწერ“ (მეობ.), „დამიწერია“ (I თურმ.) და სხვები.

წარმოშობის კატეგორიები

1. გეზი. „დავწერე“ უგეზოა, რადგანაც საპირისპირო ფორმა აკლია. ასეთი იქნებოდა „ეწერე“, მაგრამ ის, „დავწერე“-სთან შედარებით, ფუნქციონალურ განსხვავებას მიმართულების თვალსაზრისით ვერ გვჩვენებს. ნაგრამ თუ ავიღებთ სხვა ფორმას, მაგ. „ჩავწერე“-ს, მას გეზი ექნება, რადგანაც უპირისპირდება იგივე „ვწერე“, რომელიც მიუმართავი ფორმაა, „ჩავწერე“ კი ერთ-ერთი სახეა მიმართული გეზისა.

2. ორიენტაცია. არც ორიენტაცია აქვს „დავწერე“-ს, რადგანაც აკლია საპირისპირო ფორმა, მოახლოვება-დაშორების თვალსაზრისით განსხვავებული.

3. ასპექტი. ასპექტის მიხედვით „დავწერე“ სრულია, ვინაიდან მას უპირისპირდება უსრული „ეწერე“, ზოგ შემთხვევაში აგრეთვე „ვწერდი“.

4. გვარი. გვარის მიხედვით „დავწერე“ მოქმედებითია, რადგანაც მოიპოვება საპირისპირო „დაიწერა“, რომელიც ვნებითია.

5. ქცევა. ქცევის მიხედვით „დავწერე“ საარვისოა, რადგანაც მას პირისპირ სათავისო და სასწვისო ქცევის ფორმები უდგას: „დავიწერე“ (სათავ.), „დავუწერე“ (სასხვ.).

6. კონტაქტი. ამ კატეგორიის მიხედვით „დავწერე“ უშუალოა, რადგანაც მოიპოვება შეალობითის ფორმა „დავაწერინე“.

7. სიტუაცია. სიტუაციის მიხედვით „დავწერე“ მიუთითებელი ფორმაა, რომელსაც მითითებული „დავაწერე“ უდგას პირისპირ (სახელო).

როგორც ვხედავთ, ფორმების დაპირისპირება ერთი ნიშნის მიხედვით ხდება, დანარჩენი ნიშნები კი ყველა საერთოა. როცა, ფაქტობრივად, პირზე გვაქვს საუბარი და გვინდა დავრწმუნდეთ, რომ I პირი სუბიექტურია და არა ობიექტური, მესამე კი, პირუკუ, ობიექტური და არა სუბიექტური, არ შეგვხვებით არც ერთ სხვა ნიშანს (რიცხვს, დროს, კილოს და სხვ.), არამედ მხოლოდ I-სა და III-ს შევცვლით პირის ინდექსების მიხედვით და მივიღებთ ასეთ დაპირისპირებას: დავწერე—დამწერა. როცა გვსურს იმის გამორკვევა, თუ რომელია სუბიექტური პირი, ყველა სხვა ნიშანს ხელ-უხლებლად დავტოვებთ და პირისპირ ისეთ ფორმებს შევპყროთ, სადაც განსხვავება მარტო სუბ. პირების მიხედვით იქნება; მივიღებთ ასეთ დაპირისპირებას: დავწერე—დასწერე—დაწერა. ობიექტური პირისთვისაც ასეთივე პირობის დაცვით შემდეგ დაპირისპირებას ვნახავთ: დავწერე—დაგწერე. რიცხვის გამორკვევის დროს საპირისპირო ფორ-

მებში პირიცი იგივე რჩება, დროც, კილოც და სხვა კატეგორიები (უღლებინა, თუ წარმოქმნისა), გვექნება ამგვარი შეყრა პირისპირ: ვაკეთებ—ვაკეთებთ. ქცევის გამორკვევის დროს მართო კუთვნილება—დანიშნულებას ვაქცევთ ყურადღებას, სხვა ნიშნები კი ყველა უცვლელია; გვაქვს ასეთი საოპოზიციო ცალები: დაწერე—დავიწერე—დაუწერე. ასეთივე მეთოდით ვარკვევთ სხვა კატეგორიებსაც. ერთი სიტყვით, ეს ნაირ-ნაირი დაპირისპირებაა, რომ ნაირ-ნაირ მორფოლოგიურ ნიშანს გვაძლევს ერთისა და იმავე ბგერითი შედგენილობის სიტყვაში (ამ შემთხვევაში „დაწერე“ ზმნაში). სადაც დაპირისპირების საშუალება არ არის, იქ არც არის მორფოლოგიური ნიშანი. დაპირისპირება, მაშასადამე, სულ ცოტა, ორ სხვადასხვა ფორმას გულისხმობს, ურთიერთ შორის განსხვავებულს ბგერათა შედგენილობითაც და გრამატიკული მნიშვნელობითაც. განმარტოთ მაგალითზე:

„დაწერე“ ფორმას რომ არ უპირისპირდებოდეს „დავწერეთ“, მაშინ ვერას ვიტყვოდით სუბ. პირის რიცხვის შესახებ, ვინაიდან სხვა ნიშნების მიხედვით ისინი ერთნია. აქი ვერას ვამბობთ იმავე ფორმის ობიექტური პირის რიცხვის შესახებ, ვინაიდან დღეს „დაწერე“-ს ამ მხრივ აღარაფერი უპირისპირდება: „ლექსი“ იქნება, „ლექსები“, თუ „ლექსნი“, მინც „დაწერე“ ითქმის.

„დაწერე“ ფორმის პირისპირ რომ არ გვექონდეს „დამიწერია“ ან „დამეწერა“, არ გვექნებოდა აქტის კატეგორია, რომელიც, სხვათა შორის, კარგად გამოხატულია თურქულ ენებშიც (შდრ. ანატოლიურ-თურქ. ააზღემ—ააზმეშემ).

რომ გვექონდეს მარტოდენ „დაწერე“ და მის გვერდით არ მოგვეპოვებოდეს „დავიწერე“ ან „დაუწერე“, მაშინ არ გვექნებოდა ქცევის გაგება; სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, ჩვენი „დაწერე“ ისევე უქცეო იქნებოდა, როგორც ლათ. scripsi, არაბ. ქათაბთუ ან თურქ. ააზღემ.

რომ, ვთქვათ, იმავე „დაწერე“-ს პირისპირ არ ედგეს „დავაწერინე“, მაშინ ქართულში არ იქნებოდა კონტაქტის კატეგორია. მაგრამ ერთ მათგანს უშუალოდ მოქმედების გაგება ახლავს, მეორეს კი სხვისი შუალობით მოქმედებისა, ამიტომ ორივე კონტაქტიანია, ისე როგორც მათი ანატოლიურ-თურქული შესატყვისები: ააზღემ—ააზღერღემ.

გვევითქმის სხვა მორფოლოგიურ კატეგორიებზედაც ქართულში თუ სხვა ენებში. საზოგადოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქმნის გრამატიკულ ფორმას და რატომ განეკუთვნება ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კატეგორიას, შეიძლება მარტივად წარმოვიდგინოთ ნათესაური კავშირის ანალოგიით. კარგად ვიცით, რომ ერთი და იგივე პირი ერთთან პიმართებით შეიძლება იყოს მამა, მეორესთან პაპა, მესამესთან შვილი, მეოთხესთან ძმა, მეხუთესთან მამა, მეექვსესთან სიმამრი, მეშვიდესთან მამამთილი და სხვა. მაგ., ვახტანგ VI ვახტანგ V-ისთვის იყო შვილისშვილი (ძის ძე), არჩილ მეფისა და გიორგი XI-ისთვის ძმისწული, ლევანისა და თუთასთვის შვილი (ძე), იესესთვის ძმა, რუსუდანისთვის ქმარი, ჩერქეზთ ბატონისთვის სიმე, ბაქარისა და ვახუშტისთვის მამა, ალექსანდრესთვის პაპა. მსგავსად ამისა ერთსა და იმავე სიტყვას ნაირ-ნაირი მიმართება აქვს სხვადასხვა სიტყვასთან.

ულლებისა კატეგორია, თუ ის საჭიროა ერთის ან რამდენიმე მწკრივის საწარმოებლად, წარმოქმნისა კატეგორია, თუ ის ახალ ზნას ქნის და მწკრივის ფორმებს იმეორებს. მწკრივების გამეორება ხდება არა ყველა ქვე-კატეგორიაში, არამედ იმაში (ან იმათში), როპელიც (ან რომლებიც) წარმოქმნილ ითვლება: გეზში მიმართული, ორიენტაციაში მახლოვებელი, ასპექტში სრული, გვარში ვნებითი (უფრო ზედმიწევნობით: პრეფიქსიანი ვნებითი), ქცევაში სათავისო და სასხვისო, კონტაქტში შუალობითი, სიტუაციაში მითითებული (საზედაო).

ასპექტი რამდენადმე დღესაც უღლებს კატეგორიას, რადგანაც ზნათა დიდ უმეტესობაში განსხვავება აწმყოს წინ მწკრივებისა და მყობადის წრის მწკრივებისა ამ კატეგორიის მიხედვით ხდება.

ზოგ შემთხვევაში ქირს იმისი გადაწყვეტა, თუ რომელია ძირეული და რომელი წარმოქმნილი: გვარში საშუალო და მოქმედებითი, მოქმედებითი და სუფიქსიანი ვნებითი, მოქმედებითი და უნიშნო ვნებითი, სტატუსში დინამიკური და სტატიკური ფორმები, მაგრამ რადგანაც აღნიშნულ კატეგორიებს, ერთი მხრით, მნიშვნელობა აქვთ არა რომელიმე მწკრივის ან მწკრივთა ერთი ჯგუფის წარმოებისათვის, არამედ მთელი უღლებსაოვის, მეორე მხრით კი ისინი ქართული ენის სისტემაში საპირისპირო ურთიერთობას ქმნიან გარკვეული ნიშნის მიხედვით ფუნქციონალურად, ამიტომ მათი განხილვა მხოლოდ წარმოქმნის კატეგორიებში შეიძლება.

444. **ქაბამღრიბ ნანდვილი და მოჩვენებითი.** წინა პარაგრაფში მოყვანილ მოსაზრებათაგან გამომდინარეობს დებულება იმის შესახებ, რომ როპელიმე გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს ნამდვილიცა და მოჩვენებითიც. ნამდვილია კატეგორია, როცა რომელსავე სიტყვის ფორმას სათანადო ფუნქციაც ახლავს სხვა ფორმათა დაპირისპირების ნიადაგზე, და მოჩვენებითია კატეგორია, როცა სიტყვის ფორმა რაიმე გარეგნული ნიშნის მიხედვით, წარმოების ძალით, შეიძლება განეკუთვნოს ამა თუ იმ კატეგორიას, მაგრამ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო სათანადო ფუნქციას მოკლებულია. მაგალითად, უ-წერს ნამდვილად არის სასხვისო ქცევა, მაგრამ არის თუ არა და-უ-წერია და უ-ყვარს სასხვისო ქცევის ფორმები? რამდენადაც ამ ზნათა უ არ არის ფუძისეული ხმოვანი, ცხადია, ის მაწარმოებელი აფიქსია, მაგრამ აქვს თუ არა ქცევის ფუნქცია ამ აფიქსს? — არა, არა აქვს, რადგანაც საოპოზიციო ცალეები, სხვა აფიქსით ნაწარმოები და კუთვნილების მიხედვით განსხვავებული, აღნიშნულ ზნებში არ მოეპოვებათ (§§ 410, 412, 414). ამიტომ ცხადია, რომ უ-ყვარს და და-უ-წერია მოჩვენებითი სასხვისოა, ე. ი. არ-ნამდვილი, უფუნქციო, ფორმალური.

რაც ქცევის მაგალითზე ითქვა ამ კატეგორიის შესახებ, მსგავსი რამ შეიძლება ითქვას სხვა კატეგორიების შესახებაც ზნებში თუ სახელებში, უკანასკნელებში რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიათა მიხედვით.

ერთი სიტყვით, მოჩვენებითი კატეგორია, ნამდვილის გვერდით, ფართოდ გავრცელებული მოვლენაა საზოგადოდ ენებში და კერძოდ ქართულში. თვითეულ მათგანზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა. მოვქრათ მოკლედ: ნამდვილ კატეგორიას გრამატიკული შინაარსი ახლავს, ფუნქციად წოდებული, მოჩვენებითი კი დაცლილია ამ შინაარსისაგან.

შენიშნული შეხლოებები და შესწორება-დამატებანი

გვ. და სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
V,2	შედგენილობის	ფუნქციების
VII,32	ქართ. ენის საფუძვლებში	ქართ. გრამატიკის საფუძვლებში
23,1	ფრაზებაში	ფრაზებაში
26,37	კუმალი	კუმალი
49,27	ნათ.-ს, მიც.-ს და მოქ.-ს	ნათ.-ს, მოქ.-ს და ეით.-ს
80,14	§ 128 შნშ.	§ 127 შნშ.
128,31	რიცხვთაგან	რიცხვითთაგან
136,30	ამგვარადვეა გაკეთებული	ამგვარადვეა გაკეთებული სა-მგლ-
	სა-რკინ-ეთი	ეთი („თხამ მგლის სიკვდილი
		გაიგო, დაიკვინა, გაიქცა. თხოვ,
		რას ვაგზარებია, განა სამგლეთი
		დაიქცა?“ (ძვ. საქ., II, 334)
		და სა-რკინ-ეთი
142,29	ძირ-ით-ად-ში	ძირ-ით-ად-ში და გულ-ით-ად-ში
—,30	ზედსართავი	ძირეული ზედსართავი (ნელ-ი) აღ-
		ნიშნული მნიშვნელობით
148,16	(თ. IV),	(თ. IV), „შენ ერთი ქალაქი უნდა
		გამიკეთო, რა ვიცი ბილეთს
		ეძახიან, თუ მილეთსა“ (ვაჟა-
		ფშ. V, 53),
163,25	მოუბრის ფორმაში,	მოუბრის ფორმაში (მაგ., I პირის
		ბრძანებითში: ვაკეთოთ!),
164,24	II („მნახავ“)	II („მნახავ“: „მშვიდობით, ჩემო
		პაწაწინა ობლებო! ველარ მნა-
		ხავთ და ველარც გნახავთ თავის
		დღეში“, თ. რაზიკ, ანიბლია)
184,25	თბილა და	თბილა, გრილ და
187,3	ომოიდი ორი	ომოიდი ორი ან მეტი
—,20	და სხვათა (და სხვათა)
190,27	ჩვენებით.	ჩვენებით,
196,9	ან რამდენიმე „აწმყო“	ან რამდენიმე „ნამყო“

გვ. და სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
207,12	რიგია	მწკრივია
208,4	წყვეტილით.	წყვეტილით ან უწყვეტლით. [მო- მღვენო წინადადება („ოლონდ... ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა“) სულ წაიშა- ლოს].
—,31	დი	და
231,34-35	სუბიექტი ან ობიექტი	სუბიექტი (გარდაუვალ ზმნასთან) ან ობიექტი (გარდაამავალთან) რომ მოქმედება მიიმართება ა)
237,26	რომ ა) მოქმედება მიი- მართება	რომ მოქმედება მიიმართება ა)
241,17	სამართლიანი	სწორი
245,2	გადამყიდველი	გადამყიდველი, перепачи—გა- დახარჯვა
253,20	გვარის ნიშნებით	გვარის ნიშნებით ან მიმღეობათა აფექსებით
256,31	მომავლისა კი —	მუზადისა კი—
261,26	სენაკებისათვის	სენაკებისათვის
267,9	იტყვის	იტყვის
288,15	იკუიტება, იხედება	იკუიტება, იხარჯება, იხედება
299,31	არა გვარის ფორმად (ე. ი. არა დოაოგის ფორმად)	არა მოქმედებითისაგან განსხვავე- ბული გვარის ფორმად (ე. ი. არა ახალი დიათესის ფორმად)
325,16	ქერიო	პურიო
352,19	თავიხ	თავის
32	მეტყველების ნაწილების ჩამოთვლის შემდეგ დაემატოს: ძველი ქართულისათვის ამათ ერთვის კიდევ ნაწევარი (კაცი ესე, კაცი ეგე, კაცი იგი), რომელსაც რიგი ზმნიზედის შემდეგ მოუღის: 6. ზმნიზედა, 7. ნაწევარი, 8. თანდებული, 9. კავშირი, 10. ნაწილაკი, 11. შორისდებული. ესენი ყველა ერთად შეიძლება გავაერთიანოთ უდეტრების სახელით, რაც იმაზე მიგვიითითებს, რომ ესენი არც სახელებია და არც ზმნები. ამას გარდა, უდეტრებში გამოიყოფა დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებული მეტყველების ნაწილები (ნაწევარი, თანდებული, კავშირი და ნაწილაკი), რომელთაც საერთო სახელად შეიძლება მხლებელი ეწოდოს.	
33	სტრიქონები 6—10 ასე შესწორდეს: ფორმა-ცვალებადთა ჯგუფში შედიან: სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, სახელთნაცვალი), ზმნები და ნაწევრები, ფორმა-შეცვლელთაში კი—უდეტრები: ზმნიზედა, მხლებელი (ნაწევრის გამოკლებით, ე. ი. თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) და შორისდებული.	

ფორმა-ცვალებადი სიტყვები თავის მხრით ორ ქვეჯგუფად იყოფა; ესენია: სახელები ნაწევრებითურთ და ზმნები. სახელებსა და ნაწევრებს ახასიათებს ბრუნება.

ამას გარდა, კრატა ქვემოთ ფორმა-ცვალებადთა სიტყვებს მეოთხე ნომრად მიემატოს: 4. ნაწევრები. ხოლო ფორმა-უცვლელთა სვეტში მეორე ნომერი ასე უნდა იკითხებოდეს: 2. მხლებელი (ნაწევრის გამოკლებით).

უკანასკნელ სტრიქონში იკითხება: საწყისები. შესწორდეს: სიწყისები და მოქმ. გვიარის მიმღეობანი.

34 მესამე სტრიქონში იკითხება: და მიმღეობანი. უნდა: და ვნებ. გვიარის მიმღეობანი. მე-8 სტრიქონში იკითხება: მხლებლები (თანდებულები, კავშირები და; უნდა: მხლებლები (ნაწევარი, თანდებულები, კავშირები და...

105 და 117 გვერდზე სახელთა წარმოქმნას ქვესათაურებად გაუკეთდეს § 149-ის წინ (105 გვერდზე) ზოგადი და § 161-ის წინ (117-ზე) ჯგუფები.

120 დაემატოს მეორე შენიშვნად: კინობითის ფორმით ლექსიკური: მნიშვნელობის დიფერენციაცია მიღებული: ხან-ი (=დრო), მაგრამ: ხან-ა (=ეპოქა).

125 უკანასკნელი სტრიქონის შემდეგ დაემატოს: ურ სუფიქსი, ელ სუსუფიქსის მსგავსად, ის და ეთ-იან გეოგრაფიულ სახელებს პირდაპირ ძველ ფუძეზე დაერთოდა წინათ და აქა-იქ ეხლაც დაერთვის: კუმი-ის-ი (სოფელია თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით) —კუმ-ური (ლელვი და სხვ.).

144 თხზვას (§ 178-ის წინ) ქვესათაურად გაუკეთდეს: ზოგადი.

153 შენიშვნის წინ დაემატოს: სიტყვათა შერწყმისას რიგი ჩვეულებრივ ასეთია: ჯერ მოკლე, შემდეგ გრძელი: ხმალ-ხანჯალი, წეს-წყობილება, ბედ-იღბალი, ცივ-გომბორი და სხვ. ამას გარდა; თუ შერწყმულებში ხმოვანზე გათავებული ფუძე ურევია, ის ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა: დო-მხალი, ტვე-ველი, ერბო-კვერციხი, დანა-ჩანჯალი და სხვ.

155 სულ ბოლოს, მეორე შენიშვნად: წყალ-წალებული (წყალთ წალებული)—ვინც წყალმა წაიღო (და არა: ვინც წყალი წაიღო).

201 254 პარაგრაფს შენიშვნა დაერთოს: რადგანაც თხოვნითი კილო-სათვის მთის კილოებში II ხოლმეობითის მწკრივის ფორმებია გამოყენებული, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ამ ფორმებს ხოლმეობითის გავება ჰქონდეთ: ერთი მოხვევის ახსნით განსხვავება „დაასველე“-სა და „დაასველოდ“-ს შორის ის არის, რომ უკანასკნელი „სულ მუდამ“ მოქმედებას აღნიშნავს.

33.

239. 311 პარაგრაფის ბოლოს შენიშვნა დაერთოს: წა ენაცვლება ში-ს: ში-აქეს—წა-ილო (შდრ. ში-აქეს—ში-ილო ან ში-იტანა).
- 312 სტატუსის ბოლოს დაერთოს ახალი პარაგრაფი: 392 ა. სტატუსის შესახებ პირველად ჩემს 1930 წელს დაბეჭდილ გრამატიკაშია მოცემული. ოღონდ იქ ამ ცნებათა აღსანიშნავად ქართული ტერმინებია გამოყენებული: მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი თ ი (=დინამიკური) და მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ ი (=სტატიკური) [§ 100]. საჭმემ მოითხოვა, რომ ქართული ტერმინების ნაცვლად უცხო წარმოშობის ტერმინები შემომეღო (ქართული ენა). განაკვეთები VII—X. ლითოგრაფიული გამოც. 1933, გვ. 12). ამის მიხედვით ჰ. ფოგტმა თავის წიგნში იხმარა ტერმინები *passif de procès* და *passif d' état* (pp. 147, 154). შე-კატეგორია სტატუსისა კი პირველად აქ არის მოცემული.

А. Г. ШАНИДЗЕ

ОСНОВЫ ГРУЗИНСКОЙ ГРАММАТИКИ

Выпуск II

Издательство Тбилисского государственного университета имени Сталина

Тбилиси 1943

რედაქტორი დოც. ილია აბულაძე

ზედმოწერილია დასაბეჭდად 13/XII – 1943 წ. უფ. უფ. 9823. ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 7.
ნიშანთა რაოდენობა სასტამბო თაბახში 49.300. შეკვეთის № 65. ტირაჟი 2000.

სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლით., მარის ქუჩა, № 1